შესავალი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საანგარიშო – 2014 წელს თავის საქმიანობას წარმართავდა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. აკადემია, როგორც საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლასა და მათ გადასაჭრელად აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავებაში. გასულ წელს აკადემია აქტიურად იყო ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მუშაობაში, რომელმაც შეისწავლა სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების მდგომარეობა და დასახა მათი შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები. პირველი შედეგებიც უკვე სახეზეა – მთავრობის დადგენილებით აღნიშნული დაწესებულებების მეცნიერ–თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება გაორმაგდა (ზოგან გასამმაგდა) და საგრძნობლად გაუმჯობესდა მატერიალურ–ტექნიკური ბაზა.

გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ღია კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების განხილვას. კრების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. კრების მასალები გამოქვეყნდა ცალკე წიგნად („საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“. თბილისი, 2014).

ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტისა და ზურაბ წერეთლის ფონდის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბერლინის, მოსკოვის, სანქტ–პეტერბურგის, როსტოვის, სოჭის, გროზნის, ბაქოს, ერევნის, თბილისის საქვეყნოდ ცნობილი სიძველეთსაცავების ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მეცნიერული საფუძვლების უზრუნველყოფას ემსახურება აკადემიაში ახალი სტრუქტურული ერთეულის – ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის ჩამოყალიბება, რომელსაც აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. კვესიტაძე ხელმძღვანელობს. ცენტრის სხდომებზე სისტემატურად განიხილება ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების დასანერგად გამიზნული მეცნიერულად დასაბუთებული პროექტები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის საკითხები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთავარ გამოცემას – ჟურნალ „მოამბეს“–ს საერთაშორისო სამეცნიერო ინდენსიფიკატორმა (International Scientific Indexing ISI) მაღალი დონის „იმპაქტ ფაქტორი“ მიანიჭა. 2012–2013 წლებისათვის საერთაშორისო სერტიფიკატით ჟურნალ „მოამბეს“–ს ჰქონდა 3,520 ნიშნის „იმპაქტ ფაქტორი“, ხოლო 2014 წლისათვის კი აქვს 3,849. ეს მაჩვენებელი აღნიშნულ გამოცემაში გამოქვეყნებული მასალების თუ სტატიების მაღალი კვალიფიკაციის, სამეცნიერო ღირებულებისა და ორიგინალურობის დამადასტურებელია.

დიდი მოცულობის სამუშაოები განხორციელდა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო მუშაობის წლიური ანგარიშების ექსპერტული შეფასების მიმართულებით. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგში შესრულებული ორი ათასამდე პროექტი, რომლის საექსპერტო მონიტო-

რინგში აკადემიის წევრებთან ერთად ფართოდ იყო ჩაბმული მოწვეული სპეციალისტები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ექსპერტული შეფასების შედეგები ცალკეული დაწესებულებების კვლევითი საქმიანობის ავკარგთან ერთად წარმოაჩენს საერთოდ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულ ახალ ტენდენციებს, რაც შემდგომი პროცესების პროგნოზირების საშუალებასაც იძლევა.

საანგარიშო წელი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ აკადემია წარმატებით განაგრძობდა საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებას. მაგალითისათვის მოვიტანთ ჩინეთში, ქ. იანტაიში ჩინეთისა და საქართველოს კვლევითი და ერთობლივი ტექნოლოგიების სატრანსფერო ცენტრის გახსნას, რაც გულისხმობს ჩინეთსა და საქართველოში დამუშავებული ტექნოლოგიების სრულყოფას და შემდგომ ჩინეთისა და საქართველოს მთავრობებისადმი წარდგენას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აშშ–ს სენატისაგან (სენატორი ალ. ფრენკე) მიიღო წინადადება ამერიკის სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი კვლევების განხორციელების თაობაზე.

პირველად დაიგეგმა და ხორციელდება მთლიანად საქართველოს მასშტაბით ჩატარებული დასრულებული კვლევითი სამეცნიერო სამუშაოების ანგარიშის შედგენა, რომელიც გამოიცემა ცალკე წიგნად. დოკუმენტი წარედგინება სახელმწიფო უწყებებს – კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა სამთავრობო უწყებებს, აგრეთვე, პარლამენტის ხელმძღვანელობასა და შესაბამის კომიტეტებს.

აკადემია ამავე დროს წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევითი საქმიანობა მეცნიერების ყველა მიმართულებით. აკადემიის წევრების მიერ განხორციელებული კვლევების შედეგებს კარგად აჩვენებს წიგნში წარმოდგენილი დეტალური ანგარიში (იხ. ცხრილი).

ცხრილი

2014 წლის მონაცემები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრთა სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ

№	სამეცნიერო განყოფილების დასახელება	აკადემიის წევრთა რაოდენობა (2015 წ. 1 იანვრისათვის)			გამოცემულ ან გამოსაცემად გადაცემულ შრომათა რაოდენობა			
					წიგნები		სტატიები	
		სულ	აკად.	წევრ-კორ.	სულ	მ.მ.უცხოეთში	სულ	მ.მ.უცხოეთში
1.	მათემატიკისა და ფიზიკის	16	11	5	2	1	48	35
2.	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა	7	3	4	2	–	8	4
3.	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების	11	5	6	8	–	21	2
4.	ქიმიისა და ქიმიური ტექ-ნოლოგიების	7	5	2	1	–	24	10
5.	ბიოლოგიურ მეცნიერებათა	11	4	7	5	2	22	9
6.	ფიზიოლოგიისა და მედიცინის	12	9	3	1	–	34	22
7.	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა	5	3	2	5	2	17	5
8.	საზოგადოებრივ მეცნიერებათა	18	12	6	16	3	87	22
9.	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების	12	8	4	3	–	40	2
10.	ჯ ა მ ი	99	60	39	43	8	302	112

№	სახელმძღვანელოები	მიღებული გრანტები		სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა		უნივერსიტეტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო ანგარიშებზე შესრულებული რეცენზიები	მოპოვებული პატენტების რაოდენობა
		სულ	მ.შ.უცხოეთში	სულ	მ.შ.უცხოეთში		
1.	–	16	6	23	13	41	–
2.	–	3	2	10	7	19	–
3.	–	6	3	12	1	20	5
4.	–	4	1	18	7	35	4
5.	2	11	8	6	4	11	–
6.	1	9	6	44	24	48	–
7.	4	6	4	11	5	14	–
8.	2	5	2	30	8	51	–
9.	–	9	1	20	5	38	–
10	9	68	32	174	74	294	9

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება

17 იანვარს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, რომელმაც განიხილა მეცნიერების მართვის პრობლემები საქართველოში. აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. კვესიტაძემ თავის მოხსენებაში გააანალიზა ქართული მეცნიერების დღევანდელი რთული მდგომარეობა, სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტების ბედი, მათი დაფინანსების საკითხი. ისაუბრა მეცნიერების მართვისა და ორგანიზების პრობლემებზე საქართველოში.

აკადემიის აკადემიკოს–მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, აკად. წევრ–კორ. ა. არაბულმა საერთო კრების მონაწილეებს გააცნო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საგანგებოდ შემუშავებული მიმართვის პროექტი საქართველოს ხელისუფლებისადმი.

კრების მონაწილეებს წარედგინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II–ის მიმართვა.

საერთო კრებამ აკადემიის უცხოელ წევრად დაამტკიცა მსოფლიოს მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი, პროფ. ანატოლი კლიოსოვი.

2 ივლისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება. საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა აკადემიის 2013 წლის მუშაობის ანგარიში (მომხს. აკადემიკოს–მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკად. წევრ–კორ. ა. არაბული). კრებამ მოიწონა და ერთხმად დაამტკიცა ანგარიში.

16 ივლისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ღია კრება, რომელიც მიეძღვნა

საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნ-ველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების განხილვას (სრული ანგარიში იხ. გვ. 270). კრების მასალები გამოქვეყნდა ცალკე წიგნად (იხ. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გაერთიანებული ღია კრება. თემა: „საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“. თბილისი, 2014).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო

გაიმართა აკადემიური საბჭოს 17 სხდომა.

აკადემიური საბჭოს სხდომებზე მოსმენილ იქნა შემდეგი სამეცნიერო მოხსენებები:

1. მედიც. მეცნ. დოქტ., პროფ. დუდანა გაჩეჩილაძე – „კისრის მაგისტრალური სისხლძარღვების კვლევის მნიშვნელობა ინსულტის პრევენციაში“ (28 თებერვალი);

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ტექნ. მეცნ. დოქტ. თამაზ სამხარაძე – „კოსმოსური ეკოლოგია“ (30 აპრილი);

3. პროფ. ამირან გამყრელიძე – „ბიოსამედიცინო მეცნიერების როლი ჯანდაცვის სისტემების განვითარებაში“ (21 მაისი);

4. აკად. თამაზ ჭელიძე – „სირთულე – ახალი პარადიგმა მეცნიერებაში“ (18 ივლისი);

5. პროფესორი რევაზ გაგუა – „კიბო, როგორც გლობალური პრობლემა“;

6. პროფესორი რაფაელ სმოჟინსკი – „პოსტკომუნისტური ეკონომიკის ნორმატიული ინფრასტრუქტურის ორაზროვნება, არაფორმალური ეკონომიკის და ბიზნეს–ეთიკის ურთიერთქმედება პოლონეთის შემთხვევაში“.

აკადემიური საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა ქვეყნისათვის აქტუალური საკითხები:

1) „ევროკომისიის ახალი ჩარჩო–პროგრამა – „ჰორიზონტი 2020“ (მომხს. კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, ფიზ.–მათ. მეცნ. დოქტ. გივი ქოჩორაძე);

2) „კვლევა და ინოვაცია ვილნიუსის სამიტის შემდეგ – მინიშნებები საქართველოსთვის“ (მომხს. ასოციაციის – „ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის“ თავმჯდომარე, ფიზ.–მათ. მეცნ. დოქტ. ოლეგ შატბერაშვილი);

3) „გლობალური საქართველო – გადინებული გონების უკან „დაბრუნება“ (მომხს. სტრატეგიული ინიციატივების საგენტოს აღმასრულებელი დირექტორი კობა კიკაბიძე);

4) „საქართველოს მთიანეთის პრობლემები და კანონპროექტი მთის შესახებ“ (მომხს. მცხეთა–მთიანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე კობა არაბული);

5) აკადემიის ვიცე–პრეზიდენტმა, აკად. როინ მეტრეველმა აკადემიურ საბჭოს მოახსენა 2014 წლის 9–11 ივნისს ქ. ასტრახანში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ასტრახანი და ბაგრატიონები: ორი დაკრძალვის ისტორია“ – შესახებ და აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაციის წევრებმა კონფერენციაზე დასვეს ქართველ მეფეთა – ვახტანგ VI–ისა და თეიმურაზ II–ის ნეშტების საქართველოში გადმოსვენების საკითხი. მიუხედავად რუსი კოლეგების გარკვეული წინააღმდეგობისა, მაინც ჩაისახა იმედი ამ მნიშვნელოვანი საკითხის მოსაგვარებლად.

6) ბირთვული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი ევროკავშირის თათბირი (მომხს. აკად. გ. ჯაფარიძე);

7) აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკად. ირაკლი ჟორდანიას ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინის-

ტროს ერთობლივი ღია კრებისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

8) მედიცინის ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების 44–ე მსოფლიო კონგრესის შესახებ (მომხს. პროფ. რამაზ შენგელია).

აკადემიურმა საბჭომ 30 აპრილის სხდომაზე დააწესა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების 2014 წლის მოსაპოვებელი ნომინაციები:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	1. აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია – საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიისა და არქეოლოგიის დარგში (5000 ლარი); 2. იოანე პეტრიწის სახელობის პრემია – ფილოსოფიისა და თეოლოგიის დარგში (3000 ლარი) 3. აკად. ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია – ეკონომიკის დარგში (3000 ლარი);
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	4. აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის პრემია – ძველი ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში (3000 ლარი); 5. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია – კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის დარგში (3000 ლარი);
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	6. აკად. ილია ვეკუას სახელობის პრემია – მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში (3000 ლარი); 7. აკად. ევგენი ხარაძის სახელობის პრემია – ფიზიკის, ასტროფიზიკის დარგში (3000 ლარი);

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	8. აკად. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია – საქართველოს მინერალური ნედლეულის, გეოლოგიისა და ტექნოლოგიის დარგში (3000 ლარი); 9. აკად. იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემია – ფარმაკოქიმიის მეცნიერების დარგში (3000 ლარი);
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	10. აკად. ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის პრემია – ადამიანის ანატომიის, მორფოლოგიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში (3000 ლარი);
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	11. აკად. პეტრე ქომეთიანის სახელობის პრემია – ბიოქიმიის დარგში (3000 ლარი).

აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების შუამდგომლობა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების ნუსხას 2014 წლიდან დაემატა აკად. ივერი ფრანგიშვილის სახელობის პრემია ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დარგში (3000 ლარი).

აკადემიურმა საბჭომ 6 ივნისის სხდომაზე განიხილა 2013 წლის ანგარიში და წარუდგინა აკადემიის საერთო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათთან გაერთიანებული სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრების 2013 წლის სამეცნიერო ანგარიშების საექსპერტო შეფასების შესახებ და დაადგინა საექსპერტო დასკვნები, აკადემიური საბჭოს დადგენილებასთან ერთად, გაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-

მინისტროს, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და სამეცნიერო ანგარიშის წარმომდგენ დაწესებულებებს.

აკადემიურმა საბჭომ განიხილა კანონპროექტი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ და დაადგინა კანონპროექტი განსახილველად წარედგინოს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს.

21 მაისს აკადემიური საბჭოს სხდომა გაიმართა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში. აკად. ფ. თოდუამ აკადემიური საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობის, რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის შექმნისა და დასხივების თანამედროვე აპარატის გამოყენებით სხივური თერაპიული მკურნალობის შესახებ.

აკადემიური საბჭოს სხდომებზე დამტკიცდა:

1) მეცნიერების პროგრამული და საგრანტო მუშაობის საკონსულტაციო ცენტრის დებულება და პერსონალური შემადგენლობა;

2) საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისიის დებულება და პერსონალური შემადგენლობა;

3) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალის – „აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მოამბე“ – რედკოლეგია;

4) ცვლილებები აკადემიის შინაგანაწესში;

5) საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის განახლებული შემადგენლობა;

6) უცხოელი მრჩევლის ინსტიტუტი;

7) აკადემიური საბჭოს წევრთა ფუნქციები;

8) ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს დებულება და პერსონალური შემადგენლობა;

9) საგამომცემლო–სარედაქციო საბჭოს განახლებული დებულება;

10) საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის განახლებული შემადგენლობა;

11) სამეცნიერო ეთიკის საბჭო;

12) მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დებულების შემმუშავებელი კომისია;

13) ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის დებულება და პერსონალური შემადგენლობა;

14) მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის დებულება და პერსონალური შემადგენლობა.

15) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“ – გეგმა და პროგრამა.

აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შუამდგომლობა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად შერჩეულ იქნა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (ვაშინგტონი, აშშ) პროფესორი სტეფანე ფრედერიკ სტარი პოლიტიკური მეცნიერების სპეციალობით. აკადემიის საერთო კრებას ეთხოვა პროფესორ სტეფანე ფრედერიკ სტარის აკადემიის უცხოელ წევრად დამტკიცება;

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების შუამდგომლობა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად შერჩეულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვიქტორ მატვეევი. აკადემიის საერთო კრებას ეთხოვა აკადემიკოს ვიქტორ მატვეევის აკადემიის უცხოელ წევრად დამტკიცება;

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების შუამდგომლობა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად შერჩეულ იქნა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ხორსტ ბაიერი. აკადემიის საერთო კრებას ეთხოვა პროფესორ ხორსტ ბაიერის აკადემიის უცხოელ წევრად დამტკიცება;

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების შუამდგომლობა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად შერჩეულ იქნა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვალერი სკოროხოდი. აკადემიის საერთო კრებას ეთხოვა აკადემიკოს ვალერი სკოროხოდის აკადემიის უცხოელ წევრად დამტკიცება.

აკადემიურმა საბჭომ მოისმინა ინფორმაციები აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ:

– მათემატიკისა და ფიზიკის (აკად. ვახტანგ კოკილაშვილი);

– დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა (აკად. ერეკლე გამყრელიძე);

– გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების (აკად. მინდია სალუქვაძე);

– ბიოლოგიის მეცნიერებათა (აკად. თენგიზ ბერიძე);

– სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა (აკად. ოთარ ნათიშვილი).

მოსმენილ იქნა, აგრეთვე, ინფორმაცია აკადემიის ადმინისტრაციული აპარატის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ (ფ. კალანდარიშვილი).

4 ივლისს ქ. ბათუმში გაიმართა აკადემიური საბჭოს გამსვლელი სხდომა, რომელმაც განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, აკად. წევრ–კორ. ვანო პაპუნიძის მოხსენება რეგიონში არსებული სამეცნიერო–კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაწეული ფართომასშტაბიანი საქმიანობის შედეგების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის 2009–2013 წწ. საორგანიზაციო–სამეცნიერო საქმიანობა შეფასდა დადებითად. ცენტრის ხელმძღვანელად დამტკიცდა აკად. წევრ–კორ. ვანო პაპუნიძე.

7–10 ნოემბერს აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. კვესიტაძე, ვიცე–პრეზიდენტი აკად. რ. მეტრეველი და პრეზიდენტის მოადგილე, პროფ. ი. ბაჩიაშვილი იმყოფებოდნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა აბუსერიძე ტბელის სახ. ხიჭაურის უნივერსიტეტში, სადაც წაიკითხეს საჯარო ლექციები უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

10 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ აღნიშნეს იუნესკოს მიერ დაწესებული მეცნიერების მსოფლიო დღე. დარგში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. აკად. ლევან ალექსიძე (იურიდიულ მეცნიერებათა დარგში);

2. პროფ. ზურაბ გასიტაშვილი (ინფორმატიკის დარგში);

3. ტექნ. მეცნ. დოქტ. ირინა იორდანიშვილი (ჰიდროტექნიკის დარგში);

4. აკადემიური დოქტორი რომან კენკიშვილი (მანქანათმშენებლობის დარგში);

5. აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია (ენათმეცნიერების დარგში);

6. ტექნ. მეცნ. დოქტ. თენგიზ მაგრაქველიძე (ენერგეტიკის დარგში);

7. აკადემიური დოქტორი ქეთევან მახარაძე (ბუნებრივი რესურსების შესწავლის დარგში);

8. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლიანა მელიქიშვილი (ეთნოლოგიის დარგში);

9. აკადემიკოსი ელგუჯა მეძმარიაშვილი (კოსმოსური მექანიკის დარგში);

10. პროფ. ოლეგ ნამიჩეიშვილი (ინფორმატიკის დარგში);

11. აკად. პეტრე ნასყიდაშვილი (გენეტიკა, სელექციის დარგში);

12. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქეთევან ნემსაძე (მედიცინის დარგში);

13. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ სადუნიშვილი (ბიოლოგიის დარგში);

14. ქიმიის მეცნ. დოქტ. სპარტაკ ურუტაძე (ქიმიის დარგში);

15. ქიმიის მეცნ. დოქტ. ეთერ ქაჩიბაია (ელექტროქიმიის დარგში);

16. აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე (ფარმაკოქიმიის დარგში);

17. პროფ. ალექსანდრე შენგელაია (ფიზიკის დარგში);

18. აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე (გეოფიზიკის დარგში);

19. პროფ. ჯუმბერ ხანთაძე (მეტალურგიის დარგში);

20. აკადემიკოსი გიორგი ხარაძე (ფიზიკის დარგში);

21. აკადემიური დოქტორი სერგო ხომერიკი (სამთო მექანიკის დარგში);

22. პროფ. გოჩა ჯაფარიძე (ისტორიის დარგში).

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული წიგნების („გამოჩენილი ინჟინრები და მეცნიერები“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 90 (1922-2012)“, „ჩვენი ფასეულობანი. ქართული ინჟინერიის ოქროს წიგნი“) ავტორები:

1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე;

2. პროფ ზურაბ გასიტაშვილი (ინფორმატიკა);

3. პროფ. დავით გორგიძე (მექანიკა);

4. პროფ. ივანე გორგიძე (ინფორმატიკა);

5. პროფ. შალვა ნაჭყებია (ენერგეტიკა);

6. პროფ. ალექსანდრე ჩხეიძე (ტრანსპორტი);

7. პროფ. გურამ ჯავახაძე (ქიმია);

8. მეცნ. თანამშრ. ალექსანდრე გრიგოლიშვილი (ენერგეტიკა).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგი ფორუმების მუშაობაში:

9-16 თებერვალს იმყოფებოდა შვეიცარიაში, ცერნში, ქართველ ფიზიკოსთა ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევების გასაცნობად;

25-30 მარტს – ქ. პარიზში საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში ურთიერთთანამშრომლობის საკითხების შესათანხმებლად;

1-3 აპრილს – ქ. ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლებთან შესახვედრად და, ასევე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხსენების გასაკეთებლად – „აჭარის რეგიონში დასანერგი ბიოტექნოლოგიის სელექცია“;

6-14 აპრილს – ამერიკის შეერთებულ შტატებში ბერკლის ლაბორატორიის მიწვევით, უკრაინაში არსებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის პროექტის ფარგლებში (STCU P509);

28-31 მაისს – ესპანეთში, ევროკომისიის მე-7 ჩარჩო–პროგრამის პროექტ „ბიოპარტნიორების“ სესიასა და კონსორციუმის მიტინგზე მონაწილეობის მისაღებად. წაიკითხა მოხსენება – „ენოლოგიის სპეციფიკური ასპექტები საქართველოში და ქართული ღვინის ბიოტექნოლოგია“ (მურსია, ესპანეთი);

12-17 ივნისს – ისრაელში, სადაც შეხვდა ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს. გაეცნო აკადემიის სამუშაოებს, განაახლეს ორ აკადემიას შორის არსებული ხელშეკრულება და განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის საკითხები;

3-7 ივლისს – ბათუმში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს გამსვლელ სხდომაზე და სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით;

23 აგვისტოს–2 სექტემბერს – ჩინეთში, ქ. იანტაიში მაღალი და ახალი ტექნოლოგიების სახელმწიფო ცენტრის მიწვევით. ამ მივლინების მიზანს წარმოადგენდა ჩინეთის და საქართველოს კვლევითი ცენტრისა და ერთობლივი ტექნოლოგიების სატრანსფერო ცენტრის გახსნა, რაც გულისხმობს ჩინეთსა და საქართველოში დამუშავებული საინტერესო ტექნოლოგიების სრულყოფას და შემდგომ ჩინეთის და საქართველოს მთავრობისადმი წარდგენას. ასევე ნავარაუდევია ტექნოლოგიების ლიცენზიების გაყიდვა ორივე მხარის სარგებელის მისაღებად;

21-27 სექტემბერს – თურქეთში ნატო-ს მიერ პერსპექტიული სამეცნიერო კვლევების ფარგლებში ორგანიზებულ სემინარზე დასასწრებად ნანოტექნოლოგიაში ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის ხელშეწყობის მიზნით (ქ. ანტალია, თურქეთი);

4-8 ოქტომბერს – უკრაინაში უკრაინის ბიოუსაფრთხოების ერთობლივი ასოციაციის კონფერენციაზე დასასწრებად (ქ. კიევი, უკრაინა);

16-19 ოქტომბერს – იტალიაში მეათე საერთაშორისო ენოლოგიურ კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად (ქ. ბერგამო, იტალია);

6-9 ნოემბერს – აჭარაში წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის ხიჭაურის საპატრიარქო უნივერსიტეტში საჯარო ლექციების ჩასატარებლად;

17-20 დეკემბერს – აზერბაიჯანში ბაქოს უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მიიღო:

საქართველოში ვიზიტით მყოფი ლეო ბოკერია, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი კარდიოქირურგი, საქარ-

თველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (15 იანვარი);

უკრაინაში სამეცნიერო–ტექნოლოგიური ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ვიკ კორსუნი და წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ტექნოლოგიების კომერციალიზაცია“ (16 აპრილი);

თამაზ სამხარაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი და კარიმ ნეჯადი, USID-ს ექსპერტი მეცნიერების საკითხებში (30 აპრილი);

ივო სლავუსი, მეცნიერებისა და ხელოვნების მსოფლიო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი (2 მაისი);

ქ. იანტაის მაღალი და ახალი ტექნოლოგიების სახელმწიფო ცენტრის დელეგაცია (20 მაისი);

ვალტერ კაფენბერგერი, NATO-ს მეცნიერული სექციის სიცოცხლის შემსწავლელი პროგრამების კოორდინატორი (6-9 ივნისი);

რიჩარდ ნორლანდი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში (19 ივნისი);

ESTH-ის წარმომადგენლები რაფი ბალიანი და მისი კოლეგა თიბორ კოვაჩი (24 ივლისი);

ვინფრედ ბლუმი, ვენის ბუნებრივი რესურსებისა და გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი (13 აგვისტო);

ირანის ისლამური რესპუბლიკის მეჯლისის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი (31 ოქტომბერი).

აკად. გ. კვესიტაძე 2014 წელს არჩეულ იქნა მსოფლიოს მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრად.

აკად. გ. კვესიტაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 2014 წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები:

23 იანვარს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის;

7 აპრილს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის;

21 მაისს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ქ. იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრს შორის;

24 ივნისს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საპარტნიორო ფონდს შორის;

4 ივლისს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის;

4 აგვისტოს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და დონის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის.

საანგარიშო პერიოდში აკად. გ. კვესიტაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა:

17 იანვარს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ღია საერთო კრება საკითხზე: „მეცნიერების მართვის პრობლემები“;

7 თებერვალს – შეხვედრა ისრაელის ელჩთან იული ფუქსთან;

16 ივლისს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ღია საერთო კრება საკითხზე: „საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“;

10 ნოემბერს – მეცნიერების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი;

10 დეკემბერს – შეხვედრა მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სამხრეთ კავკასიის განყოფილების რეგიონულ დირექტორთან ჰენრი კერალთან.

აკად. გ. კვესიტაძე განკარგავს აკადემიის ფინანსებს. იგი ხელმძღვანელობს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს, არის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორი.

მონოგრაფია

აკად. წევრ–კორ. თ. სადუნიშვილთან და სხვებთან თანაავტორობით. „^{14}C-შემცველი პოლუტანტების მეტაბოლიზმი მცენარეებსა და მიკროორგანიზმებში“ (თავი მონოგრაფიაში „Dharmendra Kumar Gupta Clemens Walther *Editors*: Radionuclide Contamination and Remediation Through Plants“, 978-3-319-07664-5, 320979, 254-270, Springer, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ორგანული პოლუტანტების მცენარეებსა და მიკროორგანიზმებში მეტაბოლიზმის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ^{14}C-შემცველი ნაერთების გამოყენებით. წარმოდგენილია ალიფატური და მონოარომატული ნახშირწყალბადებისა და მათი ნაწარმების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების, ქლორორგანული დამბინძურებლების და 2,4,6-ტრინიტროტოლუოლის მიკროორგანიზმებში და ნაკლები ხარისხით მცენარეებში ბიოდეგრადაციისა და სრული მინერალიზაციის დამადასტურებელი მონაცემები.

სტატიები

1) აკად. წევრ–კორ. თ. სადუნიშვილთან და სხვებთან თანაავტორობით. „Phytolacca americana l. ნაყოფებიდან მიღებული საკვები წითელი საღებავის ფენოლური ნაერთების შემცველობა, ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული აქტივობები“ (j. „Annals of Agrarian Science“, v. 12, №3, 71–75, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ Phytolacca americana l. ნაყოფებიდან მიღებული საკვები წითელი საღებავი შეიცავს 16% ფენოლურ ნაერთებს და ახასიათებს მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა. პრეპარატს აქვს მაღალი ანტიმიკრობული აქტივობა შემ-

დეგი პათოგენების მიმართ: Staphilococcus aureus, Esherichia coli, Candida utilis и Pseudomonas aeroginasa.

2) აკად. წევრ–კორ. თ. სადუნიშვილთან და სხვებთან თანაავტორობით. „Herpes simplex და Herpes zoster საწინააღმდეგო ახალი ანტივირუსული მცენარეული სამკურნალო საშუალება“ (j. „Annals of Agrarian Science“, v. 12, №3, 15–17, ინგლისურ ენაზე).

საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა სამკურნალო მცენარისა და ნატურალური საშუალებების საფუძველზე დამზადებულია HSV-1, HSV-2 და Varicella zoster ვირუსებით გამოწვეული დაავადებების სამკურნალო საშუალებები და შემუშავებულია მათი მიღების ტექნოლოგიური სქემა.

აკად. გ. კვესიტაძე 2014 წელს მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში:

– The International Scientific Conference on Probiotics and Prebiotics. Antimicrobial Activity of Lactic Acid, ბუდაპეშტი (უნგრეთი);

– „ბიოტექნოლოგიის პოტენციალი საქართველოში“ (კვებისა და ბიოტექნოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი).

იგი მონაწილეობდა 2 საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში:

– „ექსტრემოფილური მიცელალური სოკოების სტაბილური ფერმენტები საწვავის ბიოეთანოლის ბიოტექნოლოგიური წარმოების შექმნისათვის სასოფლო–სამეურნეო და სამრეწველო ლიგნოცელულოზური ნარჩენებისაგან“ (ISTC. G-2117);

– „ახალი თაობის სტაბილური, სამრეწველო მნიშვნელობის ფერმენტების მიღება“ (STCU_SRNSF 5908).

აკად. გ. კვესიტაძე იყო:

– ევროკომისიის პროექტის FP7. BIOPARTNERS ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

– კვებისა და ბიოტექნოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე (თბილისი).

– ბაზალეთში ახალგაზრდა მეცნიერთათვის ჩატარებული საერთაშორისო ზაფხულის სკოლის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

შეხვედრები, იუბილეები, პრეზენტაციები, ჯილდოები, გამოფენები

2014 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების საიუბილეო თარიღები:

ა) აკად. გ. წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავი;

ბ) აღინიშნა მართვის სისტემების ინსტიტუტის დამაარსებლის არჩილ ელიაშვილის 110 წლისთავი.

გ) ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ დავითაშვილის, აკადემიკოსების ანდრია აფაქიძის, ვახტანგ ბერიძის, ვახტანგ გომელაურის, არჩილ ცაგარელის, ნინო ჯავახიშვილის, გიორგი ჭოღოშვილის, აკადემიის წევრ–კორესპონდენტების პარმენ ზაქარაიას, გიორგი ძიძარიასა და ვახტანგ ჯაოშვილის 100 წლისთავი.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში გაიმართა პოეტ–აკადემიკოსის ანა კალანდაძის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

აღინიშნა აკად. თამაზ ჭელიძის დაბადების 80 წლისთავი.

გაიმართა პრეზენტაციები:

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ გამოცემული წიგნისა „100 ღირსსახსოვარი სახელი“;

მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ავტორობით გამოსული წიგნისა „თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიიდან“;

პროფესორ იოსებ ბაჩიაშვილის წიგნისა „ერი და დრო ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო“.

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი გადაეცა აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძეს.

22 ნოემბერს მეცნიერის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნების ერთობლივი გამოფენა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 16 წევრი, მათ შორის 11 აკადემიკოსი და 5 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2014 წელს გამოაქვეყნეს 2 მონოგრაფია და 48 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ნოდარ ბერიკაშვილი

აკად. ნ. ბერიკაშვილი მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით (ხელშეკრულება №31/52, გრანტი RS/37/5-103/12) დაფინანსებულ პროექტში „წინააღმდეგობათა თეორიის საკითხები სერის ფიბრაციებში, იტერირებულ მარყუჟთა სივრცეების მოდელებში და მაღალი რიგის ჰომოტოპიურ ალგებრებში“. აღწერილია მესამე და მეოთხე წინააღმდეგობის კოჯაჭვის აგების ალგორითმი.

აკადემიკოსი რევაზ გამყრელიძე

სტატია

1) „მაქსიმუმის პრინციპის დიფერენციალურ-გეომეტრიული და ინვარიანტული თვისებები“ (Geometric Control Theory and Sub-Riemannian Geometry, გამომცემლობა Springer INdAM Series, 5, 167–175, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ინვარიანტული ფორმულირება. დამტკიცებულია, რომ პონტრიაგინის P_X წარმოებული $X \in \mathrm{Vect}M$ ვექტორული ველის გასწვრივ ემთხვევა ad_X-ოპერატორის ლის ფრჩხილს და ნაკადი, რომელიც

წარმოიქმნება P_X ვექტორული ველით T*M კომხებ ფიბრაციაზე, ფიბრაციის ინვარიანტია.

აკად. რ. გამყრელიძე არის რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ) რეფერატული ჟურნალის „მათემატიკის“ ტომის მთავარი რედაქტორი, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული ჟურნალის „თანამედროვე მათემატიკა და მისი გამოყენებები“ (გამოდის ინგლისურ ენაზე გამომცემლობა Springer-ში) მთავარი რედაქტორი და აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე

სტატია

„ჰემირგოლების რადიკალური კლასების შესახებ“ (თანაავტორობით; Tbilisi Mathematical Journal, 7 (1), 2014, 69-74, DOI 10.2478/tmj-2014-0007, გამომცემლობა De Gruyter Open, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ჰემირგოლების ქვედა რადიკალური კლასები და მემკვიდრეობითი რადიკალური კლასები. მიღებულია აუცილებელი და საკმარისი პირობა, რომლის დროსაც ჰემირგოლის ქვედა რადიკალური კლასი ხდება მემკვიდრეობითი. ნაჩვენებია, რომ ბრაუნ-მაკკოუს რადიკალური კლასი და ჯეკობსონის ტიპის რადიკალური კლასი არიან მემკვიდრეობითი.

გრძელდებოდა ჯგუფების ტეიტისა და ფარელის კოჰომოლოგიების კვლევა ეკვივალენტური მიდგომით. დადგენილია საკმარისი პირობები, რომლის დროსაც ხერხდება ეკვივალენტური ტეიტის და ფარელის კოჰომოლოგიების აგება და კავშირი ავტორის მიერ ადრე აგებული ჯგუფების ეკვივალენტურ (კო)ჰომოლოგიასთან.

აკად. ხ. ინასარიძე არის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი ორი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალისა: „Journal of Homotopy and Related Structures” და „Tbilisi Mathemati-

cal Journal", რომელთაგან პირველი ქვეყნდება გამომცემლობა Springer-ში და მინიჭებული აქვს იმპაქტ-ფაქტორი, ხოლო მეორე იბეჭდება De Gruyter-ის მიერ.

აკად. ხ. ინასარიძე არის საქართველოს არასამთავრობო აკადემიური ორგანიზაციის – „თბილისის მათემატიკური მეცნიერებების ცენტრის" ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი ივანე კიღურაძე

სტატიები

1) „არაწრფივი სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების აპრიორული შეფასებები ფაზური ცვლადის მიმართ სინგულარული მეორე რიგის დიფერენციალური უტოლობებისათვის" (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, გამომცემლობა Walter De Gruyter, ტ. 21, №2, 211-224, ინგლისურ ენაზე).

მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური უტოლობებისათვის სინგულარობებით ფაზური და დროითი ცვლადების მიმართ მიღებულია არაწრფივ, არალოკალურ ამოცანათა ამონახსნების აპრიორული შეფასებები.

2) „არაწრფივი არალოკალური ამოცანები ფაზური ცვლადის მიმართ სინგულარული მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებებისათვის" (Дифференциальные уравнения, 50 (2014), №8, 1025-1041; translation in Differ. Equ. 50 (2014), №8, 1018-1034), გამოიცემა რუსულ (Наука/Интерпериодика) და ინგლისურ (Springer) ენებზე).

ფაზური და დროითი ცვლადების მიმართ სინგულარული მეორე რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია არაწრფივ არალოკალურ სასაზღვრო ამოცანათა დადებითი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.

3) „პირველი რიგის სინგულარული ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების პერიოდულის ტიპის სასაზღვრო ამოცანების დადებითი ამონახსნები" (თანაავტორობით;

საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, გამომცემლობა Walter De Gruyter, ტ. 21, №3, 303-311, ინგლისურ ენაზე).

პირველი რიგის სინგულარული ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია პერიოდულის ტიპის სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.

4) „არაწრფივ სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნების აპრიორული შეფასებები ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მაღალი რიგის დიფერენციალური უტოლობებისა და დიფერენციალურ უტოლობათა სისტემებისათვის“ (მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში, 63 (2014), 105-121, ინგლისურ ენაზე).

ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მაღალი რიგის არაწრფივი დიფერენციალური უტოლობებისა და უტოლობათა სისტემებისათვის დადგენილია არაწრფივ სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნების აპრიორული შეფასებები.

აკად. ი. კიღურაძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში და გამოვიდა მოხსენებებით:

– ჩეხეთ-საქართველოს ვორკშოპი სასაზღვრო ამოცანებში (ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა), სადაც წარადგინა 2 მოხსენება:

1) „არაწრფივი არალოკალური სასაზღვრო ამოცანები ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებებისათვის“;

2) „ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის კოშის პრობლემის მონოტონური ამონახსნები“;

– „ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული დიფერენციალური სისტემების დადებითი პერიოდული ამონახსნები“ (საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში (QUALITDE-2014), თბილისი).

აკად. ი. კიღურაძე ხელმძღვანელობდა საგრანტო პროექტს:

– „არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები და მათი გამოყენებები დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით, №FR/317/5-101/12, №31/07).

აკად. ი. კიღურაძე, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, თანამშრომლობდა უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებთან: „Boundary Value Problems”; „Electronic Journal of Qualitative Theory of Differential Equations”; „Nonlinear Oscillations”; „Fasciculi Mathematici”; „Functional Differential Equations”; „Journal of Applied Mathematics, Statistics and Informatics”, როგორც რეცენზენტი – ჟურნალებთან: „Дифференциальные уравнения”, „Nonlinear Analysis”.

აკად. ი. კიღურაძე იყო დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2014 საპროგრამო კომიტეტის თავმჯდომარე. ვორკშოპი ჩატარდა თბილისში და მიეძღვნა პროფ. ანდრია რაზმაძის დაბადებიდან 125 წლისთავს.

აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი

სტატიები

1) „მაქსიმალური და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორები გრანდ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 21, №4, 447-461, გამომცემლობა Walter De Gruyter, ინგლისურ ენაზე).

შემოღებულია ბანახის ახალი არასტანდარტული ფუნქციური სივრცეები, რომლებიც განაზოგადებენ და აერთიანებენ გრანდ ლებეგისა და ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებს. აღნიშნული სივრცეები არასეპარაბელური, არარეფლექსური და გადანაცვლებების მიმართ არაინვარიანტულია. დამტკიცებულია ზომიან მეტრიკულ სივრცეებზე განსაზღვრული ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციებით და სინგულა-

რული ინტეგრალებით გაჩენილი ოპერატორების შემოსაზღვრულობა. ამავე დროს დადგენილია სობოლევის ტიპის თეორემა ზომიან მეტრიკულ სივრცეებზე განსაზღვრული წილადური ინტეგრალებისათვის. აღწერილია უსასრულოდ დიფერენცირებადი ფუნქციების (შემოღებული სივრცის ნორმით) ჩაკეტვით მიღებული ქვესივრცეები.

2) „შეფასებები VMO კოეფიციენტებიანი არადივერგენციული ელიფსური განტოლებებისათვის განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში“ (თანაავტორობით; Complex Variables and Elliptic Equations, 59(2014), №8, 1169-1184, გამომცემლობა Taylor & Frances, ინგლისურ ენაზე).

განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში დადგენილია ფართო კლასის ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნების რეგულარობა სინგულარული ინტეგრალებისა და წრფივი კომუტატორების თეორიის თვალსაზრისით. პრობლემა გამოკვლეულია უსასრულოდ დიფერენცირებად ფუნქციათა განზოგადებული მორის სივრცეების ნორმით გასრულების ჩარჩოებში.

3) „მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის შესახებ” (თანაავტორობით; Nonlinear Analysis 94(2014), 142-147, გამომცემლობა Elsevier, ინგლისურ ენაზე).

წონით ფუნქციაზე დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობა, რომელიც განაპირობებს მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობას ლებეგის სივრციდან ლებეგის წონიან სივრცეში განსხვავებული მაჩვენებლით. აღნიშნული კრიტერიუმი ადამსის ტიპისაა და სხვა ავტორებისაგან განსხვავებით არ მოითხოვს რაიმე დამატებით პირობას წონითი ფუნქციისათვის.

4) „ერთწონიანი სუსტი ტიპის შეფასებები წილადური და სინგულარული ინტეგრალებისათვის“ (თანაავტორობით; Function Spaces X. Banach Center Publications, 102(2014), 131-142.

გამომცემლობა Institute of Mathematics Polish Academy of Sciences, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია სუსტი ტიპის უტოლობები მაქსიმალური, წილადური და სინგულარული ინტეგრალური გარდაქმნებისთვის გრანდ ლებეგის სივრცეებში. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ერთწონიანი სუსტი ტიპის უტოლობების მართებულობისათვის აუცილებელი და საკმარისია, რომ წონითი ფუნქცია ეკუთვნოდეს მაკენჰაუპტის სათანადო კლასს. ანალოგიური პრობლემა ამოხსნილია ძლიერი მაქსიმალური ფუნქციებისათვის, პოტენციალებისა და სინგულარული ინტეგრალებისათვის ნამრავლიანი გულებით.

5) „გრანდ ბოხნერ-ლებეგის სივრცე და მისი ასოცირებული სივრცე“ (თანაავტორობით; Journal of Functional Analysis, 266(2014), 2125-2136, გამომცემლობა Elsevier, ინგლისურ ენაზე).

შემოღებულია ახალი ფუნქციური სივრცე – გრანდ ბოხნერ-ლებეგის სივრცე და დადგენილია მისი მთელი რიგი თვისებები. გამოკვლეულია გრანდ-ბოხნერის ასოცირებული სივრცეები. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ კონსტრუქციას აქვს იდეური კავშირი ტ. ივანიეცისა და კ. სბორდონეს მიერ შემოღებულ ახალ ფუნქციურ სივრცეებთან.

6) „ორწონიანი ნორმების შეფასებები ნახევრადწრფივი ინტეგრალური ოპერატორებისათვის ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (თანაავტორობით; Studia Sci. Math. Hungar. 51(2014), №3, 384-405, გამომცემლობა Akademia Kiado, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია ორწონიანი უტოლობები ნახევრადწრფივი ინტეგრალური ოპერატორებისათვის ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში. ეს ოპერატორები მოიცავს ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალურ, კალდერონ-ზიგმუნდის სინგულარულ და პოტენციალის ოპერატორებს. შესაბამისი ინტეგრალური გარდაქმნები და ფუნქციური სივრცეები განსაზღვრულია კვაზი-მეტრიკულ ზომიან სივრცეებზე გაორმაგების პირობით. წონათა წყვილზე პირობები ჩაწერილია სივრცის ნორმებით

(და არა მოდულარებით). დადგენილი პირობები რადიალური წონების შემთხვევაში წარმოადგენენ ზემოთ აღნიშნული ოპერატორების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმებს ერთი წონიანი სივრციდან მეორეში.

7) „დირიხლესა და რიმან-ჰილბერტის პრობლემები ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასებში ორადბმულ არეებში“ (თანაავტორობით; Journal of Math. Sci. 198(2014), №6, 735-746, გამომცემლობა Springer, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია დირიხლესა და რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანები როგორც ცალადბმულ, ასევე ორადბმულ არეებში არაგლუვი საზღვრებით. გამოკვლეულია საზღვრის გეომეტრიის გავლენა ამოხსნადობის პირობებზე.

8) „დაზუსტებული წონიანი შეფასებები ცალმხრივი ოპერატორების ნორმებისათვის“ (თანაავტორობით; ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 164, 121-129, ინგლისურ ენაზე).

ცალმხრივი მაქსიმალური და წილადური ინტეგრალური ოპერატორების წონიანი ნორმებისათვის მიღებულია დაზუსტებული შეფასებები. დადგენილია ბაკლის ტიპის თეორემები ძლიერი მაქსიმალური ფუნქციების, პოტენციალებისა და სინგულარული ინტეგრალებისათვის ნამრავლიანი გულებით.

9) „ტრიგონომეტრიული პოლინომებისათვის ზოგიერთი ფუნდამენტური უტოლობა და გრანდ ბესოვის სივრცეების ჩართვები“ (თანაავტორობით; ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 164, 105-116, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია ბერნშტეინ-ზიგმუნდისა და ნიკოლსკის ტიპის უტოლობები ტრიგონომეტრიული პოლინომებისათვის გრანდ ლებეგის სივრცეებში. შემოღებულია გრანდ ბესოვის სივრცეები და ზემოხსენებულ უტოლობებზე დაყრდნობით დამტკიცებულია ჩართვის თეორემები განსხვავებული მეტრიკებისა და განზომილებებისათვის.

10) „პერიოდული ფუნქციების აპროქსიმაცია ცვლადმაჩვენებლიან გრანდ ლებეგის სივრცეებში“ (თანაავტორობით;

ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 164, 100-103, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის შებრუნებული უტოლობები, რომლებიც იძლევიან განზოგადებული სიგლუვის მოდულის შეფასებას ტრიგონომეტრიული პოლინომებით საუკეთესო მიახლოების საშუალებით ცვლადმაჩვენებლიან გრანდ ლებეგის იმ ქვესივრცეში, რომელიც წარმოადგენს გლუვი ფუნქციების სიმრავლის ჩაკეტვას ზემოხსენებული სივრცის ნორმით.

აკად. ვ. კოკილაშვილმა მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში:

– მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი (სეული, კორეა), სადაც წარადგინა ორი მოხსენება:

1) „რიმან-ჰილბერტის პრობლემა არეებში არაგლუვი საზღვრებით“ (თანაავტორობით);

2) „აპროქსიმაციის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“ (თანამომხსენებელი).

– „შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები ჰარმონიული ანალიზის ძირითადი ინტეგრალური ოპერატორებისათვის წონიან ივანიეც-სბორდონეს სივრცეებში“ (კავკასიის მათემატიკოსთა I კონფერენცია, თბილისი).

– „ზოგიერთი ფუნდამენტური უტოლობის შესახებ ახალ ფუნქციურ სივრცეებში“ (საერთაშორისო კონფერენცია – „ჰარმონიული ანალიზისა და ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების ახალი ასპექტები“, თბილისი).

აკად. ვ. კოკილაშვილმა მეცნ. დოქტ. ა. მესხთან და უცხოელ (ლისაბონის სამეცნიერო კვლევათა ცენტრის თანამშრომლები) კოლეგებთან ერთად დაასრულა ერთობლივი ორტომიანი მონოგრაფია (1000 გვერდის მოცულობით). მონოგრაფია დასაბეჭდად მიღებულია Birkhäuser–ის გამომცემლობაში. ამავე ცენტრთან თანამშრომლობის შედეგად გამოქვეყნებულია ორი ერთობლივი სტატია.

გრძელდებოდა თანამშრომლობა პოზნანის უნივერსიტეტის პროფესორ მ. მასტილოსთან. მასთან ერთად საანგარიშო წელს გამოქვეყნდა ერთი ერთობლივი ნაშრომი, გამოსაქვეყნებლად წარდგენილია სამი ნაშრომი.

აკად. ვ. კოკილაშვილი 7-16 ოქტომბერს მიწვეული იყო ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტში (ქ. პოზნანი, პოლონეთი) მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისათვის. ფაკულტეტის გაერთიანებულ სემინარზე მან გააკეთა მოხსენება თემაზე – „აპროქსიმაციის საკითხები ბანახის არასტანდარტულ სივრცეებში“.

აკად. ვ. კოკილაშვილი მონაწილეობდა შემდეგი გრანტების შესრულებაში:

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული, უცხოელ თანამემამულეებთან ერთობლივი საგრანტო პროექტი (2012-2015 წწ.). ხელშეკრულება №D/13-23 (თანახელმძღვანელი).

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი (2013-2016 წწ.) (ხელშეკრულება №13-47).

– მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის (სეული) სამოგზაურო გრანტი.

აკად. ვ. კოკილაშვილი ხელმძღვანელობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებაზე დოქტორანტ ნ. დანელიას.

აკად. ვ. კოკილაშვილი არის სამეცნიერო ჟურნალის Proc. A. Razmadze Mathematical Inst. (თსუ) მთავარი რედაქტორი და შემდეგი სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო რედკოლეგიის წევრი: Georgian Mathematical Journal. Walter De Gruyter & Co, Germany; Function Spaces and Applications. Hindawi Publ. (შვედეთი-ინდოეთი); International Journal of Mathematics, Game Theory and Algebra. Nova Science Publishers, Inc. New York; Armenian Journal of Mathematics; Euroasian Mathematical Journal.

UK – Kazakhstan; Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.

აკად. ვ. კოკილაშვილი 2014 წლის მარტში აირჩიეს აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. იგი განაგრძობდა განყოფილებასთან არსებული მათემატიკის დარგობრივი კომისიის ხელმძღვანელობას და ჩაატარა შესაბამისი სამუშაო.

აკადემიკოსი გიორგი ჩაგელიშვილი

სტატიები

1) „სპინისეული მიმართულების არეკვლითი სიმეტრიის დარღვევა და ტურბულენტობის კონტროლი ბრტყელ კუეტეს დინებაში“ (თანაავტორობით; J. Fluid Mechanics, 745, 300-320, ინგლისურ ენაზე, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

შემოთავაზებულია ტურბულენტობის კონტროლის ახალი სტრატეგია და ნაჩვენებია მისი ეფექტურობა ბრტყელი კუეტეს დინების კედლების მახლობლობაში განთავსებული მცირე გარეშე მოცულობითი ძალის პირობებში. პირდაპირმა რიცხვითმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ დინებაში ამ ძალით ინიცირებული შეშფოთებების მიერ ხდება ტურბულენტობის სპინისეული მიმართულებით სარკული სიმეტრიის დარღვევა, ამით განპირობებული არაწრფივი დინამიკის ცვლილება და, შედეგად, ტურბულენტობის სიმძლავრის შესუსტება, ანუ მისი კონტროლი. მონახულია გარეშე ძალის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ტურბულენტობის სიძლიერეს. ტურბულენტობის კონტროლის ეს სტრატეგია მიესადაგება სხვა წანაცვლებით დინებებსაც.

გამოქვეყნდა წინა წელს გადაცემული ორი სტატია (ანოტაციები შესულია 2013 წლის ანგარიშში):

2) **ჯ. ლომინაძესთან თანაავტორობით.** „ალფვენის ტალღების ზეარეკვლა მაგნიტოჰიდროდინამიკურ წანაცვ-

ლებით დინებებში“ (J. Plasma Physics, 80, 667-685, ინგლისურ ენაზე, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

3) „ბაიფას გადასვლა ტურბულენტობაში ორგანზომილებიან მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებში“ (თანაავტორობით; Phys. Rev. E., ამერიკის ფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, 89, 043101-043101-17, ინგლისურ ენაზე).

დასაბეჭდად მიღებულია სტატია „როსბის ტალღების დინამიკა და ბლოკირება კვაზიორგანზომილებიან წანაცვლებით დინებებში“ (Письма в ЖЭТФ, 2015, 101, вып. 2; 6 გვ.).

აკად. გ. ჩაგელიშვილმა მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და გააკეთა მოხსენებები:

– „განივი კასკადი – წანაცვლებითი დინებების ტურბულენტობის გადამწყვეტი ფაქტორი“ (ევრომექანიკის საზოგადოების (EUROMECH) კოლოკვიუმი, 561 „განზომილებების საკითხი ტურბულენტობაში“, კოვენტრის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო);

– „სუბკრიტიკული ტურბულენტობა ორგანზომილებიან მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებში – თვითშენარჩუნება წრფივი ტრანზიენტული ზრდისა და არაწრფივი კასკადის ურთიერთმოქმედებით“ (ევრომექანიკის საზოგადოების (EUROMECH) კოლოკვიუმი, 565 „ქვეკრიტიკული გადასვლა ტურბულენტობაში“, კორსიკა, საფრანგეთი).

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე

სტატიები

1) „ელექტრომაგნიტური ტალღის არამდგრადობა რელატივისტურ ელექტრონულ-იონურ პლაზმაში“ (თანაავტორობით; Astrophysics & Space Science (2014) 353, გამომცემლობა Springer, 485-491, ინგლისურ ენაზე).

ანიზოტროპიული პლაზმური განაწილების ფუნქციის გამოყენებით შესწავლილია წრიულად პოლარიზებული ელექ-

ტრომაგნიტური ტალღები რელატივისტურად ცხელ ელექ-ტრონულ-პოზიტრონულ-იონურ პლაზმაში. თავიდან, წრფივი დისპერსიული თანაფარდობა განივი ტალღებისთვის გაანალი-ზებულია სხვადასხვა სიხშირისათვის. მიღებულია გამოსახუ-ლებები აპერიოდული ჰიდროდინამიკური არამდგრადობისთ-ვის და რიცხვითად ნაჩვენებია, რომ განივი ტალღები იზრდება ექსპონენციალურად. ნაჩვენებია, რომ განივი ელექტრომაგნი-ტური ტალღები ურთიერთქმედებენ დაუჯახებელ ანიზოტრო-პიულ ელექტრონულ-პოზიტრონულ-იონურ პლაზმასთან და განიცდიან ჩახშობას არაწრფივი ლანდაუს ჩახშობის გამო. ამ ეფექტის გათვალისწინებით, გამოყვანილია კინეტიკური შრე-დინგერის არაწრფივი განტოლება და გამოთვლილია ჩახშობის ტემპი. ეს შედეგები გვეხმარება გავიგოთ ძლიერი ელექტრო-მაგნიტური ტალღების თვისებები ცხელ ელექტრონულ-იო-ნურ-პოზიტრონულ რელატივისტურ ასტროფიზიკურ პლაზ-მაში, რომელიც გვხვდება პულსარებში, შავ ხვრელებში და ნეიტრონულ ვარსკვლავებში.

2) „ელექტრომაგნიტური იონური ციკლოტრონული არა-წრფივი სოლიტონური სტრუქტურები მაგნიტოსფეროში“ (თა-ნაავტორობით; Journal of Physics: Conference Series), გამომცემ-ლობა Institute of Physics (IoP), 511, 012049, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია იონურ-ციკლოტრონული ტალღების პლა-ზმის ნაწილაკებთან არაწრფივი ურთიერთქმედება შიდა მაგ-ნეტოსფეროში. გამოსხივება წარმოადგენს წრიულად პოლარი-ზებულ ელქტრომაგნიტურ ტალღებს, რომლებიც ვრცელდება მუდმივი დიპოლური მომენტის მქონე გეომაგნიტურ ველში შიდა მაგნეტოსფეროს ეკვატორულ რეგიონში. გამოკვლეულია იონურ-ციკლოტრონული პონდერომოტორული ძალის გავლე-ნით მაგნეტობგერითი ტალღების აგზნება იონურ-ციკლოტრო-ნული ტალღების ამპლიტუდური მოდულაციის საშუალებით. იონურ-ციკლოტრონული ტალღებისთვის გამოყვანილია ორ-განზომილებიანი შრედინგერის არაწრფივი განტოლება და მისთვის ნაპოვნია ორი სტაციონარული ამონახსნი და ამასთან

დაკავშირებით განხილულია გრიგალების და კვაზისტატიკური მაგნიტური ველების წარმოქმნა.

3) „ფერმის კვანტური პლაზმის გაციება“ (თანაავტორობით; The Europian Physics Journal D (2014), გამომცემლობა Springer, 68, 117-123, ინგლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია ფერმის ელექტრონული გაზის ულტრადაბალ ტემპერატურებზე გაციების ახალი ადიაბატური დამაგნიტების მეთოდი როგორც ალტერნატივა ცნობილი ადიაბატური დემაგნეტიზაციის მეთოდისა. ახალი ადიაბატის განტოლებიდან ნაჩვენებია, რომ მუდმივი სიმკვრივის პირობებში მაგნიტური ველის ზრდა იწვევს ტემპერატურის კლებას $T \sim 1/H^2$ კანონით.

4) „ჩვეულებრივი და ვისტლერის მოდების არამდგრადობა გადაგვარებულ ანიზოტროპიულ პლაზმაში“ (თანაავტორობით; Physics of Plasmas, 2014, 21, 032128, ამერიკის ფიზიკის ინსტიტუტის გამომცემლობა AIP, ინგლისურ ენაზე).

ვლასოვ-მაქსველის განტოლებათა სისტემის საშუალებით გამოკვლეულია ჩვეულებრივი და „ვისტლერ“ მოდების არამდგრადობა გადაგვარებულ ანიზოტროპიულ მაგნიტურ პლაზმაში და შედეგები შედარებულია კლასიკური პლაზმისთვის მიღებულ ცნობილ ანალოგიურ შედეგებთან. ორდინალური მოდებისთვის ნაჩვენებია, რომ ადგილი აქვს ახალი ზოლოვანი ტიპის არამდგრადობას, რომელიც იზრდება გარე მაგნიტური ველისა და ტემპერატურის ანიზოტროპიულობის გარკვეული მნიშვნელობებისთვის. ვისტლერ მოდისთვის გაჯერების მექანიზმი ისეთივეა, როგორც კლასიკურ პლაზმაში. ორივე ტიპის არამდგრადობას ადგილი აქვს ტალღური რიცხვის გარკვეული ინტერვალისთვის. განხილულია ასეთი არამდგრადობების აგზნების შესაძლებლობა მყარი სხეულის პლაზმაში.

აკადემიკოსი გიორგი ხარაძე

ბოლო დროს ყურადღების ცენტრშია მოუწესრიგებელ გარემოში (აეროგელში) მოთავსებული ზედენადი ^{3}He-ის თვისებების ექსპერიმენტული და თეორიული კვლევა. ჯერჯერობით ვერ ხერხდება არსებული თეორიული წარმოდგენებისა და ექსპერიმენტული მონაცემების შეთანხმება. ამ საკითხს მიეძღვნა აკად. გ. ხარაძისა და მეცნ. დოქტ. გ. ბარამიძის 2013 წლის პუბლიკაცია, რომელშიც მითითებულია ახალი ტიპის „ნემატიკური“ სტრუქტურის მქონე აეროგელის გარემოში მყოფი ^{3}He-A ფაზის შესწავლის მნიშვნელობაზე. 2014 წელს გამოქვეყნდა ახალი ექსპერიმენტული მონაცემები „ნემატიკური“ სტრუქტურის მქონე აეროგელის გარემოში მყოფი ^{3}He-A-ს თვისებების შესახებ, რომელთა ინტერპრეტაცია ქართველი ფიზიკოსების მიერ შეთავაზებულ მეთოდზეა დაფუძნებული. ამჟამად მზადდება პუბლიკაცია ახალი მონაცემების შესაბამისად.

საანგარიშო წელს გ. ხარაძე განაგრძობდა თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრის მოვალეობების შესრულებას.

აკადემიკოსი გიორგი ჯანელიძე

სტატიები

1) „შეწონილი კომუტატორები ნახევრადაბელურ კატეგორიებში” (თანაავტორობით; Journal of Algebra 397, 2014, 643-665, გამომცემლობა Elsevier, ინგლისურ ენაზე).

განმარტებული და შესწავლილია ე. წ. შეწონილი კომუტატორები. ნულოვანი და მაქსიმალური წონის შემთხვევაში შეწონილი კომუტატორი ემთხვევა Huq-ის და Smith–Pedicchio-ს კომუტატორს შესაბამისად; ამგვარად მიღებულია კომუტატორთა ამ ორი ცნობილი თეორიის საერთო განზოგადება.

2) „კლასიკური ალგებრის მონადები იშვიათად არიან სუსტად დეკარტული” (თანაავტორობით; Journal of Homotopy and Related Structures, 9, 1, 2014, 175-197, გამომცემლობა Springer, ინგლისურ ენაზე).

არის თუ არა ალგებრათა მოცემული მრავალნაირობის შესაბამისი მონადა სუსტად დეკარტული? განხილულია მრავალი მაგალითი, სადაც ამ კითხვაზე პასუხი მიიღება მარტივად, და უმეტეს შემთხვევაში ეს პასუხი უარყოფითია. გამონაკლისს წარმოადგენს ნახევარმოდულთა მრავალნაირობები, რომლებისათვის მიღებულია სუსტად დეკარტულობის არატრივიალური აუცილებელი და საკმარისი პირობა.

3) „რას წარმოადგენენ Priestley-ს სივრცეების ეფექტური დაწევის მორფიზმები” (თანაავტორობით; Topology and its Applications 168, 2014, 135-143, გამომცემლობა Elsevier, ინგლისურ ენაზე).

დეტალურად ჩამოყალიბებულია სათაურის კითხვა და მასთან დაკავშირებული პრობლემები. სრული პასუხი მიღებულია მხოლოდ სასრული კოარეების (ანასახების) შემთხვევაში.

აკად. გ. ჯანელიძე მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში და გააკეთა მოხსენებები:

– „2-განზომილებიანი არაგამოყოფილ-წერტილიანი სიზუსტის სტრუქტურები და რადიკალები კატეგორიებში” (კატეგორიული მეთოდები ალგებრაში და ტოპოლოგიაში, კოიმბრა, პორტუგალია);

– „არაგამოყოფილ-წერტილიანი სიზუსტე და რადიკალებისა და კომუტატორების თეორიებისადმი 2-განზომილებიანი „მიდგომა” (კატეგორიათა თეორია – 2014, კემბრიჯი, ინგლისი);

– „შინაგანი შესუსტებული ალგებრები” (თანამედროვე ტოპოლოგიის ასპექტები V, ბრიუსელი, ბელგია);

– „ობიექტების შინაგანი მოქმედებები, ჯვარედინა მოდულები და ჯვარედინა კვადრატები” (სამხრეთ აფრიკის მათემა-

ტიკური საზოგადოების კონგრესი – 2014, იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

აკად. გ. ჯანელიძე მონაწილეობდა შემდეგი ოთხი გრანტის შესრულებაში:

– სამხრეთ აფრიკის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი A რეიტინგის მქონე მკვლევართათვის;

– სამხრეთ აფრიკის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი CPR20110721000021662;

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი DI/25/5-113/11;

– კეიპტაუნის უნივერსიტეტის ბლოკ-გრანტი.

აკად. გ. ჯანელიძემ მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების სემინარზე. მოხსენების თემა – „მათემატიკური გენეალოგია და უცხოეთთან სამეცნიერო ურთიერთობების შესახებ“.

აკადემიკოსი გიორგი ჯაფარიძე

სტატიები

1) „კორელირებულ გადახტომათა მოდელების კვანტური სიმულაცია ოპტიკურ მესერში ჩაჭერილი ფერმიონების გამოყენებით” (თანაავტორობით; Phys. Rev. A 89, 013624, ამერიკის ფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, ინგლისურ ენაზე).

2) „ოპტიკური მესერის რხევით განპირობებული გამტარი–იზოლატორი გადასვლა ერთგანზომილებიანი დიმერიზებული ოპტიკური პოტენციალის მიერ ჩაჭერილი ზეცივი ფერმიონების სისტემაში“ (თანაავტორობით; Phys. Rev. A 90, 23634, ამერიკის ფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, ინგლისურ ენაზე).

1) და 2) სტატიაში შესწავლილია ოპტიკურ მესერში ჩაჭერილი ფერმიონული ატომების ერთგანზომილებიანი სისტემის დინამიკა ჩამჭერი პოტენციალის რხევის შემთხვევაში. განხი-

ლულია ჩამჭერი პოტენციალით შექმნილი სივრცული მესერის რამდენიმე შემთხვევა. ნაჩვენებია, რომ მარტივი მესერის შემთხვევაში ატომთა სისტემაზე დამატებით, სპეციალურად შერჩეული სიხშირით მოდულირებული მაგნიტური ველის ზემოქმედების შედეგად, სისტემის დინამიკა აღიწერება ე.წ. კორელირებული გადახტომების მოდელით. ანალიზური და რიცხვითი (კვანტური მონტე–კარლოს) მეთოდის გამოყენებით შესწავლილია სისტემის ფაზური დიაგრამა მოდელური პარამეტრების ცვლილების ფართო არეში. ნაჩვენებია როგორც უჩვეულო, ე.წ. η-ზეგამტარი ფაზის, ასევე მუხტისა და სპინის არათანაზომადი მოდულაციის დახასიათებული უჩვეულო გამტარი ფაზის არსებობა.

განხილულია, აგრეთვე, სისტემის ფაზური დიაგრამა დიმერიზებული მესერის შემთხვევაში, ულტრაცივი ფერმიონული ატომების შევსების თანაზომადი (ერთი ატომი ელემენტარულ უჯრედზე) შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ სისტემის დინამიკა აღიწერება ეფექტური t-t'-პაიერლს–ჰაბარდის მოდელით, სადაც ატომების მესერის უახლოეს კვანძებს შორის გადახტომის ამპლიტუდა t და ერთის შემდგომ კვანძზე გადახტომის ამპლიტუდა t' განისაზღვრება ჩამჭერი პოტენციალის რხევის ამპლიტუდითა და სიხშირით. ნაჩვენებია, რომ, ძირითადად, ატომური სისტემა არის იზოლატორულ მდგომარეობაში და მხოლოდ სიხშირეთა რამდენიმე ვიწრო არეში იზოლატორული ფაზა არამდგრადია და სისტემა გადადის გამტარულ მდგომარეობაში.

3) „სინთეტური ჰელიკური სითხის ფაზა კვანტურ მავთულში" (თანაავტორობით; Phys. Rev. B 89, 201403 (2014), ამერიკის ფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, ArXiv/1311.4716, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ძლიერი ელექტრონ–ელექტრონული განზიდვის პირობებში, სპინ–ორბიტული ურთიერთქმედების დრესელჰაუზისეული და სივრცულად მოდულირებული რაშბასეული წევრების კომბინაცია შესაძლებელს ქმნის, ელექტრო-

ნული სიმკვრივის ან მოდულაციის ტალღის სიგრძის სათანადო შერჩევისას კვანტურ მავთულში განხორციელდეს ე. წ. ჰელიკური კვანტური სითხის ფაზა.

4) „ორგანზომილებიანი მესერული ელექტრონული სისტემის კიდურა მდგომარეობები და ჩებიშევის პოლინომები" (თანაავტორობით; Jour. of Phys. Soc. Japan 83, 044706, იაპონიის ფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, ინგლისურ ენაზე).

მჭიდროდ ბმული ფერმიონების მოდელის ფარგლებში შესწავლილია ორგანზომილებიანი ზოლოვანი სტრუქტურების სპექტრალური თვისებები ფერმიონული გადახტომების ანიზოტროპიის შემთხვევაში. სამკუთხა, ოთხკუთხა და ექვსკუთხა მესერის მქონე ზოლოვან სტრუქტურაზე განმარტებული თავისუფალი ფერმიონისთვის მიღებულია სპექტრის ზუსტი ანალიზური გამოსახულება ჩებიშევის პოლინომების ტერმინებში.

აკად. გ. ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და გააკეთა მოხსენებები:

– „ჰელიკური სითხის ფაზა დაბალგანზომილებიან ელექტრონულ სისტემებში" („ქართულ–გერმანული სამეცნიერო ხიდი", თბილისი);

– „მაგნიტური ველის საშუალებით მართვადი გამტარი–იზოლატორი გადასვლა ერთგანზომილებიან მოუწესრიგებელ ელექტრონულ სისტემაში სპინ–ორბიტული ურთიერთქმედებით" (საერთაშორისო ვორკშოპი – „კვანტური მდგომარეობებისა და მოწყობილობების ინჟინერია", სკანდინავიის ქვეყნების თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი (NORDITA), სტოკჰოლმი, შვედეთი).

2014 წელს გამოქვეყნებული შრომების შედეგები მოხსენებულ იქნა აკად. გ. ჯაფარიძის თანაავტორების მიერ ამერიკის ფიზიკური საზოგადოების ყოველწლიურ კონფერენციაზე კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკაში (ქ. დენვერი, აშშ, 2 მოხსენება) და მაქს პლანკის საზოგადოების კომპლექსური სისტემების ფიზიკის ინსტიტუტში (ქ. დრეზდენი, გერმანია).

აკად. გ. ჯაფარიძე მონაწილეობდა უკრაინის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის ორი გრანტის (USTC-5906, USTC-5893) შესრულებაში.

აკად. გ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებულმა ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიამ.

† აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
რევაზ ბანცური

მონოგრაფია

„დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანები და ფუნქციათა თეორიის მონათესავე სასაზღვრო ამოცანები“ (მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში, ტ. 62, 170 გვ., თსუ–ის გამომცემლობა, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გადაადგილებიანი სასაზღვრო ამოცანები, კერძოდ, კარლემანის ტიპის ამოცანები უწყვეტი და შემოუსაზღვრელი კოეფიციენტებით ზოლისა და რგოლისათვის, რიმან-ჰილბერტის ამოცანები ორადბმული არისათვის და წყვეტილი კოეფიციენტებით რგოლისათვის. გამოკვლეულია დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანები წრფივი საზღვრის მქონე შემოუსაზღვრელი იზოტროპიული, ანიზორტოპიული და უბან-უბან ერთგვაროვანი სხეულებისათვის დრეკადი გამაგრებებით. შესწავლილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის სასაზღვრო ამოცანები ჭრილებისა და ჩართვების მქონე ანიზოტროპიული სხეულებისათვის, აგრეთვე, დრეკადობის თეორიის მესამე ძირითადი და შერეული სასაზღვრო ამოცანები ორადბმული არეებისათვის. გამოყენებულია ანალიზურ ფუნქციათა თეორიის, ინტეგრალური გარდაქმნებისა და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის მეთოდები, ჩამოყალიბებული და დამტკიცებულია ამოცა-

ნათა ამოხსნადობის პირობები, დამუშავებულია ფაქტორიზაციის ახალი მეთოდები და ამონახსნები წარმოდგენილია ცხადი სახით.

სტატიები

1) „ბლანტი დრეკადობის საკონტაქტო ამოცანებთან დაკავშირებული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებების ამოხსნები“ (თანაავტორობით; საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 21, № 4, 393–405, ინგლისურ ენაზე).

აგებულია ამოხსნები ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან თხელი სასრული ნახევრად უსასრულო ჩართვისა და ცოცვადობის თვისების მქონე ფირფიტის ურთიერთქმედებასთან. როდესაც ჩართვის დრეკადი და გეომეტრიული პარამეტრები მისი სიგრძის გასწვრივ იცვლებიან ხარისხოვანი კანონით, ინტეგრალური გარდაქმნებისა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით მიღებულია ამოცანათა ზუსტი ამოხსნები.

2) „ელექტროდრეკადობის სასაზღვრო ამოცანები ჩართვის მქონე ფირფიტისათვის და ჭრილის მქონე ნახევარსივრცისათვის“ (თანაავტორობით; Appl. Math. Mech. v.78, №4, 415–424, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მექანიკური და ელექტრული ველების განსაზღვრის ამოცანა პიეზოელექტრულ სხეულებში, რომლებიც გამაგრებულია დრეკადი ჩართვებით ან შესუსტებულია ბზარით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებით დასმული ამოცანები მიყვანილია შესაბამისად სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე ან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობით. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის გამოყენებით მიღებული ინტეგრალური განტოლება დაიყვანება წრფივ უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემაზე, რომელიც გამოკვლეულია რეგულარობაზე კვადრატით ჯამებად მიმდევრობათა სივრცეში, ინტეგრალური გარდაქმნების მეთო-

დის გამოყენებით კი მიღებული სინგულარული ინტეგრალური განტოლება ამოხსნილია ცხადი სახით.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე კვინიხიძე

სტატიები

1) „ტეტრაკვარკის აღმწერი კოვარიანტული განტოლება" (თანაავტორობით; Phys. Rev. D90, 045042,2014, ამერიკის ფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, ინგლისურ ენაზე).

მიღებულია ეგზოტიკური ნაწილაკების აღმწერი განტოლება, რომელშიც გათვალისწინებულია ნორმალური კვარკ-ანტიკვარკისგან შედგენილი საშუალედო მდგომარეობა. ბოლო დრომდე იყენებდნენ ავტორების მიერ მიღებულ კოვარიანტულ განტოლებას, რომელიც სამართლიანია ოთხი კვარკის შემთხვევაში, ანუ, სადაც კვარკ-ანტიკვარკის წყვილის ანიჰილაცია არ არის გათვალისწინებული. გამოყვანილია 4-ნაწილაკოვანი განტოლებები, რომელშიც გათვალისწინებულია წყვილების ანიჰილაცია. ეს ეხება, მაგალითად, ორი კვარკისა და ორი ანტიკვარკისგან შედგენილ სისტემას.

2) „სამ ფოტონად დაშლის ყალიბურად ინვარიანტული ფორმულირება" (თანაავტორობით; მიღებულია Phys. Rev. D-ში, გამოქვეყნებულია პრეპრინტის სახით: arXiv::1410.6216[hep-ph], ინგლისურ ენაზე).

მიღებულია მეზონების სამ ფოტონად დაშლის ყალიბურად ინვარიანტული ამპლიტუდა. ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედების სიმცირის მიუხედავად, თანამედროვე ექსპერიმენტების სიზუსტეები იძლევა სამ ფოტონად დაშლის პროცესების გაზომვის საშუალებას, გაზომვების შედეგები შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას კვარკებს შორის ძლიერი ურთიერთქმედების მექანიზმის შესახებ, რომლის დასადგენად ექსპერიმენტული მონაცემები უნდა აღიწეროს თეორიული ფორმულებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ველის კვანტური

თეორიის ფუნდამენტურ პრინციპებს. კერძოდ, ეს ეხება ყალიბურ ინვარიანტობას, რომელიც წარმოადგენდა პრობლემას სამ ფოტონად დაშლის შემთხვევაში. ეს პრობლემა გადაწყვეტილია ავტორების მიერ დამუშავებული განტოლებების გაყალიბების მეთოდის გამოყენებით.

აკად. წევრ-კორ. ა. კვინიხიძემ წაიკითხა მოხსენებები შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე:

– „ყალიბური ინვარიანტობა და ფიზიკური პროცესების დინამიკა“ (ასტრონაწილაკების და ბირთვის ფიზიკის სიმპოზიუმი, დელი, ინდოეთი).

– „ნუკლონების სტრუქტურის გათვალისწინება ველის ეფექტურ თეორიაში“ (საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი).

აკად. წევრ-კორ. ა. კვინიხიძე არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის – „დენები კირალური ეფექტური ველის თეორიის რამდენიმე ნაწილაკის სექტორში“ (GNSF/ST 11/31, 2012-2015) ძირითადი მონაწილე.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მირიან მესტვირიშვილი

სტატია

„გრავიტაციის რელატივისტურ თეორიაში არასტატიკური სფერულ-სიმეტრიული სხეულის გარე გრავიტაციული ველი“ (თანაავტორობით; ჟურნალი Теоретическая и математическая физика, т. 181, №2, 401-406, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ არასტატიკური სფერულ-სიმეტრიული სხეულის გარე გრავიტაციული ველი არის სტატიკური.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელიზბარ ნადარაია

სტატიები

1) „ორი ბერნულის რეგრესიის ფუნქციათა ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების შესახებ“ (Mathematical Theory and Modelling, v. 4, №9, 142-151, აშშ, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის გულოვანი ტიპის შეფასებათა კლასი, როდესაც რეგრესორი არაშემთხვევითი სიდიდეა. დადგენილია ორი შერჩევისათვის აგებული ბერნულის რეგრესიის ფუნქციის გულოვანი ტიპის შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი. აგებულია ორი ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ტოლობის შესახებ ჰიპოთეზათა შემოწმების კრიტერიუმი. შესწავლილია ამ კრიტერიუმის ძალდებულების საკითხი. გარდა ამისა, გარკვეული ტიპის „დაახლოებადი“ ალტერნატივებისათვის მოძებნილია კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრე. უნდა აღინიშნოს, რომ აგებული კრიტერიუმი პირველია არაპარამეტრულ სტატისტიკაში.

2) „გასერ-მიულერის შეფასების ფუნქციონალები“ (Turkish Journal of Mathematics, v. 38, Issue 6, 1090-1101, ინგლისურ ენაზე).

განხილულია რეგრესიის ფუნქციის ზოგადი სახის ფუნქციონალების შეფასების პრობლემა გასერ-მიულერის სტატისტიკის საშუალებით. დამტკიცებულია, რომ ფუნქციონალის აგებული შეფასება ძალდებულია. შესწავლილია მისი ასიმპტოტურად ნორმალობის საკითხი. კერძო შემთხვევებში მიიღება ყველა ცნობილი შედეგი, რომელიც მიღებული იყო სხვა ავტორების მიერ.

3) „ბერნულის ორი რეგრესიის ფუნქციის ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №1, 18-26, ინგლისურ ენაზე).

4) „ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ორი გულოვანი ტიპის ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების შესახებ“ (თსუ–ის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარის შრომები, 28(2014), ინგლისურ ენაზე).

მე-3 და მე-4 ნაშრომებში მარტინგალთა თეორიის საშუალებით გადაწყვეტილია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის გულოვანი ტიპის შეფასებათა საშუალებით რეგრესიის ფუნქციათა ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა.

გარდა ამისა, საერთაშორისო ჟურნალებში (Ukrainian Mathematical Journal, Georgian Mathematical Journal, Communication in Statistics – Theory and Methods) გამოსაქვეყნებლად მიღებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი.

აკად. წევრ-კორ. ე. ნადარაიამ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „განაწილების სიმკვრივის ფუნქციონალების შესახებ“ (კავკასიის მათემატიკოსთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი).

– „ბერნულის რეგრესიის ფუნქციათა შეფასებების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების შესახებ“ (საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი).

– თსუ–ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ა. რაზმაძის დაბადების 125 წლისთავს (თბილისი) წარადგინა ორი მოხსენება:

1) „მაქსიმალური დასაჯერობის შეფასების ზღვარითი თვისებების შესახებ ჰილბერტის სივრცეში“;

2) „ბერნულის ორი რეგრესიის ფუნქციის ტოლობის ჰიპოთეზის შესახებ“.

– „რეგრესიის ფუნქციის ინტეგრალური კვადრატული გადახრის განაწილების შესახებ“ (თსუ–ის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარი).

აკად. წევრ-კორ. ე. ნადარაია არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (N FR/308/ 5-104/12) ძირითადი შემსრულებელი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ხარაზიშვილი

მონოგრაფია

„ნამდვილი ანალიზის სიმრავლურ-თეორიული ასპექტები“ (გამომცემლობა Chapman and Hall/CRC, ნიუ–იორკი, 452 გვ., ინგლისურ ენაზე).

განხილულია ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა კლასიკური თეორიის მჭიდრო კავშირები თანამედროვე სიმრავლეთა თეორიის აქსიომატიკასა და ძირითად მეთოდებთან. შესწავლილია ცერმელოს აქსიომის შეზღუდული ვერსიები, რომელიც ხშირად გამოიყენება მათემატიკური ანალიზის კონკრეტულ საკითხებში (კერძოდ, მიმდევრობების კრებადობის, ფუნქციების უწყვეტობისა და ინტეგრალების არსებობის საკითხებში). ნაჩვენებია ზემოაღნიშნული აქსიომის არათვლადი ფორმების როლი სხვადასხვა ტიპის არაზომადი წერტილოვანი სიმრავლეების არსებობისათვის და ბოლომდე შესწავლილია ე.წ. აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების სტრუქტურა. გარდა ამისა, დადგენილია, რომ დამხმარე სიმრავლურ-თეორიული ჰიპოთეზები (მაგალითად, კონტინუუმის ჰიპოთეზა, მარტინის აქსიომა და სხვ.) მნიშვნელოვნად განაპირობებენ ზომის თეორიის თვალსაზრისით პარადოქსული თვისებების მქონე სიმრავლეებისა და ფუნქციების არსებობას. ამავე დროს, დამტკიცებულია, რომ ეფექტურად განსაზღვრულ წერტილოვან სიმრავლეთა კლასისთვისაც კი არ არსებობს ზომის ზოგადი პრობლემის დამაკმაყოფილებელი ამოხსნა.

სტატიები

1) „G-სივრცეების თვლადი, თითქმის ინვარიანტული დაყოფების შესახებ“ (Ukrain. Math. Journal, გამომცემლობა Springer, v. 66, №4, 510-517, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომში, ზომის თეორიის თვალსაზრისით, განხილულია G-სივრცეების თვლადი, თითქმის ინვარიანტული დაყოფები. ნაჩვენებია, რომ ყოველ ასეთ არატრივიალურ დაყოფაში არსებობს ერთი არაზომადი ელემენტი მაინც.

2) „უცნაური ზომადობის თვისებების მქონე ზოგიერთი ნამდვილმნიშვნელობიანი საფეხურა ფუნქციის შესახებ“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, გამომცემლობა Walter De Gruyter, ტ. 21, №1, 83–87, ინგლისურ ენაზე).

მარტინის აქსიომის გამოყენებით დამტკიცებულია, რომ არსებობს აბსოლუტურად (უნივერსალურად) ზომადი ნამდვილმნიშვნელობიანი საფეხურა ფუნქცია, რომლის მაჟორირება შეუძლებელია რაიმე ბორელის ფუნქციით. ეს შედეგი აძლიერებს ვ. სერპინსკის ერთ შედეგს.

3) „არათვლადი სიმრავლეების ერთი დახასიათება მათი თავის თავში ასახვებისა და თითქმის ინვარიანტული დიდი ქვესიმრავლეების ტერმინებში“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, გამომცემლობა Walter De Gruyter, ტ. 21, №3, 297-302, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია ნებისმიერი არათვლადი სიმრავლის დახასიათება მისი თავის თავში ასახვებისა და ასეთი ასახვების მიმართ დიდი ინვარიანტული ქვესიმრავლეების არსებობის ტერმინებში.

4) „ნამდვილი ღერძის კონტინუუმის რაოდენობის მასიურ ქვესიმრავლეებად დაშლების შესახებ“ (Real Analysis Exchange, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) გამომცემლობა, v. 39, №2, 459-468, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ნამდვილი ღერძის ლებეგის ზომის აზრით მასიურ ქვესიმრავლედ დაყოფის არსებობის საკითხი და ნაჩ-

ვენებია ამ საკითხის მჭიდრო ლოგიკური კავშირი ამორჩევის აქსიომის სხვადასხვა ფორმასთან.

5) „ბერნშტეინის სიმრავლის ზომადი თვისებების შესახებ“ (ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 164, 63-70, ინგლისურ ენაზე).

ცნობილია, რომ ფ. ბერნშტეინის მიერ ტრანსფინიტური კონსტრუქციის მეშვეობით აგებული წერტილოვანი სიმრავლეები ფლობენ უცნაურ ტოპოლოგიურ თვისებებს. აღნიშნული სიმრავლეები ზოგად ტოპოლოგიაში სისტემატურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის კონტრმაგალითების ასაგებად. დამტკიცებულია, რომ არსებობს ბერნშტეინის სიმრავლე, რომელიც ამავდროულად არის აბსოლუტურად არაზომადი ყველა არანულოვან სიგმა-სასრულ დიფუზიურ ზომათა კლასის მიმართ.

6) „ლუზინისა და სერპინსკის ერთი თეორემის შესახებ“ (ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 164, 109-115, ინგლისურ ენაზე).

ამორჩევის აქსიომის გარკვეული თვლადი ფორმის გამოყენებით დამტკიცებულია, რომ ნამდვილი ღერძის ორ მასიურ (ლებეგის ზომის აზრით) ქვესიმრავლედ დაყოფის არსებობიდან გამომდინარეობს ამავე ღერძის მასიურ ქვესიმრავლეებად ისეთი დაყოფის არსებობაც, რომლის წევრების რაოდენობა კონტინუუმის სიმძლავრის ტოლია. ეს შედეგი მნიშვნელოვნად აძლიერებს ნ. ლუზინისა და ვ. სერპინსკის ერთ კლასიკურ შედეგს.

7) „ევკლიდური სიბრტყის სამ ფერად გაფერადება და მასთან ასოცირებული წინასწარ მოცემული ტიპის სამკუთხედები“ (Journal of Geometry, გამომცემლობა Springer, v. 105, issue 1, p. 193, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია, რომ ევკლიდური სიბრტყის ყოველ გაფერადებას სამი ფერის მეშვეობით შეესაბამება სამკუთხედების კონტინუალური რაოდენობა, რომელთაგან თითოეული წინასწარ მოცემული ტიპისაა.

აკად. წევრ-კორ. ა. ხარაზიშვილი მიწვეული იყო ქ. ზალცბურგის (ავსტრია) უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად. აღნიშნული ლექციების თემატიკა ეხებოდა კომბინატორული გეომეტრიის გარკვეულ საკითხებს და ფუნქციებისა და სიმრავლეების ზომადობის თვისებებს.

აკად. წევრ-კორ. ა. ხარაზიშვილმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში და გამოვიდა მოხსენებით:

– „ეფექტურად განსაზღვრული აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების შესახებ“ (საერთაშორისო კონფერენცია CMA-2014, კუვეიტი).

იგი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის შესრულებაში (გრანტი №31/25).

აკად. წევრ-კორ. ა. ხარაზიშვილი ხელმძღვანელობს ორ დოქტორანტს: 1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებაზე; 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში.

აკად. წევრ-კორ. ა. ხარაზიშვილი არის სამი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის – 1. Georgian Mathematical Journal; 2. Journal of Applied Analysis; 3. Applied Mathematics, Informatics and Mechanics – რედკოლეგიის წევრი.

საანგარიშო წელს აკად. წევრ-კორ. ა. ხარაზიშვილმა გასწია სათანადო მუშაობა, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრმა.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანზორ ხელაშვილი

სტატიები

1) „სფერულ კოორდინატთა სათავეში ლაპლასიანის სინგულარობიდან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი“ (თანაავტორობით; European Journal of Physics. გამომცემლობა IOP Science, 35,065026, 7 გვ., ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ სფერულ კოორდინატებში სათავეში ლაპლასის ოპერატორის სინგულარობას მრავალი არატრივიალური შედეგი გააჩნია. ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება სათავეში ფიქტიური სინგულარობების თავიდან აცილება, რაც აქამდე მრავალ გაუგებრობას იწვევდა სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

2) „ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და მისგან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი რადიალური ტალღური ფუნქციის ყოფაქცევისათვის სათავეში“ (თანაავტორობით; Physics of Elementary Particles and Atomic Nuclear Theory, Letters. v.12, №1, 11-25, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ შრედინგერის განტოლებაში დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლისას წარმოიქმნება დამატებითი წევრი, რომელიც შეიცავს დირაკის დელტა ფუნქციას. ეს ფაქტი რატომღაც შეუმჩნეველი იყო კვანტური მექანიკისა და მათემატიკური ფიზიკის მთელი ისტორიის მანძილზე. გარკვეული გვაქვს ამ წევრის თავიდან აცილების შესაძლებლობა.

დემონსტრირებულია, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი და საკმარისია დაყვანილი რადიალური ფუნქციის საკმაოდ სწრაფი დაცემა კოორდინატთა სათავეში – შედეგი სამართლიანია ყველა სახის პოტენციალებისათვის როგორც რეგულარული, ასევე სინგულარული პოტენციალებისათვის.

განხილულია, აგრეთვე, ამ ყოფაქცევის კონკრეტული გამოვლინებანი და მიღებულია რიგი ფიზიკური შედეგებისა. მთავარი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ ცვლადთა განცალების შემდეგ მიღებული განტოლების ამონახსნი აკმაყოფილებდეს თავდაპირველ სამგანზომილებიან განტოლებას.

აკად. წევრ-კორ. ა. ხელაშვილმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში და გამოვიდა მოხსენებით:

– „ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და მისგან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი რადიალური ტალღური ფუნქციის ყოფაქცევისათვის სათავეში“ (COMET-თანამშრომლობის XIV საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი).

აკად. წევრ-კორ. ა. ხელაშვილი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 გრანტის შესრულებაში:

– „კვანტური ქრომოდინამიკა მაღალ და დაბალ ენერგიებზე“ (ხელმძღვანელი, №11/24);

– „კვანტური ქრომოდინამიკის ეფექტური თეორიები და გამოთვლები მესერებზე“ (ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით, თანახელმძღვანელი, №13/02).

აკად. წევრ-კორ. ა. ხელაშვილი განაგრძობდა მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებასთან არსებული ფიზიკისა და ასტრონომიის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

საანგარიშო წელს მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებამ ჩაატარა საერთო კრების 7 სხდომა, რომლებზეც განხილული იყო 20 საკითხი.

2014 წელს განყოფილებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალნენ: განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე, აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ ბანცური.

2014 წლის მარტში განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩეულ იქნა აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი.

განყოფილებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად ასარჩევად რეკომენდაცია გაუწია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორს ვიქტორ მატვეევს.

ნაყოფიერად იმუშავეს საანგარიშო წელს განყოფილებასთან არსებულმა მათემატიკის (თავმჯდომარე აკად. ვ. კოკილაშვილი) და ფიზიკისა და ასტრონომიის (თავმჯდომარე აკად. წევრ-კორ. ა. ხელაშვილი) დარგობრივმა კომისიებმა. დარგობრივი კომისიების მიერ გამოყოფილი ექსპერტების რეცენზიებისა და დასკვნების საფუძველზე, განყოფილებამ სამ სხდომაზე განიხილა და შეაფასა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობა.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების მუდმივმოქმედ სემინარზე 2013 წელს მოხსენებები გააკეთეს: სტოკჰოლმის ტექნოლოგიების სამეფო ინსტიტუტის პროფესორმა ჰააკან ჰედენმალმმა; აკადემიკოსმა გიორგი ჯანელიძემ; პროფესორმა მერაბ ჯიბლაძემ; პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ეგიდით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების (ხელშეკრულებები D_13/23 და 31/47) ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ჰარმონიული ანალიზისა და ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების ახალი ასპექტები“. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 7 მოხსენება. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო უცხოეთში მოღვაწე ორმა ქართველმა მათემატიკოსმა (შვედეთიდან და უნგრეთიდან).

განყოფილებამ აქტიურად შეუწყო ხელი (გაკეთდა მოხსენებებიც) ევროკავშირის მიერ თბილისში ორგანიზებულ კავკა-

სიის მათემატიკოსთა პირველ კონფერენციას, რომელშიც, ჩვენი რეგიონის გარდა, მრავალმა მათემატიკოსმა სხვა ქვეყნებიდანაც მიიღო მონაწილეობა. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ინიციატივით კონფერენციაზე მოწვეული იყო ორი ცნობილი მათემატიკოსი ისრაელიდან და აშშ-დან.

ასევე, განყოფილების ხელშეწყობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

განყოფილების სამი წევრის (ვ. კოკილაშვილი, გ. ჯაფარიძე, ა. კვინიხიძე) მიერ სხვადასხვა დარგში წარდგენილ იქნა ყაზახეთთან სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წევრებმა, აკადემიკოსებმა ვ. კოკილაშვილმა, გ. ჩაგელიშვილმა და გ. ჯაფარიძემ ნაყოფიერად იმუშავეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილ სამეცნიერო საბჭოში, რომლის მიზანი იყო საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვის საფუძველზე საქართველოში სამეცნიერო კვლევების მდგომარეობის შესახებ დასკვნის გაკეთება და სათანადო დაფინანსების განსაზღვრა.

განყოფილების 6 წევრი ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 7 წევრი, მათ შორის 3 აკადემიკოსი და 4 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2014 წელს გამოაქვეყნეს 2 წიგნი, 8 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე

სტატია

აკად. დავით შენგელიასთან თანაავტორობით. „საქართველოს კამბრიულისწინა რეგიონული მეტამორფიზმი და მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“ (Mineralogical Journal, 2014, 36, №3, 98-112, ინგლისურ ენაზე).

ხმელთაშუა ზღვის კოლიზიურ ოროგენულ სარტყელში გამოყოფილია კავკასიონის, შავი ზღვა–ცენტრალური ამიერ-კავკასიის, ბაიბურთ-სევანისა და ირან-ავღანეთის ტერეინები, რომლებიც გეოლოგიურ წარსულში წარმოადგენდა ენსიმატურ ან ენსიალურ კუნძულთა რკალებს. თანამედროვე სტრუქტურაში ეს არის პირველი რიგის აკრეციული ტერეინები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია სხვადასხვა ასაკის ოფიოლიტური ნაკერებით, რომლებიც წარმოადგენენ მცირე და ვრცელი ოკეანური აუზების რელიქტებს. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში დახასიათებულია მთავარი ქედის, ძირულის, ხრამისა და ლოქის კრისტალური მასივები. მათი ამგები ქანების ასაკი დადგენილია უახლესი გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე და LA-ICP-MS U-Pb ცირკონული დათარიღებით. დადგენილია, რომ კამბრიულისწინა ქანებმა სუპრასუბდუქციურ პირობებში განიცადა პროგრესული რეგიონული მეტამორფიზმი გრენვილურ (1000-800 მლნ. წ.), ბაიკალურ (660-550 მლნ. წ) და გვიანბაიკალურ (540-500 მლნ. წ.) ეტაპებზე

პროტო-პალეოტეთისის ორივე მხარეს და კავკასიონის სამ-ხრეთი ფერდობის მცირე ოკეანური აუზის ჩრდილო კიდის გასწვრივ. უფრო გვიან ამ ქანებმა განიცადა სუპრასუბდუქ-ციური რეგიონული მეტამორფიზმი ადრევარისკული (345-335 მლნ. წ.) და გვიანვარისკული (330-315 მლნ. წ.) ოროგენეზისის დროს.

აკად. ე. გამყრელიძე იყო თსუ-ის ა. ჯანელიძის გეოლო-გიის ინსტიტუტის 2014 წელს დამთავრებული 2 სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი: 1) „სხვადასხვა ასაკის, რიგის, მორ-ფოლოგიისა და გენეზისის სტრუქტურების წარმოშობის მექა-ნიზმი“ (2007-2014) და 2) „დედამიწის ქერქის უახლესი (ნეო-ტექტონიკური) და თანამედროვე მოძრაობების ხასიათისა და სიჩქარის კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე“ (2007-2014), იგი, აგრეთვე, მონაწილეობდა დამთავრებული სამეცნიერო პროექტის – „კავკასიის მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგიური და მინერალოგიური კვლევა; დანალექი, ვულკანური და ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნების სე-დიმენტაციურ-ლითოლოგიური შესწავლა“ (2006-2014) – შეს-რულებაში.

აკად. ე. გამყრელიძე მონაწილეობდა კონფერენციაში და გამოვიდა მოხსენებით:

– „საქართველოს კამბრიულისწინა რეგიონული მეტა-მორფიზმი და მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“ (საერ-თაშორისო კონფერენცია – „ევრაზიის კონტინენტის ადრეკამ-ბრიულისწინა ეპოქის გეოქრონოლოგია და გეოდინამიკა“, კიევი, უკრაინა).

აკად. ე. გამყრელიძემ მოიპოვა 2 გრანტი:

– „კავკასიონის ტექტონიკა და პალეოტექტონიკური ევო-ლუცია“ (2014-2016) (შვეიცარიის საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი (SCOPES);

– „ინგლისურ-ქართული გეოლოგიური ლექსიკონი“ (აკად. დ. შენგელიასთან ერთად) (2014-2015) (შოთა რუსთავე-ლის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი).

აკადემიკოსი დავით შენგელია

სტატიები

1) **აკად. ერეკლე გამყრელიძესთან თანაავტორობით.** „საქართველოს კამბრიულისწინა რეგიონული მეტამორფიზმი და მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“ (Mineralogical Journal, 2014, 36, №3, 98-112, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 59).

2) „ზოგიერთი საკითხი კავკასიონის კრისტალინიკუმის აგებულების, ვარისკული რეგიონული მეტამორფიზმისა და გრანიტოიდული მაგმატიზმის შესახებ” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №3, 56-62, ინგლისურ ენაზე).

კავკასიონის მთავარი ქედის ზონის იალბუზისა და საუღელტეხილო ქვეზონების ვარისკული რეგიონული მეტამორფიზმი და გრანიტოიდული მაგმატიზმი მკვეთრად განსხვავებულია. ორივე ქვეზონის სუდეტური გრანიტოიდების LA-ICP-MS U-Pb ცირკონული მეთოდით დათარიღება უჩვენებს, რომ იალბუზის ქვეზონის სუდეტური გრანიტოიდები უფრო ახალგაზრდაა (~15 მლნ. წლით) საუღელტეხილო ქვეზონის ამავე ოროფაზისთან დაკავშირებულ გრანიტოიდებთან შედარებით. ეს ორი ქვეზონა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ნაოჭა სტრუქტურების ფორმით, ლითოლოგიურ-ფორმაციული შედგენილობით და მათი ფორმირების პირობებით, ფუძე მაგმატიზმის ხასიათითა და სხვ.

აკად. დ. შენგელია მონაწილეობდა კონფერენციაში და გამოვიდა მოხსენებით:

– „ევრაზიის კონტინენტის ადრეკამბრიულისწინა ეპოქის გეოქრონოლოგია და გეოდინამიკა“ (საერთაშორისო კონფერენცია – „საქართველოს კამბრიულისწინა რეგიონული მეტამორფიზმი და მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“, კიევი, უკრაინა).

აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე

სტატიები

1) „ბიშკეკის ირგვლივ (ცენტრალური აზია) მაღალენერგეტიკული ელექტრომაგნიტური იმპულსების გავლენა სეისმური პროცესების დინამიკაზე" (თანაავტორობით; Pure and Applied Geophysics, (DOI) 10.1007/s00024-014-0860-5, ინგლისურ ენაზე).

გაანალიზებულია სეისმური აქტივობა ბიშკეკის პოლიგონზე (შუა აზია) დედამიწაში მძლავრი ელექტრომაგნიტური იმპულსების გაგზავნის პირობებში. არაწრფივი დინამიკის აპარატის გამოყენებით დადგენილია, რომ ეს შედარებით სუსტი ზემოქმედება იწვევს მიწისძვრების მოლოდინის დროების მნიშვნელოვან მოწესრიგებულობას.

2) „SEISMOTOOL – სეისმოგრამების მოსმენისა და გაანალიზების იოლი ხერხი" (თანაავტორობით; Seismol. Res. Letters. 85, 889-895, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია პროგრამა SEISMOTOOL, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სონიფიკაციის საშუალებით სეისმური მონაცემების ანალიზისათვის. იგი იძლევა მონაცემთა გრძელი მწკრივების დამუშავების, ჩანაწერების გადაბმის, ჩანაწერის ნაწილის ამოჭრის, შეკუმშვის დონის ცვლისა და ჩანაწერების ფილტრაციის საშუალებას. ამის გაკეთება შესაძლოა სონი სოუნდ ფორჯ-ის პროგრამების მდიდარი პაკეტის გამოყენებით.

3) „საქართველოში დაფიქსირებული მრავალჯერადი რელეის ტალღების და წყლის დონის ანომალიების კავშირი 2011 წლის დიდი ტოჰოკუს მიწისძვრის დროს" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №2, 76-79, ინგლისურ ენაზე).

2011 წლის იაპონიის ტოჰოკუს დიდმა მიწისძვრამ (M 9) მთელ დედამიწაზე გამოიწვია ლოკალური მიკროსეისმურობის გააქტიურება დინამიკური ტრიგერირების გზით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტოჰოკუს მიწისძვრამ საქართველოშიც,

რომელიც იაპონიიდან 7800 კმ–ით არის დაშორებული, მოახ-დინა სუსტი ლოკალური სეისმური მოვლენების ტრიგერირე-ბა. სეისმური და წყლის დონეების ჩანაწერების ერთობლივი ანალიზის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გარდა S, L და R სეისმური ტალღებისა, წყლის დონეების რხევას იწვევს, აგრეთვე, მრა-ვალჯერადი ზედაპირული რელეის ტალღები R2,R4, R4,R5.

4) „ენგურის თაღოვანი კაშხლის ქვეშ გამავალ რღვევაზე დეფორმოგრაფის მონაცემების ერთობლივი ანალიზი“ (თანაავ-ტორობით; „ენერგია“, №1).

ერთმანეთთან შედარებულია მარჯვენა სანაპიროს რღვე-ვაზე დაყენებული დეფორმოგრაფისა და უკუშვეულების დაკ-ვირვების შედეგები. გაკეთებულია დასკვნა, რომ რღვევის შიგა B ბლოკზე დაყენებული შვეულის მონაცემებით ეს ბლოკი უფრო მოძრავია წყალსაცავში წყლის რეგულირების დროს, ვიდრე გარე A ბლოკი, რაც კარგ თანხვედრაშია დეფორმო-გრაფის მონაცემებთან.

აკად. თ. ჭელიძე მონაწილეობდა საერთაშორისო კონფე-რენციების მუშაობაში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „სეისმურობის ტრიგერირება და სინქრონიზაცია სუსტი გარეშე გავლენის გამო“ (International Workshop: Problem and development of CO_2 capture and Storage in Caucasus, თბილისი);

– „ტოჰოკუს მიწისძვრით გამოწვეული ლოკალური სეის-მურობა კავკასიაში“ (International Conference on the „Seismology-earthquake angineering and Antelope Nsurs Groupmeeting”, ბაქო, აზერბაიჯანი);

– „შეცდომები და რეალობა გლობალურ და რეგიონულ საშიშროებათა და რისკის შეფასებაში, არაწრფივი დრეკადობა და არაწრფივი დინამიკა კაშხლების სტაბილურობის ანალიზ-ში“ (International IUGG Conference on Geophysical Risk, მად-რიდი, ესპანეთი);

– „ქართულ-ევროპული ცენტრის – „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკი“ – წლიური ანგარიში (Meeting of the Directors of Centres of EUR-OPA, სტრასბურგი, საფრანგეთი).

აკად. თ.ჭელიძემ 2014 წლის სექტემბერში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მოხსენება: „სირთულე – ახალი პარადიგმა მეცნიერებაში“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
რევაზ გაჩეჩილაძე

მონოგრაფია

„გარდასულ დღეთა, კაცისა და პოეტის გამო“ (თსუ–ის გამომცემლობა, 164 გვ.).

მოცემულია ცნობილი მეცნიერისა და მთარგმნელის – გივი გაჩეჩილაძის – ცხოვრების გზა და შემოქმედება, როგორც სამეცნიერო, ისე პოეტურ-მთარგმნელობით სფეროში.

აკად. წევრ-კორ. რ. გაჩეჩილაძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „დემოგრაფიული სიტუაციის შედარებითი ანალიზი საქართველოსა და სომხეთში“ (თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენცია – „სივრცე, საზოგადოება და პოლიტიკა“, თბილისი);

– „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ (ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი თსუ-ის სამეცნიერო ფორუმი, თბილისი);

– „საქართველოს ახალგაზრდობის მომავალი შედარებითი დემოგრაფიისა და გეოპოლიტიკური სიტუაციის ფონზე“ (სემინარი: „Georgian Studies Day“, ვენსმისტერის უნივერსიტეტი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, ინგლისურ ენაზე).

აკად. წევრ-კორ. რ. გაჩეჩილაძემ გამოაქვეყნა სტატიები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში:

– „პირველი მსოფლიო ომის დაწყების შესახებ“ (გაზ. „რეზონანსი“, 5 აგვისტო);

– „ისლამური სახელმწიფო“: მიზეზები, პრაქტიკა, საფრთხეები (ჟ. „ლიბერალი“, 20 ნოემბერი)

მან რედაქტირება გაუკეთა წიგნებს:

– „მარადიული ხმები (გივი გაჩეჩილაძის პოეტური თარგმანების ანთოლოგია)“ (თბილისი, თსუ–ის გამომცემლობა);

– „გივი გაჩეჩილაძე. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“ (მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, თსუ–ის გამომცემლობა).

იგი ხელმძღვანელობდა სექციას საერთაშორისო კონფერენციაზე „მეცნიერება 2020“ ქ. კიშინიოვში და გამოვიდა შესავალი სიტყვით ლონდონის კინგს კოლეჯში სამეცნიერო სემინარზე – „სამხრეთ კავკასია: დღევანდელობა და ტრანსფორმაცია“ (ინგლისურ ენაზე).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მირიან თოფჩიშვილი

სტატია

„მოსაზრებები საქართველოს ტრიასული პალეოგეოგრაფიული გარემოს შესახებ” (თანაავტორობით; „საქართველოს ნავთობი და გაზი“, №30, 16 გვ., თბილისი).

საქართველოს ტერიტორიაზე გაჭრილი მრავალრიცხოვანი ჭაბურღილის მონაცემების, ავტორების მიერ ჩატარებული კვლევებისა და ქართულ და უცხოურ გეოლოგიურ ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებები საქართველოს ტერიტორიაზე ტრიასულ დროში ხმელეთისა და ზღვის განაწილების კანონზომიერების შესახებ. როგორც ჩანს, ზღვით უნდა ყოფილიყო დაფარული თანამედროვე კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ტერიტორია. სავარაუდოა, რომ თანამედროვე ამიერკავკასიის მთათაშუეთის, აჭარა-თრიალეთისა და ართვინ-ბოლნისის ზონების ტერიტორია, ტრიასულ, ყოველ შემთხვევაში, გვიანტრიასულ დროს, ხმელეთს წარმოადგენდა.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
მიხეილ კაკაბაძე

წიგნი

„გამოჩენილი მეცნიერი და უბადლო გეოლოგი – არჩილ ცაგარელი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 31 გვ.).

სტატია

„გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის ქვედაცარცულის „კილიანის“ მე-5 საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის თათბირის ანგარიში (ანკარა, თურქეთი, 31 აგვისტო, 2013)“ (თანაავტორობით; „Cretaceous Research“ 50, 126-137, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ხმელთაშუა ზღვის პროვინციის ქვედა ცარცულის ზონური დანაწილების სქემა ამონიტების საფუძველზე და მისი კორელაციის საკითხი ბორიული, ავსტრალიური და ცენტრალურ ატლანტიკური ბიოგეოგრაფიული ოლქების ქვედაცარცულ ზონურ სქემებთან. რაც შეეხება სტანდარტულ ზონურ დანაწილებას, რომელიც შეესაბამება დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის ზონურ სქემას, აქ ცვლილებები შეტანილია ორი სართულის ბიოსტრატიგრაფიულ დანაწილებაში. კერძოდ, ვალანჟინური სართულის Busnardoites campylotoxus-ს ზონა გაუქმდა და შესაბამისად, ქვედა ვალანჟინურის ზედა დონეზე გამოიყო Neocomites neocomiensiformis და Karakaschiceras inostranzewi-ს ზონები. ბარემული სართულის ზედა ნაწილში გამოიყო ორი ზონა: ქვედა Imerites giraudi და ზედა – Martellites sarasini. საკუთრივ Imerites giraudi-ს ზონა დაიყო ორ ქვეზონად – Imerites giraudi და Heteroceras emerici. Martellites sarasini-ს ზონა ასევე ორ ქვეზონადაა დაყოფილი: ქვედა – Martellites sarasini და ზედა – Pseudocrioceras waagenoides. შესწავლილია საქართველოსა და სტანდარტული სქემის ჰოტრივული სართულის ზონური კორელაციის საკითხი. განხილულია ქვედაცარცულის სტანდარტული ზონური დანაწილების სქემისა და

ჩრდილო-დასავლეთ ევროპის (ვალანჟინურისა და ჰოტრივუ-ლის), არგენტინის (ბერიასულის, ვალანჟინურისა და ჰოტრი-ვულის) და მექსიკის (ვალანჟინურის, ჰოტრივულის, აპტურისა და ქვედაალპურის) ბიოსტრატიგრაფიული სქემების ზონური შეპირისპირების საკითხი.

აკად. წევრ-კორ. მ. კაკაბაძე მონაწილეობდა სიმპოზიუმის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება:

– „მოსაზრებები ზოგიერთი ჰეტერომორფული ამონიტე-ბის (ტურიკონები, კოლხიკონები) ეტოლოგიის შესახებ“ (მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ცეფალოპოდები – აწმყო და წარსული“, ციურიხის უნივერსიტეტი, შვეიცარია, ინგლისურ ენაზე).

იგი იყო ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის სამეც-ნიერო გეგმით გათვალისწინებული თემის ხელმძღვანელი – „ცარცული სისტემის სამად დანაწილება და შუა ცარცულის ქვედა საზღვრის პრობლემა (ამონიტების მიხედვით)“.

აკად. წევრ-კორ. მ. კაკაბაძე 2014 წელს მონაწილეობდა „ჰუმბოლდტის საერთაშორისო გრანტში“ (გფრ).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ფერანდო მაისაძე

სტატია

„კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ეოცენურ მოვლენათა ნალექების ფორმირება“ (რუსეთის VII საერთაშორისო ლითო-ლოგიური თათბირისადმი მიძღვნილი კრებული, ტ. II. 209-213, ნოვოსიბირსკი, რფ, რუსულ ენაზე).

ზღვიურ აუზებში, სადაც უპირატესად ნორმულ-დანა-ლექი სედიმენტაცია მიმდინარეობს, კატასტროფული მოვ-ლენების შედეგად გეოლოგიურ წარსულში ადგილი ჰქონდა სპეციფიკური ნალექების წარმოქმნას, რომლებიც „მოვლენა-თა ნალექების“ სახელითაა ცნობილი. ამ უკანასკნელთა არ-სებობა ავტორის მიერ დადგენილია ქაოსური აგებულების

წარმონაქმნებშიც ოლისტოსტრომების სახით, რომლებიც კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე ფართო გავრცელებით სარგებლობს და წარმოდგენილია ზედაეოცენური ასაკის ოლისტოსტრომებით.

დეტალური შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა აღნიშნული წარმონაქმნების ფორმირების პირობების აღდგენა. გაირკვა, რომ მათ წარმოშობაში, გარდა პალეოგეოგრაფიული პირობებისა, ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ის მრავალჯერადი კატასტროფული მოვლენები წარმოადგენდა, რომლებიც თან ახლდა პირენეული დანაოჭების ტექტონიკურ მოძრაობებს გვიან ეოცენის მეორე ნახევარში. ასევე მნიშვნელოვანი იყო აუზის ტერიგენული მასალით მკვებავი წყაროს დადგენა. ასეთ ხმელეთს, როგორც ჩანს, რაჭა-ვანდამის ჰიპოთეტური კორდილიერა წარმოადგენდა, რომელიც დღეს შემოცოცებული ფლიშური ნალექებითაა მთლიანად გადაფარული.

კატასტროფული მოვლენების ძალისა და გავრცელების მასშტაბების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შესწავლილი ოლისტოსტრომები უფრო მაღალი რანგის მოვლენათა ნალექებს წარმოადგენს, ვიდრე ანალოგიური წარმონაქმნები რიტმული აგებულების ნალექებში, სადაც ისინი პირველად გამოიყო ტემპესტიტებისა და ტურბიდიტების სახით.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებამ საანგარიშო წელს ჩაატარა განყოფილების 4 სხდომა, მათ შორის, 3 გაფართოებული, სადაც იყო მოსმენილი შემდეგი მოხსენებები:

1. „კავკასიის სამხრეთი ფერდობის თიხაფიქლების ბუნებრივი აირის პოტენციალი“;

2. „ანაკლიაში საზღვაო პორტის მოწყობის ბუნებრივი პირობები და მისი განლაგების ვერსიები”;

3. „საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ეფექტური მართვის ნაციონალური კონცეფციის ძირითადი ასპექტები“.

განყოფილების ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა შემდეგი კონცეფციები:

1. „უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის კონცეფცია და საპროგრამო წინადადებები გეოლოგიური და სხვა ბუნებრივი კატასტროფების რისკების პროგნოზირების გათვალისწინებით“;

2. „საქართველოს სასმელი და მინერალური წყლების (მიწისქვეშა ჰიდრორესურსების) გამოყენების კონცეფცია“;

3. „საქართველოს სეისმური უსაფრთხოების კონცეფცია“;

4. „მათემატიკური მოდელირების როლი ბუნებრივი გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებში“;

5. „კავკასიის სამხრეთი ფერდობის თიხაფიქლების ბუნებრივი აირის პოტენციალი“;

6. „საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ეფექტური მართვის ნაციონალური კონცეფციის ძირითადი ასპექტები“.

2014 წელს განყოფილებაში შემოვიდა 19 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ანგარიში, რომლებსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა. აქედან 10–მა ანგარიშმა მიიღო უმაღლესი შეფასება, დანარჩენებმა კი – დამაკმაყოფილებელი.

2014 წელს განყოფილებამ ჩაატარა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს არჩილ ცაგარელის დაბადებიდან 100 წლისთავს.

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 11 წევრი, მათ შორის 5 აკადემიკოსი და 6 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2014 წელს გამოაქვეყნეს 8 წიგნი და 21 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე

მონოგრაფია

„გარანტიები და რისკები კონფლიქტებში, მათი გამოყენება“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 366 გვ., რუსულ ენაზე).

როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ კონფლიქტის მონაწილეებმა განუზღვრელობის პირობებში? ამასთან, განუზღვრელი ფაქტორების შესახებ ცნობილია მხოლოდ ცვლილებათა საზღვრები, ხოლო სტატისტიკური მახასიათებლები არ არსებობს. უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული (და რა ხარისხით) რისკი თითოეული მოთამაშის მიერ? პასუხები ამ კითხვებზე მოიპოვება კონფლიქტთა გაწონასწორების თეორიაში, რომლის სათამაშო ასპექტის კვლევაში ბოლო 14 წლის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მიერ მიღებულ იქნა ნობელის ხუთი პრემია. ამ საკითხებს ეძღვნება წინამდებარე მონოგრაფიაც. მასში შესულია, აგრეთვე, ამ თეორიული საკითხების გამოყენების მრავალი მაგალითი ეკონომიკაში, მართვადი სისტემების მექანიკაში, მედიცინაში და სხვ.

მონოგრაფია განკუთვნილია რთულ მართვად სისტემებში გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

წიგნი

„არჩილ ელიაშვილი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 27 გვ.).

სტატიები

1) „არაწრფივი უწყვეტი დინამიკური სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაცია და მოდელირება“ (თანაავტორობით; სტუ–ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №18, 13-19).

განხილულია არაწრფივი დინამიკური სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა უწყვეტ ბლოკურად-ორიენტირებული მოდელების სიმრავლეზე. სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია ლ. ზადეს იდენტიფიკაციის კლასიკური განმარტების საფუძველზე. დამუშავებული მეთოდები და ალგორითმები გამოკვლეულია კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.

2) „ერთი ფასწარმოქმნის მოდელის შესახებ განუზღვრელობის პირობებში“ (თანაავტორობით; სტუ–ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №18, 125-129).

განხილულია ფასწარმოქმნის მოდელირების ამოცანა მოსალოდნელი აქციზის გათვალისწინებით, რომლის დონეც წინასწარ ცნობილი არ არის. 1929 წელს ამერიკელმა მეცნიერმა არნოლდ ჰოტელინგმა შექმნა ორველიანი ფასწარმოქმნის მოდელი სასაქონლო ფირმების სივრცეში განთავსების გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომში განიხილება ჰოტელინგის მოდელი განუზღვრელობის პირობებში ორი მოთამაშისათვის, მიღებულია პარეტოგარანტირებული წონასწორობის პირობები და ნაჩვენებია, როგორ ავაგოთ იგი, ნაპოვნია პარეტოს მიხედვით შიდა მინიმუმი, აგებულია ნეშის წონასწორობის სიტუაცია, მიღებულია მოთამაშეთა გარანტირებული მოგებები.

3) „ჩვენი ინსტიტუტის წარმატებები და სიძნელეები (1956-2013 წწ.)“ (ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3(717), 25–39).

სტატიაში მოყვანილია სტუ–ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ისტორია დაარსებიდან დღემდე. აღწერილია ინსტიტუტის სამეცნიერო მიღწევები და მისი წვლილი ქართული მეცნიერების განვითარებაში. გაანალიზებულია ინსტიტუტის დღევანდელი მდგომარეობა, მის წინაშე მდგომი სიძნელეები და გამოწვევები.

აკად. მ. სალუქვაძე მონაწილეობს სტუ–ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თემის – „ოპტიმიზაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ნაწილობრივ დალაგებულ სივრცეებში“ – შესრულებაში.

მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით (როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოს ვახტანგ გომელაურისა და არჩილ ელიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია – „ენერგეტიკა და მართვის პროცესები“. სესია გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეგიდით. სულ მოსმენილ იქნა 16 მოხსენება.

აკად. მ. სალუქვაძის მთავარი რედაქტორობით გამოიცა ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული: „მართვის თეორია, მართვის სისტემები, ინფორმატიკა“, №18, თბილისი, 264 გვ., რომელიც მოიცავს 43 სამეცნიერო სტატიას.

იგი არის საერთაშორისო ჟურნალის „Information Technology and Decision Making” (გამოიცემა World Scientific-ის მიერ) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის” სარედაქციო კოლეგიის წევრი.

აკადემიკოსი ელგუჯა მეძმარიაშვილი

სტატიები

ევროპული კოსმოსური სააგენტოს მე–2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენები“ წარდგენილია ხუთი სამეცნიერო სტატია (თბილისი):

1) „გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის გაშლის ციკლი ფუნქციონალური და ტექნოლოგიური ამრეკლით“.

ნაშრომი ეძღვნება რეფლექტორულ ანტენებში ამრეკლი ზედაპირის მიღების ერთ-ერთ ახალ მეთოდს, რომლის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ზედაპირის უფრო მაღალი რიგის აპროქსიმირებული სიზუსტე. წარმოდგენილია რეფლექტორის ამრეკლი ბადის დრეკადობის მოდულის, მჭიმების მოწყობისა და მათი დაჭიმულობის ძალის ექსპერიმენტული გამოკვლევა. განსაზღვრულია ბადის დრეკადობის მოდულის საშუალო მნიშვნელობები, აგრეთვე, დაჭიმულობის ძალებსა და ბადეზე მჭიმების მოდების წერტილების გადაადგილებებს შორის დამოკიდებულების ხასიათი.

2) „მსუბუქი გასაშლელი რეფლექტორის ახალი კონსტრუქციები“ (21-28).

დიდგაბარიტიანი, მსუბუქი და ხისტი რეფლექტორების შექმნა ამრეკლი ზედაპირის მაღალი სიზუსტით დღესაც პრობლემატურია თანამედროვე საანტენო ტექნიკაში. ახალი სტრუქტურების შესამუშავებლად ბოლო წლებში სტუ–ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უამრავი ერთობლივი სამუშაო ჩაატარა ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად. მათ შორისაა ცილინდრული ორპანტოგრაფიანი, ელექტროამძრავებით გაშლადი კონუსური ჩასატეხღეროებიანი, მუდმივმომენტიანი ზამბარებით გაშლადი და ელექტროამძრავებით კონტროლირებადი კონუსური ჩასატეხ-

ღეროებიანი ძალოვანი რგოლები. ასევე, მოქნილი კავშირებით შექმნილი გეომეტრიულად უცვლელი მათი ცენტრალური ნაწილები. აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში ჩატარებულია მათი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სავსებით შესაძლებელია შეიქმნას ახალი სტრუქტურები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ ზემოთ წამოყენებულ პირობებს.

3) „კონუსური ჩასატეხღეროებიანი რგოლი მოქნილი წინასწარდაძაბული ცენტრით“ (391-399).

წარმოდგენილია გასაშლელი ჩასატეხღეროებიანი კონუსური რგოლის ძირითადი სქემა. დიზაინი, რომლის სტრუქტურა ეყრდნობა ევროპატენტებში წარმოდგენილ სქემებსა და მის 6–მეტრიან სადემონსტრაციო მოდელზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს, კარგ შედეგებს იძლევა. კვლევის მთავარი საკითხი მუდმივმომენტიანი გამშლელი ზამბარებისა და გაშლის სისტემის მაკონტროლებელი ელექტროამძრავების შერჩევა და ინსტალირებაა. შემოთავაზებული მეთოდი მოცემულია „ESTEC”–ში, რომელმაც აჩვენა, რომ წარმოდგენილი არქიტექტურით შესაძლებელია მცირე წონის, მაღალი სიხისტისა და დიდგაბარიტიანი მოდულარული რეფლექტორების შექმნა.

4) „გარს–მემბრანული ამრეკლი ზედაპირი, დამზადებული ნახშირბოჭკოვანი სილიკონური მასალისაგან“ (69-78).

განხილულია გარს-მემბრანული ამრეკლი ზედაპირი, რომელიც დამზადებულია ნახშირბოჭკოვანი სილიკონური (carbon fiber reinforced silicone (CFRS)) მასალისაგან. ჩატარებული გაანგარიშებების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ახალმა მასალამ თავისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრებით შესაძლებელია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ლითონის ბადეს, რომელიც აქამდე გამოიყენებოდა დიდ გასაშლელ რეფლექტორებში. კერძოდ, იგი გამოირჩევა სიმსუბუქითა და ძალიან მცირე ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტით.

5) „დისკრეტულ კონცეფციაზე დაფუძნებული კოსმოსური პარაბოლური ანტენის ზედაპირის დიზაინი და გამოთვლა“ (193–199).

განხილულია პრობლემა, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსური პარაბოლური ანტენის შექმნასა და გაანგარიშებას. ანტენის ამრეკლი ზედაპირი, როგორც წესი, მიიღება კოსმოსურ სივრცეში დაკეცილი პაკეტის გაყვანისა და მისი შემდგომი ტრანსფორმაციის საფუძველზე. სტრუქტურული ელემენტები უნდა იყოს სათანადოდ გაანგარიშებული და მოდელირებული და გაშლის შემდგომ ელემენტები საპროექტო სიზუსტით უნდა იყოს განლაგებული ამრეკლ ზედაპირზე. პრობლემა გადაწყვეტილია გაანგარიშების დისკრეტული კონცეფციის საფუძველზე ანუ ბაგირ-ღეროვანი სისტემის დისკრეტულ წარმოდგენასა და სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების საფუძველზე.

6) „მსუბუქი გაშლადი რეფლექტორების ახალი კონსტრუქციები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საერთაშორისო ჟურნალში „მექანიკის პრობლემები“, №4(57), 15 გვ.).

აკად ე. მეძმარიაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით სტუ–ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

– „ტრანსფორმირებადი, გასაშლელი, ტრანსპორტირებადი სამხედრო დანიშნულების საიერიშო ხიდისა და სატანკო ხიდგამდების V–72–ის შექმნა“;

საიარაღო კომპლექსის, საიერიშო ხიდის AVLB.72-ის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დანერგვის საკითხი განისაზღვრა საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2013 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების დამუშავებული თეორიის შესაბამისად, არსებული პრაქტიკიდან მოწი-

ნავე გამოცდილების მიხედვით, განისაზღვრა საქართველოს რელიეფის ტიპის შესაბამისი, გასაშლელ-დასაკეცი, ტანკზე განთავსებული, საიერიშო სამხედრო ხიდის შექმნის კონცეფცია. შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი.

– „ვენახების ავტონომიური სეტყვასაწინააღმდეგო ტრანსფორმირებადი სისტემის შექმნა“;

შეიქმნა ვენახის ნარგავების სეტყვისა და ქარისაგან დაცვის სისტემის პრინციპული სქემა, რომელზეც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულია პატენტი. სქემის მიხედვით აიგო სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის სადემონსტრაციო მოდელი. პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია პრინციპული სქემის საფუძველზე ეფექტური და ეკონომიკური სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის შექმნა.

– „ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია და კონსტრუირების ლოგიკა“;

– „გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საცდელი კონსტრუქციის თეორიული კვლევა და კომპიუტერული გაანგარიშება“;

– „გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საცდელი კონსტრუქციის ექსპერიმენტული კვლევა“;

– „გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საფრენოსნო ვარიანტის ფუნქციონალური მოდელის შექმნის წინაპირობების განსაზღვრა“;

– „საქართველოს ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადების, საბრძოლო მოქმედებების და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სისტემატიზებული კონცეფციის განსაზღვრის და თეორიული საფუძვლების შექმნის აქტუალური მიმართულებების მიხედვით ამოცანების და ზოგადი პრინციპების სისტემატიზაცია და სამეცნიერო საფუძვლების პრიორიტეტების განსაზღვრა“.

დასრულდა მუშაობა სამეცნიერო-პოპულარულ ქართულ სამხედრო ენციკლოპედიურ ლექსიკონზე.

აკად. ე. მეძმარიაშვილს მიღებული აქვს 4 პატენტი:

– „მექანიზებული ხიდი და ხიდის დამწყობი" (საქპატენტი, P 6066);

– „ყურძნის საჭყლეტი მოწყობილობა" (საქპატენტი, №13481/01);

– „მფრინავი თეფშის ფორმის მქონე ნაგებობა" (საქპატენტი, №13536/01);

– Mechanical support ring structure WO2013135298 (A1), 03. 15. 2012. ევროპატენტი.

შესრულდა ევროპული კოსმოსური სააგენტოს პროექტი – „დიდი აპერტურის ანტენები ულტრასტაბილურ მემბრანაზე".

აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი

წიგნები

1) „საინჟინრო სამუშაოების და საგანგებო სიტუაციების მართვის უსაფრთხოების წესები, ცნებები და განმარტებები" (I ნაწილი, 331 გვ.) (საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი'').

2) „საინჟინრო სამუშაოების და საგანგებო სიტუაციების მართვის უსაფრთხოების წესები, ცნებები და განმარტებები" (II ნაწილი, 452 გვ.) (საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი'').

3) „საინჟინრო სამუშაოების და საგანგებო სიტუაციების მართვის უსაფრთხოების წესები, ცნებები და განმარტებები" (III ნაწილი, 313 გვ.) (საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი'').

4) „საინჟინრო სამუშაოების და საგანგებო სიტუაციების მართვის უსაფრთხოების წესები, ცნებები და განმარტებები" (IV ნაწილი, 337 გვ.) (საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი'').

1), 2), 3), 4) წიგნში წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალა ამომწურავ ინფორმაციას იძლევა საინჟინრო დარგის ყველა სახის სამუშაოების უსაფრთხოებასა და საგანგებო სიტუაციების მართვაზე. არ არსებობს სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომლის განვითარებასთან ერთად არ იზრდებოდეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ფაქტორები და მოსალოდნელი უბედური შემთხვევები. შრომის უსაფრთხოების და რისკების შეფასების წესების, ცნებების და განმარტებების დამხმარე სახელმძღვანელო დამუშავებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად.

დამხმარე სახელმძღვანელო გარკვეულ სარგებლობას მოუტანს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, ტექნიკური უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებს, მომავალ ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს.

შენიშვნები და სურვილები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ სახელმძღვანელოს გაუმჯობესებას, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის სიწმინდის დაცვას, ავტორების მიერ მადლობით იქნება მიღებული.

სტატიები

1) „საინჟინრო ნაგებობების საექსპლუატაციო მდგომარეობის ექსპერტული შეფასების მეთოდიკა" (სტუ-ის შრომათა კრებული №1(49), საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი").

შემოთავაზებულია ხანგრძლივი ექსპლუატაციის პროცესში მყოფი საინჟინრო ნაგებობების და მათი ელემენტების საექსპლუატაციო მდგომარეობის მახასიათებელი პარამეტრების ექსპერტული შეფასების შესაძლო მეთოდიკა, რომელიც „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის" პრინციპის გამოყენებით საანალიზო სუბიექტურ-ექსპერიმენტულ განაზომთა „არამკაფიო" სახის მონაცემთა მათემატიკური დამუშავებისა და შესაბამისად ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა.

2) „რეგიონის მდგრადი განვითარების ორგანიზაციული სისტემის ეფექტურად მართვის მოდელის შემუშავება” (სტუ–ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №18, 19–24).

რეგიონალურ განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონალური ეკონომიკა. რეგიონალური განვითარება ხასიათდება რეგიონალური განვითარების ფაქტორებით. იმისათვის, რომ შევისწავლოთ რეგიონალური მართვის პრობლემები, საჭიროა შევისწავლოთ რეგიონალური განვითარების ფაქტორები (ინდიკატორები). ვინაიდან რეგიონალური განვითარების მახასიათებელი კრიტერიუმების რიცხოვნობა ძალზე დიდია, იმიტაციური მოდელირების ციკლში ყალიბდება რეგიონალური განვითარების კვლევის მრავალი სცენარი. განხილული ნაშრომი მიზნად ისახავს დამუშავდეს, რეგიონალური განვითარების მახასიათებელ ფაქტორთა ველიდან, მაღალი მნიშვნელობის ფაქტორთა ქვესიმრავლის შერჩევის მოდელი, რომელიც შემდგომ იქნება საბაზისო ფაქტორთა ველი კვლევითი სცენარების დასამუშავებლად. განხილულია, აგრეთვე, რეგიონის მდგრადი განვითარების კვლევითი მოდელები.

3) „ბიომეტრიული ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში” (სტუ–ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №18, 25–30).

წარმოდგენილია ელექტრონულ საარჩევნო სისტემებში ბიომეტრიის გამოყენების უპირატესობები და პრობლემები. შემოთავაზებულია ბიომეტრიული საარჩევნო სისტემის პერსპექტიული პროტოკოლი. გაანალიზებულია ბიომეტრიული საარჩევნო სისტემის კონკრეტული გამოყენების შედეგები.

აკად. ა. ფრანგიშვილმა მონაწილეობა მიიღო გრანტებში:

– „ბიომეტრიული ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში” (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი, №NAR/183/4-100/13);

– „ეფექტური ბიომეტრიული ტექნოლოგიების დამუშავება მსხვილმასშტაბიანი საარჩევნო სისტემის მაგალითზე“ (2014–2016 წწ.) (სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი გამოყენებითი კვლევებისათვის, საგრანტო ხელშეკრულება №AR/183/4-100/13).

აკად. ა. ფრანგიშვილი იყო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

– მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ნანოტექნოლოგიები” (ნანო 2014) (თბილისი);

– მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ” (თბილისი);

– მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მეცნიერება და რელიგია” (თბილისი);

– პოლონურ-ქართული სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია – „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია” (თბილისი);

– მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმი – „პირველი მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია” (თბილისი);

– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კრეტული გრაფიკული და ბაბილონური ასტრონომიულ-ქრონოლოგიური სისტემები ძველ ქართულ ანბანში და ძეგლებზე” (თბილისი);

– საქართველოს ეროვნული გმირის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება (თბილისი);

– ნატოს სამეცნიერო კონფერენცია – „ბირთვულ-რადიაციული ნანოსენსორები და ნანოსენსორული სისტემები” (თბილისი);

– ტექნ. მეცნ. დოქტ., საქართველოში მშენებლობაში ავტომატური პროექტირების სისტემების კათედრის დამფუძნებლის იუზა ვერულავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ოლიმპიადა პროგრამირებაში (თბილისი).

აკადემიკოსი ვახტანგ ჭიჭინაძე

სტატია

„ენერგეტიკაში მიმდინარე ტენდენციებისა და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების შესახებ“ (თანაავტორობით; სტუ–ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №18, 74-82).

გაანალიზებულია მსოფლიოში ელექტროენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და სათანადო მონაცემები. ნაჩვენებია, რომ საქართველოს ეკონომიკურად მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია უახლოეს ათწლეულებში მიღწეულ იქნეს ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების დონე 40-45 მლრდ. კვტ. სთ-მდე.

დამუშავებულია მაგენერირებელი ელექტროსადგურების მათემატიკური მოდელი, რის საფუძველზეც ამოხსნილია სათანადო ოპტიმიზაციის ამოცანა. ნაჩვენებია, რომ საქართველოს შეუძლია საკუთარი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის რესურსებით უზრუნველყოს ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 45 მლრდ. კვტ. სთ დონემდე.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გურამ გაბრიჩიძე

მონოგრაფია

„წესრიგი და უწესრიგობა” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 80 გვ., ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

მონოგრაფიის პირველი ნაწილი ეხება ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობას. უწესრიგობის ლოკალური და გლობალური გამოვლინებები ბუნებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბუნებრივად ბადებს კითხვას – წესრიგისა და უწესრიგობის ერთდროულად არსებობა და მათი მონაცვლეობა კაცობრიობის განვითარების ზეაღმავალი სპირალის რგოლებია, თუ

ქაოსში დაბრუნების მუდმივი საფრთხე და გამოწვევა. მონოგრაფიის მეორე ნაწილი ეხება მიწისძვრასთან კაცობრიობის დამოკიდებულებას.

ნაშრომის პრეზენტაცია ჩატარდა თსუ–ის ილია ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

სტატია

„ზოგიერთი მოსაზრება პერმანენტულ რისკთან დაკავშირებით საინჟინრო სეისმოლოგიის კონტექსტში" (10 გვ., Vulnerability, Uncertanity and Risk Quantification, Mitigation and Managment. Edited By Michael Beer, Siu-Kui Au and Jim W. Hall. ASCE Council on Disaster Risk Management,. Monograph №9, 2157–2166, 2014).

მოცემულია სეისმომედეგი მშენებლობის თანამედროვე კონცეფციის კრიტიკა, ნაჩვენებია რისკის ელემენტები, რომელთაც შეიცავს ეს კონცეფცია და მისი რეალიზაციის პრაქტიკა. თუ კაცობრიობამ არ გააცნობიერა სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიაში ჩადებული რისკის დონის შემცირების აუცილებლობა, XX საუკუნეში მთელ მსოფლიოში აშენებული სეისმურად არასაიმედო შენობების რაოდენობა XXI საუკუნეში კიდევ უფრო მოიმატებს.

აკად. წევრ–კორ. გ. გაბრიჩიძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და წარადგინა მოხსენებები:

– „ზოგიერთი მოსაზრება პერმანენტულ რისკთან დაკავშირებით საინჟინრო სეისმოლოგიის კონტექსტში" (Second International Conference on Vulnerability and Risk Analysis and Sixth International Symposium on Uncertanity, Modeling and Risk Analysis (ISUMa), ლივერპული, დიდი ბრიტანეთი);

– „წესრიგი და უწესრიგობა" (საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეხუთე ყოველწლიური კონფერენცია, თბილისი).

აკად. წევრ-კორ. გ. გაბრიჩიძე აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროებთან. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წინაშე დასმულია საკითხი ქვეყნის

სეისმური უსაფრთხოების მიმართულებით ღონისძიებების დაგეგმვის აუცილებლობის შესახებ. ჩამოყალიბებულია „საქართველოს სეისმური დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 2015-2019 წლების პრიორიტეტები (პროექტი), რომელიც გადაეგზავნა კრიზისების მართვის საბჭოს.

იგი აქტიურად მონაწილეობს ილია ვეკუას სახელობის ეგიდით ჩამოყალიბებულ მათემატიკურ სკოლაში „ნაბიჯ–ნაბიჯ ცოდნისაკენ”, რომელიც ნერგავს მოზარდ თაობაში ცოდნის გადატანის თანამედროვე მეთოდებს.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გიორგი გოგიჩაიშვილი

სტატიები

1) „განაწილებული ბიზნეს-პროცესების მართვის საინფორმაციო სისტემების აგება პეტრის ქსელების და ობიექტ-როლური მოდელირების საფუძველზე“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე ტ. 8, №1, 58–64, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროექტებისა და პროგრამირების საკითხები, მათი პროცეს-ორიენტირებული და ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, ანალიზის და რეალიზაციისათვის. მასობრივი მომსახურების მოდელების საფუძველზე ჩატარებულია კომერციული მართვის სისტემების ქსელის აგების მაჩვენებლების ანალიზი. მარკოვული პროცესების გამოყენებით განისაზღვრება კლიენტ-სერვერული არქიტექტურის სტრუქტურა და შემოთავაზებულია ალგორითმული სქემების რეალიზაცია მათ გადასაწყვეტად. განიხილება ობიექტ-როლური მოდელირების პრობლემა ინტერკორპორაციული ავტომატიზებული სისტემისათვის და შემუშავებულია მისი განხორციელების გზა.

2) „მულტიმოდალური გადაზიდვების ბიზნეს-პროცესების ავტომატიზებული მართვის კონცეფცია“ (თანაავტორობით; ჟ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, №2(18), 45–50).

განიხილება მულტიმოდალური გადაზიდვების ავტომატიზებული მართვის კონცეფცია, ისეთი ობიექტები, როგორიცაა პორტი, გემი, თვითმფრინავი, მატარებელი, საბაჟო, ავტოტრანსპორტი და სხვა. თითოეულის გაანალიზებისას ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც შესაძლოა ზემოქმედებდეს მულტიმოდალური გადაზიდვების ეფექტიანობაზე (დრო, ხარჯი და ა. შ.).

3) „სასჯელაღსრულების საქმის წარმოების ავტომატიზებული მართვის კონცეფცია“ (თანაავტორობით; ჟ. „ინტელექტი“, №2(49), თბილისი, 26–29).

მოცემულია სასჯელაღსრულების საოფისე საქმის წარმოების ავტომატიზებული მართვის შემმუშავებელი კონცეფციის ზოგადი სტრუქტურული სქემა, რომელიც მოდულურ პრინციპზეა აგებული.

აკად. წევრ–კორ. გ. გოგიჩაიშვილმა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „კომპიუტინგი, ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები“ – წარადგინა ორი მოხსენება (ბათუმი):

1) „ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები მართვის ავტომატიზებულ სისტემებში“;

2) „საინფორმაციო სისტემების დაპროექტება და რეალიზაცია UML/2 ტექნოლოგიით NET პლატფორმაზე“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
დავით თავხელიძე

მონოგრაფია

„მოძრაობის მრავალი თავისუფლების ხარისხის ბერკეტული მექანიზმის კინემატიკური და ძალოვანი ანალიზი“

(გადაცემულია გამოსაქვეყნებლად სტუ-ის გამომცემლობაში, 156 გვ.).

შემოთავაზებულია მოძრაობის ორი და მრავალი თავისუფლების მქონე ხუთრგოლა ბერკეტული მექანიზმების კინემატიკური პარამეტრების გაანგარიშების ორიგინალური მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ერთგვაროვან კოორდინატთა სისტემის გამოყენებაზე. აღნიშნული მეთოდი შესაძლებელია წარმატებით იქნეს გამოყენებული მრავალრგოლიანი, ბერკეტული მექანიზმების როგორც პირდაპირი, ასევე უკუგეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას. გამოთვლების შედეგად მიღებული ალგორითმები და მათ საფუძველზე შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დაწერილია პროგრამა „Photonis" პლატფორმის ბაზაზე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კინემატიკურ წყვილებში ჩაშენებული ამძრავების მართვისათვის, მიღებული შედეგები კი – რთული ბერკეტული მექანიზმების დაგეგმარებისას, მათი მართვის ალგორითმების შედგენისას, ასევე, მექანიზმებისა და მანქანათა თეორიის კურსის სწავლებისას.

„საქპატენტში" გადაცემულია განაცხადი 13118/01 – „სპეციალური საჭიროების მქონე პირების გადასაადგილებელი კიბეზემავალი სატრანსპორტო საშუალება".

აკად. წევრ–კორ. დ. თავხელიძე მონაწილეობს გრანტებში:

– „თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების შესაბამისი უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაცია საქართველოს, უკრაინისა და უზბეკეთის უმაღლეს სასწავლებლებში (ENGITEC)" (Tempus joint project EACEA №25/2011);

– „კვლევების შედეგების გამოგონებებში გარდაქმნისა და დანერგვის მხარდაჭერა ეპკ-ის ქვეყნების სოფლის მეურნეობის სექტორში (SUAFRI-EPC)" (Proposal FP7-INCO-2013-9, №609553).

მიმდინარეობს სამუშაოები:

– სპეციალური საჭიროების მქონე პირების გადასაადგილებელი კიბეზემავალი სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის შექმნისათვის;

– ბისაწვავის ბრიკეტების დამამზადებელი ნახევრად ავ-ტომატური სამრეწველო ხაზის შექმნისათვის.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
რამაზ ხუროძე

სტატია

„ნეირონების რაოდენობის განსაზღვრა კლასტერირების მეთოდის გამოყენებით ამოცნობის პროცესისათვის“ (თანაავ-ტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №2, 49–57, ინგლისურ ენაზე).

როგორც ცნობილია, თანამედროვე ნეირონული ქსელე-ბის შრეებში ნეირონების რაოდენობა განისაზღვრება ექსპერი-მენტის საფუძველზე, თეორიული დასაბუთების გარეშე, ევ-რისტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე. წარმოდგენილ სტატიაში შრეებში ნეირონების რაოდენობის განსაზღვრის პროცედურა შემოთავაზებულია კლასტერირების საფუძველ-ზე. ასევე, მსგავსების ზომად კლასტერირებისათვის გამოყენე-ბულია ფორმალური ნეირონის ამომცნობი ფუნქცია „სკალა-რული პროდუქტი“. კლასტერირება და ამოცნობა სრულდება მაღალი საიმედოობით. პირველ საფეხურზე ნეირონთა რაო-დენობა განისაზღვრება მხოლოდ ერთი სახისათვის, შემდეგ ეტაპზე ნეირონების რაოდენობის შესწორებისას მხედველო-ბაში მიიღება სხვა სახეთა აღწერები (ეტალონები).

აკად. წევრ–კორ. რ. ხუროძე იყო ძირითადი შემსრულე-ბელი შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული დასრულებული პროექტისა – „ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის (სტრუქტურული მართვის) ახალი ნახევრადმარკოვული მო-დელები“ (2012–2014).

პროექტის განხორციელების შედეგად წარმოდგენილია სრულიად ახალი ტიპის თანამედროვე და პერსპექტიული ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის

(საიმედოობრივი და სტრუქტურული ოპტიმიზაციის ეკონომიკური კრიტერიუმებით განსაზღვრული) ახლებური მოდელები რთული ტექნიკური სისტემების მომსახურების ორი მთავარი ოპერაციის – ჩანაცვლებებისა და აღდგენების ადეკვატური აღწერის თვალსაზრისით. მიმდინარეობს პროექტის ძირითადი შედეგების განზოგადება, რასაც რთული ტექნიკური სისტემების სტრუქტურული მართვის საჭიროებისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ექნება.

აკად. წევრ-კორ. რ. ხუროძის ხელმძღვანელობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრში ჩატარდა შემდეგი სამუშოები:

1) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიისა“ და სტუ-ის 2014 წლის 8 დეკემბრის კონტრაქტის საფუძველზე, უკრაინის „უკრწყალპროექტის” კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. თემამზე ასაშენებელი წყალსაცავის დეტალურ საინჟინრო სამუშაო პროექტზე განხორციელებულია ტექნიკური ექსპერტიზა.

2) იმავე კონტრაქტის საფუძველზე, ბელორუსიის რესპუბლიკის „ბელწყალპროექტის” მიერ საქართველოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. არხაშენის ხევზე არხაშენის წყალსაცავის მოწყობის” დეტალურ საინჟინრო სამუშაო პროექტზე განხორციელებულია ტექნიკური ექსპერტიზა.

3) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის (MOAO 1400035070,25.08.2014) და მასთან დადებული ხელშეკრულების (№906 ს/ბ 14) საფუძველზე, შპს „ჯეოინჟინერინგის“ მიერ დამუშავებულ პროექტზე – „დუშეთის მუნიციპალიტეტის ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლისა და კატასტროფული წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტი“ – განხორციელებულია ტექნიკური ექსპერტიზა.

ზემოაღნიშნული მასშტაბური, დიდი ტევადობისა და ღირებულების წყალსაცავების მშენებლობის დაწყება დაგეგმილია 2015 წელს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისთვის.

პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა გაგრძელდება.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან ჯაფარიძე

სტატიები

1) „ღია წესით გაყვანილი ორმალიანი გვირაბის სტატიკური გაანგარიშება“ („სამთო ჟურნალი“, №1(32), თბილისი, 45-47).

განხილულია მიწის ზედაპირთან ახლოს ღია წესით გაყვანილი გვირაბის მუშაობა შემცველი ქანებისა და კონსტრუქციის საკუთარი წონით გამოწვეულ დატვირთვებზე. მოცემულია სწორხაზოვანელემენტებიანი ორმალიანი ჩარჩოს სტატიკური გაანგარიშების ანალიზური აპარატი, მიღებული ძალთა და გადაადგილებების მეთოდებით.

2) „ღია წესით გაყვანილი ორმალიანი გვირაბის სტატიკური გაანგარიშება“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №1, 47–50, ინგლისურ ენაზე).

თანამედროვე ურბანიზაციის პირობებში საცხოვრებელი სივრცის დეფიციტის ინტენსიური და საყოველთაო ზრდა სულ უფრო აუცილებელს ხდის ზედაპირთან ახლოს განლაგებული მიწისქვეშა სივრცეების მაქსიმალურ ათვისებას მათში საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სამრეწველო და მრავალი სხვა დანიშნულების ობიექტების განთავსებისათვის. მათი საიმედო დაპროექტება, უსაფრთხო და ეფექტური მშენებლობა საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს. სამუშაო სტიმულირებულია აშშ–ს ტრანსპორტის დეპარტამენტის შოსე გზების ნაციონალური ინსტიტუტის ტექნიკური სახელმძღვანელოთი, რომელშიც (FHWA-NHI-10-034) „ღია წესით“ გაყვანილი გვირაბის

გაანგარიშება რეკომენდებულია ძალთა და გადაადგილების მეთოდების გამოყენებით. შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, არსებული კომპიუტერული პროგრამები, მაგრამ ისინი ხანდახან იძლევიან მკაცრი ანალიზური გაანგარიშებებისაგან განსხვავებულ შედეგებს. განხილულია მიწის ზედაპირთან ახლოს ღია წესით გაყვანილი გვირაბის მუშაობა შემცველი ქანებისა და კონსტრუქციის საკუთარი წონით გამოწვეულ დატვირთვებზე. მოცემულია სწორხაზოვანელემენტებიანი ორმალიანი ჩარჩოს სტატიკური გაანგარიშების ანალიზური აპარატი, მიღებული ძალთა და გადაადგილებების კლასიკური მეთოდებით.

3) „საქართველოს სამეცნიერო სისტემის განვითარების პრობლემები“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №70, 2014).

4) „ქანების ცილინდრული ნიმუშების დაძაბულ–დეფორმირებული მდგომარეობა მათი გაჭიმვის სიმტკიცის დადგენის არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საერთაშორისო ჟურნალში: „Rock Mechanics and Geotechnical Engineering (JRMGE)“).

აკად. წევრ–კორ. ლ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით სრულდებოდა ბიუჯეტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო – „ღია წესით გაყვანილი მიწისქვეშა ნაგებობების ბუნებრივ და ხელოვნურ სეისმურ დატვირთვებზე სტატიკური და კონსტრუქციული გაანგარიშების ანალიზური აპარატისა და კომპიუტერიზებული მოდელის შექმნა”.

შესწავლილ იქნა მიწისქვეშა ნაგებობების ბუნებრივი მიწისძვრებით გამოწვეული საშუალო და მძიმე დაზიანებები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას. ლიტერატურულ წყაროებში აღწერილი ავარიების მრავალი მაგალითის ანალიზი ადასტურებს, რომ მიწისქვეშა ნაგებობებზე ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის მიწისძვრების სეისმური ზეგავლენების შეფასების თეორია, გაანგარიშებისა და დაპროექტების მეთოდოლოგია კვლავაც რჩება აქტუალურ სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემად.

ანალიზური მეთოდით დადგენილ იქნა წრიული კვეთის გაუმაგრებელ და გამაგრებულ გვირაბებზე ბუნებრივი მიწისძვრის გრძივი ტალღების ზემოქმედებით გამოწვეული დრეკადი დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობები. მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილია საყოველთაოდ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ნაგებობის გაანგარიშებისას დომინანტი უნდა იყოს განივი ტალღები, ყოველთვის არ შეიძლება იყოს სამართლიანი.

დადგენილ იქნა, რომ გრძივი ტალღებისაგან გამოწვეული ძაბვები ხშირად შეიძლება კიდეც აღემატებოდეს განივი ტალღებით წარმოშობილ მაქსიმალურ ძაბვებს. საერთოდ კი მათი გაუთვალისწინებლობა დატვირთვების კომბინაციების სქემებში არ წავა ნაგებობის მდგრადობის მარაგში.

ანალიზური და რიცხვითი მეთოდებით შემუშავდა: ღია წესით გაყვანილი სწორხაზოვანელემენტებიანი ხისტი ჩარჩოვანი ტიპის მიწისქვეშა ნაგებობების სტატიკური და კონსტრუქციული გაანგარიშების მეთოდები მათზე გრძივი და განივი სეისმური ტალღების გავლისას; სტატიკური გრავიტაციული და მიწისძვრის სეისმური წარმოშობის ძაბვებისა და დეფორმაციების სუპერპოზიციის სქემები; ნაგებობის შესაძლო დაზიანების სქემები.

აკად. წევრ–კორ. ლ. ჯაფარიძე მონაწილეობდა აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის საგრანტო პროგრამაში – „რადიაციული ნარჩენების შესანახად ახალი ცილინდრული კონტეინერების დამზადება აფეთქების ენერგიის გამოყენებით“ (2013–2015).

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო პრობლემების, ენერგეტიკისა და მართვის თეორიის კომისიის წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ქვეკომისიამ 2014 წელს ჩაატარა ორი სხდომა, რომელზეც განხილული იყო:

– ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოს დასავლეთის შახტის მიწისქვეშა გაზიფიკაციის შესაძლებლობის დადგენის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები;

– ქალაქის ფარგლებში მიწისქვეშა სივრცეების ათვისების პერსპექტივები და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები;

– ახალგაზრდა, კვალიფიციური სამეცნიერო-საინჟინრო კადრების მომზადების საკითხები.

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 9 საერთო კრება. განხილულ იქნა შესაბამისი პროფილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები. ამ მიზნით აღნიშნული ანგარიშების შესაფასებლად განყოფილების მიერ გამოყოფილ იქნა რეცენზენტები (სულ განხილულ იქნა 21 ანგარიში).

2014 წელის 17-18 ნოემბერს განყოფილებამ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტთან ერთად ჩაატარა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოს ვ. გომელაურის 100 და მართვის სისტემების ინსტიტუტის პირველი დირექტორის ა. ელიაშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ორდღიანი სამეცნიერო სესია. გამოცემულ იქნა იუბილარების ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი ბუკლეტები.

განყოფილების შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურმა საბჭომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად აირჩია პროფესორი ხორსტ ბაიერი.

საანგარიშო წელს განყოფილებამ მოისმინა და განიხილა შემდეგი სამეცნიერო მოხსენებები:

1) აკად. წევრ–კორ. ლ. ჯაფარიძის მოხსენება – „მიწისქვეშა სივრცეების გამოყენების პერსპექტივები და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემები“;

2) აკად. წევრ–კორ. გ. გაბრიჩიძის მოხსენება სამშენებლო დარგის ევროპის ტექნიკურ, სამართლებრივ და საგანმანათლებლო სფეროსთან ინტეგრაციის საკითხების შესახებ;

3) მეცნიერებათა დოქტორის ვ. მძინარიშვილის მონოგრაფიის – „თვითორგანიზებადი და ორგანიზებადი სისტემების თანამედროვე თეორიის ახალი ასპექტები. ოპტიმიზაციური მიდგომა თვითორგანიზებადი სისტემების თეორიისადმი“ – შესახებ;

4) აკად. წევრ-კორ. გ. გაბრიჩიძის მოხსენება – „წესრიგი და უწესრიგობა“.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 7 წევრი, მათ შორის 5 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2014 წელს გამოაქვეყნეს 1 წიგნი, 2 შრომათა კრებული და 24 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია

სტატიები

1) „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პრობლემები“ (თანაავტორობით; ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3(17), 40–44).

განხილულია საქართველოს ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და მნიშვნელობა. მოცემულია მათი ამომწურავი დახასიათება და შესაბამისი რეკომენდაციები რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ. წარმოდგენილია საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების ცენტრის შექმნისა და განვითარების მოკლე ისტორია; ინფორ-

მაცია მისი სამეცნიერო კადრების შესახებ; ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი თემატიკა და შესრულებული უმთავრესი სამუშაოების ჩამონათვალი. განხილულია ცენტრის მიმდინარე და პერსპექტიული კვლევების პრობლემატიკა.

2) „უსხმულო გლინვის მეთოდით თხელი ლითონური ფურცლების წარმოების ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა“ (თანაავტორობით; გადაცემულია დასაბეჭდად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბეში, ინგლისურ ენაზე).

დეტალურად არის განხილული პირველადი ნამზადის ფორმირების მექანიზმი კომბინირებულ კრისტალიზატორში. წარმოდგენილია „უსხმულო გლინვის“ პროცესის ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრის მეთოდიკა და მათი ურთიერთკავშირი საჩამოსხმო-საგლინავი დანადგარის კონსტრუქციულ და ენერგომალოვან პარამეტრებთან. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო საცდელი ტიპის საჩამოსხმო-საგლინავი დანადგარის დაპროექტებასა და დამზადებას.

აკად. ი. ჟორდანიას მიღებული აქვს საქართველოს პატენტი „ღრუ მილნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის ხერხი“ (თანაავტორობით; P 5560).

იგი მონაწილეობდა ნავთობქიმიასა და ეკოლოგიაში მას–სპექტრომეტრიის მე–10 საერთაშორისო კონფერენციის (თბილისი) და ორგანულ ქიმიაში მე-3 საერთაშორისო კონფერენციის – „ორგანული სინთეზი განვითარების მამოძრავებელი ძალა“ (თბილისი) – მუშაობაში.

აკად. ი. ჟორდანია ხელმძღვანელობდა მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგობრივ კომისიას. კომისიამ განიხილა რამდენიმე საკითხი, მათგან აღსანიშნავია არაორგანული მასალათმცოდნეობის განვითარების პერსპექტივები, რომელიც ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების ჩარჩო–პროგრამის „ჰორიზონ 2020“–ის ფარგლებში მოიხსენიება 8 პრიორიტეტს შორის. ქვეყანას დიდი

მიღწევები და ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნია მასალათმცოდნეობის სფეროში. შემუშავებულია სალი შენადნობების ახალი ჯგუფი, დადგენილია ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალური პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ შენადნობის მაღალ საექსპლუატაციო თვისებებს და ერთ სტადიაში ლითონ-გარსაცმიანი სალი შენადნობების მიღების შესაძლებლობას. შემუშავებული ტექნოლოგიების საფუძველზე შესწავლილ იქნა, აგრეთვე, კალიუმის ტეტრაბორფტორიტის მონაწილეობით მიმდინარე რეაქციები, ბორის, ბორის კარბიდის და ბორის ნიტრიდის წარმოქმნის კანონზომიერებანი. ჩატარებული კვლევების შედეგად ბორის ანჰიდრიდიდან, ბორის მჟავიდან და მათი ნარევიდან სინთეზირებულ იქნა ელემენტარული ბორი, ბორის კარბიდი და ბორის ნიტრიდი. მიღებული ზეგამტარი მასალებიდან აფეთქების ენერგიის გამოყენებით შემუშავებულია დენგამტარი ზეგამტარი ნაკეთობების მიღების ტექნოლოგია. პირველადაა მიღებული საჯავშნე კომპოზიციური კერამიკული მასალა კოდური სახელწოდებით „თორი“.

აკად. ი. ჟორდანია ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისიის მუშაობას. ჩატარდა კომისიის 10 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა აქტუალური საკითხები (იხილე გვ. 269).

აკად. ი. ჟორდანია, როგორც საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა საინჟინრო აკადემიის ღონისძიებებში. მონაწილეობდა რუსეთისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობაში, როგორც ამ აკადემიების წევრი.

როგორც სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა ცენტრის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

აკადემიკოსი შოთა სამსონია

სტატიები

1) „N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-ბენზილიდენ-O-ფენილენდიამინის ზოგიერთი წარმოებულის სინთეზი" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №1, 78-84, ინგლისურ ენაზე).

სინთეზირებულია N-ადამანტილკარბონილ-O-ფენილენდიამინები და შესწავლილია მათი კონდენსაციის რეაქციები სხვადასხვა არილ ალდეჰიდებთან, კერძოდ, სალიცილის-, ბრომსალიცილის- და დიბრომსალიცილის ალდეჰიდებთან. მიღებული ნაერთების აგებულება დადგენილია ი.წ., უ.ი. და ბმრ სპექტრული მონაცემებით.

2) „ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ზოგიერთი ახალი დიპეპტიდის სინთეზი უგის რეაქციით იზოციანიდების ბაზაზე" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №2, 85-92, ინგლისურ ენაზე).

კლასიკური უგის რეაქციის გზით იზოციანიდების ბაზაზე განხორციელებულია ზოგიერთი ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი დიპეპტიდის სინთეზი ეთანოლის არეში სხვადასხვა ტემპერატურულ ინტერვალში. მორეაგირე კომპონენტებად გამოყენებულია სხვადასხვა არილ და ალკილ ამინები, ალდეჰიდები, ნიტრილები და ადამანტან-1-კარბონმჟავა. სინთეზირებული ნაერთების სტრუქტურები დადგენილია ბმრ და მასსპექტრული ანალიზებით.

აკად. შ. სამსონიამ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „ევრაზიის მე-8 კონფერენციაზე ჰეტეროციკლურ ქიმიაში" (EAMHC-2014), თბილისი, წაკითხულ იქნა 4 მოხსენება (თანაავტორობით):

1) „სინთეზური გამოკვლევები არასიმეტრიული ბისინდოლებისა და ტრიინდოლების სფეროში";

2) „ბენზიმიდაზოლები: სინთეზი, ბიოლოგიური აქტიურობა და მათი გამოყენების პერსპექტივა“;

3) „ახალი ბენზიმიდაზოლილინდოლოინდოლების სინთეზი“;

4) „4-ნიტრო-5-ალკოქსი-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლის ზოგიერთი წარმოებულის სინთეზი“.

– მე-3 საერთაშორისო კონფერენციაზე ორგანულ ქიმიაში – „ორგანული სინთეზი განვითარების მამოძრავებელი ძალა“ (ICOC-2014), თბილისი, წაკითხულ იქნა 8 მოხსენება (თანაავტორობით):

1) „5(6)-ალკოქსი- და 5(6)-კარბოქსი-2-1(ადამანტილ)- ბენზიმიდაზოლების წარმოებულების სინთეზი და შესწავლა”;

2) „ადამანტანის შემცველი ზოგიერთი ბენზილიდენების, ბენზიმიდაზოლების და დიპეპტიდების სინთეზი და შესწავლა“;

3) „დიპიროლონაფთალინები: სინთეზი, გამოკვლევა და ბიოლოგიური აქტიურობა“;

4) „სინთეზური გამოკვლევები 5-ფენილთიოინდოლის სფეროში“;

5) „არილჰიდრაზონების ინდოლიზაციის რეაქციის მექანიზმის ახალი მონაცემები“;

6) „ინდოლისა და ბის-ინდოლის ალდეჰიდების დეფორმილირების რეაქცია“;

7) „ინდოლის ბირთვის ქლორირების უჩვეულო რეაქციის ახალი მონაცემები“;

8) „ზოგიერთი სიმეტრიული პირიდაზინოინდოლის სინთეზი და გარდაქმნები”.

– „ზოგიერთი ბიოაქტიური ადამანტანის ფრაგმენტების შემცველი ახალი დიპეპტიდების სინთეზი“ (ახალგაზრდა მეცნიერთა მე-4 საერთაშორისო კონფერენცია ქიმიაში, თანაავტორობით, „Chemistry Todau-2014”, ერევანი, სომხეთი).

აკად. შ. სამსონიამ მოიპოვა საკონფერენციო გრანტი – მე-3 საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში – „ორგანუ-

ლი სინთეზი – განვითარების მამოძრავებელი ძალა” (ICOC-2014) (თბილისი, ხელშეკრულება CF/50/6-420/14, გრანტის ხელმძღვანელი).

იგი მონაწილეობდა გრანტებში მეცნიერი ხელმძღვანელის სტატუსით:

– „ადამანტანშემცველი ზოგიერთი ახალი ბენზიმიდაზოლების სინთეზი და კვლევა” (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტი, შიფრი DO/108/6-420/13);

– ქ. ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა უნივერსიტეტის გრანტი-სტიპენდია (პოლონეთი).

აკად. შ. სამსონია თსუ–ის ქიმიის ფაკულტეტზე ხელმძღვანელობდა სამ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს.

იგი, კონკურსის წესით, ერთობლივი სამეცნიერო კვლევის შესასრულებლად იყო ზაარბრიუკენის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორ-სტიპენდიატი (დამფინანსებელი ორგანიზაცია – „გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური“ (DAAD).

მან მონაწილეობა მიიღო კონფერენციის ორგანიზებაში:

1) „ევრაზიის მე-8 კონფერენცია ჰეტეროციკლების ქიმიაში (EAMHC-2014)“ (თბილისი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, www.chemistry.ge/conferences/eamhc-2014).

2) მე-3 საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში – „ორგანული სინთეზი განვითარების მამოძრავებელი ძალა“ (ICOC-2014) (თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე, www.chemistry. ge/conferences/icoc-2014).

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე

სტატიები

1) „Helleborus caucasicus-დან ნუკლეოზიდის ახალი დისაქარიდის გამოყოფა, სტრუქტურის დადგენა, ჰელეკაუკაზიდის და მისი β-ანომერის სრული სინთეზი“ (თანაავტორობით; Carbohydrate Research, 398, 80-89, ინგლისურ ენაზე).

Helleborus caucasicus მიწისქვეშა ნაწილებიდან გამოყოფილია ნუკლეოზიდის ახალი დისაქარიდი ჰელეკაუკაზიდი A, რომელიც წარმოადგენს 2’-O-α-D-რიბოფურანოზილურიდინს და 5’ მდგომარეობაში 4-ჰიდროქსიბენზოილის ჯგუფს შეიცავს. ნივთიერების სტრუქტურა დადგენილია მისი ქიმიური დეგრადაციით და სპექტროსკოპული ანალიზით - 1D/2D NMR, ქირალ GC და HRMS-ის გამოყენებით. ჰელეკაუკაზიდ A-ს და მისი β-ანომერის სრული სინთეზით ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა ნატურალური პროდუქტის სტრუქტურა.

2) „ზოგიერთი 5α-D-ჰომოსტეროიდის წარმოებულთა სინთეზი ტიგოგენინის საფუძველზე” (თანაავტორობით; Химия природных соединений, 3, 416-417, რუსულ ენაზე).

სტეროიდულ–ჰორმონული პრეპარატების სინთეზისათვის ავტორების მიერ მოწოდებული სტეროიდული საპოგენინის – ტიგოგენინის საფუძველზე სინთეზირებულია 5α-D-ჰომოსტეროიდების ახალი წარმოებულები:

– 17-აზა- D-ჰომოანდროსტ-2-ენ-16,17α-დიონი;

– (3β,5α)-აცეტოქსი-17-აზა- D-ჰომოანდროსტან-16,17α-დიონი;

– (3β,5α)-3-ჰიდროქსი-17-აზა- D-ჰომოანდროსტან-16,17α-დიონი;

– 2,3-დიჰიდროქსი-17-აზა-5α- D-ჰომოანდროსტან-16,17α-დიონი (7α,7β);

– (3β,5α)-17-აზა- D-ჰომოანდროსტან-3-ოლი.

სინთეზირებულ ნივთიერებათა სტრუქტურები სპექტრული ანალიზის მეთოდებითაა დადგენილი.

უკანასკნელი წლების ლიტერატურული მონაცემებით 5α-D-ჰომოსტეროიდები ანტივირუსული და ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტურობით ხასიათდებიან.

3) „სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატები საქართველოს მცენარეთა ფლორის ფენოლური ნივთიერებებისაგან“ (თანაავტორობით; Медицинский журнал Западного Казахстана, 3, 416-417, რუსულ ენაზე).

მოკლედაა მიმოხილული საქართველოში მოზარდი მცენარეებიდან შექმნილი ზოგიერთი პრეპარატი: ფლარონინი – ჰიპოაზოტემური, როდოპესი – ჰერპესის საწინააღმდეგო, სატურინი – ჰიპოგლიკემიური, სალბინი – ათერომატოზური, გინკობათი – სისხლძარღვთა სისტემის მომწესრიგებელი. აღწერილია, აგრეთვე, სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ეფექტურობის მქონე ფენოლური ნივთიერებების შემცველი მცენარეები.

4) „ქართულ მეცნიერებას სათავეში კვლავაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უნდა ჩაუდგეს (შევინარჩუნოთ ფარმაკოქიმიური მეცნიერება)” (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 მარტი, გვ. 5).

აკად. ე. ქემერტელიძე მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში და გამოაქვეყნა თეზისები:

1) „Helleborus caucasicus ყვავილების ფიტოქიმიური შესწავლა“ (თანაავტორობით; X Konferencia chromatograficzna, P-42, 190-191, ლუბლინი, პოლონეთი, ინგლისურ ენაზე);

2) „ახალი ფლავონოიდები Helleborus caucasicus-ის ფოთლებიდან“ (თანაავტორობით; X კონფერენცია ქრომატოგრაფიაში, P-43, 192-193, ლუბლინი, პოლონეთი, ინგლისურ ენაზე);

3) „საქართველოში ინტროდუცირებული Yucca gloriosa L., როგორც სტეროიდულ ნივთიერებათა მდიდარი წყარო“ (თანაავტორობით; მე–3 საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში (ICOG 2014), 25-28, 49-50, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

აკად. ე. ქემერტელიძე ხელმძღვანელობდა ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო თემას – „მნიშ-

ვნელოვანი ნედლეულის მქონე გამოვლენილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარეების კვლევა".

მას მიღებული აქვს 2 პატენტი:

– „რობინინის მიღების ხერხი", პატენტი U 1812 (თანავტორობით);

– „ჰიპოაზოტემური მოქმედების მქონე საშუალება მცენარე Pueraria hirsuta Matsum-ის ფოთლებიდან", პატენტი 6199 (თანაავტორობით).

აკად. ე. ქემერტელიძე დაჯილდოვდა საერთაშორისო ფონდის – „სამეცნიერო პარტნიორობა" საპატიო ნიშნის მედლით და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა მიმართულებას – „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა".

მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციისა და ტრადიციული მედიცინის ფაკულტეტს.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე

წიგნი

„ნიკელის(II) – ტრანს-დიიზოსელენოციანატოტეტრადიმეთილფორმამიდის $[Ni(NCSe)_2(HCON(CH_3)_2)_4]$ კრისტალების რენტგენოსტრუქტურული კვლევა".

წიგნი ეძღვნება ნიკელის(II) ტრანს-დიიზოსელენოციანატო ტეტრადიმეთილფორმამიდის $[Ni(NCSe)_2L_4]$ კრისტალების რენტგენოსტრუქტურულ კვლევას, სადაც L დიმეთილფორმამიდია. ამ ნაერთის კრისტალები მსგავსი შედგენილობის მქონე მანგანუმის(II), კობალტის(II) და ნიკელის(II) თიოციანატური ნაერთების იზოსტრუქტურულებია. წიგნი გათვალისწინებუ-

ლია რენტგენოსტრუქტურული ანალიზისა და კოორდინაციული ნაერთების კრისტალოქიმიის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის.

სტატიები

1) „ნიკელი(II)-ის 2,2',3,4-ტეტრაჰიდროქსი 3'-სულფო 5-ნიტროაზაბენზოლთან კომპლექსწარმოქმნის სპექტროფოტომეტრიული განსაზღვრა კათიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების თანაობისას" (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, №1, ტ.14, 43-47, რუსულ ენაზე).

შესწავლილია კათიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების - ცეტილპირიდინის ქლორიდის (ЦПС1), ცეტილპირიდინის ბრომიდის (ЦПВr), ცეტილტრიმეთილამონიუმის ბრომიდის (ЦТМАВr) გავლენა ნიკელის(II) 2,2',3,4-ტეტრაჰიდროქსილ-3'-სულფო-5-ნიტროაზაბენზოლთან კომპლექსწარმოქმნაზე. ერთგვაროვანი და შერეულლიგანდიანი - Ni(II)-R - ЦПС1, NI(II)-R- ЦПВr, Ni(II)-R – ЦТМАВr კომპლექსური ნაერთები წარმოიქმნებიან pH 4 და pH 3,2,2-ის დროს შესაბამისად. დადგენილია მორეაგირე კომპონენტების ფარდობა ერთგვაროვან (1:2) და შერეულლიგანდიან (1:2:2) ნივთიერებებში. განსაზღვრულია ინტერვალი, რომელიც ექვემდებარება ბერის კანონს. შემუშავებულია მთის ქანში ნიკელის(II) ფოტომეტრიული განსაზღვრის მეთოდიკა.

2) „გამხსნელის გავლენა ლითონებთან ფარმაცევტული პრეპარატების კომპლექსწარმოქმნის უნარზე. 2,4,6,8-ტეტრაეთილ-2,4,6,8-ტეტრააზაბიციკლო [3,3,0] ოქტანდიონ-3,7 (ბიკარეტი)" (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, №1, ტ.14, 200-205, რუსულ ენაზე).

ნახევრად ემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1-მეთოდით გამოთვლილია 2,4,6,8-ტეტრაეთილ-2,4,6,8-ტეტრააზაბიციკლო [3,3,0] ოქტანდიონ-3,7 (ბიკარეტი) ენერგეტიკული, გეომეტრიული და სტრუქტურული მახასიათებლები. გამოთვლების შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგენილია გამხსნელების

გავლენა ბიკარეტის ლითონებთან კომპლექსწარმოქმნის უნარზე.

აკად. გ. ცინცაძე მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში:

– ევრაზიის მე-8 კონფერენცია ჰეტეროციკლების ქიმიაში (EAMHC-2014) (თბილისი);

– მე-3 საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში – „ორგანული სინთეზი განვითარების მამოძრავებელი ძალა“ (ICOC-2014) (თბილისი);

– მას–სპექტრომეტრიის მე–10 საერთაშორისო კონფერენცია ნავთობქიმიასა და ეკოლოგიაში (თბილისი).

იგი მონაწილეობდა, აგრეთვე, აკადემიის აკადემიური საბჭოსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. არის ჟურნალების „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს, ქიმიის სერიის“ და „საქართველოს ქიმიური ჟურნალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

კითხულობდა ლექციებს ზოგად და არაორგანულ ქიმიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე.

მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი, არაორგანული და ანალიზური ქიმიის მიმართულების სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოების შესრულებაში. მომზადებულია სამეცნიერო სტატია რუსეთის ერთ–ერთ ცენტრალურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, რომელიც ეხება კობალტის(II) და ნიკელის(II) შერეულლიგანდიანი (პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის ჰიდრაზონები და ორთო-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულები) კოორდინაციული ნაერთების სინთეზს, მათი ფიზიკურ–ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების კვლევას.

აკადემიკოსი ბეჟან ჭანკვეტაძე

სტატიები

1) „ზოგიერთი ქირალური სულფოქსიდის ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდულ ქირალურ სვეტებზე პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით განსაკუთრებული აქცენტით ენანტიომერების ელუირების რიგზე“ (თანაავტორობით; J. Sep. Sci., 37(9-10), 1083-1088, ინგლისურ ენაზე).

ქირალური სულფოქსიდები წარმოადგენს სამკურნალწამლო საშუალებების (მაგალითად ომეპრაზოლი, ლანსოპრაზოლი, პანტოპრაზოლი და სხვ.), პესტიციდების, კატალიზატორების და ა. შ. მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ამ ნივთიერებების ენანტიომერების თვისებებს შორის ქირალურ გარემოში, როგორიც არის მაგალითად ცოცხალი ორგანიზმები, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქირალური სულფოქსიდების ანალიზური და პრეპარატული დაყოფა. ნაშრომი ეძღვნება ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერების დაყოფას მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფში ქირალურ სელექტორებად პოლისაქარიდული მასალების გამოყენებით. აღწერილია ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნების საინტერესო მაგალითები ქირალური სელექტორის ბუნების და მოძრავი ფაზის შედგენილობის მიხედვით.

2) „პოლისაქარიდის პროცენტული შემცველობისა და კორშელის ტიპის სილიკაგელის ფორების ზომის გავლენა ამილოზა ტრის(3,5-დიმეთილფენილ)კარბამატის საფუძველზე მომზადებული ქირალური სტაციონარული ფაზების ეფექტურობაზე ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით; J. Chromatogr. A, 1363, 363-371, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომი ეძღვნება ახალი ტიპის, მხოლოდ ზედაპირულად ფოროვანი სილიკაგელებისა და პოლისაქარიდული ქირალური სელექტორების საფუძველზე მომზადებული ქირა-

ლური სტაციონარული ფაზების გამოყენებას ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში. ეს არის ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა ამ მიმართულებით და მასში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სტაციონარულ ფაზაში ქირალური სელექტორის შემცველობის გავლენას ელექტროოსმოსური ნაკადის წარმოქმნასა და ქირალური დაყოფების ეფექტურობაზე.

3) „ქირალურ სელექტორსა და საანალიზო ნივთიერების ენანტიომერებს შორის წარმოქმნილი კომპლექსების ძვრადობისა და შეკავშირების მუდმივების გავლენის მაღალი გარჩევითობის დინამიკური კომპიუტერული სიმულაცია ენანტიომერების მიგრაციის რიგსა და დაყოფაზე ნეიტრალური ციკლოდექსტრინების თანაობისას“ (თანაავტორობით; Electrophoresis, 35, 2833-2841, ინგლისურ ენაზე).

ქირალურ კაპილარულ ელექტროფორეზში ითვლებოდა, რომ ენანტიომერული ნარევების დაყოფის ერთადერთ მექანიზმს წარმოადგენდა მათი შეკავშირების მუდმივების განსხვავებული მნიშვნელობები ქირალურ სელექტორთან. წარმოდგენილია მათემატიკური აპარატი, რომელიც ამ მოვლენის ზუსტი აღწერისა და მისი წინასწარმეტყველების საფუძველს იძლევა.

4) „მჟავა ბუნების სამკურნალწამლო საშუალებათა ენანტიომერების დაყოფის სტრატეგია კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში ქლორირებული და არაქლორირებული პოლისაქარიდული ქირალური სელექტორების გამოყენებით” (თანაავტორობით; Electrophoresis, 35, 2807-2818., ინგლისურ ენაზე).

ავტორების მიერ იაპონელ კოლეგებთან ერთად 1990-იან წლებში მოწოდებულ იქნა ახალი ტიპის ჰიბრიდული ქირალური სელექტორები პოლისაქარიდების საფუძველზე ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში. მოგვიანებით ამ მასალების კომერციალიზაცია მოხდა გერმანულ და ამერიკულ კომპანიებთან თანამშრომლობით. ეს მასალები ფართოდ გამოიყენება ენანტიომერული ნარევების

დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში, მაგრამ მათი გამოყენების პოტენციალი კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში დეტალურად არ არის შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულია ზემოთ ხსენებული ახალი ტიპის მასალების სისტემატური სკრინინგი ქირალურ სამკურნალწამლო საშუალებათა სხვადასხვა ჯგუფის ენანტიომერების დაყოფის მიზნით კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში. დადგენილ იქნა საინტერესო კანონზომიერებანი საანალიზო ნივთიერებების სტრუქტურასა და მათი ენანტიომერების ელექტროქრომატოგრაფიული დაყოფის მახასიათებლებს შორის.

5) „კათინონის ნაწარმი ახალი (დიზაინერი) ნარკოტიკების ენანტიომერების დაყოფა ამილოზა ტრის(2,5-დიმეთილფენილკარბამატის) საფუძველზე მომზადებული სტაციონარული ფაზის გამოყენებით კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში" (თანაავტორობით; Electrophoresis, 35, 3242-3249, ინგლისურ ენაზე).

უკანასკნელი წლების მანძილზე ხმარებაში შემოვიდა ბევრი ახალი ნარკოტიკული საშუალება. ახალი ნარკოტიკების შემუშავება ხდება, ძირითადად, იმ მიზნით, რომ მისმა გამსაღებლებმა და მომხმარებლებმა თავი აარიდონ სხვადასხვა ქვეყანაში შემოღებული სამართლებრივი ამკრძალავი კანონმდებლობის დარღვევას. ბევრი ახალი ნარკოტიკი იყიდება ინტერნეტის საშუალებით როგორც საკვების ბუნებრივი დანამატი, აბაზანაში გამოსაყენებელი მარილი, მატონიზებელი სასმელი და ა. შ. ბუნებრივი ნივთიერებები, ძირითადად, ენანტიომერულად სუფთა სახით არსებობს, მაშინ როდესაც მათი სინთეზური ანალოგები, როგორც წესი, რაცემატების სახით მიიღება. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების ენანტიომერების დაყოფა და ანალიზი მათი წარმომავლობის დადგენის საშუალებას იძლევა. აღწერილია კათინონის ტიპის 10 ასეთი ახალი ნარკოტიკის ენანტიომერების დაყოფა კაპილარული ელექტროქრომატოგრაფიის მეთოდის გამოყენებით.

აკად. ბ. ჭანკვეტაძე რედაქტორობდა:

– საერთაშორისო ჟურნალის „Electrophoresis“ სპეციალურ ტომს თემაზე – „ენანტიომერების დაყოფა“ (213 გვ. 2687-2900, გამომცემლობა Wiley-VCH, გფრ);

–საერთაშორისო ჟურნალის „Journal of Chromatography A“ სპეციალურ ტომს – „ენანტიომერების დაყოფა“ (თანაავტორობით; 371 გვ., გამომცემლობა „Elsevier“, ნიდერლანდები).

აკად. ბ. ჭანკვეტაძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მუშაობაში და გამოვიდა მოხსენებით:

– „ახალი გამოკვლევები ქირალური გამოცნობისა და ენანტიომერული ნარევების დაყოფის შესახებ თხევად ფაზაში“ (6-th Georgian-German School and Workshop in Basic Science, თბილისი).

გააკეთა მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე:

1) „ახალი გამოკვლევები ენანტიომერების დაყოფის მექანიზმების შესახებ კაპილარულ ელექტროფორეზში“ (30-th International Symposium on Microscale Bioseparations, პეჩი, უნგრეთი);

2) „ქირალური სამკურნალწამლო საშუალებების ენანტიომერების დაყოფა თხევადფაზური მეთოდებით“ (25-th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis, ლიეჟი, ბელგია);

3) „ახალი მიღწევები ენანტიომერების თხევადფაზური დაყოფის დარგში“ (7-th National Analytical Chemistry Congress of Turkey, კახრამანმარაში, თურქეთი);

4) „ახალი მიღწევები ენანტიომერების თხევადფაზური დაყოფების დარგში“ (30-th International Symposium on Chromatography, ზალცბურგი, ავსტრია);

5) „ახალი მიღწევები ქირალური სამკურნალწამლო საშუალებების ენანტიომერების დაყოფაში“ (Fourth International Meeting on Pharmacy and Pharmaceutical Sciences, IMPPS-4, სტამბოლი, თურქეთი);

6) „Lux ქლორირებული ქირალური სტაციონარული ფაზები: ისტორია და უახლესი მიღწევები ენანტიომერების დასა-

ყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში” (Chiral India 2014, მუმბაი, ინდოეთი).

აკად. ბ. ჭანკვეტაძეს ჩატარებული აქვს სემინარები – „Lux-ის სერიის ახალი ქირალური სტაციონარული ფაზები ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში” – უნივერსიტეტებში, ფარმაცევტულ და ქიმიურ კომპანიებში ბელგიაში, ამერიკის შეერთებული შტატებში და ინდოეთში. სემინარების საერთო რაოდენობა 10-ზე მეტია.

მას გაკეთებული აქვს სტენდური მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე:

– „ახალი, კორშელის ტიპის პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენება ენანტიომერების დასაყოფად ნანოქრომატოგრაფიაში (თანავტორობით; 30-th International Symposium on Microscale Bioseparations, პეჩი, უნგრეთი);

– „ქირალური ბეტა-აგონისტების ენანტიომერების დაყოფა სითხურ ქრომატოგრაფიაში ნორმალურფაზიანი ელუენტების გამოყენებით“ (თანაავტორობით; 25-th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis, ლიეჟი, ბელგია);

აკად. ბ. ჭანკვეტაძე ეწევა სამეცნიერო, პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას როგორც ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე და ფაკულტეტთან არსებული ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ხელმძღვანელობს სადოქტორო სამუშაოებს პროგრამით „ქიმია”, სპეციალიზაციით „ფიზიკური ქიმია” და სამაგისტრო პროგრამას – „ქიმიური ექსპერტიზა”.

იგი არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული ასოციაციის (CNR) საერთო საგრანტო პროექტის კოორდინატორი (2013–2014).

აკად. ბ. ჭანკვეტაძე მუშაობს საერთაშორისო ჟურნალის Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis (გამომცემლობა „Elsevier“, ამსტერდამი, ნიდერლანდები) მთავარ რედაქტორად. გარდა ამისა, იგი მიწვეულია შემდეგი საერთაშორისო ჟურნალების რედკოლეგიების წევრად: Journal of Chromatography A, Chirality, Electrophoresis, Journal of Separation Science, Current Analytical Chemistry, Current Pharmaceutical Analysis, Current Chromatography, Acta Chromatographica.

აკად. ბ. ჭანკვეტაძე იყო საერთაშორისო კონფერენციების სამეცნიერო საბჭოს წევრი:

– XXXVII Symposium on Chromatographic Methods for Investigation of Organic Molecules, კატოვიცე, პოლონეთი);

– 25th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis (PBA 2014), ლიეჟი, ბელგია);

– 21-st International Symposium on Electro- and Liquid-phase Separation Techniques, ნატალი, ბრაზილია).

მის მიერ იქნა ორგანიზებული და ჩატარებული 2 სამეცნიერო სექცია ქირალური დაყოფების შესახებ შემდეგ საერთაშორისო კონფერენციაზე: 30-th International Symposium on Microscale Bioseparations, პეჩი, უნგრეთი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გიორგი თავაძე

სტატიები

1) „სინთეზი ნანოკრისტალურ მასალებში Ti-Al სისტემაში“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენცია ბირთვული რადიაციის ნანოსენსორებზე „თბილისი – გაზაფხული 2014“, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 144-147, ინგლისურ ენაზე).

ამ ეტაპზე Ti-Al სისტემაში არ არსებობს მიკროსტრუქტურის ფორმირების მექანიზმების ადეკვატური ახსნა. თუმცა, მარცვლის ზომის გავლენის შესწავლამ ინტერმეტალიდების

მექანიკურ თვისებებზე ოთახის ტემპერატურაზე გამოავლინა პლასტიკურობის მჭიდრო კავშირი ზემოთ ხსენებულ პარამეტრებს შორის. ერთფაზიანი Ti-Al კომპოზიციების ფართო გამოყენება შეზღუდულია მათი ეფექტური და იაფი წარმოების ტექნოლოგიების სიმცირის გამო. შედარებით მარტივი და მნიშვნელოვნად ღირებული ტექნოლოგიის შემუშავება Ti-Al სისტემაში ერთფაზიანი და ნანოსტრუქტურული ინტერმეტალიდების წარმოებისათვის მნიშვნელოვანი და გადაუჭრელი ამოცანაა. პრობლემა შეიძლება გადაწყდეს ავტორების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად. ამ საკითხის გადაჭრის მიზნით ავტორებმა შეიმუშავეს ორიგინალური და უნივერსალური მოწყობილობა, რის შედეგადაც თმს ხორციელდება თბური აფეთქების რეჟიმში. ეს მოწყობილობა საშუალებას იძლევა დამზადდეს TiAl, Ti_3Al და $TiAl_3$ ერთფაზიანი მასალები და ნაკეთობები. ექსპერიმენტებმა, რომელიც ჩატარდა ერთფაზიანი კომპოზიტების მიღების მიზნით, ავტორებს საშუალება მისცა დაედგინათ სასურველი ერთფაზიანი კომპოზიტების მიღების პირობები და ოპტიმალური მახასიათებლები.

2) „თმს მეთოდით მიღებული დარტყმის მიმართ მედეგი კერამიკული კომპოზიტები“ (თანაავტორობით; XII საერთაშორისო სიმპოზიუმი ახალი მასალების ფეთქებად პროდუქტებზე. მეცნიერება, ტექნოლოგია, ბიზნესი და ინოვაციები. გვ. 136, კრაკოვი, პოლონეთი, ინგლისურ ენაზე).

თმს მეთოდით სინთეზირებული სალი შენადნობები და კომპოზიციური მასალები კარბიდების, ბორიდებისა და კარბონიტრიდების ფუძეზე ხასიათდებიან ისეთი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მაღალი მნიშვნელობებით, როგორებიცაა: სისალე, სიმტკიცე კუმშვაზე, ცვეთამედეგობა, ხენჯმედეგობა, მედეგობა აგრესიულ არეებში. ამასთან, ისინი ინარჩუნებენ ამ თვისებებს მაღალ ტემპერატურაზე. ამის გამო იგი ფართოდ გამოიყენება ტექნიკის სხვადასხვა სფეროებში, თუმცა მათი უფრო ფართო გამოყენება შეზღუდულია სიმყიფით, რის გამოც ამ მასალებს არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ სე-

რიოზულ დარტყმით დაძაბულობას. სალი შენადნობების თვისებების ზემოთ აღნიშნული ნაკლი შეიძლება აღმოიფხვრას გრადიენტული მასალების მიღების გზით ან სალი შენადნობების სტრუქტურის დაწვრილმარცვლოვნებით. თმს-კომპაქტირების მეთოდით სალი შენადნობების მიღების განსაკუთრებული პირობების გამო, შესაძლებელია არაწონასწორული სტრუქტურის მქონე გადაჯერებული მყარი ხსნარების მიღება წვრილმარცვლოვანი 1-მკმ სტრუქტურით. ჩატარებული კვლევები მიზნად ისახავს წვრილმარცვლოვანი 1-მკმ და ნაწილობრივ ნანოსტრუქტურული მასალების შექმნას, რომლებსაც ექნებათ სალი შენადნობების დამახასიათებელი თვისებები მაღალ დარტყმით სიბლანტესთან ერთად. სამუშაოს მიზანია მაღალი ხარისხის კერამიკული მასალის მიღება კარბო–ბორიდ–ნიტრიდების ფუძეზე დეფიციტური, ძვირადღირებული მასალებისა და რთული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. Ti-B-N-Me და Ti-B-N-C-Me სისტემებში წვის კანონზომიერების შესწავლა ხდებოდა სისტემის პარამეტრების ფართო ინტერვალში ცვლილებისას. სინთეზი, ძირითადად, მიმდინარეობდა მდგრად სტაციონარულ რეჟიმში. საწყისი კომპონენტების საბოლოო პროდუქტად გარდაქმნის თანმიმდევრობა საშუალებას იძლევა დავადგინოთ არა მარტო კაზმების ოპტიმალური შედგენილობა და მასალების მიღების ტექნოლოგიური პარამეტრები, არამედ გავაკეთოთ ამ მასალების საექსპლუატაციო თვისებების პროგნოზირება. გაკეთებულია დასკვნა, რომ სინთეზირებული ცხელი თმს პროდუქტების დაწნეხვით, კომპაქტური სინთეტიკური კომპოზიციური კერამიკული მასალების მიღებისას, მეტად მნიშვნელოვანია ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევა. ეს პარამეტრები წარმოადგენს დროისა და წნევის მახასიათებლებს. ამ მახასიათებლების სწორად შერჩევის შედეგად სისტემებში: Ti-B-N-Me და Ti-B-N-C-Me მიღებული იქნა კომპაქტური, პრაქტიკულად უფორო მასალები შესაბამისად 0,4% და 1,2% ფორიანობით, სისალით შესაბამისად 91,5-92,5 HRA და 92,3-93,3 HRA, სიმკვრივით, შესაბამისად 4,3-

4,4 გ/სმ^3 და 4,5-4,7 გ/სმ^3, ელექტრონული ზონდის საშუალებით გაკეთებულია ფაზების ქიმიური მიკროანალიზი და ყოველ შესაბამის წერტილში განსაზღვრულია ამ ფაზების შედგენილობა და ელემენტების შემცველობა.

3) „ძნელდნობადი ნაერთების ულტრადისპერსიული Ti-Cr-C-Me ფხვნილების მიღება“ (თანაავტორობით; კონგრესი და გამოფენა გზამკვლევი – EPMA Messezentrum“, ავსტრია, ზალცბურგი, 114, ინგლისურ ენაზე).

მეცნიერების ინტერესის საგანია ისეთი კომპოზიტების მიღება, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ქიმიურ, რადიოელექტრონიკის, მანქანათმშენებლობასა და საავიაციო მრეწველობებში. განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია ისეთი მასალებისკენ, რომლებიც შეიცავენ ბორიდების, კარბიდების, ნიტრიდების და, ასევე, მათი ჟანგბადთან შენაერთების ძნელდნობად ნაერთებს. სამუშაოს მთავარი მიზანი იყო აღდგენით სტადიაზე თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით ულტრადისპერსიული ფხვნილების მიღება შემდეგი კომპოზიტებიდან: BN, B_4C, $B_xN_yC_z$, SiC, TiB_2, SiC-Al_2O_3. შემოთავაზებული ტექნოლოგიის ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა სხვა ტრადიციულ ტექნოლოგიებთან შედარებით, განპირობებულია ამ ტექნოლოგიის სიმარტივით და იაფი ნედლეულის გამოყენებით. შემუშავებულია ულტრადისპერსიული ფხვნილების წარმოების ტექნოლოგიური საფუძვლები, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ და ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში ისეთ თვისებათა კომპლექსის გამო, როგორებიცაა: სისალე, თერმული სტაბილურობა, ცვეთამედეგობა და კოროზიამედეგობა.

4) „ფაზათა წარმოქმნის სისტემაში ზოგიერთი თავისებურებები თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) დროს“ (თანაავტორობით; ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 1(715), 45–51).

განხილულია თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით Ti-Cr-C-Me სისტემაში სალი შენადნობების მიღების დროს ფაზათა წარმოქმნის თავისებურებები. დადგენილია, რომ Ti-Cr-C-Me სისტემაში მასალების სინთეზის დროს წარმოიქმნება სამი ფაზა: ტიტან-ქრომის კარბიდი, ქრომის კარბიდი და ლითონური შენადნობი. ამ სისტემაში მოლიბდენის შეყვანით მიიღება (რგოლური) სტრუქტურის მქონე სალი კომპოზიციური მასალა, რომელიც იწვევს სიმტკიცის მაჩვენებლის ზრდას.

5) „ნეიტრონის დეტექტორები, დაფუძნებული ^{10}B-შემცველ ნანომასალებზე“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენცია ბირთვული რადიაციის ნანოსენსორებზე „თბილისი – გაზაფხული 2014“, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 81-83, ინგლისურ ენაზე).

შეფასებულია ^{10}B იზოტოპის შემცველი ნანომასალების ფუძეზე შექმნილი ნეიტრონული დეტექტორების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები.

აკად. წევრ–კორ. გ. თავაძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და წარსდგა მოხსენებებით:

– სინთეზი ნანოკრისტალურ მასალებში Ti-Al სისტემაში (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენცია ბირთვული რადიაციის ნანოსენსორებზე „თბილისი – გაზაფხული 2014“, ინგლისურ ენაზე);

– „ნეიტრონის დეტექტორები დაფუძნებული ^{10}B-შემცველ ნანომასალებზე“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენცია ბირთვული რადიაციის ნანოსენსორებზე „თბილისი – გაზაფხული 2014“);

– XII საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ახალი მასალები ფეთქებად პროდუქტებზე. მეცნიერება, ტექნოლოგია, ბიზნესი და ინოვაციები“ (კრაკოვი, პოლონეთი);

– „ძნელდნობადი ნაერთების ულტრა დისპერსიული Ti-Cr-C-Me ფხვნილების მიღება“ (თანაავტორობით; კონგრესი და

გამოფენა–გზამკვლევი, „EPMA Messezentrum“, ზალცბურგი, ავსტრია, 114, ინგლისურ ენაზე);

– კერამიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონგრესი (მონტეკანტინი, იტალია, მიწვეული სტუმრის სტატუსით);

– „ახალი მასალები“ (მე-6 საერთაშორისო ფორუმი, მონტეკანტინი, იტალია, მიწვეული სტუმრის სტატუსით).

აკად. წევრ–კორ. გ. თავაძემ გააკეთა სამეცნიერო მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის სხდომაზე: „არაორგანული მასალათმცოდნეობის მიღწევები და განვითარების პერსპექტივები“.

იგი არის თემის – „თმს – მეტალურგიით სხმული სალი შენადნობებისა და მისგან ნაკეთობების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება“ – სამეცნიერო კონსულტანტი, ასევე, ინსტიტუტში მიმდინარე საჯავშნე ფოლადის შექმნასთან დაკავშირებული თემატიკების კოორდინატორი.

მიღებულია გადაწყვეტილება პატენტის განაცხადზე №13084/01 (საქპატენტის ბრძანება № 823/01).

აკად. წევრ–კორ. გ. თავაძე თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის პრობლემების მიმართულებით თანამშრომლობს უკრაინის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის ი. ფრანცევიჩის მასალათმცოდნეობის პრობლემათა ინსტიტუტთან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული მაკროკინეტიკისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტთან, ხაიფას ტექნოლოგიურ უნივერსიტეტ „ტექნიონთან“ (ისრაელი), ბერკლის საინჟინრო ქიმიისა და მასალათმცოდნეობის ცენტრთან (აშშ), ლივერპულის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ ციციშვილი

სტატიები

1) „საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება საშენ მასალათა დანამატებად“ (თანაავტორობით; ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1(715), 98-102).

შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების – ანალციმის, მორდენიტის, ფილიფსიტის, ლომონტიტის, კლინოპტილოლიტის – ქიმიური შედგენილობა. დადგენილია მათი იდენტობა და ცეოლითური ფაზის შემცველობა. ნაჩვენებია, რომ ცემენტებში მათი დანამატების სახით შეტანა აუმჯობესებს ცემენტის ხარისხს. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ცეოლითი კლინოპტილოლიტი.

2) „სპეციალური დანიშნულების გოგირდშემცველი ცეოლითური დანამატები ანტიკოროზიული და ბიოციდური ბეტონების მისაღებად“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 40, №1, 104-108, რუსულ ენაზე).

შელღობის მეთოდით მიღებულია გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის ახალი ტიპის მასალა. მიღებული მასალის სტრუქტურა და ადსორბციული თვისებები შესწავლილია რენტგენოდიფრაქტომეტრიული ანალიზისა და წყლის ორთქლის ადსორბციის მეთოდით. გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის გამოყენებით მომზადდა ბეტონის ნიმუშები და განისაზღვრა მათი მდგრადობა ობის სოკოს სხვადასხვა კულტურების მიმართ. გამოცდის შედეგების მიხედვით გოგირდ-ცეოლითური მასალა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ცემენტების დანამატი ანტიკოროზიული და ბიოციდური თვისებების სპეცდანიშნულების ბეტონების მისაღებად.

3) „საქართველოს ნავთობისა და ბიტუმების საბადოები“ (თანაავტორობით; ნავთობქიმიასა და ეკოლოგიაში მას–სპექ-

ტრომეტრიის მე–10 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 13-14, ინგლისურ ენაზე).

განხილულია საქართველოში ნავთობისა და ბიტუმების არსებული საბადოების მარაგები და მათი შესწავლის დონე თანამედროვე მოთხოვნებთან მიმართებაში.

4) „ნავთობპროდუქტებით ისტორიული დაბინძურება – საქართველოში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა“ (თანაავტორობით; ნავთობქიმიასა და ეკოლოგიაში მას–სპექტრომეტრიის მე–10 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 23-24, ინგლისურ ენაზე).

განხილულია საქართველოში ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით ტერიტორიების დაბინძურების ძირითადი წყაროები (მილსადენები, საზღვაო და სახმელეთო ნავთობტერმინალები და სხვ.) და დღევანდელი მდგომარეობა, ბოლო წლებში მომხდარი ავარიული სიტუაციები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია 2008 წლის ომის დროს მომხდარ დაღვრებსა და დაზიანებებზე.

აკად. წევრ–კორ. ვ. ციციშვილის მიერ ორგანიზებული და ჩატარებულ იქნა მას–სპექტრომეტრიის მე–10 საერთაშორისო კონფერენცია ნავთობქიმიასა და ეკოლოგიაში. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები: ა. მარშალი, კ. გონზალესი, ა. შვარცბურგი და ა. მიქაია (აშშ), ა. შვარცბაუერი (გფრ), ფ. შმიტ-კოპლინი (საფრანგეთი), ვ. ზაიკინი, ა. ლებედევი, რ. ბორისოვი, ვ. კოზლოვსკი (რფ) და სხვ., მოსმენილი იყო 24 მოხსენება, გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალები ინგლისურ ენაზე.

იგი არის პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი; ჟურნალ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე, ქიმიის სერიის“ რედაქტორი; ჟურნალის „Известия высших учебных заведений. Химия и химическая технология“ საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის წევრი; ჟურნალების „საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-

ნული აკადემიის მოამბის" და „Georgian International Journal of Science and Technology" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ქიმიისა და ქიმიური ტექ-ნოლოგიების განყოფილებამ ჩაატარა 8 საერთო კრება, სადაც განხილულ იქნა 21 სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზა-ციო საკითხი. მოსმენილ იქნა: ჰოკაიდოს (იაპონია) უნივერსი-ტეტის პროფესორის ტამაკი ნაკანოს სამეცნიერო მოხსენება – „ქირალობის ინდუქცია პოლიმერებში წრიულად პოლარიზე-ბული სინათლის გავლენით"; რ. აგლაძის არაორგანული ქიმი-ისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამ-შრომლის, ტექნ. მეცნ. დოქტ. თ. ლეჟავას ბიზნეს–წინადადების – „მოწყობილობა და ტექნოლოგია საწვავი ბრიკეტების დასამ-ზადებლად" – განხილვა; მეცნ. კანდ. თ. ჩახუნაშვილის მოხსე-ნება – „საქართველოს მანგანუმშემცველი ნედლეულიდან კონ-კურენტუნარიანი ქიმიური პროდუქციის წარმოების პერსპექ-ტივები"; ტექნ. მეცნ. დოქტ. თ. გაბადაძის მოხსენება – „საქარ-თველოს ეკონომიკის აღმავლობის სამთავრობო პრიორიტეტუ-ლი მიმართულებების განვითარების ხელშეწყობისათვის ახა-ლი მასალების მიღება, კვლევა, წარმოება, გამოყენება" (საკითხი განხილული იყო სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელ კომი-სიასთან ერთად). განყოფილებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად აირჩია მსოფლიოს მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი, პროფესორი ანატოლი კლიოსოვი და უკრაინის მასალათმცოდნეობის საზო-გადოების პრეზიდენტი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვალერი სკოროხოდი. განყოფილებამ განიხილა, გამოყო ექსპერტები და შეაფასა 16 სამეცნიერო და-წესებულების 131 ანგარიში. მათგან 18 ანგარიშს მიეცა უმაღ-ლესი შეფასება, ერთი სამუშაო შეფასდა უარყოფითად, ერთი სამუშაო ვერ შეფასდა, ხოლო 111–მა სამუშამ მიიღო დამაკ-მაყოფილებელი შეფასება. განყოფილებას მიაჩნია, რომ საჭი-

როა აკადემიის ხელმძღვანელობამ მოიძიოს თანხა რეცენზენ-ტებისათვის გაწეული შრომის ასანაზღაურებლად.

განყოფილებამ ჩაატარა ახალგაზრდა ქიმიკოსთა კონ-ფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტები, გამოითქვა სურვილი, რომ ასეთი კონფერენ-ციები ჩატარდეს ყოველწლიურად, რაც ხელს შეუწყობს სტუ-დენტების მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას.

ქიმიის, ქიმიური ეკოლოგიისა და ფარმაკოქიმიის დარ-გობრივი კომისიების მიერ ორგანიზებული და ჩატარებულ იქნა სამი საერთაშორისო კონფერენცია: მე-10 საერთაშორისო კონფერენცია ნავთობქიმიასა და ეკოლოგიაში, პეტრომას 2014 (ორგანიზატორი წევრ-კორ. ვ. ციციშვილი), დაიბეჭდა შრომა-თა კრებული (გამომცემლობა „უნივერსალი“). კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა აკადემიის პრეზი-დენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე; ევრაზიის მე-8 საერ-თაშორისო კონფერენცია ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიაში (EAMHC 2014) (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე აკად. შ. სამსონია); მე-3 საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში (ICOC 2014) (ორგანიზატორი აკად. შ. სამსონია);

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-ნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერიის” სამი ნომერი.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 11 წევრი, აქედან 4 აკადემიკოსი, 7 წევრ-კორესპონდენტი.

2014 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 5 წიგნი, 2 სახელმძღვანელო და 22 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი თენგიზ ბერიძე

სტატიები

1) „ვაზის თერთმეტი ჯიშის ქლოროპლასტური დნმ-ების თანმიმდევრობა. ერთდროული რესეკვენირების მეთოდი“ (თანაავტორობით; Journal International des Sciences de la Vigne et du Vin., 48, 99-109, ინგლისურ ენაზე).

განსაზღვრულ იქნა ოთხი სხვადასხვა ჰაპლოჯგუფის (AAA, ATT, ATA, GTA) ვაზის რვა ქართული (რქაწითელი, საფერავი, მესხური მწვანე, ჩხავერი, ალადასტური, კრახუნა, ციცქა, ცოლიკოური) და სამი ფრანგული (შარდონე, გუაი ბლანი, შასლა) ჯიშის ქლოროპლასტური დნმ-ების თანმიმდევრობა, მათი გენომური დნმ-ის ილუმინაზე სეკვენირებით. რეფერენსად გამოყენებულ იქნა ჯიში მაქსას ქლოროპლასტური დნმ-ის თანმიმდევრობა.

სეკვენირების მონაცემები გვიჩვენებენ რომ იმ პირობებში, როდესაც ვაზის ქრომოსომული დნმ-ის თანმიმდევრობების დაფარვა 30-40%-ს შეადგენს, ქლოროპლასტური დნმ-ის დაფარვის სიღრმე რამდენიმე ათასს აღწევს იმ მიზეზის გამო, რომ ქლოროპლასტური დნმ-ის ასლების რიცხვი გენომურ დნმ-ში გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს საჭიროა რესეკვენირებისათვის. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა მრავალი ქლოროპლასტური დნმ-ის ერთდროული სეკვენირების მეთოდი ქლოროპლასტების წინასწარი გამოყოფისა ან ქლოროპლასტების გამდიდრების გარეშე.

ამ მეთოდს გააჩნია დიდი პოტენციალი ფილოგენეტიკურ და პოპულაციურ გენეტიკაში გამოყენებისათვის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების დომესტიკაციის სფეროში.

2) „მსოფლიოში გავრცელებული ვაზის ჯიშების (itis vinifera L. subsp. vinifera) პლასტიდური დნმ თანმიმდევრობათა მრავალფეროვნება“ (თანაავტორობით; შეჯვარებასა და გენეტიკაში X საერთაშორისო კონფერენციის შრომები, 1046, 609-614, ჟენევა, ნიუ–იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია გეოგრაფიულად დაცილებული 113 კულტივირებული ვაზის (მათ შორის 40 ქართული) ჯიშის დნმ-ის თანმიმდევრობების მრავალფეროვნება ორ პლასტიდურ უბანში (trnH-psbA ინტერგენური სპეისერი და rpl16 ინტრონი). საქართველო ცნობილია როგორც 500-ზე მეტი ვაზის ჯიშის სამშობლო, აქ აღმოჩენილია ვაზის დომესტიკაციის დამამტკიცებელი უძველესი არქეოლოგიური არტეფაქტები. კავკასიის რეგიონი, რომელსაც საქართველო მიეკუთვნება, ითვლება იმ ადგილად, სადაც ვაზის დომესტიკაციის პროცესი დაიწყო, შესაბამისად, ამ რეგიონის გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა წარმოადგენს ზოგადად ვაზის დომესტიკაციის გარკვევის ერთ-ერთ აუცილებელ გასაღებს. 113 ნიმუშში აღმოჩენილია ოთხი პლასტიდური ჰაპლოტიპი, რომლებიც მონიშნულ იქნა მათი დამახასიათებელი 3 პოლიმორფული უბნის მიხედვით: (AAA) – 23 ნიმუში, (ATT) – 29 ნიმუში, (GTA) – 26 ნიმუში და (ATA) – 35 ნიმუში. AAA ჰაპლოტიპი აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ქართულ ნიმუშებში. ის ფაქტი, რომ ქართულ ჯიშებში ვლინდება როგორც უნიკალური (AAA), ასევე ყველა სხვა დანარჩენი ჰაპლოტიპები, კარგად ეთანადება ადრეულ დასკვნებს იმის თაობაზე, რომ კავკასიის რეგიონისათვის დამახასიათებელია ველური ვაზის (V.vinifera subsp. sylvestris) უნიკალური და მაღალი დონის გენეტიკური მრავალფეროვნება.

აკად. თ. ბერიძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება:

– „ვაზის თერთმეტი ჯიშის ქლოროპლასტური დნმ-ის სრული სეკვენირება. ერთდროული რესეკვენირების მეთოდოლოგია“ (თანაავტორობით; ვაზის გენეტიკისა და სელექციის XI საერთაშორისო კონფერენცია, 76/413-77/314, პეკინი, ჩინეთი).

აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი

სტატია

„სმიტინის გავლენა აქტომიოზინის ფერმენტულ აქტივობაზე სარეაქციო არის სხვადასხვა პირობებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №1, 89-92, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია სმიტინის (C-ტიტინის) გავლენა ქათმის გლუვი კუნთის (კუჭი) აქტომიოზინის Mg^{2+}-აქტივირებად ATP-აზურ აქტივობაზე სარეაქციო არის სხვადასხვა პირობებში (იონური ძალა, pH, სმიტინის სხვადასხვა კონცენტრაცია). ნაჩვენებია, რომ სმიტინი, ტიტინის მსგავსად, იწვევს აქტომიოზინის Mg^{2+}-აქტივირებადი ATP-აზური აქტივობის ზრდას. Mg^{2+}-აქტივირებადი ATP-აზური აქტივობა სმიტინის თანაობისას მაქსიმალურია 30mM KCl-ის და მინიმალურია 100 mM KCl-ის პირობებში. Mg^{2+}-აქტივირებადი ATP-აზური აქტივობა სმიტინის თანაობისას მაქსიმუმს აღწევს pH 8-ზე, ხოლო pH 9-ზე მცირდება. აქტივობა იზრდება სმიტინის კონცენტრაციის მატებისას და მაქსიმუმს აღწევს სმიტინის 40% კონცენტრაციის დროს (მიოზინის წონაზე გადაანგარიშებით). მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ გლუვ კუნთში სმიტინი იგივე ფუნქციას ასრულებს, როგორსაც ტიტინი – ჩონჩხის კუნთში. სმიტინი განაპირობებს, ერთი მხრივ, გლუვი კუნთის ელასტიკურ თვისებებს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს „ეშაფოტს” კუნთის შეკუმშვაში მონაწილე ცილებისათვის, წარმოქმნის რა სუპერმოლეკულურ კომპლექსს ამ ცილებთან.

აკადემიკოსი გივი სანაძე

სტატია

1) „იზოპრენის ბიოსინთეზი და გამოყოფა არაწონასწორული თერმოდინამიკის თვალსაზრისით“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №3, 69-75, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ცოცხალ უჯრედებში მიმდინარე მეტაბოლური გარდაქმნების შესწავლის შესაძლებლობა არაწონასწორული თერმოდინამიკის გამოყენებით იზოპრენის ბიოსინთეზისა და გამოყოფის მაგალითზე. დადასტურდა, რომ იზოპრენის გამოყოფა ცოცხალი უჯრედიდან არის ჭარბი ენერგიის დისიპაცია და იგი უზრუნველყოფს ცოცხალი სისტემის ჰომეოსტაზის მდგრადობას ტერპენოიდების ბიოსინთეზის რეგულირების მეშვეობით. გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გამოყოფს ცოცხალი უჯრედი იზოპრენს. უჯრედიდან იზოპრენის გამოყოფის პროცესი წარმოადგენს ჭარბი ენერგიის დისიპაციის აუცილებლობას, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი არსით ენტროპიული ფენომენია ე.ი. უჯრედის მდგრადი არსებობის ფუნდამენტური კანონი. იზოპრენის გამოყოფას, გარდა ამ ფუნდამენტური ფუნქციისა, თან ახლავს მეორადი თანმდევი ფუნქციები: თერმოტოლერანტობა, ანტიოქსიდანტობა და ენერგოპლასტიკური ცვლის სხვადასხვა ხასიათის რეგულატორული აქტივობები. ამ პროცესის ბიოლოგიური როლის უფრო ღრმად შესწავლისათვის აუცილებელია მის ევოლუციურ ჭრილში განხილვა, ვინაიდან სინათლეზე იზოპრენის ბიოსინთეზი და გამოყოფა ქლოროფილის შემცველი უჯრედიდან ევოლუციის პროცესში პერიოდულად იკარგებოდა და კვლავ აღდგებოდა ხოლმე, რადგან იზოპრენის ბიოსინთეზის უნარი ინფორმაციის სახით ინახება ნებისმიერი მცენარეული უჯრედის გენომში.

2) „ბიოგენური იზოპრენის სინთეზი და გამოყოფა როგორც ცოცხალი უჯრედის მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი

პირობა“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian science”, v.12, №4, 32-37, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია მოკლე მიმოხილვა იზოპრენის ბიოსინთეზისა და გამოყოფის ძირითადი მიღწევების სფეროში. განიხილება ჰიპოთეზები იზოპრენის ბიოლოგიური როლის შესახებ უჯრედის მეტაბოლიზმში. იზოპრენის ბიოსინთეზი და გამოყოფა განიხილება უწონასწორობის თერმოდინამიკის ჭრილში. ნავარაუდებია, რომ ცოცხალი უჯრედის, მათ შორის, ერთუჯრედიანი წყალმცენარის მდგრადი მდგომარეობა უზრუნველყოფილია უჯრედის დისიპაციური ფუნქციით. მოცემულია ინფორმაცია ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან გამოყოფილი ბიოიზოპრენის ინდუსტრიულ წარმოებაზე და მის გამოყენებაზე.

აკად. გ. სანაძე მონაწილეობდა გრანტის შესრულებაში:

– „ბიოგენური იზოპრენის მიღების ინოვაციური მეთოდის შემუშავება“ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი საგრანტო ნომინაციის საპროექტო დაფინანსება).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნუგზარ ალექსიძე

მონოგრაფია

„ფსიქობიოლოგიის საფუძვლები“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 223 გვ.).

სახელმძღვანელო

„ფსიქოლოგიის სალექციო კურსი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის“ (წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამომცემლობა, 147 გვ.).

სტატიები

1) „საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთის ქიმიური შედგენილობა და მისი ფუნქციური როლი“ (თანაავტორობით;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №1, 110-113, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთის ქიმიური შედგენილობა, კერძოდ, ცხიმოვანი მჟავების, ბიოგენური ამინებისა და ამინმჟავების რაოდენობრივი შემცველობა და მათი გავლენა ვისტარის ხაზის თეთრი ვირთაგვების ფიზიოლოგიურ აქტივობაზე. წიპწის ზეთში შემავალი ნივთიერებების დაყოფა ხდებოდა მაღალწნევიანი თხევადი ქრომატოგრაფით (WATTERS, USA) Nova-Pak C18-ის სვეტზე (100 მმ, 83, 2 მმ) ფლუორესცენტულ დეტექტორზე (270 ნმ). სპეციალურად იქნა შესწავლილი ექსტრაგირებული ხსნარების ეფექტები ვისტარის ხაზის ზრდასრული ვირთაგვების ემოციურ მდგომარეობაზე ირვინის სკალის მიხედვით. დადგენილ იქნა, რომ საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწიდან გამოყოფილი უჯერი და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები (ლაურინის, მირისტინის, პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლენისა და არაქიდონის მჟავები), ბიოგენური ამინები (სეროტონინი, დოფამინი, ნორადრენალინი და ადრენალინი) და ამინმჟავები (ასპარაგინის მჟავა, გლუტამინის მჟავა, ასპარაგინი, ფენილალანინი, თიროზინი, ტრეონინი, ტრიპტოფანი, ლეიცინი, მეთიონინი, პროლინი, ალანინი და გლიცინი) აუმჯობესებენ თეთრი ვირთაგვების ფუნქციურ მდგომარეობას და, შედეგად, მნიშვნელოვნად მცირდება აგრესიული ქცევები. ისახება საფერავის ყურძნის წიპწის ზეთის სამკურნალოდ გამოყენების დიდი პერსპექტივა.

2) „მანოზა-სპეციფიკური ლექტინის განაწილება მცენარე მთის სვინტრის (Polygonatum obtusifolium Miscz ex Grossh) ფიზიოლოგიური მდგომარეობით მკვეთრად განსხვავებულ ნაწილებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №2, 98-103, ინგლისურ ენაზე).

საქართველოს ენდემურ მცენარე მთის სვინტრში (Polygonatum obtusifolium Miscz) შეწავლილ იქნა მანოზა-სპეციფიკური ლექტინის ზოგიერთი თვისება და მისი განაწილება ფიზიოლოგიური მდგომარეობით მკვეთრად განსხვავებულ მიწისქვე-

შა და მიწისზედა ნაწილებში. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ სვინტრის ლექტინის ჰემაგლუტინაციური მახასიათებლების გამოსავლენად, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბოცვრის ერითროციტების ზედაპირის მანოზის შემცველი რეცეპტორების ეკრანირება ტრიპსინიზაციის მეთოდით. ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ სვინტრის ლექტინი არ რეაგირებს ადამიანის სისხლის არც ერთი I(0); II(A); III(B) და IV(AB) ჯგუფის ნატიურ ერითროციტებთან და, შესაბამისად, მას არ გააჩნია აგლუტინაციის უნარი.

3) „მცენარე ქრისტესისხლას (Chelidonium majus L.) ლექტინის CBL-1-ის ნაწილობრივ გასუფთავება და ზოგიერთი ბიოქიმიური მახასიათებლები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №3, 93-99, ინგლისურ ენაზე).

საქართველოს სამკურნალო მცენარე ქრისტესისხლას (Chelidonium majus L.) თესლებიდან მარილწყალხსნარით (PBS) გამოყოფილია ჰემაგლუტინაციური აქტივობის მქონე ლექტინი (CBL-1). CBL-1 მიეკუთვნება ქიტინსპეციფიკური, ჰომოტიპური ჰოლოლექტინების კლასს. CBL-1-ის შემცველობა ყველაზე მაღალია ამონიუმის სულფატით 40-დან 80%-მდე გაჯერების პირობებში მიღებულ ცილოვან ფრაქციებში. დადგენილია, რომ CBL-1 ხასიათდება თერმოსტაბილურობით და სრულად ინარჩუნებს აქტივობას 60^{0}C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში ინკუბაციის შემდეგ. CBL-1 ჰემაგლუტინაციის ტიტრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება pH 7.0–8.0 ფარგლებში. CBL-1 არ იწვევს ადამიანის სისხლის არც ერთი ჯგუფის ერითროციტების აგლუტინაციას, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტებში ნატიური თუ ტრიპსინიზებული ერითროციტები იყო გამოყენებული.

4) „წყალი როგორც მეხსიერების მატერიალური სუბსტრატი“ (ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2(716), 23-29).

აკად. წევრ–კორ. ნ. ალექსიძე მონაწილეობდა კონფერენციაში მოხსენებით:

– „თვითმკვლელობის ფსიქობიოლოგიური საფუძვლები“ (ფსიქოლოგიის კონფერენციის მასალები, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მარლენ გორდეზიანი

სახელმძღვანელო

„ეკოლოგიური ქიმიის ზოგადი კურსი“ (გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 215 გვ.).

სახელმძღვანელო განკუთვნილია აგრობიოლოგიური, სამედიცინო და ქიმიური პროფილის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთათვის, აგრეთვე, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ფარმაკოლოგიის, ტოქსიკოლოგიის, მეტეოროლოგიისა და სხვა სპეციალისტებისთვის.

სტატიები

1) „მცენარეები, როგორც ქლორორგანული ტოქსიკანტების მიერ დაბინძურებული გარემოს კონტროლისა და რემედიაციის საშუალება“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian science”, v.12, №3, 84-87, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეძღვნება პესტიციდებით დაბინძურებული ნიადაგების ფიტორემედიაციული ტექნოლოგიისათვის მცენარეთა სელექციის პრინციპებს.

2) „მცენარეები და მიკროორგანიზმები ქლორორგანული ტოქსიკანტების მიერ დაბინძურებული ნიადაგების ფიტორემედიაციისათვის“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „გარემოსდაცვითი ინჟინერია და ტექნოლოგია“ – შრომათა კრებული, პარიზი, საფრანგეთი).

სტატია ეძღვნება პესტიციდების მადეგრადირებელი ბაქტერიული კონსორციუმების შექმნას ცალკეული პესტიციდის-

თვის და მათ გამოყენებას ფიტორემედიაციული ტექნოლოგიის საწყის ეტაპზე, აგრეთვე, იმ მცენარეთა შერჩევას, რომელთა ფერმენტული სისტემა პესტიციდების ინტერმედიატების შეთვისება-გარდაქმნაში მონაწილეობს.

აკად. წევრ–კორ. მ. გორდეზიანი მონაწილეობდა გრანტებში ხელმძღვანელისა და კონსულტანტის სტატუსით:

– „ბიოსორბენტი ქიმიურად დაბინძურებული ნიადაგების გასასუფთავებლად – ახალი რემედიაციული ტექნოლოგიის შექმნა“ (STCU–P499) (ხელმძღვანელი, პროექტს აფინანსებდა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტი, ხოლო კოორდინაციას უწევდა ლოურენს ლივერმორის ნაციონალური ლაბორატორია);

– „მცენარეების და მიკროორგანიზმების მიზანმიმართული გამოყენება ქლორორგანული პესტიციდებით დაბინძურებული გარემოს გასასუფთავებლად“ (STCU-SRNSF 5634) (კონსულტანტი);

– „მცენარეების: Zoisiagras-ისა და Paspalum-ის ეკოლოგიური პოტენციალის შეფასება მისი შემდგომში ფიტორემედიაციულ ტექნოლოგიებში გამოყენების მიზნით“ (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ცოდნის ფონდისა და ატლანტის უნივერსიტეტის (აშშ) ერთობლივი პროექტი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ირაკლი ელიავა

წიგნები

1) „ეკოლოგიური ლექსიკონი“ (თანაავტორობით; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 299 გვ.).

2) „ზოოლოგიური ლექსიკონი“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში, თბილისი).

სტატია

„ხავსების ნემატოდოფაუნა დასავლეთ საქართველოდან“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად კრებულში – „კავკასიის ბიომრავალფეროვნება“, თბილისი).

აკად. წევრ–კორ. ი. ელიავა კონფერენციებზე გამოვიდა მოხსენებებით:

– „კარტოფილის პათოგენური ნემატოდის გავრცელება სამცხე-ჯავახეთის (სამხრეთ საქართველო) მაღალმთიან რაიონებში'' (საერთაშორისო კონფერენცია – „ბიოლოგიური მრავალფეროვნება. კავკასიის ფაუნის კონსერვაციის პრობლემები“, ერევანი, სომხეთი);

– „ციტრუსების სპეციფიკური ნემატოდის Tylenchulus semipenetrans Cobb 1913 გავრცელება საქართველოს შავიზღვისპირეთში'' (საერთაშორისო კონფერენცია – „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები და ბიოინჟინერია“, მადრიდი, ესპანეთი).

აკად. წევრ–კორ. ი. ელიავა მონაწილეობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თემის შესრულებაში – „საქართველოს ბუნებრივი და აგროეკოსისტემების ცხოველთა მრავალფეროვნება, მონიტორინგი, ბიოკონტროლი“.

იგი იყო ნემატოლოგიური კვლევითი ჯგუფის ქვეპროექტის – „ქვემო ქართლის მაღალმთიანი და სასაზღვრო რაიონების კარტოფილწარმოების ზონებში კარტოფილის ნემატოდური დაავადებების მონიტორინგი და საკარანტინო ნემატოდების ბიოკონტროლი'' – სამეცნიერო კონსულტანტი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ზაალიშვილი

აკად. წევრ–კორ. თ. ზაალიშვილი ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით თემას – „ვირთაგვას პოსტნატალური

ონტოგენეზის სხვადასხვა ეტაპზე თავის ტვინის და ღვიძლის NMNAT–ის სუბბირთვული განაწილების შესწავლა ფერმენტული აქტივობის მიხედვით".

განსაზღვრულია NMN ადენილილტრანსფერაზული აქტივობა ვირთაგვას ღვიძლისა და თავის ტვინის იზოლირებულ ბირთვებსა და ბირთვულ მატრიქსებში პოსტნატალური განვითარების დროს. სინთეზირებული NAD–ის განსაზღვრა ხდებოდა მისი ალკოჰოლ დეჰიდროგენაზით NADH–ად გარდაქმნის შემდეგ სპექტროფოტომეტრიულად. ნაჩვენებია, რომ ახალდაბადებული (1-2 დღის) და 7 დღის ვირთაგვების NMN ადენილილტრანსფერაზული აქტივობა 20-30%-ით უფრო დაბალია, ვიდრე მოზრდილი ვირთაგვებისა. დადგენილია, რომ მოზრდილი (1-2 თვის) ვირთაგვას ღვიძლიდან იზოლირებულ ბირთვულ მატრიქსთან ასოცირებულია ბირთვული NMN ადენილილტრანსფერაზული აქტივობის დაახლოებით 30%, ხოლო თავის ტვინიდან გამოყოფილ ბირთვულ მატრიქსთან – ბირთვული NMN ადენილილტრანსფერაზული აქტივობის დაახლოებით 11%. გამოვლენილია, აგრეთვე, რომ 1 თვიდან 1 წლამდე ვირთაგვების ბირთვული NMN ადენილილტრანსფერაზული აქტივობა არ იცვლება და, რომ ღვიძლის ბირთვული NMN ადენილილტრანსფერაზული აქტივობა აღემატება ტვინისას დაახლოებით 1.7-ჯერ.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
დავით ლორთქიფანიძე

სტატიები

1) „არქეობოტანიკური და იზოტოპური მონაცემები ადრე ბრინჯაოს ხანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე და დიეტაზე სამხრეთ კავკასიის მთიან გარემოში: ჭობარეთის ძეგლის წინასწარული კვლევა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი)" (თანაავტორობით; Journal of Archaeological Science, 2015, 53:214-226, ინგლისურ ენაზე).

2) „საწურბლია: ახალი წარმოდგენები ადამიანების საპასუხო ქცევასა და გადარჩენისთვის ბრძოლაზე სამხრეთ კავკასიაში ბოლო გამყინვარების მაქსიმუმის განმავლობაში“ (თანაავტორობით; PLoS ONE 2014, 9(10): 10.1371/0111271, ინგლისურ ენაზე).

3) „დმანისის (საქართველო, მცირე კავკასიონი) ჰომინიდების პალეოკლიმატური და პალეოეკოლოგიური გარემო ჰერპეტოფაუნისტური კომლექსის მიხედვით“ (თანაავტორობით; Quoternary Science Reviews. 10/1016; 105:136-150, ინგლისურ ენაზე).

4) „სრული თავის ქალა, დმანისი, საქართველო და ადრეული ჰომოს ევოლუციური ბიოლოგია“ (თანაავტორობით; Science. 10.1126/1250081, ინგლისურ ენაზე).

აკად. წევრ–კორ. დ. ლორთქიფანიძე მონაწილეობდა 2 საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში:

– დმანისის კვლევის პროექტი (დამფინანსებელი: SCOPES, პროექტის თანახელმძღვანელი);

– დმანისის საველე-სამეცნიერო კვლევა (დამფინანსებელი: „National Geographic Society“ პროექტის დირექტორი).

იგი იყო სამეცნიერო კონსულტანტი პროექტისა:

– „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზისა და ყოფილი სასაზღვრო კოშკის კონცეფციის შემუშავებისა და საგამოფენო დარბაზის კოშკურის მოწყობის მომსახურება“.

აკად. წევრ–კორ. დ. ლორთქიფანიძეს 2014 წელს მიენიჭა ჰუმბოლდტის (გფრ) ფონდის პრემია.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გიორგი ნახუცრიშვილი

მონოგრაფია

„კავკასიის ენდემურ მცენარეთა წითელი ნუსხა” (თანაავტორობით; მისური, აშშ, 451 გვ., ინგლისურ ენაზე).

მოცემულია კავკასიის ეკორეგიონის (აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი) 2700–ზე მეტი ენდემურ მცენარეთა ნუსხა, აქედან 1750 სახეობა შეფასებულია „აუსიენის” საერთაშორისო კატეგორიებისა და კრიტერიუმების მიხედვით. მაგალითად, გამოვლენილია გაქრობის პირას მდგარი, მოწყვლადი და სხვ. მცენარეები. დახასიათებულია თითოეული ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და მცენარეული საფარი.

სტატია

„კავკასიის ეკორეგიონის მცენარეულობის მიმოხილვა” (წიგნში: „მცენარეთა მრავალფეროვნება შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის”, ბერლინი, გფრ, 47–53, ინგლისურ და გერმანულ ენებზე).

გამოცემა ეძღვნება ბერლინში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენას „კავკასია”. კრებულს ახლავს წანამძღვარი ამ დიდი პროექტის შესახებ. დახასიათებულია თითოეული ქვეყნის ბოტანიკურ-გეოგრაფიული და ეთნობოტანიკური თავისებურება.

აკად. წევრ–კორ. გ. ნახუცრიშვილი მონაწილეობდა გრანტებში:

– „სამხრეთ კავკასიაში მცენარეთა მრავალფეროვნების მექანიზმების განვითარება”. ბერლინ-დალემის ბოტანიკურ ბაღთან და მუზეუმთან ერთად (ფოლკსვაგენის ფონდის გრანტი);

– „სოციალურ და ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესების მრავალმხრივი ურთიერთკავშირების ანალიზი საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში“ (გისენის (გფრ) უნივერსიტეტთან ერთად, ფოლკსვაგენის ფონდის გრანტი);

– „საქართველოს არამერქნიან მცენარეთა წითელი ნუსხა” (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გრანტი).

აკად. წევრ–კორ. **გ. ნახუცრიშვილმა** მონაწილეობა მიიღო ბერლინში (გფრ) მოწყობილ გამოფენაში – „მცენარეთა მრავალფეროვნება შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის“. საქართველოდან იგი იყო პროექტის – „კავკასიის ენდემურ მცენარეთა წითელი ნუსხა” – კოორდინატორი.

2 დოქტორანტი მისი ხელმძღვანელობით გაემგზავრა ქ. გისენში (გფრ) სადისერტაციო თემაზე სამუშაოდ.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
თინათინ სადუნიშვილი

მონოგრაფია

აკად. გ. კვესიტაძესთან და სხვებთან თანაავტორობით. „^{14}C-შემცველი პოლუტანტების მეტაბოლიზმი მცენარეებსა და მიკროორგანიზმებში“ (თავი მონოგრაფიაში „Dharmendra Kumar Gupta Clemens Walther Editors: Radionuclide Contamination and Remediation Through Plants“, 978-3-319-07664-5, 320979, pp 254-270. Springer, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 22).

სტატიები

1) „თუთის აბრეშუმხვევიას კვერცხებში ბირთვული პოლიედროზის ვირუსის დეტექციის მეთოდის დამუშავება“ (თანაავტორობით; The Journal of Ecology. Photon, 108, 336-34, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილ იქნა ბირთვული პოლიედროზის ვირუსის დეტექციის შესაძლებლობა პოლიედრინის გენის უბნის სექვენსის საფუძველზე. შერჩეული სპეციფიკური პრაიმერის გამოყენებით პოზიტიური PCR-ით შესაძლებელია ბირთვული პოლიედროზის ვირუსის სწრაფი დეტექცია თუთის აბრეშუმხვევიას კვერცხებში.

2) „ბიოქიმიური პროცესები შავი ჩაის წარმოების ღნობის ეტაპზე“ (თანაავტორობით; Appl. Biochem. Microbiol., v. 50, №4, 394-397. (DOI)10.1134/S0003683814040103, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია ფენოლოქსიდაზას მოლეკულური ფორმების განსხვავებული სუბსტრატული სპეციფიკურობა. დადგენილია, რომ ჩაის ღნობის პროცესში წარმოიქმნება მაღალმოლეკულური ფერმენტი კატექოლოქსიდაზური აქტივობით, რაც მნიშვნელოვანია ჩაის ხარისხის განმსაზღვრელი ჟანგვითი რეაქციების კატალიზისათვის.

3) „X. Phaseoli სპეციფიკური ფაგების ბიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian science”, v.12, №3, 44-48, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ლობიოს მურა ლაქიანობის გამომწვევი პათოგენის Xanthomonas phaseoli სპეციფიკური სამი ფაგის ადსორბციის დრო და ლატენტური პერიოდი. ცალკეული ფაგებისა და მათი ნარევების ტემპერატურაზე დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ისინი მიეკუთვნება მაღალი ტემპერატურების მიმართ მედეგ ფაგებს.

4) „მცენარეთა პოტენციალი მათი ფიტორემედიაციულ ტექნოლოგიებში გამოყენებისათვის ეკოლოგიური საკვების მისაღებად“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian science”, v.12, №3, 39-43, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მცენარეთა პოტენციალი ფიტორემედიაციულ ტექნოლოგიებში გამოყენების მიზნით. შეფასებულია ჟანგვითი და ძირითადი მეტაბოლური ფერმენტების როლი მცენარეებში ორგანული დამბინძურებლების დეტოკსიკაციის პროცესში.

5) **აკად. გ. კვესიტაძესთან და სხვებთან თანაავტორობით.** „Herpes simplex-სა და Herpes zoster-ის საწინააღმდეგო ახალი ანტივირუსული მცენარეული სამკურნალო საშუალებები“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian science”, v.12, №3, 15-17, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 23).

6) **აკად. გ. კვესიტაძესთან თანაავტორობით.** „Phytolacca americana L. ნაყოფებიდან მიღებული საკვები წითელი საღებავის ფენოლური ნაერთების შემცველობა, ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული აქტივობები“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian science”, v.12, №3, 71-75, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 22).

აკად. წევრ–კორ. თ. სადუნიშვილი აკად. გ. კვესიტაძესთან ერთად მონაწილეობდა გრანტში:

– „ექსტრემოფილური მიცელალური სოკოების სტაბილური ფერმენტები საწვავის ბიოეთანოლის ბიოტექნოლოგიური წარმოების შექმნისათვის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ლიგნოცელულოზური ნარჩენებისაგან“ (ISTC.G – 2117).

იგი მონაწილეობდა, აგრეთვე, გრანტში:

– „საქართველოში გავრცელებული კარტოფილის ბაქტერიოზები და გამომწვევი პათოგენის Clavibacter michiganensis subsp. sephedonicus მრავალფეროვნება“ (Georgia Regional Cooperative Research Grant Program).

აკად. წევრ–კორ. თ. სადუნიშვილი მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში:

– „რძის მჟავას ანტიმიკრობული აქტივობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია პრობიოტიკებსა და პრებიოტიკებზე, ბუდაპეშტი, უნგრეთი);

– კვებისა და ბიოტექნოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი).

მან ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის სხდომაზე გააკეთა მოხსენება – „მიღწევები ბიოტექნოლოგიაში“.

აკად. წევრ–კორ. თ. სადუნიშვილი იყო:

– ევროკომისიის პროექტის FP7. BIOPARTNERS ფარგლებში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

– ბაზალეთში ახალგაზრდა მეცნიერთათვის ჩატარებული საერთაშორისო ზაფხულის სკოლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. გამოვიდა მოხსენებით – „საკვების ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ნაერთებით გამდიდრების გზები";

– FP7. BIOPARTNERS პროექტის ფარგლებში მურსიას უნივერსიტეტში (ესპანეთი) განხორციელებული ერთობლივი კვლევების – „ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გავლენა სიმსივნურ უჯრედებზე" – მონაწილე.

იგი იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებში:

– ლოურენს ბერკლის ეროვნულ ლაბორატორიაში;

–კალიფორნიის უნივერსიტეტში (აშშ).

მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროექტის შედეგების განხილვაში. ერთობლივი სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებამ 2014 წელს ჩაატარა 11 საერთო კრება. განყოფილებამ განიხილა და რეცენზია მისცა 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამეცნიერო დაწესებულების 2013 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ანგარიშებს.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებამ ჩაატარა ოთხი სამეცნიერო სესია, ერთ–ერთ მათგანზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, პროფესორი ბჰანუ ჯენა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად განყოფილებამ ჩაატარა ახალგაზრდა ეკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია. აგრარულ და თავისუფალ უნივერსიტეტებთან ერთად ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფ. ვ. ნასიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია. გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან ერთად ჩატარდა აკად. თ. ჭანიშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენცია.

2014 წელს განყოფილების წევრების მონაწილეობით ჩატარდა:

ა) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „International Conference on Food and Biotechnology“;

ბ) ზაფხულის სკოლა ახალგაზრდა მეცნიერთათვის: „საკვების ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ნაერთებით გამდიდრების გზები”;

გ) ბერლინში (გფრ) მოეწყო გამოფენა სათაურით: „მცენარეთა მრავალფეროვნება შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის“.

განყოფილებამ შეაფასა და მოიწონა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“, განიხილა საქართველოს კანონი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ და თავისი შენიშვნები (თავი II, მუხლი 7.1; (თავი III, მუხლები 10, 13, 14, 15, 16, 17) და მოსაზრებები მიაწოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

განყოფილების წევრების ხელმძღვანელობით 4 ახალგაზრდა მეცნიერი მივლინებულ იქნა სამუშაოდ (მათ შორის სადისერტაციო თემაზე) პოლონეთისა და გერმანიის სამეცნიერო დაწესებულებებში.

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 12 წევრი, მათ შორის 9 აკადემიკოსი და 3 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2013 წელს გამოაქვეყნეს 1 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო და 34 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა

მონოგრაფია

„ექსტრაკრანიული სისხლძარღვების პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“ (თანაავტორობით; შპს „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 186 გვ.).

მონოგრაფია ეძღვნება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პათოლოგიათა დიაგნოსტიკის თანამედროვე ასპექტებს. იგი ემყარება კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში პაციენტების კვლევის შედეგებს. განხილულია ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცერებრალური სისხლის მიმოქცევის დარღვევების სინდრომები და რადიოლოგიური დიაგნოსტიკის კრიტერიუმები. მოცემულია საკუთარი შედეგებისა და ლიტერატურის უახლესი მონაცემების მიმოხილვა.

განხილულია სხვადასხვა სისხლძარღვოვანი სინდრომის ფორმირების პათოგენეზური მექანიზმები, კოლატერალური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებანი. განხილულია თავის ტვინის იშემიური დისცირკულაციების, მაგისტრალური სისხლძარღვების სხვადასხვა პათოლოგიის, ანომალიების ულტრაბგერითი, კომპიუტერულ–ტომოგრაფიული, მაგნიტურ–რეზონანსული ტომოგრაფიული სემიოტიკა. ფართოდ არის განხილული კომპლექსური ულტრაბგერითი დუპლექს–სკანირების, მრავალშრიანი კომპიუტერულ–ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის, მაგნიტურ–რეზონანსული ტომოგრაფიისა და ანგი-

ოგრაფიის მნიშვნელობა ექსტრაკრანიული სისხლძარღვების პათოლოგიათა დიაგნოსტიკაში. ზემოაღნიშნულ მეთოდებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მკურნალობის როგორც მედიკამენტური, ასევე ქირურგიული მეთოდების ჩვენებების დაგეგმვაში და მკურნალობის ეფექტიანობის შეფასებაში. ნაშრომი ფართოდ არის ილუსტრირებული 400–ზე მეტი სურათით, სქემითა და ცხრილით.

სტატიები

1) „მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფია მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმების დიაგნოსტიკაში და მკურნალობის ტაქტიკის შეფასებაში“ (ж. „Медицинская Визуализация“, 5, 83-92, რუსულ ენაზე).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიის შესაძლებლობების განსაზღვრა მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმების დიაგნოსტიკაში და მკურნალობის ტაქტიკის შეფასებაში. გაანალიზებულ იქნა 2006-2013 წწ. 37 პაციენტის კვლევის შედეგები. დადგენილია, რომ მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმის გამოვლენის შემთხვევაში მუცლის აორტა და კიდურების სისხლძარღვები ულტრაბგერითი დოპლეროგრაფიული კვლევით მთელ სიგრძეზე უნდა იქნეს გამოკვლეული, რათა გამოვლინდეს თანმხლები ანევრიზმები აორტის მუცლისა და თეძო-ბარძაყის სეგმენტში. მრავალშრიანი კომპიუტერულ–ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის მთელი რიგი უპირატესობები იმაში მდგომარეობს, რომ დეტალურად მაღალი სიზუსტით იქნეს შესწავლილი ანევრიზმის, სისხლძარღვებისა და მიმდებარე სტრუქტურების ტოპოგრაფია, განსაზღვრულ იქნეს პერიფერიული სისხლძარღვების მდგომარეობა და, შესაბამისად, დაისახოს მკურნალობის ოპტიმალური გეგმა. ქირურგიული მკურნალობის ეფექტიანობის შეფასებისათვის ჩატარებული ანგიოპლასტიკის ან სისხლძარღვის რეკონსტრუქციის ადეკვატურობის შეფასება რეკომენდებულია დოპლეროგრაფიული კვლევით.

2) „ფილტვის არტერიის სიმპტომური და კომპიუტერული ტომოგრაფიისას შემთხვევით აღმოჩენილი თრომბოემბოლია ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებთან" (თანაავტორობით; ჟ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე", 1-2, გვ. 35–41).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებთან კომპიუტერულ–ტომოგრაფიული კვლევის როლის შეფასება ფათე–ს დიაგნოსტიკაში. გაანალიზებულია 2012-2013 წლებში კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული 420 ონკოლოგიური პაციენტის კომპიუტერულ–ტომოგრაფიული კვლევის შედეგები. ყველა პაციენტს პათომორფოლოგიურად დადასტურებული ჰქონდა ონკოლოგიური დაავადება. ყურადღებას ვამახვილებდით სიმსივნის მორფოლოგიურ ტიპზე, დაავადების სტადიაზე და ანტინეოპლაზმური მკურნალობის სახეზე. გამოვლინდა, რომ ონკოლოგიური პათოლოგიის მქონე პაციენტები იმყოფებიან ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის განვითარების შედარებით მაღალი რისკის ქვეშ, რაც განპირობებულია დაავადების სტადიით თუ მიმდინარე ანტინეოპლაზური მკურნალობით. საკმაოდ მნიშვნელოვანია კლინიკურ პრაქტიკაში თრომბოემბოლიური პროცესების პროფილაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალშრიან კომპიუტერულ ტომოგრაფიას დიდი როლი ენიჭება უსიმპტომო ფათე-ს გამოვლენაში და სიმპტომური დაავადების დიაგნოზის ვერიფიკაციაში, მნიშვნელოვანია კლინიცისტების მიერ ადრეული სიმპტომების დროულად შეფასება. რაც შეეხება პროგნოზული თვალსაზრისით განსხვავებას შემთხვევით აღმოჩენილ სიმპტომურსა და ფათე-ს შორის, ჩვენი მონაცემებით მსგავსი შედეგები არ დაფიქსირებულა.

3) „წნევის ტალღის სიხშირული დისპერსია სისხლძარღვის კედელთან და ათეროსკლეროზი" (თანაავტორობით; ჟ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე", 1-2, 14–22).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სისხლძარღვის კედელთან სისხლის დინებისა და არტერიული წნევის ტალღის დინამიკური შესწავლა. შესწავლილ იქნა 17 ჯანმრთელი მოხალისე, რომლებსაც ჩაუტარდათ მაგნიტურ-რეზონანსული ანგიოგრაფია აორტის რკალსა და გულმკერდის აორტის დონეზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აორტის ყელის გარეთა კედელთან სისტოლის ბოლოს დინების გახლეჩის შედეგად წარმოქმნილი ჯგუფური ტალღა აირეკლება და რეზონანსშია წნევის ვარდნასთან, რის გამოც წანაცვლების ძალა სისხლძარღვის კედელთან მკვეთრად იმატებს და აზიანებს ენდოთელს.

4) „მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის როლი სანაღვლე გზების ანომალიების დიაგნოსტიკაში" (თანაავტორობით; ჟ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე", 1-2, 59–71).

სანაღვლე გზების დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა თანამედროვე კლინიკური მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია; მისი აქტუალურობა განპირობებულია აღნიშნული დაავადებების საკმაოდ მაღალი სიხშირით და მრავალფეროვნებით. ქირურგიული ჩარევის ახალი მეთოდების დანერგვის მიუხედავად, 2-4-ჯერ იმატა ოპერაციის შემდგომი ისეთი გართულებების სიხშირემ, როგორიცაა რეზიდუალური ქოლედოქოლითიაზი, სანაღვლე სადინრების იატროგენული დაზიანება და სადინრების ოპერაციის შემდგომი სტრიქტურები. აქედან გამომდინარე აუცილებელია სანაღვლე სადინრების ანატომიის, მისი ვარიანტების ან განვითარების ანომალიების ზედმიწევნით ცოდნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო გართულებები. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიის შესაძლებლობების განსაზღვრა სანაღვლე გზების თანდაყოლილი ანომალიების დიაგნოსტიკაში. ნაშრომს საფუძვლად დაედო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 2007-2010 წლებში სანაღვლე გზების პათოლოგიის მქონე 586 პა-

ციენტის რადიოლოგიური და კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევის მონაცემები. გაანალიზებულ იქნა სანაღვლე გზების თანდაყოლილი ანომალიების მქონე 17 პაციენტი (მათგან 8 მცირეწლოვანი).

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია წარმოადგენს სანაღვლე გზების პათოლოგიების დიაგნოსტიკის მაღალინფორმაციულ არაინვაზიურ მეთოდს. მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიის დიაგნოსტიკური სიზუსტე სანაღვლე სადინრების ანომალიების შემთხვევაში 91,7%–ს შეადგენს, მგრძნობელობა – 94,4%–ს, ხოლო სპეციფიკურობა – 83%–ს. მისი სწორი გამოყენება პრეოპერაციულ ეტაპზე საშუალებას გვაძლევს სრული ინფორმაცია მივიღოთ სადინრების შესახებ, რაც ოპტიმალური ოპერაციული ტაქტიკის დაგეგმვის წინაპირობაა.

5) „მაგნიტურ–რეზონანსული ტომოგრაფიის შესაძლებლობები ინტრაკრანიული ტუბერკულოზის დიაგნოსტირებაში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე”, 1-2).

მაგნიტურ–რეზონანსული ტომოგრაფია (მრტ) გადამწყვეტ როლს ასრულებს ტუბერკულოზის დიაგნოსტირებაში მისი მაღალი მგრძნობელობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე ცნს პათოლოგიათა ადრეულ გამოვლენაში, რადგან მისი კონვენციური გამოსახულებები მნიშვნელოვნად ზრდის და აუმჯობესებს ცნს-ის ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლენას და პროცესის ხასიათის დადგენას ავადობის სხვადასხვა ეტაპზე, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს მკურნალობის დაგეგმვას. მრტ–ის კვლევა განსაზღვრავს პათოლოგიური ქსოვილის სტრუქტურას. იგი წარმოადგენს კვლევის არჩევით მეთოდს ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობაში დადებითი გამოსავლისათვის.

6) „დიფუზური მახასიათებლები გლიურ სიმსივნეებში – მაგნტურ-რეზონანსური კვლევა”(თანაავტორობით; ჟ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე”, 1-2, 8–13).

კვლევის შედეგები მიუთითებს დიფუზურ-ტენზორული გამოსახვის მნიშვნელობაზე ინტრაკრანიული სიმსივნეების პრეოპერაციული კვლევისათვის, მკურნალობის ტაქტიკის შერჩევისა და დაავადების მიმდინარეობის პროგნოზირებისათვის.

დიფუზურ-შეწონილი გამოსახვის მონაცემები განხილული უნდა იყოს კომპლექსურად რუტინული მაგნიტურ–რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევის მონაცემებთან ერთად, რაც მეტად გაზრდის რადიოლოგიური კვლევის დიაგნოსტიკურ სიზუსტეს.

ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ძალისხმევით კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტში შეიქმნა რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტი, გამოიყო მრავალმილიონიანი ინვესტიცია, აშენდა ახალი შენობა სპეციალიზებული ბუნკერით. ჩამოვიდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს („МАГАТЭ“) სპეციალური კომისია. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შემოწმებულ იქნა რადიაციული უსაფრთხოების ნორმები. მიღებულ იქნა ლიცენზია მუშაობის დასაწყებად. დამონტაჟდა და ამუშავდა „Varian“-ის ფირმის ორი უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებელი „TrueBeam“-ი, მასთან ინტეგრირებულია სპეციალური კომპიუტერული ტომოგრაფი 3D გამოსახულების მიღებისა და მკურნალობის ტექნოლოგიების სინქრონიზაციით, რომლის საშუალებითაც პაციენტებს უტარდებათ ზუსტ გამოსახულებაზე დაფუძნებული სხივური თერაპია. ეს უახლესი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა აბსოლუტური სიზუსტით მოხდეს სამიზნე მოცულობის დასხივება ჯანმრთელი ორგანოებისა და ქსოვილების მაქსიმალური დაცვით. ეს არის თავისი შესაძლებლობებით უნიკალური უახლესი აპარატურა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „TrueBeam“-ის შემოტანა საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისია. ამიერიდან მედიცინის ეს დარგი სრულად აკმაყოფილებს ევროპული სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში უნიკალურ რადიკალურ და ორგანოშემანარჩუნებელ ონკოქირურგიულ ოპერაციებთან ერთად, პაციენტებს უკვე აქვთ შესაძლებლობა აქვე ჩაიტარონ კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის ყველა კომპონენტი – სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია, ტარგეტული თერაპია. ასეთი მიდგომა ონკოლოგიურ პაციენტებში სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის წინაპირობაა. დღესდღეობით ინსტიტუტში ყოველდღიურად 80-მდე პაციენტი იტარებს სხივური თერაპიის კურსს.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ხელმძღვანელობით კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში მიმდინარეობს მულტიცენტრული საერთაშორისო სამეცნიერო–კლინიკური კვლევები. ევროპისა და ამერიკის წამყვან სამედიცინო უნივერსიტეტებთან ერთად კვლევების ძირითადი მიმართულებებია: ონკოლოგია, ნევროლოგია, რევმატოლოგია, უროლოგია, კარდიოლოგია და პულმონოლოგია. კერძოდ, კლინიკური კვლევები ტარდება შემდეგი ნოზოლოგიების მქონე პაციენტთა ჯგუფებში: ძუძუს კიბო I, II, III, IV სტადია, ფილტვის კიბო, კოლორექტალური სიმსივნეები, გართულებული საშარდე გზების ინფექციები, რესპირატორული ტრაქტის ინფექციები, გაფანტული სკლეროზი და სხვა. მუშავდება 27 თემა, სადაც ავადმყოფებს ძვირადღირებული ქიმიო– და ჰორმონოპრეპატარებით მკურნალობა უტარდებათ უფასოდ. კვლევის შედეგად მიღებულ მასალაზე უცხოელ სპეციალისტებთან ერთად მუშაობენ ქართველი სპეციალისტები. კვლევის პროცესში პაციენტებზე ხდება კლინიკური და რადიოლოგიური კონტროლი, პაციენტებს მთელ რიგ ლაბორატორიულ

კვლევებთან ერთად უტარდებათ კომპიუტერული და მაგნიტურ–რეზონანსული ტომოგრაფია.

აკად. ფ. თოდუამ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და წაიკითხა მოხსენებები:

– ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის ყოველწლიურ კონგრესზე წარსდგა 2 მოხსენებით (ვენა, ავსტრია):

1) „თავის ტვინის სტრუქტურული და ჰემოდინამიკური ცვლილებები, გამოწვეული ეფედრინის მოხმარებით“;

2) „დაბალ- და მაღალდიფერენცირებული გლიომების დიფუზურ-ტენზორული გამოსახულებები მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიაში“;

– ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა ასოციაციის ყოველწლიური კონგრესი (ჩიკაგო, აშშ).

აკად. ფ. თოდუა თურქეთის რადიოლოგთა ასოციაციის მიერ მიწვეულ იქნა თურქეთში რადიოლოგთა კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. გაკეთდა მოხსენება თურქეთის რადიოლოგთა ასოციაციის წინაშე საქართველოში რადიოლოგიური სამსახურის მიღწევების შესახებ. ასოციაციებს შორის დაიდო ხელშეკრულება შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე

სტატიები

1) „ერექციული ფუნქცია ჰიპერგონადოტროპული ჰიპოგონადიზმისა და აზოოსპერმიის დროს” (თანაავტორობით; Journale of Sexuale Medicine, 2014, v. 11, suppl. 1, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილ იქნა ერექციული ფუნქცია საერთაშორისო ინდექსის გამოყენებით. შკალის ჯამი მერყეობდა 18-24–ის ფარგლებში, რაც, მიუხედავად გამოხატული ჰიპოგონადიზმისა, შეფასდა როგორც მოულოდნელი შედეგები. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კონტინგენტის მამა-

კაცებში ტესტოსტერონის როლის დადგენა უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს.

2) „დესლორატიდინის (ესლოტინის) გამოყენება მომატებულ MAR-ტესტთან ასოცირებული ასთენოზოოსპერმიის დროს" (თანაავტორობით; European Urology, 2014, v. 13, issue 1, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ დესლორატიდინის გამოყენება შესაძლებელია ისეთ პაციენტებზე, რომელთაც აღენიშნებათ მომატებულ MAR ტესტთან ასოცირებული ასთენოზოოსპერმია, რაც რიგ შემთხვევაში განაპირობებს სპერმატოზოიდების პროგრესული მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესებას (15%–დან 28%–მდე).

3) „ინჰიბინ „B" როგორც სპერმატოგენეზის გაუმჯობესების მარკერი ვარიკოცელექტომიის შემდეგ მძიმე ხარისხის ოლიგოსპერმიის დროს" (თანაავტორობით; Andrology, suppl. 2, ინგლისურ ენაზე).

გამოვლენილია სპერმატოგენეზის მკვეთრი გაუმჯობესება პაციენტთა იმ ჯგუფში, სადაც ინჰიბინ „B" დონე აღემატებოდა 95 rg/L–ს, ვიდრე იმ პაციენტებში, რომელთა სისხლში ინჰიბინ „B" მაჩვენებელი 95 rg/L–ზე ნაკლები იყო.

4) „პოხიერი უჯრედების მასტაბილიზებელი დესლორატიდინის გამოყენება მომატებულ MAR ტესტთან დაკავშირებული ასტენოზოოსპერმიის დროს" (თანაავტორობით; Andrology, suppl. 2, ინგლისურ ენაზე).

კვლევის მიზანი იყო დესლორატიდინის გამოყენების პროცენტული როლის განსაზღვრა იმუნოლოგიური უნაყოფობის დროს. აღნიშნული პრეპარატით მკურნალობის ჩატარების შემდეგ გამოვლინდა სპერმატოზოიდების მოძრაობის სტატისტიკურად სარწმუნო გაუმჯობესება. შესწავლილ იქნა, აგრეთვე, რომ სპერმატოზოიდმა ანტისხეულებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს იდიოპათიური ასთენოზოოსპერმიის პათოგენეზში.

5) „არის თუ არა პროქსეტინის ადგილი დაპოქსეტინის ერაში” (თანაავტორობით; Andrology, suppl. 2, ინგლისურ ენაზე).

PEDT ჩვენ მიერ თარგმნილი კითხვარის გამოყენებით შეფასდა პრეპარატ პროქსეტინით მკურნალობის შედეგები ნაადრევი ეაკულაციით დაავადებულ პაციენტებში.

აკად. ლ. მანაგაძემ მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა სამეცნიერო ფორუმებზე:

– ევროპის უროლოგთა ასოციაციის 29-ე კონგრესი (სტოკჰოლმი, შვედეთი);

– „თანამედროვე ტენდენციები გავრცობილი პროსტატის კიბოს მენეჯმენტში“ (უროლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი);

– „ქართული უროლოგია – გზები წარმატებისკენ” (პოლონეთის უროლოგთა კონგრესი, ვარშავა, პოლონეთი);

– სომხეთის უროლოგთა საზოგადოებისა და ევროპის უროლოგთა სკოლის კონგრესი (ერევანი, სომხეთი);

– უროლოგთა საერთაშორისო საზოგადოების 34-ე კონგრესი (გლაზგო, შოტლანდია);

– პირველი საერთაშორისო და რუსეთის მე-4 კონგრესი ენდოსკოპიასა და ახალ ტექნოლოგიებზე (ბათუმი);

– საქართველოს უროლოგთა ასოციაციისა და ევროპის უროლოგთა სკოლის კონგრესი (თბილისი).

აკად. ლ. მანაგაძე მონაწილეობდა გრანტის შესრულებაში:

– „აპოპტოზისა და უჯრედის ციკლის მარეგულირებელი პროტეინების როლი პროსტატისა და თირკმლის კიბოს დროს” (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი);

მონაწილეობდა, აგრეთვე, 3 საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში.

აკად. ლ. მანაგაძე დაჯილდოვდა პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით. იგი არჩეულ იქნა სომხეთის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსად.

აკადემიკოსი ნოდარ მითაგვარია

სტატიები

1) „ჰემორაგიული შოკი – მიზეზი და შედეგი. ჰემორეოლოგიის დარღვევები ერითროციტების აგრეგადობის ცვლილების მაგალითზე"(თანაავტორობით; Journal of Stress Physiology & Biochemistry, v. 10 №2, 238-246, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია სისხლის რეოლოგიური თვისებები ჰემორაგიული შოკის სხვადასხვა სტადიაში და სითბური სტრესის სამი განსხვავებული ხარისხის პირობებში. ნაჩვენებია, რომ ჰემორაგიული შოკით გამოწვეული სტრესი ვითარდება გამოშვებული სისხლის მოცულობის შესაბამისად, ასევე იზრდება ერითროციტების აგრეგადობა, ხოლო იმ ცხოველებში, რომლებიც უკვე იმყოფებიან პირველი ან მეორე ხარისხის სტრესის პირობებში, ერითროციტების აგრეგადობა ჰემორაგიის განვითარებისას იზრდება ბევრად უფრო ინტენსიურად. მესამე ხარისხის სტრესი კი სრულად არღვევს სისხლის რეოლოგიურ სურათს და შოკის პირველსავე სტადიაში დგება ლეტალური შედეგი.

2) „სისხლის რეოლოგიური სტატუსი ობსტრუქციული აპნოეს დროს" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, ტ. 40, №5-6, 251-256).

გამოკვლევა ჩატარდა ობსტრუქციული აპნოეთი დაავადებულ პაციენტებზე და ჯანმრთელი პირების ჯგუფზე. ყველა პაციენტს და საკონტროლო ჯგუფის ჯანმრთელ პირს ჩაუტარდა სრული რეოლოგიური გამოკვლევა: ერითროციტების აგრეგადობა, ერითროციტების დეფორმადობა, პლაზმის სიბლანტე და ჰემატოკრიტი, რაც სრულფასოვნად ადგენს საკვლევი პირის რეოლოგიურ სტატუსს. დადგენილია, რომ ობსტრუქციული აპნოეს დროს რეოლოგიური სტატუსი იცვლება. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლოა, გაიცეს რეკომენ-

დაცია, რათა ობსტრუქციული აპნოეს მკურნალობის პროცესში ჩართული იყოს დეზაგრეგანტებიც.

აკად. ნ. მითაგვარია მოხსენებით გამოვიდა სამეცნიერო ფორუმებზე:

– „ჰორმეტული ეფექტი და მისი დარღვევა წყალბადის ზეჟანგით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესის დროს" (ნეირომეცნიერთა საერთაშორისო კონგრესი, ვაშინგტონი, აშშ);

– ინდუციბელური აზოტის ოქსიდის სინთეზის ინჰიბირების ეფექტი ლოკალური ჰიპერთერმიით ინდუცირებულ მორფო-ფიზიოლოგიურ ცვლილებებზე ვირთაგვების თავის ტვინის ქსოვილში" (ნეირომეცნიერთა საერთაშორისო კონგრესი, ვაშინგტონი, აშშ).

– „ჰორმეზისი – სტრესორებისადმი მდგრადობის და ნეიროპლასტიკურობის საფუძველი (ჰიპერთერმიული სტრესის მაგალითზე)" (III საერთაშორისო სიმპოზიუმი: ნეიროპლასტიკურობა, თბილისი);

– „თავისუფალი რადიკალები და ჰორმეზისის ფენომენი" (XII ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია – „ფიზიოლოგიისა და ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები", ქუთაისი).

აკად. ნ. მითაგვარიამ მონაწილეობა მიიღო ევროპის ნეირომეცნიერთა საზოგადოებების ფედერაციის (FENS) მმართველი კომიტეტის სხდომაში, რომელიც შედგა ბრიუსელში (ბელგია).

იგი მონაწილეობდა 2014 წელს დასრულებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის – „მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ქცევითი დარღვევების მექანიზმების ანალიზი" – შესრულებაში (სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი).

აკადემიკოსი დავით მიქელაძე

სტატიები

1) „IL-10-ის გენის ნოკაუტი იწვევს mGiula/b რეცეპტორის ექსპრესიის და გლუტამატ-დამოკიდებული აზოტის ოქსიდის პროდუქციის შემცირებას" (თანაავტორობით, J. Biomedical Science and Enginering, 7, 1019-1029. DOI:http://dx.doi.org/ 10.4236/ jbise. 2014.713099, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია 3,5,3'-ტრიიოდ-L-თირონინის (T3) და L-თიროქსინის მოქმედება αvβ3-ინტეგრინის რეცეპტორზე ფეოქრომოციტომას PC-12 უჯრედებზე. უჯრედების დიფერენცირება გამოწვეული იყო ფიზეტინის საშუალებით. დიფერენცირებულ და არადიფერენცირებულ უჯრედებზე შესწავლილია ERK და Akt პროტეინკინაზების რაოდენობრივი ცვლილებები ციტოპლაზმაში, ჩატარდა FoxO6 ტრანსკრიპციული ფაქტორის ანალიზი უჯრედების ბირთვში. დადგენილია, რომ არადიფერენცირებულ PC-12 უჯრედებში, αvβ3 ინტეგრინების რეცეპტორთან თიროიდული ჰორმონების დამაკავშირებელი უბნის ინჰიბიტორი – ტეტრაიოდთიროაცეტატი (TETRAC), იწვევს T4-ით სტიმულირებული ERK-ს აქტივობის დათრგუნვას, ხოლო დიფერენცირებულ უჯრედებზე ინჰიბიტორის ეფექტი მიმართულია T3-ით ERK-ს მოქმედების შემცირებაზე. არადიფერენცირებულ PC-12 უჯრედებზე ორივე ტიპის თიროიდული ჰორმონი განაპირობებს ფოსფორილირებული Akt-ს რაოდენობრივ ზრდას, რომელიც მგრძნობიარეა TETRAC–ის მიმართ. დიფერენცირებულ უჯრედებში ინჰიბიტორის მიმართ მგრძნობელობას მხოლოდ T3-ის მოქმედება ამჟღავნებს. გარდა ამისა, ნანახია, რომ ტრანსკრიპციული ფაქტორის - FoxO6-ის დონე დიფერენცირებულ PC-12 უჯრედებში უფრო მაღალია, ვიდრე არადიფერენცირებულ უჯრედებში. ამ ტრანსკრიპციის ფაქტორის რაოდენობრივი ცვლილებები არ არის დაკავშირებული თიროიდული ჰორმონების მოქმედებასთან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ PC-12 უჯრედებში αvβ3-ინტეგრინების

რეცეპტორის T3 და T3/T4 დამაკავშირებელი უბნები სხვადასხვაგვარად რეგულირდებიან დიფერენცირებულ და არადიფერენცირებულ უჯრედებში.

2) „ნობილეტინი აღადგენს ჰიპოთიროიზმის შედეგად დარღვეულ ბიოენერგეტიკას ჰიპოკამპის მიტოქონდრიებში მატრიქსში სუბსტრატული ფოსფორილირების აქტივაციის გზით" (თანაავტორობით; Nutrition Neuroscience. 4 DOI: http//dx.doi.org/10.1179/1476830514Y.000000, ინგლისურ ენაზე).

თიროიდული ჰორმონების დეფიციტი ზრდასრულებში იწვევს ნერვული სისტემის დისფუნქციების მთელ სპექტრს სწავლისა და მეხსიერების პროცესების დარღვევის ჩათვლით. ნობილეტინი წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო ფლავონოიდს, რომელსაც აქვს ნეიროპროტექტორული და ნეიროტროფული თვისებები და გავლენას ახდენს თავის ტვინის კოგნიტურ ფუნქციაზე. ატფ-ის სინთეზი, სუქცინატდეჰიდროგენაზური აქტივობა (SDH) და მიტოქონდრიული ჰექსოკინაზის (mt-HK) აქტივობა შედარებული იყო ზრდასრული ვირთაგვების ჰიპოკამპის სინაფსურ (SM) და უჯრედულ (CM) მიტოქონდრიებში ეუთიროიდულ, ჰიპოთიროიდულ, თიროქსინით ნამკურნალებ და ნობილეტინის მიღების შემდეგ ჰიპოთიროიდულ ცხოველებში. ატფ-ის შემცირებული სინთეზი ჰიპოთიროიდული ვირთაგვების ჰიპოკამპში აღინიშნებოდა CM და SM ფრაქციებში, სინთეზი აღდგებოდა როგორც ჰორმონის ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე, ისე ნობილეტინის მიღების შედეგად. ატფ-ის ოლიგომიცინ-არასენსიტიური სინთეზი, ისევე როგორც ალფა-კეტოგლუტარატ დამოკიდებული ატფ-ის პროდუქცია, აგრეთვე, შემცირებული იყო ჰიპოთიროიდული ცხოველების CM და SM ფრაქციებში; ეს შემცირება არ აღდგებოდა SM ფრაქციაში ვირთაგვების თიროქსინით მკურნალობის შემდეგ. მხოლოდ ნობილეტინის დამატებამ გაზარდა ატფ-ის ოლიგომიცინ-არასენსიტიური და ალფა-კეტოგლუტარატ-დამოკიდებული ატფ-ის პროდუქცია მიტოქონდრიების ორივე ტიპში. SDH აქტივობა ჰიპოთიროიდული ვირთაგვების

SM ფრაქციაში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით დაბალი იყო, მაშინ როდესაც SDH აქტივობა ჰიპოთიროიდული ვირთაგვების CM ფრაქციაში აჭარბებდა საკონტროლო დონეს. SDH აქტივობა CM ფრაქციაში ნორმალიზდებოდა ჰორმონის ჩანაცვლებით ან ნობილეტინის გამოყენებით, როდესაც SM ფრაქციაში მხოლოდ ცხოველების მკურნალობა T4-ით იწვევდა SDH აქტივობის მატებას. ეს მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნობილეტინს შეუძლია გააძლიეროს ატფ-ის მიტოქონდრიული სინთეზი ჰიპოთირეოდიზმის დროს მატრიქსის სუბსტრატული ფოსფორილების გაძლიერებით, რაც უნდა განიხილებოდეს როგორც პრევენცია და მკურნალობა ჰიპომეტაბოლურ დაავადებებში.

აკად. დ. მიქელაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „IL-33 და გალექტინი-3 პროდუქცია გლიის პირველადი უჯრედების მიერ მიელინის ფუძე ცილის მუხტისმიერი იზომერების ზემოქმედებით" (FEBS-EMBO–ს გაერთიანებული კონფერენცია, პარიზი, საფრანგეთი);

– „ინტერლეიკინ 8–ის და 10–ის პროდუცირება იცვლება ლიმფოციტებში NMDA რეცეპტორის გააქტივების შედეგად" (FEBS-EMBO–ს გაერთიანებული კონფერენცია, პარიზი, საფრანგეთი);

– „IL-10 გენის ნოკაუტი იწვევს სპერმინის სინთეზის სეკრეციის, mGlu რეცეპტორის ექსპრესიის და გლუტამატ-დამოკიდებული აზოტის ოქსიდის სინთეზის ცვლილებებს" (FEBS-EMBO–ს გაერთიანებული კონფერენცია, პარიზი, საფრანგეთი);

– „ნობილეტინის მონაწილეობა ნეირონების მიტოქონდრიების ბიოენერგეტიკაში სუბსტრატული ფოსფორილირების საშუალებით" (ევროპის ბიოენერგეტიკოსთა კონფერენცია, ლისაბონი, პორტუგალია);

– „პოლიამინების წარმოებულების განსაზღვრა მაღალი წნევის ქრომატოგრაფიით ტვინის ნეიროსინაპტოსომებში"(41-ე

საერთაშორისო სიმპოზიუმი – „მაღალი წნევის ქრომატოგრაფია“, ახალი ორლეანი, აშშ).

აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი

სტატიები

„კვლევითი ქცევა და ამოცნობის მეხსიერება მედიალური სეპტუმის ელექტროლიზური, ნეირო– და იმუნოტოქსინების დაზიანების მქონე ვირთაგვებში” (გადაცემულია პუბლიკაციისათვის ჟურნალში „Journal Physiological Research” (Manuscript Ref. №932809, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ვირთაგვების კვლევით ქცევაში, სივრცითი და საგნების ფიზიკური მახასიათებლების ამოცნობის მეხსიერების მექანიზმებში მედიალური სეპტუმის მნიშვნელობა. ექსპერიმენტებში გამოიყენებოდა მედიალური სეპტუმის დაზიანების სამი მეთოდი: ელექტროლიზური, ნეიროტოქსიკური და იმუნოტოქსიკური. მიღებული შედეგებით ირკვევა, რომ მედიალური სეპტუმის შერჩევითი დაზიანება არღვევს ჰიპოკამპზე დამოკიდებულ კოგნიტურ პროცესებს, მედიალური სეპტუმი მნიშვნელოვანია სივრცითი და არა ობიექტთა სიახლის ამოცნობისათვის. მედიალური სეპტუმის ქოლინერგული ან არაქოლინერგული ნეირონების შერჩევითი დაზიანება არ იწვევს ჰიპოკამპის ფუნქციის ისეთ დარღვევას, რაც საკმარისი იქნებოდა სივრცითი ამოცნობის მეხსიერების დეფიციტისთვის. გამოვლენილია ფუნქციური დისოციაცია სეპტოჰიპოკამპური პროექციების ორ ძირითად (ქოლინერგულ და არაქოლინერგულ) კომპონენტს შორის.

აკად. თ. ნანეიშვილმა მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა სამეცნიერო ფორუმებზე:

– „სივრცითი ხანგრძლივი მეხსიერება და NMDA რეცეპტორის ექსპრესიის მოდულაცია სეპტუმის იმუნოტოქსინებით დაზიანების მქონე ვირთაგვებში” (IBNS (International Behavioral Neuroscience Society, ლას ვეგასი, აშშ);

– „ხანგრძლივი მეხსიერება და NMDA რეცეპტორის ექსპრესიის მოდულაცია მედიალური სეპტუმის იმუნოტოქსინებით დაზიანების მქონე ცხოველებში” (27th ECNP (European College of neuropsychopharmacology, ბერლინი, გფრ);

– „სივრცითი ხანმოკლე მეხსიერება და NMDA რეცეპტორის ექსპრესიის მოდულაცია მედიალური სეპტუმის იმუნოტოქსინებით დაზიანების მქონე ვირთაგვებში” (9th FENS Forum of neuroscience, მილანი, იტალია).

– „იმუნოტოქსინებით მედიალური სეპტუმის ქოლინერგული და GABA–ერგული ნეირონების შერჩევითი დაზიანების მქონე ვირთაგვებში ჰიპოკამპდამოკიდებული მეხსიერებისა და შესწავლის პროცესების კვლევა” (9th FENS Forum of neuroscience, მილანი, იტალია).

– „ჰიპოკამპში გლუტამინისა და GABA-ს დონე მუშა მეხსიერების ტესტის შესრულებისას მუმანტინით ან ფიზიოლოგიური ხსნარით ზემოქმედების პირობებში” (III International Scientific Seminar: „Neuroplasticity: Nervous Substrate for Health and Diseases“. New Approaches to Research”, თბილისი).

აკად. თ. ნანეიშვილი ხელშეკრულებით მონაწილეობდა საგრანტო თემის დამუშავებაში:

– „ჰიპოკამპდამოკიდებული მეხსიერების მოდულაცია სეპტოჰიპოკამპური ქოლინერგული და არაქოლინერგული პროექციებით: ქცევითი და იმუნოციტოქიმიური კვლევა“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი №13/10).

მის მიერ ხელისუფლებაში წარდგენილია დასკვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2014 წლის 6 იანვარს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროგრამული დაფინანსებისათვის კოდით 32 04 02 გამოცხადებული პროექტების კონკურსის შესახებ.

აკად. თ. ნანეიშვილი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს „მეხსიერების ნერვული მექანიზმების“ მიმართულებით დოქტორანტურას და კითხულობს ქცე-

ვათნეირომეცნიერებისა და ქცევის შესწავლის მეთოდების სასწავლო კურსებს. თსუ–ის მედიცინის ფაკულტეტზე მას მიჰ-ყავს სასწავლო კურსი ქცევის ფსიქოფიზიოლოგიაში.

იგი არის 8 დოქტორანტის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი

სტატიები

1) „მატრიქს-მეტაპროტეაზა-9-სა და ექსტრაცელულარ ციტოკინ HM9B 1-ს შორის კორელაცია იშემიური ინსულტის გამოსავლის პროგნოზში" (თანაავტორობით; Biochimical at Biofizical acta, 1842,(9)1379-1384, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია მატრიქს-მეტაპროტეაზა MMP-9-ს პათოგენური როლი იშემიური ინსულტის პირობებში დაზიანებულ ცერებრულ ქსოვილში მეორადი ჰემორაგიული ტრანსფორმირების განვითარებაში და ციტოტოქსინების მონაწილეობით ნეიროგლიურ კომპლექსში მწვავე ანთებითი პროცესის ინდუცირებაში.

2) „მიასთენიის სერონეგატიური და MUSK-სეროპოზიტიური ვარიანტების კლინიკურ-იმუნოლოგიური და ელექტრულ-ნეირომიოგრაფიული ასპექტები" (თანაავტორობით; „საქართველოს სამედიცინო სიახლენი" 7(232-234), 42-47).

კლასიფიცირებულია იმუნოპათოლოგიური სეროლოგიური კომპლექსი და დიფერენცირებულია დაავადების მანიფესტირებისა და მიმდინარეობის ხასიათის მაჩვენებლები სისხლში მოცირკულირე ანტისხეულების სპეციფიკურობის შესაბამისად.

3) „ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის ეტიოლოგიური აგენტები ცხელებით ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა შორის საქართველოში" (თანაავტორობით; PLOS One, 4,9(11), e, 111393, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია ცხელებით მიმდინარე ნეიროინფექციების გამომწვევი მიკროფლორის კლასიფიცირება და მისი ჰემატო-

ლოგიური და ლიქვოროლოგიური იდენტიფიცირების ქრონოლოგია.

4) „მაღალსელექტიური ანგიოტენზინ მეორე ტიპის ანტაგონისტების გამოყენება – პოსტჰერპესული ნევრალგიის მკურნალობის ახალი მეთოდი“ (თანაავტორობით; The Lancet, 383, 9929, 1637-16-47, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია სელექტიური ანგიოტენზინ მეორე ტიპის ანტაგონისტების თერაპიული ეფექტი პოსტჰერპესული ნეიროპათიების მიმართ. დადგენილია მათი მაღალი ანალგეზური და ანტიალოდინიური ეფექტები, განსაკუთრებით სამწვერა ნერვის პირველი და მეორე ტოტების ჰერპესული ნეიროპათიისა ცირვიკალურ-თორაკალური სენსორული კვანძების მწვავე ანთებითი დაზიანების პირობებში. აღნიშნულია შესწავლილი ფარმაკოთერაპიული აგენტის მიმართ ალოდინიის მაღალი სენსიტივობა.

5) „საქართველოში თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების გავრცელება და ავადობის დინამიკა პროსპექტულ-პოპულაციური კვლევის მიხედვით” (თანაავტორობით; BMC, Neurology, 14, 29, ინგლისურ ენაზე).

განსაზღვრულია ეპიდემიოლოგიური პარამეტრების დინამიკა 3-წლიანი ლონგიტუდინური დაკვირვებით თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების სრული ნოზოგრაფიული მოცულობით. ნეიროონკოლოგიაში მსგავსი პროსპექტული პოპულაციური კვლევის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

6) „თავის ტვინის პირველადი სიმსივნით ავადობა. სამწლიანი პროსპექტული პოპულაციური კვლევა” (თანაავტორობით; Europ. J. Neurology, 21, Supp 1, 236, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ავადობის გენდერული და ასაკობრივი მახასიათებლების ვარიაბელობა დიაგნოზირების შემდგომი სიცოცხლის ხარისხისა და ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად პოპულაციური მასშტაბით რადიოთერაპიული და ქიმიოთერაპიული მენეჯმენტის ტექნოლოგიური ტაქტიკური დახვეწის პირობებში.

7) „ინტერფერონ B-1D გამოყენება რემისიულ-მორეციდივე გაფანტული სკლეროზის მკურნალობაში (ADVANCE), რანდომული ფაზა 3, ორმაგი ბრმა კვლევა“ (თანაავტორობით, Lancet Neurology 13(7) 657-665, ინგლისურ ენაზე).

ასახულია ახლად სინთეზირებული პრეპარატ „ადვანსის” თერაპიული ეფექტიანობის პროფილი გაფანტული სკლეროზის რეციდიულ-რემისიული ფორმების მიმართ.

8) „ცერებრული იშემიის მქონე ავადმყოფთა შორის ძილის აპნოე/ჰიპოპნეა სინდრომთან ასოცირებული მიკროჰემორეოლოგიური ეფექტები” (თანაავტორობით; Europ. J. Neurology, 13(7) 657-665, ინგლისურ ენაზე).

დადასტურებულია, რომ თავის ტვინის ტერიტორიული ინფარქტის შემდეგომ მწვავე პერიოდში ძილის ობსტრუქციული აპნოეს განვითარების სიხშირე აღწევს 40%–ს, ხოლო ქრონიკულ სტადიაში, პოსტინსულტურ პერიოდში, ძილის აპნოე სტაბილურად შენარჩუნებულია შემთხვევათა 20%-ში.

9) „გაფანტული სკლეროზის ლაქვინიმოდით მკურნალობის პლაცებო-კონტროლირებული კვლევა” (თანაავტორობით; J. Neurol. Psychiat., 85(8) 851-858, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია თავის ტვინის დემიელინიზაცია გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტთა ჯგუფში და ანთებითი კერების რადიოანატომიური ცვლილებების დინამიკა დაავადების სიმწვავის მიხედვით ლაქვინიმოდით მკურნალობის პირობებში. ნაჩვენებია, რომ მკურნალობის პროცესში დეგენერაციის კერების რაოდენობა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებას არ ავლენს, მაშინ როდესაც მათში ანთებითი დაზიანების კორელანტები ამჟღავნებს ქსოვილოვანი რეაქციის მნიშვნელოვნად ნაკლებ ინტენსივობას.

10) „დაღლილობასთან ასოცირებული ძილის დარღვევები გაფანტული სკლეროზით დაავადებულებში” (თანაავტორობით; J. Sleep Reserch, 8, 180, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ქრონიკული დაღლილობა გაფანტული სკლეროზის მიმდინარეობაში პათოფიზიოლოგიურად წარმო-

ადგენს დისკონექციურ სინდრომს, რომლის მექანიზმებში იკვეთება ტრანსკალოზური დემილინიზაციური დაზიანება. ამ უკანასკნელის ინტენსივობის მაჩვენებლები კორელაციაშია თავზურგტვინის სითხეში ციტოკინების შემცველობასთან.

აკად. რ. შაქარიშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში:

– XXII Congress of the Europien Sleep reserch society (სხდომის ხელმძღვანელი, სასექციო მოხსენება, ტალინი, ესტონეთი);

– The 8- th World Congress on Controversies in Neurology (ბერლინი, გფრ);

– EXCEMED Annuel conference, (სხდომის თავმჯდომარე, სადისკუსიო კლუბის მოდერატორი, დუბაი, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა);

– რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „დიაბეტური ნეიროპათია“ (თბილისი).

იგი დაჯილდოვდა პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით და კათოლიკოს–პატრიარქის წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი

სტატიები

1) „ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი (ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მეოთხე ძირითადი) მდგომარეობის თეორია“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, №3–4, 171–176).

ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი მდგომარეობის თეორიის გათვალისწინებით განიხილება ამ თეორიის ერთ–ერთი საკვანძო მნიშვნელობის წარმოდგენა ინფორმაციული სტრესის ბიფუნქციური ბუნების შესახებ; დადგენილია ინფორმაციული სტრესის ბიოლოგიურად დადებითი და უარყოფითი კომპონენტების არსებობა. ორივე კომპონენტს საფუძვლად უდევს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნეირო-

ბიოლოგიური მექანიზმები. დადებითი კომპონენტის ბიოლოგიური მნიშვნელობა მდგომარეობს სტრესოგენური ფაქტორით გამოწვეული (ინფორმაციული ტრიადა) პათოგენური პროცესების დათრგუნვაში და, ამრიგად, არის თავის ტვინის თვითრეგულაციის მექანიზმის გამოვლინება. ინფორმაციული სტრესის დადებითი კომპონენტი არის თავისებური ფარი პათოლოგიური მდგომარეობის განვითარების პროცესში. მოვლენების ამგვარი თეორიული ახსნა შეიძლება საფუძვლად დაედოს უაღრესად მნიშვნელოვან პრაქტიკულ ამოცანას – ინფორმაციული დაავადების პრევენციის მიზნით ახალი ფარმაკოლოგიური მიდგომების ძიებას.

2) „ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი მდგომარეობის ბიოლოგიურად დადებითი ქცევითი მაჩვენებლები და მათი ფარმაკოლოგიური რეგულაცია ინფორმაციული სტრესის პირობებში“ (თანაავტორობით; III საერთაშორისო სიმპოზიუმის – „ნეიროპლასტიკურობა: ჯანმრთელობისა და დაავადების ნერვული სუბსტრატი“– მასალები, თბილისი, 11–12).

ინფორმაციული სტრესის ბიოლოგიურად დადებითი კომპონენტი ხასიათდება ისეთი ქცევითი გამოვლინებებით, რომლებიც თავის ტვინის თვითრეგულაციური მექანიზმების გაძლიერებით იწვევენ უმაღლესი ნერვული სისტემის მდგრადობის ამაღლებას პათოლოგიური გამღიზიანებლების მიმართ. ნაჩვენები იქნა, რომ ინფორმაციული სტრესის საწყის ეტაპზე ანტიდეპრესანტ ფლუოქსეტინის გამოყენება იწვევს თვითრეგულაციური მექანიზმების გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, ამაღლებს ორგანიზმის მდგრადობას სტრესოგენური ზემოქმედების მიმართ.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი მდგომარეობის თვითრეგულაციური მექანიზმების ფარმაკოლოგიური რეგულაცია (გაძლიერება) მიზანშეწონილია სტრესოგენური ზემოქმედების უკვე საწყისი ეტაპიდან.

აკადემიკოსი შოთა ჯაფარიძე

სტატიები

1) **აკად. წევრ–კორ. ზურაბ ქევანიშვილთან თანაავტორობით.** „სმენის რეაბილიტაცია კოხლეარული იმპლანტაციით: სტატუსი საქართველოში" („საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, 40 (1-2): 67-73.)

შეჯამებულია კოხლეარული იმპლანტაციის სფეროში მიღწეული წარმატებები საქართველოში. მითითებულია, რომ იმპლანტაციის პირველი ოპერაცია ქვეყანაში 1999 წელს განხორციელდა, 2014 წლის ჩათვლით კი ჯამში 275 იმპლანტაცია შესრულდა. ყველა შემთხვევაში გამოიყენებოდა კომპანია „MedEl"–ის წარმოებული სხვადასხვა მოდელი. ამა თუ იმ ინციდენტის მიზეზით იმპლანტების ტრავმულ დაზიანებათა გამო ექვს შემთხვევაში (2,2%) რეოპერაციის ჩატარება გახდა საჭირო. პრელინგვალებში იმპლანტაციის ქმედითობა მნიშვნელოვანწილად იმპლანტირებულის ასაკზე იყო დამოკიდებული: ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში იმპლანტაციის შედეგი იყო უკეთესი, ვიდრე უფრო მოზრდილებში. პოსტლინგვალთა ჯგუფში იმპლანტაციის დადებით ეფექტს ყველა ასაკის იმპლანტირებულში თანაბრად ჰქონდა ადგილი.

2) **აკად. წევრ–კორ. ზურაბ ქევანიშვილთან თანაავტორობით.** „ოტოსკლეროზის ქირურგია შუა ყურში უზანგის ძვლის სხვადასხვა პოზიციისას" (წიგნში: XII ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის – „ფიზიოლოგიისა და ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები" – მასალები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 71-72).

ჩამოთვლილია შუა ყურში უზანგის ძვლის პოზიციის ვარიაციები, რომლებიც პრობლემებს უქმნიან ოპერატორს ოტოსკლეროზის ოპერაციის შესრულებისას. ერთ ასეთ უხერხულ ვარიანტს ოვალური სარკმლის მიმართ უზანგის რკალის მკვეთრი ვერტიკალური დგომა წარმოადგენს. ამ დროს საფეხე

ფირფიტის ვიზუალიზაცია შეზღუდულია, რაც მის პერფორაციას და პროთეზით უზანგის ჩანაცვლებას ართულებს. დაბრკოლებათა პრევენციის მიზნით შემუშავებულია მეთოდი, რომელიც ოპერაციის დასაწყისში უზანგის რკალის უკანა ფეხის შუა მესამედში სკიტერის 0.6 მმ ბორით ნიშის შექმნას გულისხმობს. ნიშა საფეხე ფირფიტის ნორმალურ ვიზუალიზაციას და მასთან თავისუფალ მიდგომას უზრუნველყოფს. შედეგად, მხედველობითი კონტროლის ქვეშ საფეხე ფირფიტა უკვე ჩვეულებრივ ფენესტრირდება და ხვრელში უზანგის პროთეზი ჩვეულებრივ იმპლანტირდება. მოწოდებული მეთოდი ტიმპანოტომიის მძიმე გართულების – მცურავი საფეხე ფირფიტის განვითარების შესაძლებლობასაც გამორიცხავს. ამგვარად, უზანგის ორდინარული ტოპოგრაფიული სტატუსისას ოტოსკლეროზის ოპერაცია ფიშის სტანდარტული მეთოდით უნდა რეალიზდებოდეს, საფეხე ფირფიტის მიმართ უზანგის რკალის მკვეთრი ვერტიკალური დგომისას კი ქირურგიული ველის ვიზუალიზაციის და მასთან დაკონტაქტების უზრუნველყოფის მიზნით ოპერაციის დასაწყისში უზანგის რკალის უკანა ფეხის არეში ნიშა უნდა კონსტრუირდებოდეს.

აკად. შ. ჯაფარიძე მოხსენებებით გამოვიდა სამეცნიერო ფორუმებზე:

– „კოხლეარული იმპლანტაცია საქართველოში: ისტორიული შტრიხები, თანამედროვე ხედვები, მომავლის პერსპექტივები" (სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის სხდომა, თბილისი).

– „კოხლეარული იმპლანტაცია საქართველოში: წარსული, დღევანდელი დღე, მომავალი" (ოტორინოლარინგოლოგიის თავისა და კისრის ქირურგიის საერთაშორისო აკადემიის XXVIII წლიური შეკრება, თბილისი).

აკად. შ. ჯაფარიძე თანახელმძღვანელობდა:

– სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის ორგანიზებას თემაზე – „სასმენი აპარატების ან კოხლეარული იმპლანტების მატარებელი სმენადაზიანებული ბავშვების სმენა-მეტყველების

სარეჰაბილიტაციოდ სურდო–პედაგოგებისა და მშობლების კომპლექსური მუშაობა“ (თბილისი);

– ოტორინოლარინგოლოგიის თავისა და კისრის ქირურგიის საერთაშორისო აკადემიის XXVIII წლიური შეკრების ორგანიზებას (თბილისი);

– პირველი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებას თემაზე – „სმენადაზიანებული ბავშვების რეჰაბილიტაციისა და ჰაბილიტაციის თანამედროვე მეთოდები და შედეგები“ (თბილისი);

– VIII სასწავლო-საოპერაციო კურსის ჩატარებას თემაზე – „შუა ყურის ქირურგია“ (თბილისი).

აკად. შ. ჯაფარიძე მონაწილეობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამაში სახელწოდებით: „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა“. პროგრამა ითვალისწინებს IV, ანუ უმძიმესი ხარისხის სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებისათვის ძვირადღირებული კოხლეარული იმპლანტების უსასყიდლოდ გამოყოფას, შიგნითა ყურში მათ ჩანერგვას, იმპლანტების სისტემატურ დარეგულირებასა და იმპლანტირებულთა რეგულარულ ლოგოპედიურ მომსახურებას.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქეთევან ნემსაძე

სახელმძღვანელო

„ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობის ძირითადი პრინციპები” (100 გვ., თბილისი).

სახელმძღვანელო განკუთვნილია მედიცინის მუშაკებისა და მშობელთათვის. მასში აღწერილია ყველა ის ძირითადი მიმართულება რომელიც ეხება ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობის საკვანძო საკითხებს.

სტატია

„იძულებით გადაადგილებულ პირთა პოპულაციაში ბავშვთა ნუტრიციული სტატუსი და ასთმის გავრცელება“ (ასთმის, ალერგიისა და ფქოდ-ის VII მსოფლიო ფორუმი და მსოფლიო რეაბილიტაციის მედიცინისა და იმუნორეაბილიტაციის XX მსოფლიო კონგრესი, ნიუ-იორკი, აშშ).

კვლევის დიზაინი იყო რეტროსპექტულ-პროსპექტული. საკვლევ პოპულაციას წარმოადგენდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს იძულებით გადაადგილებულ პოპულაციაში 5 წლამდე ასაკის ბავშვები. დადგენილ იქნა ფიზიკური განვითარების, კვების წესისა და ნუტრიციული სტატუსის კავშირი ასთმის განვითარებასთან. აღნიშნული კველევის შედეგად მომზადებულ იქნა ასთმის პრევენციის რეკომენდაციები.

აკად. წევრ-კორ. ქ. ნემსაძემ მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა სამეცნიერო ფორუმებზე:

– „ქრონიკული ხველა ბავშვთა ასაკში” (საქართველოს რესპირაციული ასოციაციის IV საერთაშორისო კონგრესი, თბილისი);

– „იძულებით გადაადგილებულ პირთა პოპულაციაში ბავშვთა ნუტრიციული სტატუსი და ასთმის გავრცელება“ (ასთმის, ალერგიისა და ფქოდ-ის VII მსოფლიო ფორუმი და მსოფლიო რეაბილიტაციის მედიცინისა და იმუნორეაბილიტაციის XX მსოფლიო კონგრესი, ნიუ-იორკი, აშშ);

– „უხარისხო საკვების გავლენა ბავშვის ჯანმრთელობაზე“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სოფლის მეურნეობის აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღია კრება – „საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემები“, თბილისი).

აკად. წევრ-კორ. ქ. ნემსაძემ მონაწილეობა მიიღო 3 საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში:

– ახალშობილის ინტენსიური თერაპია – ლექციების კურსი (USAID/JSI),

– ფეტალური და ნეონატალური მედიცინის სასწავლო მოდულების შედგენა (USAID/JSI),

– ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით ოჯახზე ორიენტირებული ინტერვენციები სატელეფონო ცხელი ხაზის სერვისის გზით (USAID/JSI).

მან მონაწილეობა მიიღო პროექტის – „ბავშვის ჯანმრთელობისა და ადრეული განვითარების ინტეგრირებული სამეცნიერო ჩარჩო“ – წარდგენაში.

აკად. წევრ-კორ. ქ. ნემსაძეს მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სიგელი მედიცინის სფეროში მეცნიერული მიღწევებისათვის.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ზურაბ ქევანიშვილი

სტატიები

1) **აკად. შოთა ჯაფარიძესთან თანაავტორობით.** „სმენის რეაბილიტაცია კოხლეარული იმპლანტაციით: სტატუსი საქართველოში” (საქართველოს მეცნებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, 40 (1-2): 67-73.) (ანოტაცია იხ. გვ. 158).

2) „სენსონევრალური ტიპის სმენადაქვეითებული და ციტომეგალოვირუსით დაინფიცირებული არაიმპლანტირებული და ლოკოკინაში იმპლანტირებული ბავშვების კოგნიტივობის ფუნქცია“ (თანაავტორობით; Maternal-Fetal Neonat Med; 27 (Suppl. 1): 173, ინგლისურ ენაზე).

სენსონევრალური ტიპის სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებში ფერადი პროგრესული მატრიცების ანალიზის რავენისეული პროცედურით განისაზღვრებოდა კოგნიტივობის ფუნქცია. გაირკვა, რომ შემეცნებითი პროცესის დონისათვის სმენის დაქვეითების მიზეზს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. კოგნიტივობის უფრო მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა იმპლანტირებულებში, ვიდრე არაიმპლანტირებულებში. მეტიც, დამტ-

კიცდა, რომ იმპლანტაციიდან 6-12 თვის თავზე იმპლანტირებულთა კოგნიტივობის ხარისხი ნორმალური სმენის ბავშვებისას უახლოვდება. ამგვარად, დადასტურდა, რომ სმენაჩლუნგობის ჰაბილიტაციის მიზნით ჩატარებული კოხლეარული იმპლანტაცია ბავშვის ინტელექტუალური განვითარების კრიტიკულ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

3) „სმენის ფუნქცია საყურისით მიწოდებული მუსიკის მოყვარულებში“ (თანაავტორობით; XII ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის – „ფიზიოლოგიისა და ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები“ – მასალები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 60-61).

შესწავლილია სმენის ფუნქცია 18-25 წლის ასაკის 277 ინდივიდში. მათგან 150 - საყურისული პლეიერული მუსიკის რეგულარული მსმენელი იყო, სხვა 127 კი ასეთ მოსმენათა მიმდევრებს არ განეკუთვნებოდა და, ამდენად, საკონტროლო ჯგუფს ქმნიდა. სმენის სიმახვილე 1-12 კჰც სიხშირულ დიაპაზონში განისაზღვრებოდა. ორდინარული სამეტყველო სიხშირეების ფარგლებში, 8 კჰც-მდე, საყურისული მუსიკის მოყვარულთა სმენის ზღურბლები ნორმის ფარგლებში თავსდებოდა. გაკეთდა დასკვნა, რომ საყურისული პლეიერული მუსიკის მოყვარულებში სმენის მაღალსიხშირულ დაქვეითებებს აქვს ადგილი. გაირკვა, რომ სმენის ზღურბლთა მატება საყურისული მუსიკის მოსმენათა ხანგრძლივობებთან არ კორელირებს. ამდენად, დადასტურდა, რომ საყურისული მუსიკის მოყვარულებში სმენის დაქვეითება უფრო ინდივიდუალურ-მგრძნობელობით ხასიათს ატარებს, ვიდრე სისტემატურ-ჯგუფურს. მონაცემთა ანალიზმა საყურისული მუსიკის ექსპოზიციათა ეფექტებში გენდერული ფაქტორის მნიშვნელობა გამოავლინა: სმენის მაღალსიხშირული დაქვეითება დაფიქსირდა უფრო მდედრობითი, ვიდრე მამრობითი სქესის მოყვარულებში. საყურისული მუსიკის მოყვარულთა რეგულარული აუდიომეტრიული გამოკვლევა სმენის დაქვეითების საწყისი ეტაპის დროულად წარმოჩენის და შესაბამისი საპრევენციო და სა-

რეაბილიტაციო ღონისძიებების დროულად დაწყების წინაპირობად არის მიჩნეული. დისკანტურ ბგერათა მიმღები, ანუ აკუსტიკურ დატვირთვათა მიმართ შერჩევითად მგრძნობიარე სმენის რეცეპტორთა სტატუსის გარკვევის მიზნით, აუდიომეტრიული გამოკვლევისას, კონვენციონალურ სპექტრულ ზოლთან ერთად მიზანშეწონილია მაღალი სიხშირეების, თუნდაც 12 კჰც–ის ჩართვა.

4) **აკად. შოთა ჯაფარიძესთან თანაავტორობით.** „ოტოსკლეროზის ქირურგია შუა ყურში უზანგის ძვლის სხვადასხვა პოზიციისას" (XII ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის – „ფიზიოლოგიისა და ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები" – მასალები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 71-72) (ანოტაცია იხ. გვ. 158).

5) „აკუსტიკურ ნევრომათა ვერიფიცირების დიაგნოსტიკური საშუალებები" (თანაავტორობით; In: 7th Instructional Workshop of European Academy of Otology and Neuro-Otology Combined with Consensus in Auditory Implants. Siena, www.eao-no2014.org: №157, 1-6, ინგლისურ ენაზე).

აკუსტიკური ნევრომის (ან) სადიაგნოზო პროცედურათა კომპლექსში საწყის ტესტად სუფთა ტონებით აუდიომეტრია (სტა) არის დასახელებული. სმენის უნილატერალური თუ ასიმეტრიული ბილატერალური სენსონევრალური დაქვეითებისას *ან*-ის დეტექციის მიზნით სპეციალური კომპიუტერული სისტემების ჩართულობით ტვინის ღეროს სმენის პასუხის (ტღსპ) რეგისტრაციისა და ელექტრონისტაგმოგრაფიის (ენგ) მეთოდთა მოხმობის აუცილებლობაზე კეთდება მითითება. ამასთანავე ხაზგასმულია, რომ ნორმალური სტა-ც არ გამორიცხავს აბსოლუტურად ან-ის არსებობას. ამდენად, ყურში შუილზე და/ან თავბრუხვევაზე ჩივილებისას ან-ის სადიაგნოზო ტესტების ჩატარება მიზანშეწონილია სმენის ნორმალური ზღურბლების ფონზეც. გამოკვლევათა შედეგები ყოველთვის არ კორელირებს ან-ის მოცულობასთან. ხაზგასმულია, რომ ტღსპ-ის რეგისტრაციის კვალიფიციურად ჩატარებულ პროცე-

დურას საწყისი ან-ის დიაგნოსტირებაც კი ხელეწიფება. შესაბამისად, მეთოდი *ან*-ის ეფექტურ სკრინინგულ საშუალებად არის მიჩნეული. ენგ-ის სადიაგნოსტიკო მიდგომათა შორის ან-ის დეტექციის შერჩევითად მგრძნობიარე ტესტად კალორიული სინჯი სახელდება. ტღსპ-ის და ენგ-ის ჩანაწერებით გამოვლენილი აკუსტიკური ნევრომა კონტრასტული მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევით (კმრგ)-ით დეტალიზდება. სწორედ კმრგ-ს შეუძლია ან-ის დადასტურებაც და მისი პარამეტრების ზუსტი განსაზღვრაც. ამგვარად, როცა სტა-ის, ტღსპ-ის, და ენგ-ის ტესტებით აკუსტიკური ნევრომა დიაგნოსტირდება, პათოლოგიური კერის ლოკალიზაციისა და მახასიათებლების შესაფასებლად, აგრეთვე, ქირურგიული ჩარევის ტაქტიკის შესარჩევად კმრგ-ის ჩატარება ხდება საჭირო.

კლინიკური ხასიათის სამედიცინო-დიაგნოსტიკური საქმიანობის პარალელურად, აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში, ზურაბ ქევანიშვილის ხელმძღვანელობით, მეთვალყურეობით და აქტიური ჩართულობით წარმოებდა თეორიული ტიპის, ძირითადად, გამოყენებითი ფიზიოლოგიის სფეროს აუდიოლოგიურ/ვესტიბულოლოგიური მიმართულების მეცნიერული კვლევა. ნორმაში და პათოლოგიებისას სმენის ფუნქციის ფუნდამენტური შესწავლა სათანადო კლინიკური სამსახურის წარმატების საწინდარია. სამედიცინო პრობლემებისადმი სწორედ რომ ფიზიოლოგიურ მიდგომათა გამო აუდიოლოგიის ცენტრში შესაბამისი პროფილის კლინიკურ-დიაგნოსტიკური და სამკურნალო-პროფილაქტიკური პროცედურები და ღონისძიებები საერთაშორისო დონეზე ტარდება.

აკად. წევრ–კორ. ზ. ქევანიშვილი არის სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

იგი იყო, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი აუდიოლოგიაში/ოტოლოგიაში, ივანე ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების მმართველი საბჭოს

წევრი, საქართველოში აშშ-ის საელჩოს სამედიცინო მრჩეველი, Physical-Medical Society of Erlangen-ის წევრ-კორესპონდენტი, Collegium Oto-Rhino-Laryngologicum Amicitiae Sacrum-ის წევრი, Acoustic Society of America-ს ასოცირებული წევრი, International Brain Research Organization, IBRO-ს საქართველოს განყოფილების მმართველი საბჭოს წევრი, German Society of ORL, Head and Neck Surgery-ის წევრ-კორესპონდენტი, ჰალბერშტადტის (გერმანია) წმინდა სალვატორის სახელობის AMEOS ჰოსპიტლის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკის საპატიო წევრი. 2014 წელს ზურაბ ქევანიშვილი ოტორინოლარინგოლოგიის – თავისა და კისრის ქირურგიის საერთაშორისო აკადემიის, International Academy of Otorhinolaryngology – Head and Neck Surgery, წევრად იქნა არჩეული.

აკად. წევრ–კორ. ზ. ქევანიშვილი სანკტ-პეტერბურგის (რფ) ოტორინოლარინგოლოგიის და მეტყველების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვან თანამშრომელთან, პროფ. ინა კოროლიოვასთან ერთად თანახელმძღვანელობდა სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის ჩატარებას თემაზე – „სასმენი აპარატების ან კოხლეარული იმპლანტების მატარებელი სმენადაზიანებული ბავშვების სმენა-მეტყველების სარეჰაბილიტაციოდ სურდოპედაგოგების და მშობლების კომპლექსური მუშაობა“.

იგი იყო ოტორინოლარინგოლოგიის – თავისა და კისრის ქირურგიის საერთაშორისო აკადემიის XXVIII წლიური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. ამ ღონისძიების რეალიზაციაში მნიშვნელოვანი ჩართულობის აღსანიშნავად, ზურაბ ქევანიშვილს აკადემიის სამადლობელო სიგელი გადაეცა.

აკად. წევრ–კორ. ზ. ქევანიშვილი თანახელმძღვანელობდა საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზაციას სახელწოდებით – „სმენადაზიანებული ბავშვების რეჰაბილიტაციისა და ჰაბილიტაციის თანამედროვე მეთოდები და შედეგები“.

აკად. წევრ–კორ. ზ. ქევანიშვილი ხელმძღვანელობს და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელო-

ბისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გრანტულ პროექტში თემაზე – „ახალშობილთა და პირველკლასელთა სმენის გამოკვლევა“. პროექტის ფარგლებში სმენის სკრინინგი 2006 წლიდან თბილისში დაბადებულ ყველა ახალშობილს უტარდება. ჯამში დღეისათვის 180000-ზე მეტ ახალშობილს აქვს სმენა სკრინინგულად გამოკვლეული.

იგი მონაწილეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამაში თემაზე – „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა“. პროგრამა მეოთხე, ანუ უმძიმესი ხარისხის სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის ძვირადღირებული კოხლეარული იმპლანტების უსასყიდლოდ გამოყოფას, შიგნითა ყურში მათ ჩანერგვას, იმპლანტების სისტემატურ დარეგულირებასა და იმპლანტირებულთა რეგულარულ ლოგოპედიურ მომსახურებას ითვალისწინებს. პროგრამის თემატიკაზე შესრულდა ერთი დისერტაცია, გამოქვეყნდა 1 მონოგრაფია და 27 სტატია.

საანგარიშო წელს აკად. წევრ–კორ. ზ. ქევანიშვილი იყო საერთაშორისო ჟურნალის „The Open Otorhinolaryngology Journal“ სარედაქციო/მრჩეველთა საბჭოს წევრი, აგრეთვე, სამეცნიერო ჟურნალების – „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს ბიომედიცინის სერიის“ და „Georgian Medical News“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

აკად. წევრ–კორ. ზ. ქევანიშვილი მონაწილეობდა და მოხსენებებით გამოვიდა სამეცნიერო ფორუმებზე:

– „კოხლეარული იმპლანტაცია საქართველოში: ისტორიული შტრიხები, თანამედროვე ხედვები, მომავლის პერსპექტივები” (სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის სხდომა, თბილისი);

– „პერინატალური მედიცინის XXIV ევროპული კონგრესი (ფლორენცია, იტალია);

– „პერინატალური მედიცინის ევროპის XXIV კონგრესი ფლორენციაში, იტალია“ (სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის

საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის სხდომა, თბილისი);

– „აკუსტიკური ნევრომის ვერიფიკაციის სადიაგნოსტიკო საშუალებები" (7th Instructional Workshop of European Academy of Otology and Neuro-Otology, სიენა, იტალია);

– ოტორინოლარინგოლოგიის თავისა და კისრის ქირურგიის საერთაშორისო აკადემიის XXVIII წლიური შეკრება (თბილისი);

– I საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი);

– XII ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია (ქუთაისი);

– „ახდენს თუ არა საყურისული მუსიკა გავლენას სმენის ფუნქციაზე?" (სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის სხდომა, თბილისი).

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 2 საერთო კრება და ბიუროს 5 სხდომა, რომლებზეც მოსმენილ იქნა განყოფილების წევრთა ანგარიშები, სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ექსპერტული შეფასებები, სამეცნიერო მოხსენებები, მათ შორის, უცხოელი წევრის ბჰანუ ჯენას მოხსენება.

2014 წლის თებერვალში და აგვისტოში ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად ჩატარდა ზამთრისა და ზაფხულის სკოლა მედიცინაში რადიაციული უსაფრთხოების საკითხებზე.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა მრგვალი მაგიდა – „რადიაციული მედიცინა. XXI საუკუნე – პერსპექტივები, გამოწვევები", რომელიც მიეძღვნა მედიცინაში რადიაციული უსაფრთხოების ახალი ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების საქართველოში დანერგვის სამეცნიერო-მეთოდურ, საგანმანათლებლო და საორგანიზაციო საკი-

თხებს. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო მარეგულირებელი და საექსპერტო ორგანიზაციების წამყვანი ექსპერტები, მათ შორის, 2005 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პროფესორი მადან რეჰანი, პროფესორი ჯონ დამილაკისი, ევროგაერთიანების სამედიცინო ფიზიკოსთა ორგანიზაციის (EFOMP) პრეზიდენტი, შეერთებული შტატების ჯანმრთელობის ფიზიკოსთა ასოციაციის პრეზიდენტი პროფ. დარელ ფიშერი, პატრას უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლას პოლიკარაკისი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოებამ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩაატარეს მე-12 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია – „ფიზიოლოგიისა და ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები“.

ჩატარდა აკადემიკოს ნ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი და აკად. თ. იოსელიანის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 6 წევრი, მათ შორის 4 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2014 წელს გამოაქვეყნეს 1 მონოგრაფია, 3 წიგნი, 4 სახელმძღვანელო და 17 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ავთანდილ კორახაშვილი

სახელმძღვანელო

„აგრარული ნანოტექნოლოგიები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად გამომცემლობაში „Научтехлитиздат“, მოსკოვი, 180 გვ.).

სახელმძღვანელო განკუთვნილია აგრარულ სფეროში მომუშავე მეცნიერების, ბიზნესმენების, მენეჯერების, საზოგადოებრივი წარმოებისა და კომერციულ სფეროში სხვადასხვა უბანზე დასაქმებული პრაქტიკოსი სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი ადმინისტრატორებისათვის, ლექტორ-მასწავლებლებისა და აგრარული სექტორის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, უმაღლესი, პროფესიული და აკადემიური სასწავლებლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე, სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც პროფესიის არჩევის გზაზე იმყოფებიან.

ნაშრომში აღწერილია ნანოტექნოლოგიური მასალების ეკონომიკის აგრარულ სექტორში გამოყენებული ფიზიკურ-ქიმიური ნაწილაკების ფუნქციური შესაძლებლობები, რომელთა ზომები რამდენიმე ნანომეტრია. ერთი ნანომეტრი (მეტრის მემილიარდედი ნაწილი) არის პატარა მოლეკულის სიგრძე, რომლის საზღვრები მეცნიერულ და ტექნიკურ დისციპლინებს შორის ნელ-ნელა ქრება, შესაბამისად, ნანოტექნოლოგიებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში აქვთ დისციპლინათაშორისი ხასიათი. ასეთ ნაწილაკებს ახასიათებს მაღალი აქტივობა ტემპერატურათა ფართო სპექტრში. სხვადასხვა ნანომასალების მაგალითზე ნაჩვენებია სოფლის მეურნეობაში ახალი მასალების გამოყენების შედეგები და პერსპექტივები.

აკად. ა. კორახაშვილი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ბიოლოგიური აზოტის ფიქსაციის გაზრდა პარკოსნების თესლის ინოკულაციით“ (საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ალმატი, ყაზახეთი);

– „მუხუდოს გენეტიკური რესურსების რეგენერაცია და კონსერვაცია საქართველოში“ (საერთაშორისო კონფერენცია – „გენოტიპების გაუმჯობესება და გამოყენება“, კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი);

– „პეკანის გენპლაზმის გაუმჯობესება საქართველოში“ (საერთაშორისო კონფერენცია – „აგრარული მეცნიერებების განვითარება“, ტაშკენტი, უზბეკეთი);

– „პეკანის ახალი გვალვაგამძლე ჯიშები საქართველოში“ (საერთაშორისო კონფერენცია – „კლიმატის ცვლილებების პირობებში მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება“, თბილისი);

– „ბიოლოგიური აზოტის ფიქსაციის გაუმჯობესება პარკოსნების თესლის ინოკულაციის ტექნოლოგიით“ (თბილისი).

აკად. ა. კორახაშვილი მივლინებით იმყოფებოდა უზბეკეთის ქალაქ ფერგანაში ჩატარებულ CGIAR/ICARDA-ს საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე, სადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან აკად. გურამ ალექსიძესთან ერთად წარადგინა საქართველოში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში.

აკად. ა. კორახაშვილი კონკურსის საფუძველზე ა. წ. 1 აგვისტოდან დაინიშნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილედ, რომელიც კოორდინაციას უწევს სოფლის მეურნეობაში ახალი აგრო, ბიო, ნანო და საინფორმაციო ტექნოლოგიებში მიღწევების საქართველოში ადაპტაციასა და გავრცელებას, აგრეთვე, საქართველოში აგრობიომრავალფეროვნების რესტავრაციას, გენეტიკური რესურსების ბანკების შექმნას, გენპლაზმის გაუმჯობესებას და საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში კვლევების მიღწევების გავრცელებას.

იგი მონაწილეობდა აკადემიის სპეციალური კომისიის მუშაობაში, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად განიხილავს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაციისა და იურიდიული სტატუსის, აგრეთვე, დაფინანსების წყაროების სისტემის საკითხებს საქართველოს

მთავრობაში წინადადებების წარსადგენად. ამჟამად კომისიის მუშაობის შედეგები და წინადადებები/რეკომენდაციები გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მინისტრთა კაბინეტს, საქართველოს პარლამენტში წინასწარი განხილვის შემდეგ.

აკად. ა. კორახაშვილი კითხულობდა ლექციების კურსს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მაგისტრატურის სტუდენტებთან TEMPUS-ის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე, საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუტში და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორის სტატუსით.

იგი მონაწილეობას იღებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობაში, როგორც ამ ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი

მონოგრაფია

აკად. თენგიზ ურუშაძესთან და სხვებთან თანაავტორობით. „ფერდობზე ტალღური რეჟიმით მოძრავი ჩამონადენის ზეგავლენა ნიადაგ-გრუნტების ეროზიის ინტენსივობაზე“ (გამომცემლობა „Научтехлитиздат“, მოსკოვი, 163 გვ., რუსულ ენაზე).

დადგენილია, რომ ფერდობზე ტალღის სახით მოძრავი ჩამონადენის სიჩქარე 1,5–ჯერ აღემატება თანაბარი სიჩქარით ჩამონადენის სიჩქარეს ეკვივალენტური ხარჯების პირობებისათვის. ჩამონადენის ტალღური ბუნების გაუთვალისწინებლობა არის ეროზიის პროცესების არასწორი პროგნოზირების ერთ–ერთი მიზეზი.

მეთოდი საშუალებას იძლევა დადგინდეს ჩამონადენის თავისუფალ ზედაპირზე წარმოქმნილი ტალღების პარამეტრები როგორც წყლის, ასევე მონატანდატვირთული ნაკადები-

სათვის. ტალღის პარამეტრები დადგენილია როგორც მუდმივი, ასევე ცვლადი მასით მოძრავი ტალღური ბუნების ნაკადებისათვის. ნაშრომი მოიცავს როგორც სიბრტყით, ასევე ხაზოვან ეროზიულ პროცესებს. შეფასებულია ეროზიული პროცესები, რომელსაც ადგილი აქვს ნავთობგაზსადენის დერეფნის საქართველოს მონაკვეთზე. შემოთავაზებულია ახალი ტიპის ეროზიის საწინააღმდეგო ენერგო– და რესურსდამზოგი საინჟინრო კონსტრუქციები წარმოებაში დანერგვისათვის.

სტატიები

1) „ეროზიულ კერებში ბმული ღვარცოფის ტალღის სახით ფორმირების თეორიული საფუძვლები“ (ж. „Метеорология и гидрология“, №3, მოსკოვი, 98-100, რუსულ ენაზე).

ბმული ღვარცოფის ფიზიკურ-მექანიკური და რეოლოგიური ბუნების გათვალისწინებით დროსთან კავშირში შეფასდა ეროზიულ კერებში ტალღების ფორმით (ულუფებად) მთლიანი დაგროვილი მასის პარამეტრები. განისაზღვრა დაგროვილი მასის ეროზიის კერიდან მდინარისკენ დაძრული ღვარცოფის ჰიდრავლიკური პარამეტრები.

2) „კინეტიკური ენერგიის დანაკარგი ღვარცოფული ნაკადების ურთიერთშერევისას“ (ж. „Гидротехническое строительство“, №5, მოსკოვი, 52-54, რუსულ ენაზე).

განსაზღვრულია კინეტიკური ენერგიის დანაკარგი ღვარცოფული ნაკადების ურთიერთშერევისას. დადგენილია, რომ სხვადასხვა სიმკვრივის მქონე ნაკადების ურთიერთშერევისას კინეტიკური ენერგიის სიდიდე ნაკლებია შერევამდე ნაკადების კინეტიკური ენერგიების ჯამზე. შესაძლებელი გახდა მდინარის გამოტანის კონუსზე განლაგებული ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების მდგომარეობის შეფასება შერეული ნაკადის ჰიდრავლიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

3) „მონატანით ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის ცვლადი მასით მოძრაობის ჰიდრავლიკური პარამეტრების დადგენა რიცხვითი მეთოდის გამოყენებით“ (თანაავტორობით; მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „წყალთა მეურნეო-

ბის თანამედროვე პრობლემები“, მიძღვნილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 85 წლის იუბილესადმი, 193-196, ინგლისურ ენაზე).

მონატანით ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფული ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის ასაგებად შემოთავაზებულია საანგარიშო დამოკიდებულება კალაპოტის ზედაპირიდან ღვარცოფის მიერ გატაცებული მყარი მასის რაოდენობის გათვალისწინებით. მიღებული ერთგანზომილებიანი დიფერენციალური განტოლების ამოხსნა შესრულებულია რიცხვითი მეთოდის გამოყენებით.

4) „ზვავისებური და მონოსოლური ტიპის ბმული ღვარცოფების ეროზიული კერიდან დაძვრის პროგნოზი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბეში).

ეროზიულ კერებში დაგროვილი ღვარცოფის დიდი მოცულობის მასა, როდესაც იგი დაძვრისადმი ზღვრულ წონასწორობაში იმყოფება მიწისძვრის, წვიმისა და სხვა წონასწორობის დამრღვევი პირობების ზეგავლენით, შესაძლებელია ერთბაშად მოწყდეს ეროზიული კერიდან ზვავის ფორმით და წარიმართოს მდინარის კალაპოტისაკენ. აღნიშნულ დიდი მოცულობის მასას მაღალი სიჩქარისა და დიდი მოცულობითი წონის გამო, ძლიერი დამანგრეველი ძალა გააჩნია.

უტოლობის ფორმით შემოთავაზებულია ეროზიის კერიდან ღვარცოფული მასის შესაძლო მოწყვეტის კრიტერიუმი და რეკომენდებულია ე. წ. „ღვარცოფული ზვავის“ ჰიდრავლიკური პარამეტრების დადგენის მეთოდიკა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების დაპროექტებისას.

იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე ეროზიული კერიდან ხდება ღვარცოფული მასების მოწყვეტა, მდინარის კალაპოტის ზედა უბნებში მოწყვეტილი ნაკადების ურთიერთქმედება იწვევს ე. წ. „მონოსოლური“ ტიპის ღვარცოფული ტალ-

ღის წარმოქმნას, რომლის პროგნოზირებისათვის შემოთავაზებულია შესაბამისი დამოკიდებულება.

აკად. ო. ნათიშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბიუჯეტო თემას – „ღვარცოფების ტალღის ფორმით გადაადგილების გამოკვლევა და მათთან კომპლექსური ბრძოლის მეთოდების შემუშავება“.

იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ამასთანავე ხელმძღვანელობს აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებულ „ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელ კომისიას“.

აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე

მონოგრაფია

აკად. ოთარ ნათიშვილთან და სხვებთან თანაავტორობით. „ფერდობზე ტალღური რეჟიმით მოძრავი ჩამონადენის ზეგავლენა ნიადაგ-გრუნტების ეროზიის ინტენსივობაზე“ (გამომცემლობა ООО „Научтехлитиздат“, მოსკოვი, 163 გვ., რუსულ ენაზე) (ანოტაცია იხილეთ გვ. 172).

წიგნები

1) „საქართველოს ნიადაგები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „Nova science publisher“, ნიუ-იორკი, აშშ, 242 გვ., ინგლისურ ენაზე).

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ნიადაგების გენეტიკურ თავისებურებებს, ეკოლოგიურ პრობლემებს (ეროზიას, მძიმე ლითონებითა და რადიონუკლიდებით დაბინძურებას).

2) „საქართველოს ნიადაგების სარკვევი“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 135 გვ.).

განხილულია ნიადაგის ჰორიზონტები, ტაქსონომიური ერთეულების სისტემა, ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონა-

ცემთა ბაზა, ცალკეული ნიადაგების დიაგნოსტიკა, ნიადაგების საველე დიაგნოსტიკის მეთოდები.

3) „საქართველოს ნიადაგები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 331 გვ., რუსულ ენაზე).

განხილულია საქართველოს ნიადაგების გენეტიკური თავისებურებანი, ეკოლოგიური პრობლემები (ეროზია, მძიმე ლითონებითა და რადიონუკლიდებით დაბინძურება).

სტატიები

1) „ნიადაგური რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის გამოყენების გამოცდილება დასავლეთ საქართველოს ნიადაგების მაგალითზე“ (თანაავტორობით; j. „Eurasian Soil Science”, №6, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ნიადაგური რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის გამოყენების გამოცდილება დასავლეთ საქართველოს ნიადაგების მაგალითზე.

2) „საქართველოს ნიადაგებში ლითონების გეოქიმიური ფონური შემცველობის განსაზღვრა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (იმერეთის რეგიონის მაგალითზე)“ (თანაავტორობით; ж. „Почвоведение“, №6, 911–920, რუსულ ენაზე).

განსაზღვრულია საქართველოს ნიადაგებში ლითონების გეოქიმიური ფონური შემცველობა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (იმერეთის რეგიონის მაგალითზე).

3) „საქართველოს შავი ნიადაგების გენეტიკური თავისებურებანი’’ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian Science” ტ. 12, №2, 29–34, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია საქართველოს შავი ნიადაგების (ბარის შავმიწების გენეტიკური) დახასიათება.

4) „ნიადაგების კლასიფიკაციის აქტუალური პრობლემები“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian Science”, ტ. 12, №2, 84–89, ინგლისურ ენაზე).

გამოქვეყნდა ინფორმაცია საერთაშორისო საველე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალებში.

5) „საქართველოს მთავარი ნიადაგების აგროქიმიური დახასიათება“ (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian Science“, ტ. 12, №4, 24–31, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია საქართველოს უმთავრესი ნიადაგების (წითელმიწა. ყვითელმიწა, სუბტროპიკული ეწერი, ყომრალი, ყავისფერი, მდელოს-ყავისფერი, შავი და სხვ.) აგროქიმიური დახასიათება.

6) „აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები და მათი გეოეკოლოგიური თავისებურებანი“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის კრებულში – „გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები“).

მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ნიადაგის (რუხი-ყავისფერი, მდელოს რუხი-ყავისფერი) გეოეკოლოგიური თავისებურებანი და ნაჩვენებია, რომ განხილული ნიადაგები შეიძლება მივაკუთვნოთ კაშტანაზიომებსა და კამბისოლებს.

აკად. თ. ურუშაძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „საქართველოს ნიადაგები: გუშინ, დღეს, ხვალ“ (საერთაშორისო საველე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ნიადაგების კლასიფიკაციის აქტუალური პრობლემები“.

– „აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები და მათი გეოეკოლოგიური თავისებურებანი“ (მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია).

აკად. თ. ურუშაძის ინიციატივით მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტმა ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია ნიადაგმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე და ოლიმპიადა ნიადაგმცოდნეობაში.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მისივე ინიციატივით დაფუძნდა კითხვანი „ერთადერთი დედამიწა“, რომელიც ეძღვნება ტრაგიკულად დაღუპული პროფესორის გელა

თევზაძის ხსოვნას, სადაც გააკეთა მოხსენება თემაზე – „საქართველოს ნიადაგები: გუშინ, დღეს, ხვალ“.

აკად. თ. ურუშაძემ მონაწილეობა მიიღო გრანტების შესრულებაში:

– „ნიადაგების კლასიფიკაციის აქტუალური პრობლემები“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტი);

– „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი);

– „მიწების მდგრადი გამოყენების სცენარის განვითარება მთავარ კავკასიონზე, საქართველო, მომდევნო წინადადებით“ (ფოლკსვაგენის ფონდი, პროექტის მონაწილეები არიან, აგრეთვე, გისენის უნივერსიტეტი (გფრ), ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი).

– „მდგრადი ტყის ბიომრავალფეროვნების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (ფოლკსვაგენის ფონდი, დრეზდენის (გფრ) უნივერსიტეტთან ერთად. პროქტის ფარგლებში ჩატარდა ზაფხულის სკოლა მეტყევეობაში).

აკად. თ. ურუშაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა საველე სკოლის მონაწილეების საგამოცდო შეფასება, რის საფუძველზეც გაიცემა სერტიფიკატები.

მისი ხელმძღვანელობით სრულდება პროექტი – „სოფლის მეურნეობის დარგში ლექსიკონის მომზადება“. პროექტში მონაწილეობენ მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, უნივერსიტეტთან მიერთებული ინსტიტუტები, აგრეთვე, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე დიდებულიძე

სახელმძღვანელო

„ტექნიკური სისტემების საიმედოობა“ (სალექციო კურსი აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, 56 გვ., ელექტრონული ვერსია).

ტექნიკური სისტემების საიმედოობის პრობლემა იქცა მათი განვითარების ერთ–ერთ ძირითად შემაბრკოლებელ გარემოებად. თუმცა მიმდინარეობს ამ სისტემების ელემენტების მახასიათებლებისა და მათი ხანგამძლეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება. ეს განპირობებულია პირველ რიგში ელემენტების რაოდენობის სისტემატური ზრდით, მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციების გაფართოებით და პასუხისმგებლობის მკვეთრი გაზრდით. ამ ახალ ვითარებაში საიმედოობის ძველი ნორმები მიუღებელია. კურსის შესწავლისას ძირითადი ყურადღება ეთმობა საიმედოობის რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას სისტემის დაპროექტების, დამზადებისა და მისი საწარმოო ექსპლუატაციის პირობებში. ამ დროს გათვალისწინებულია, რომ სისტემის მუშა მახასიათებლები და პარამეტრები თავისი ბუნებით არის ალბათობითი.

სტატიები

1) „სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიების კომერციალიზაცია საქართველოში“ (სურსათისა და ბიოტექნოლოგიის საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 23-24).

ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში აგრარულმა სექტორმა განიცადა ღრმა კრიზისი და ქვეყანა სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ნეტო–ექსპორტიორისგან გარდაიქმნა ნეტო–იმპორტიორად. ამ პირობებში თანამედროვე აგრობიოტექნოლოგიების გავრცელება ეკონომიკის ზრდის ერთ–ერთ საშუალებას წარმოადგენს,

რაც ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული გენეტიკური მახასიათებლების მქონე მცენარეების ახალი ჯიშების კომერციალიზაციას. არსებული საკანონმდებლო ბაზა მკვეთრად ზღუდავს გენეტიკურად მოდიფიცირებული კულტურების კვლევებს, წარმოებას და კომერციალიზაციას. ამ ფონზე განხილულია საქართველოში თანამედროვე აგრობიოტექნოლოგიის მიღწევათა გამოყენების პერსპექტივები.

2) „საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობა“ (საერთაშორისო კონფერენციის – „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ – მასალები, თბილისი, 102–105).

მრავალფუნქციურობა მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პოლიტიკურ ლოზუნგად იქცა და ფერმერი აღიქმება არა მხოლოდ აგრარული პროდუქციის მწარმოებელად, არამედ მთელი სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი სისტემის მნიშვნელოვან მონაწილედ, ხოლო სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სურსათისა და საკვების წარმოებას, არამედ ასრულებს სხვადასხვა არასაბაზრო, არასასაქონლო ფუნქციასაც. ნაჩვენებია, რომ ეს ფუნქციები, მათი შედგენილობა, შინაარსი და სტრუქტურა იცვლება, რაც ნიშნავს, რომ სისტემა დინამიკურ ობიექტს წარმოადგენს და სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობა საჭიროა გამოვიკვლიოთ რთული დინამიკური სისტემის პოზიციიდან.

3) „საქართველოში აგრობიოტექნოლოგიების განვითარებაზე კლიმატის ცვლილებების გავლენა“ (იქვე, 295–299).

დასაბუთებულია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარებისთვის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს თანამედროვე აგრობიოტექნოლოგია. ამის დადებითი მხარეებია გაზრდილი მოსავლიანობა, პესტიციდების გამოყენების შემცირება, სურსათისა და საკვების წარმოების გაიაფება და გაუმჯობესებული ხარისხი, მდგრადობა მავნებლებისა და დაავადებებისადმი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების გადამუშავება, ნიადაგის

ნაყოფიერების აღდგენა და შედეგად სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. განხილულია ამ ახალი ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობები კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად.

4) „აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზონაში ტრადიციული მეცხვარეობის განვითარების პრობლემები“ (კრ. „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“, 3(17), ვლადიკავკაზი, რფ, 2013, 89-92, რუსულ ენაზე).

ხაზგასმულია, რომ საქართველოს მეცხვარეობას ემუქრება დიდი საფრთხე თუ არ იქნება ზუსტად დადგენილი, ცხვრის არსებული სულადობის პირობებში რა ზღვრებშია დასაშვები ზიანის გარეშე ცოცხალი ცხვრის შემდგომი ექსპორტი; ნაჩვენებია დარგის შემდგომი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები – პირველ რიგში ეს უნდა იყოს ზამთრის საძოვრების გაფართოება და გაუმჯობესება, მათი მფლობელობის დარეგულირება საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების მეშვეობით. დასაბუთებულია ფარის სტრუქტურის ოპტიმიზაციის, აგრეთვე, საკვებწარმოების განვითარების აუცილებლობა, რაც შეუძლებელია ხელისუფლების სერიოზული ძალისხმევის გარეშე. ნაჩვენებია, რომ ზამთრის საძოვრების რაციონალური გამოყენებისა და პირუტყვისთვის საძოვარზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ხარისხიანი ბალახის მიწოდების, საძოვრების მოვლისა და ძოვების რეგულირების გზით შესაძლებელი იქნება საძოვრების დატვირთვის მკვეთრად გაზრდა და ზოგიერთ შემთხვევაში ეროზიული პროცესების გარეშე ჰექტარზე ცხვრის 10 სულამდე დაყვანა.

5) „საქართველოში აგრობიოტექნოლოგიების კომერციალიზაციის პრობლემები“ (j. „Annals of Agrarian science“, ტ. 12, №3, თბილისი, 76-83, ინგლისურ ენაზე).

დიდი მოცულობის სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ მთავრობის ძალისხმევამ აგრარული სექტორის განვითარების მიმართულებით უკვე მოიტანა პოზიტიური შედეგები. ამავე დროს აუცილებელია განი-

საზღვროს, თუ რა მიმართულებით უნდა მოხდეს მემცენარეობაში შემდგომი პროგრესი, რათა მიღწეულ იქნეს ჩვენი აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მსოფლიო ბაზარზე. ხაზგასმულია, რომ ასეთი პროგრესის მიღწევის რეალურ საშუალებას წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების, თუნდაც თანამედროვე აგრობიოტექნოლოგიების გამოყენება. ნაჩვენებია, რომ საქართველო შეიძლება იყოს ამგვარი ტექნოლოგიების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ შემქმნელიც.

აკად. წევრ-კორ. ა. დიდებულიძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე" (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, ორი მოხსენება;

– საერთაშორისო კონფერენცია სურსათსა და ბიოტექნოლოგიაში (თბილისი);

– „საქართველოს სოფლის მეურნეობა და გლობალიზაციის გამოწვევები" (საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში გელა თევზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კითხვანში – „ერთადერთი დედამიწა");

– „სურსათის ხარისხის გავლენა საქართველოს ქალაქების მაცხოვრებელთა თმებში მძიმე ლითონების შემცველობაზე" (მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ახალი წარმატებები სურსათის ანალიზში", პოსტერული მოხსენება, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა);

– „საქართველოს სოფლის მეურნეობა: რეფორმები, გლობალიზაციის ზემოქმედება და პერსპექტივები" (ევროკავშირის პროექტის „ბიოპარტნიორები"-ს სესია – „უახლესი დამუშავებები კვების მრეწველობასა და ტექნოლოგიებში ევროპულ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში", ზეპირი მოხსენება, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა);

– „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგადი ასპექტები" (ქალაქ მურსიის უნივერსიტეტში ევროკავ-

შირის „ბიოპარტნიორის“ პროექტის საქსელო სესია – „მევენა-ხეობა და მეღვინეობა საქართველოში“, ზეპირი მოხსენება, მურსია, ესპანეთი).

აკად. წევრ-კორ. ა. დიდებულიძეს მოპოვებული აქვს 2 საზღვარგარეთული გრანტი:

– „საერთო სასოფლო საძოვრების კოლექტიური გამოყენება და კონფლიქტები – აზერბაიჯანში და საქართველოში შემთხვევების შედარებითი კვლევა“ (ფოლკსვაგენის ფონდი, მონაწილეობენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, გერმანიის გრაიფსვალდის უნივერსიტეტი და აზერბაიჯანის სასოფლო–სამეურნეო უნივერსიტეტი).

– „ბიოპარტნიორები” (საქართველო–ესპანეთი) (ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო–პროგრამა, 2012–2014).

აკად. წევრ-კორ. ა. დიდებულიძემ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის პროგრამის ფარგლებში მოამზადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზის ამსახველი მასალა. იგი მონაწილეობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020-ის“ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიაში და წარმოადგინა შენიშვნები, აგრეთვე, მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან მოქმედი სამეცნიერო–ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისიის მუშაობაში სწავლულ მდივნად. 2014 წლის ნოემბრიდან ზემოაღნიშნული კომისიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრად გარდაქმნის შემდეგ დაინიშნა ცენტრის სწავლულ მდივნად. აკადემიის აკადემიური საბჭოს დავალებით, როგორც კონსულტანტი, მონაწილეობდა ენციკლოპედია „საქართველოს“ მესამე ტომის რედაქტირებაში. არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ეთიკის საბჭოს წევრი. როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მონაწილეობდა ამ აკადემიის ღონისძიებებში.

აკად. წევრ-კორ. ა. დიდებულიძე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის საგრანტო კომიტეტის წევრი; არასამთავრობო ორგანიზაციის: „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ საბჭოს წევრი; არასამთავრობო ორგანიზაციის: „საქართველოს შეფასების ასოციაციის“ ეკონომიკური ჯგუფის წევრი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვანო პაპუნიძე

სახელმძღვანელოები

1) „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები – საკვები და მკურნალი (პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები)“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 312 გვ.).

სახელმძღვანელოში თავმოყრილი და სისტემატიზებულია საკუთარი გამოკვლევებისა და მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული, უმთავრესად საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული სასოფლო-სამეურნეო მცენარეული პროდუქტების სამკურნალო თვისებები.

სახელმძღვანელო რეკომენდებულია სუბტროპიკული მეურნეობის აგროტექნოლოგიის, აგრარული უნივერსიტეტის, სამედიცინო და სხვა მონათესავე სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატების, მაგისტრანტების და ხალხური მედიცინის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

2) „საქართველოს სამკურნალო მცენარეები“ (მესამე გადამუშავებული გამოცემა) (თანაავტორობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 215 გვ.).

ნაშრომი მოიცავს როგორც საქართველოს ტყეებში, ისე კულტურაში გავრცელებულ სამკურნალოდ გამოსაყენებელ, ქართულ წყაროებში მიმოფანტულ ინფორმაციებს და საზღვარგარეთულ ლიტერატურულ მონაცემებს; წიგნს დაემატა ასამდე ახალი სამკურნალო მცენარე, რაც ამრავალფეროვნებს ნაშრომის ღირებულებებს, ზრდის მისდამი მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს; წიგნის უტილიტარული მხარე მოიცავს სამკურნალო მცენარეების ბიოეკოლოგიური თავისებურებების დახასიათებას, მასში ასახულია ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მახასიათებლები, მცენარეთა შეგროვება-გადამუშავებისა და პრეპარატების მომზადების წესები, ფართოდ აპრობირებული და მეცნიერულად დასაბუთებული დოზები, ფარმაკოლოგიური თავისებურებები, მკურნალობის ხანგრძლივობა და სხვა.

წიგნი ილუსტრირებულია ფერადი ფოტოებით, რაც მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის მცენარეთა უშეცდომოდ ამოცნობას და მკურნალობას.

ნაშრომი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, სასარგებლოა არა მარტო მკითხველთა ფართო წრისათვის, არამედ პრაქტიკოს ექიმთათვის, სამედიცინო ბიოლოგიის პროფესიონალთათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის.

წიგნი

„გზა მარადისობისაკენ“ (მეორე გადამუშავებული გამოცემა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 446 გვ.).

განხილულია საქართველოში აგრობიოლოგიური და აგროეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მოტანილია ვახტანგ პაპუნიძის ახლო მეგობრების, გამოჩენილი მეცნიერების, ერთგული თანამებრძოლების, საზოგადო მოღვაწეების,

ყოფილი სტუდენტების, ასპირანტების, აღზრდილების მოგონებები, რომლებიც შეახსენებენ მკითხველს ვახტანგ პაპუნიძის ღრმაშინაარსიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე გაუხმაურებელ ფაქტებს.

სტატიები

1) „სასოფლო-სამეურნეო სამართლებრივ-ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ფორმირება და აგრარული სექტორის პერსპექტივები“ (თანაავტორობით, ჟ. „ლაკლაკეთი“, №3, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 3-17).

განხილულია აგრარულ სფეროში ახლად დამკვიდრებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპები და აგრარული პოლიტიკის ამოცანები. მოტანილია აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ის ფაქტორები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში რეალურად ჯერ კიდევ არაა მთელი სისრულით ამოქმედებული, რაც, ბუნებრივია, აგრარული ეკონომიკის განვითარების სერიოზული შემაფერხებელი მიზეზია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ანალიზის საფუძველზე დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პრობლემები, აგრარული სექტორის აღორძინების გადაწყვეტის გზები.

2) „აგრარული რეფორმების პრინციპები და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების ძირითადი მიმართულებები“ (თანაავტორობით; აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პრობლემები და აგრარული სექტორის აღორძინების გზები“ – მოხსენებათა კრებული, გამომცემლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 13-21).

მოტანილია ტექნიკური პროგრესის ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგის ნაყოფიერების ამაღლებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაციონალურ გამოყენებას, განსაკუთრებით სამუშაო ძალის ოპტიმალურ გამოყენებას; განხილულია

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული ფორმები, სამეწარმეო ბიზნესის ძირითადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები სოფლის მეურნეობაში, სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო კომპლექსის (აგრობიზნესის) აგრარულ გარდაქმნათა მიზნები, პრინციპები და ძირითადი მიმართულებები.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძე მონაწილეობდა: აჭარის რეგიონში სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია“ – შემუშავებასა და შესრულებაში; ხელისუფლებაში წარსადგენი წინადადებების მომზადებაში, რომლებიც ეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას; სამ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, რომლებზედაც სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სახის სამუშაოების შესახებ მასალები წარედგინა უმაღლეს სახელისუფლებო სტრუქტურებს; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, საქართველოში აგრარული სფეროს განვითარების 2015-2020 წლების პროექტების განხილვაში, რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებაში; აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებაში.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძემ ლატვიის მეცნიერებათა აკადემიისა და რეზეკნეს უმაღლესი აუგუსტ-სკოლის მეცნიერებთან ერთად მოამზადა პროექტები ხე-ტყის ნარჩენების ათვისების ტექნოლოგიებზე, რომელიც უზრუნველყოფს ტყეების გაწმენდას ნარჩენებისგან, მისგან საწვავი გრანულებისა და მრავალწლიანი ნარგავებისათვის მულჩის დამზადებას.

მან ორგანიზება გაუკეთა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს გამსვლელი სხდომისა და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას აჭარაში, წაიკითხა მოხსენება: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სა-

მეცნიერო ცენტრის ძირითადი შედეგები და რეგიონში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერსპექტივები ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების ფონზე“.

აკადემიის აკადემიური საბჭოს გამსვლელმა სხდომამ დადებითად შეაფასა აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის 5 წლის მუშაობის შედეგები და მიიღო შესაბამისი დადგენილება. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძე დაინიშნა აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად.

აკადემიური საბჭოს სხდომის მონაწილეები გაეცნენ აბუსერიძე ტბელის სახელობის უნივერსიტეტის (შუახევის რაიონი, ხიჭაური) უძველეს, ახლად აშენებულ და მშენებარე ეკლესია-მონასტრებს, მხარის აღმშენებლობის პროცესებს.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძემ საქართველოს საპატრიარქოს აბუსერიძე ტბელის სახელობის უნივერსიტეტის რექტორთან, სხალთის ეპისკოპოს სპირიდონთან ერთად წაიკითხა საჯარო ლექციები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსახლეობის ფართო ფენისათვის. ლექციები წაიკითხეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, პროფესორმა იოსებ ბაჩიაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ, პროფესორმა ვაჟა ბერიძემ.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძემ აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან ერთად მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე – „სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პრობლემები და აგრარული სექტორის აღორძინების გზები“ და წაიკითხა მოხსენება – „აგრარული რეფორმების პრინციპები და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების ძირითადი მიმართულებები“.

მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქართული ტოპოლოგიური სკოლის ფუძემდებლისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში ქართველთა და აფხაზთა მეორე ფორუმი.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძე აგრძელებდა მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის და უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის და სატყეო საქმის მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობებზე.

2014 წელს ჩატარდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 6 საერთო კრება. განყოფილებამ შეაფასა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2013 წლის სამეცნიერო ანგარიშები. მოსმენილ იქნა განყოფილების წევრთა პირადი ანგარიშები. განხილულ იქნა სოფლის მეურნეობის განვითარების 2014-2020 წლების სტრატეგიის პროექტი, საქართველოს მიწის ფონდის მართვის რეგულირების პრობლემა, სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხები, საკითხი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა აკადემიის 18 წევრი, მათ შორის 12 აკადემიკოსი და 6 წევრ-კორესპონდენტი.

2014 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 16 მონოგრაფია და წიგნი, 2 სახელმძღვანელო და 88 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ლევან ალექსიძე

სახელმძღვანელო

„თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“ (მორიგი ახალი გამოცემა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 400 გვ.).

აკად. ლ. ალექსიძის რედაქტორობით გამოქვეყნდა „საერთაშორისო სამართლის ჟურნალის“ მეორე ნომერი, აგრეთვე, ჟურნალი „ქართული პოლიტიკა“, №2, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრობლემებს და შეიცავს საქართველოს მთავრობის, საგარეო ურთიერთობების უწყებების ხელმძღვანელთა და დამოუკიდებელ ექსპერტთა სტატიებს.

მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა Tempus-ის გრანტის ფარგლებში: „მიგრაცია და უმაღლესი განათლება უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის“.

დასრულდა მიგრაციის სამართლისა და მიგრაციის მართვის სასწავლო პროგრამების დანერგვის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერდისციპლინური სასწავლო კურიკულუმის შექმნას. პროგრამები ძალაში შევიდა 2014 წელს.

აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე

სტატიები

1) „ქართული მართლმადიდებელი ეკლესია“ (მონოგრაფიაში „ქართველები“ – „Грузины“, გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, 568-583, რუსულ ენაზე).

მოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, მისი სტრუქტურა და წვლილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და ეროვნული ცნობიერების, ინტელექტუალური და სახვითი საგანძურის შექმნაში.

2) „განძასარის წარწერა“ (ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №1, თბილისი, 107-122).

პირველად ქვეყნდება განძასარის 1240 წლის სომხური წარწერის კრიტიკული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და ვრცელი კომენტარებით.

3) „ნესტორიანები კავკასიაში“ (ჟ. „ანალები“, №10, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 133-163).

თანადროული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების საფუძველზე გამოკვლეულია კავკასიაში ნესტორიანთა დამკვიდრებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია.

4) „ტაოს საეპისკოპოსო VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში“ (კრ. „აღმოსავლეთმცოდნეობა. ეძღვნება გიორგი წერეთელს, დიდ ქართველ მეცნიერს“, №3, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 206-220).

დასაბუთებულია, რომ სულ გვიან 551 წლიდან 607 წლამდე ტაოს საეპისკოპოსო არ შედიოდა სომხეთის ეკლესიის შემადგენლობაში და იმყოფებოდა ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური გავლენის ქვეშ.

5) „დვინის II ადგილობრივი საეკლესიო კრება სომხეთში: შეკრების დრო და ოდენობა“ (გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, I, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 11-24).

დასაბუთებულია, რომ დვინში 550-იან წლებში საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა ორჯერ: 551/552 წწ. და 553 წლის 9 ნოემბერს. ორივე კრებამ საბოლოოდ ერთი კრების სახელი მიიღო – დვინის II ადგილობრივი საეკლესიო კრება.

6) „ომისა და მშვიდობის ეთიკა ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალთახედვით“ (საიუბილეო კრებულში: „ზურაბ კიკნაძე“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 225-233).

ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, რომელიც, სავარაუდოდ, რედაქტირებულია ლეონტი მროველის მიერ XI საუკუნეში, უჩვენებს მკითხველს, რომ დიდი ომები და პოლიტიკა მოითხოვს მაღალ მორალურ სტანდარტს და განსაკუთრებულ ღირსებას.

7) „რელიგიური სიტუაცია კავკასიაში VI საუკუნის ბოლო მეოთხედში“ (ჰუმანიტარული კვლევები: წელიწდეული, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 225-264).

გამოქვეყნებულია იოანე IV იერუსალიმელის ეპისტოლე აბას ალბანთა კათალიკოსისადმი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, წინასიტყვაობითა და ვრცელი კომენტარებით.

8) „საქართველოს ადგილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებს შორის შუა საუკუნეების ავტორთა თვალსაზრისით“ (ჟან პიერ მაეს დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში: Travaux et mémoiree, 25, Melanges jean-Pierre Mahé, Association des Amis du Centre d’Histoire et Civilisazion de Byzance, 1-8, პარიზი, საფრანგეთი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ქართველთა პოლიტიკური არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ქართულ საისტორიო წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით. წყაროთა მიხედვით სამეფო ხელისუფლება აღმოსავლური ან შერეულია, ქვეყნის მმართვე-

ლობის სისტემა – აღმოსავლური, ხოლო კულტურულ-რელიგიური ღირებულებები – დასავლური.

9) „ჟან-პიერ მაე ჩემი მეგობარი და კოლეგა“ (წინასიტყვაობა კრებულისათვის Travaux et mémoiree, 25, Melanges jean-Pierre Mahé, Association des Amis du Centre d'Histoire et Civilisazion de Byzance, პარიზი, საფრანგეთი, VII-VIII, ინგლისურ ენაზე).

10) „გრიგორ და საჰაკ პართელთა ხილვები: ძველი ქართული ვერსიები და მათი ასახვა ქართულ წყაროებში“ (პროფ. რ. თომსონის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში „სომხური აპოკალიფსური ტრადიცია, კომპარატიული პერსპექტივები“, ძველი აღთქმის ფსევდოეპიგრაფიკის კვლევები, ტ. 25, ლეიდენი/ბოსტონი, 226-340, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ არსენი საფარელი და ექვთიმე გრძელი გრიგორ და საჰაკ პართელების „ხილვებს“ სომხური ტრადიციისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ. ორივე მათგანი „ხილვებში“ ხედავს სომეხთა მართლმადიდებლობისათვის ღალატის წინასწარმეტყველებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზურაბ წერეთლის ფონდის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“ აკად. ზ. ალექსიძემ წაიკითხა მოხსენება – „სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ახალი ქართული კოლექცია და კავკასია“.

აკად. ზ. ალექსიძე ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ გრანტს – „ქართული დამწერლობის განვითარება (მონაცემთა ბაზა და პალეოგრაფიული ალბომი)“.

აკადემიკოსი ბაჩანა ბრეგვაძე

წიგნები

1) პოლ ვალერი, „აზრები“ (თარგმანი ფრანგულიდან, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 235 გვ.).

2) ნაპოლეონ ბონაპარტე, „წმინდა ელენეს პატიმრის მაქსიმები და აზრები“ (თარგმანი ფრანგულიდან, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 246 გვ.).

სტატიები

1) არისტოტელეს „პოეტიკა“ (ჟ. „საგურამო“, 3(9), თბილისი, 20-24).

2) ვასილი ოზანოვი, „განმარტოებული“ (თარგმანი რუსულიდან, ჟ. „საგურამო“, 4(10), თბილისი, 82-89).

აკადემიკოსი გურამ თევზაძე

წიგნი

„პეტრე იბერი“ (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა Carpe Diem, თბილისი, 33 გვ.).

პეტრე იბერი (411-491) ძველი ქართული და, საერთოდ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოჩენილი წარმომადგენელია. მისი მოძღვრება და მოღვაწეობა როგორც თეორიული, ისე რელიგიურ-ეთიკური თვალსაზრისით მის სიცოცხლეშივე მაღალ შეფასებას იმსახურებდა საზოგადოების ყველა ფენაში. ამის მოწმე იყო მისი მრავალი ერთგული მოწაფე, რომელთაც მომავალ თაობებს დაუტოვეს დიდი მასწავლებლის ნააზრევის და მისი ცხოვრების წესის აღწერა. გაანალიზებულია პეტრე იბერის მსოფლმხედველობის ზოგიერთი პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე ეთიკური და, საერთოდ, სოციოლოგიური აზროვნებისათვის.

გადაცემულია მეორე გამოცემისათვის აკად. გ. თევზაძის მიერ 1995 წელს გამოქვეყნებული დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის – „ანტიკური ფილოსოფია“.

ჩასწორდა და გამოსაცემად მომზადდა, აკად. გ. თევზაძის რედაქციითა და შესავალი წერილით, 1979 წელს გამოქვეყნებული ი. კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ (პროფ. შ. პაპუაშვილის თარგმანი), ახალი წინასიტყვაობით, რომელიც ასახავს ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის ზეგავლენას ჩვენს ფილოსოფიურ და, საერთოდ, მსოფლმხედველობრივი აზროვნების განვითარებაზე.

აკად. გ. თევზაძემ მონაწილეობა მიიღო ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰეგელის არქივის დირექტორის, ვ. იეშკეს მიერ ჩატარებული ლექციების კურსის („პანთეიზმის დავა“, „თეიზმის დავა“, „ათეიზმის დავა“) განხილვაში.

აკად. გ. თევზაძე ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოებას; ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემათა კომისიას, ატარებდა სემინარებს სტუდენტებისათვის მ. ჰაიდეგერის მოსაზრებებზე, კანტის ფილოსოფიის საკვანძო პრობლემებზე. მონაწილეობდა ილიას უნივერსიტეტის მიერ წამოწყებული „ფილოსოფიური ბიბლიოთეკის სერიის“ ახალი ქართული თარგმანებისა და ნარკვევების საჯარო განხილვებში.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

სტატიები

1) „აფხაზები და აფხაზეთი“ (წიგნში: „აფხაზეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში“, პრაღა, 2014, 37-50, ჩეხურ ენაზე; აღნიშნული სტატიის ქართული, რუსული და ინგლისური ვარიანტები ბროშურის სახით დაიბეჭდა 2012 წელს, რომელსაც 2013 წელს მიენიჭა სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია).

2) „საქართველო-არაბთა სახალიფოს ურთიერთობის ზოგი საკითხი“ (კრებულში: „აღმოსავლეთმცოდნეობა. ეძღვნება

გიორგი წერეთელს, დიდ ქართველ მეცნიერს“, №3, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 235-241).

3) „მცირე მოგონება“ (კრებულში: „დიდი ექვთიმე“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 666-668).

4) „ექვთიმე თაყაიშვილი. 1953-2013“ („ექვთიმე თაყაიშვილი 150. სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“ შრომები“, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 15-16).

აკად. მ. ლორთქიფანიძე არის ჟურნალ „Georgika”-ს (გამოიცა 36-ე ტომი) რედაქტორი საქართველოს მხრიდან და ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

კითხულობს ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია ერთი სადოქტორო დისერტაცია.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი

წიგნი

„წმინდა მეფე თამარი“ (Издательский дом CA&CC PressR, სტოკჰოლმი, 295 გვ., რუსულ ენაზე).

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. მასში მოთხრობილია თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სტატიები

1) „რა აკავშირებს პეტრე პირველს დავით აღმაშენებელთან. სხვაობა 600 წელი“ (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, I, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 6-32).

2) „ცხორება და მოქალაქეობა წმიდისა ექვთიმესი“ (კრებულში: „დიდი ექვთიმე“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 28-41).

3) „საკუთარ გამოცემაში შეტანილი შენიშვნები. „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ექვთიმე თაყაიშვილისეული მარგინალიები“ (კრებულში: „დიდი ექვთიმე“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 238-253).

4) „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ (კრებულში: „დიდი ექვთიმე“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 359-373).

5) „მეგობრის თვალით დანახული სიკეთე“ („ელიზბარ ჯაველიძე – 75. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 9-10).

6) „ებრაელები საქართველოში“ – „იუდინ ბე გურგია“ (ჟ. „მარიე“ – „ხედვა“, იერუსალიმი, 88-92).

7) „წმიდა ამბროსი აღმსარებლის მოღვაწეობის შეფასებისათვის“ (კრებულში: „აღმოსავლეთმცოდნეობა. ეძღვნება გიორგი წერეთელს, დიდ ქართველ მეცნიერს“, №3, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 241-248).

8) „მეცნიერების წინსვლის გარეშე სახელმწიფო ვერ განვითარდება“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №5, 10.01.2014).

9) „მათი სამკვიდრო საქართველოა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №23, 20.06.2014).

10) „ერთი დღის ქრონიკა. შეხვედრა ჭაბუა ამირეჯიბთან“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17.01. 2014).

11) „ღვთისპირისპირმდგომი“ (გ. ალიბეგაშვილთან თანაავტორობით) რეცენზია დენიზა სუმბაძის ნაშრომზე „გიორგი მთაწმიდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 07.02.2014).

12) წინათქმა წიგნში: „ქართლის ცხოვრება“, ინგლისური თარგმანი (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი).

აკად. რ. მეტრეველი მთავარი რედაქტორია წიგნისა „დიდი ექვთიმე“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 726 გვ.).

წიგნში შესულია მასალა (მათ შორის, ბევრი პირველად ქვეყნდება) დიდი ექვთიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აკად. რ. მეტრეველის რედაქტორობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა „ქართლის ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 441 გვ.).

აკად. რ. მეტრეველი რეცენზენტია ფუნდამენტური ნაშრომისა „ქართველები“ – „Грузины“ (თანაავტორი აკად. ნ. ხაზარაძე, გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, რუსულ ენაზე, 848 გვ.).

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა წარდგინება აკადემიკოს როინ მეტრეველისადმი მიძღვნილი წიგნისა „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 347 გვ.).

კრებულში წარმოდგენილია მასალები, რომლებიც წარმოაჩენს ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ჟურნალის „Русский клуб“ მე-12 ნომერი მიეძღვნა აკად. რ. მეტრეველის დაბადების 75 წლისთავს.

აკად. რ. მეტრეველმა წაიკითხა მოხსენებები:

– „დავით აღმაშენებლის მეფობის შეფასება“ (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქ. გორი);

– „ასტრახანში ქართველ მეფეთა სამარხების ისტორიიდან“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ასტრახანი და ბაგრატიონები: ორი სამარხის ისტორია“, ქ. ასტრახანი, რფ);

– „ებრაელთა ყოფა ძველ საქართველოში“ და „ებრაელები პოსტსაბჭოთა სივრცეში“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „თბილისი-იერუსალიმი 3“, რომელიც მიეძღვნა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის იუბილეს; დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი);

– „საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზურაბ წერეთლის ფონდის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“).

აკად. რ. მეტრეველმა მონაწილეობა მიიღო ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მოსამზადებელი ჯგუფის გაფართოებული სხდომისა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში (ქ. მოსკოვი, რფ).

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

წიგნი

„დავით მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, 546 გვ.).

გაერთიანებულია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე აკად. დ. მუსხელიშვილის მიერ სხვადასხვა კრებულსა თუ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების ნაწილი, რომლებიც ეხება საქართველოს ძველი, შუა საუკუნეების ისტორიისა და არქეოლოგიის აქტუალურ საკითხებს. ასახულია მეცნიერის შეხედულებები მიმდინარე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მწვავე პრობლემებზე.

სახელმძღვანელო

„საქართველოს ისტორია“ (თანაავტორობით; ერთტომეული, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „გუმბათი“, თბილისი, 544 გვ.).

სტატიები

1) „როდის აწამეს აბიბოს ნეკრესელი და როდის დაიწერა მისი მარტვილობის არქეტიპი?“ (ჟ. „ანალები“, №10, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეც-

ნიერო ცენტრი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 113-128).

ეპისკოპოს აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობა“ მნიშვნელოვანი ძეგლია ადრექრისტიანული ქართლის სამეფოს პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესასწავლად. ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე მიღებული თვალსაზრისით აბიბოს ნეკრესელი სპარსელებმა აწამეს VI ს-ის დამლევს (დაახლოებით 590 წელს), ხოლო „მარტვილობა“ დაიწერა VII ს-ის დასაწყისში, ან IX ს-ის მეორე ნახევარში. დასაბუთებულია, რომ აბიბოს ნეკრესელი აწამეს VI ს-ის 60-იანი წლების ბოლოს, ხოლო „მარტვილობის“ არქეტიპი დაიწერა VII ს-ის 70-იან წლებში.

2) „ქვემო ქართლი. ლორე-ტაშირის მხარე“ (კრებულში: „დავიცვათ ქართული ეკლესიები. ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორია“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 88-91).

ლორე-ტაშირის მხარე უძველესი დროიდანვე ქართველი ტომის – გოგარების სამოსახლოს წარმოადგენდა და ქართლის სამეფოს (ივერიის) წარმოქმნისთანავე, ბუნებრივია, მის ფარგლებში მოექცა. მეზობელი სომხეთის სამეფო იმთავითვე ცდილობდა ძალით ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებას. საამისო სამი უშედეგო მცდელობის შემდეგ (ძვ. წ. II ს-ში, IX-X სს-ში და 1920 წელს), 1921 წელს ქართველი ბოლშევიკების ხელშეწყობითა და თანხმობით ეს ტერიტორია გადაეცა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას.

3) „საქართველო – „მცირე იმპერია“?!“ (კრებულში „ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში“, ნოვა საიანს პაბლიშერს, ნიუ-იორკი, აშშ, 1-8, ინგლისურ ენაზე).

განხილულია თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის და პუბლიცისტიკის აგრესიული განწყობა ქართველი ხალხისა და მისი ისტორიისადმი. ნაჩვენებია საქართველოს სახელმწი-

ფოს, როგორც „მცირე იმპერიის“ კვალიფიკაციის სრული აბსურდულობა.

4) „წინასიტყვაობა“ (კრებულისათვის „ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში“, ნოვა საიანს პაბლიშერს, ნიუ-იორკი, აშშ, VII-XI, ინგლისურ ენაზე).

მონოგრაფიაში: „ქართველები“ – „Грузины“ (გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, რუსულ ენაზე, 840 გვ.) დაიბეჭდა აკად. დ. მუსხელიშვილის ხუთი სტატია:

5) „ეთნიკური ისტორიის ადრეული ეტაპები“ (12-26).

6) „შუა საუკუნეების საქართველო. V-XVIII სს.“ (26-41).

7) „XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის საქართველო“ (41-44).

8) „საქართველო XX საუკუნეში“ (44-47).

9) „გეოგრაფიული ფაქტორი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა“ (51-59).

10) „საქართველომ ქმედითად უნდა შეუწყოს ხელი ეროვნულ აკადემიას“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №191, 19 სექტემბერი).

აკად. დ. მუსხელიშვილი რედაქტორია: კრებულის – „ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში“ (ნოვა საიანს პაბლიშერს, ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე); ჟურნალის „ანალები“, №10 (ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი); კოლექტიური ნაშრომის – „ყოველი საქართველო“ (თბილისი).

აკად. დ. მუსხელიშვილმა მონაწილეობა მიიღო ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებულ სიმპოზიუმში – „ღვთისმშობლის თაყვანისცემის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

მონოგრაფია

„ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა“ (თანაავტორობით; ნოვა საიანს პაბლიშერს, ნიუ-იორკი, აშშ, 106 გვ., ინგლისურ ენაზე; მონოგრაფიის ქართული ვერსია გამოიცა 2009 წელს).

შემოთავაზებულია ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეა და მისი შესაბამისი მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი, რომელშიც ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია კეინზიანურ პრინციპებს ეფუძნება, ერთობლივი მიწოდების ფუნქცია კი – ლაფერის პოსტულატებს. აღნიშნული მოდელის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მარტო ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოღებას, თავისთავად, არ შეუძლია სრული დასაქმების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება ან ბიუჯეტში მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მობილიზება. ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებაში და სრული დასაქმების მიღწევაში დაბეგვრის რეჟიმთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს.

სტატიები

1) „საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მოდელების შედარებითი ანალიზი“ (კრებულში: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზაციის გზების ძიებაში“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, ინგლისურ – 61-70 და რუსულ – 57-64 ენებზე).

შესწავლილია საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მოდელების თავისებურებები; წარმოდგენილია ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები პოსტსაბჭოთა პერიოდში. რამდენადაც ორივე ქვეყანაში დასტურდება ნეკროეკონომიკის არსებობა, გაანალიზებულია ე.წ. „პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმის“ ფენომენი.

2) „მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე” (ჟ. „ეკონომიკა და საბანკო საქმე”, ტ. 2, №1, თბილისი, 29-39).

შესწავლილია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სივრცობრივი შედარების პრობლემა მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით. შემოთავაზებულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაანგარიშების ახალი მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზას.

3) „საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი” (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებულში: „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები”, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 48-50).

მოცემულია საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით. ნაჩვენებია, რომ 1992-1998 წლებში საშუალოდ საქართველოს ეკონომიკა იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე რუსეთის ეკონომიკა, ხოლო 1999 წლიდან (გარდა კრიზისული 2009 წლისა) რუსეთის ეკონომიკა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საქართველოსი.

4) „ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაცია „პოსტვარდისფერ” საქართველოში” (ჟ. „ქართული პოლიტიკა”, №2, თბილისი, 50-55).

„ვარდების რევოლუციის” შემდეგ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა იყო წინააღმდეგობრივი და ერთდროულად ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზს წარმოადგენდა. ოპოზიციური ძალების მიერ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოგების შემდეგ, ეკონომიკის კონკურენტუნარიანი რეალური სექტორის შესაქმნელად და განსავითარებლად ქვეყანას რეალური შანსი მიეცა. ამისათვის

აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა ევროკავშირთან (და შედარებით შორეულ პერსპექტივაში – აშშ-თან) და რუსეთთან ვაჭრობის განახლება. ამ ამოცანების რეალიზაცია ახალი მთავრობის მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებებს მოითხოვს.

5) „პოსტსაბჭოთა სივრცეში „ნეკროეკონომიკური პოსტინდუსტრიალიზმის" შესახებ. საქართველოსა და რუსეთის მაგალითზე" (ж. „Общество и экономика, № 6, მოსკოვი, რფ, 160-172, რუსულ ენაზე).

შესწავლილია „პოსტსაბჭოთა ინდუსტრიალიზმის" თავისებურებანი, რომლის საფუძველია მბრძანებლური ეკონომიკის მემკვიდრეობა – ნეკროეკონომიკა. რუსეთის ეკონომიკის დიდმა მასშტაბებმა, საქართველოსთან შედარებით, რუსეთში უფრო გაამწვავა ნეკროეკონომიკის პრობლემა, რამაც განსაკუთრებით მწვავედ გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში იჩინა თავი. ნაჩვენებია, რომ ორივე ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეკონომიკური განვითარების ერთნაირი – ღარიბი ქვეყნის მომხმარებლური მოდელი.

6) „მკვეთრი ზრდის ეფექტი და ზრდის მაჩვენებლების რეგიონული შედარება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მაგალითზე" (ჟ. „გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები", ტ. 57, №3, აშშ, 3-12, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ქვეყნების მიხედვით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების უშუალო შედარება შეუძლებელია მკვეთრი ზრდის ეფექტის გამო. შემოთავაზებული შესაბამისი მეთოდიკის საფუძველზე ჩატარებულია გათვლები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მაგალითზე.

7) „საქართველოს ეკონომიკა. განვითარების მოდელის ძიებაში" (ჟ. „გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები", ტ. 57, №3, აშშ, 83-94, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველომ ვერ მოახერხა შეექმნა ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელიც სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას უზ-

რუნველყოფდა. ვერც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ გატარებულმა რეფორმებმა უზრუნველყო არსებული მოლოდინის ასრულება. შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა ღარიბი ქვეყნის მომხმარებლური მოდელი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ გაჩნდა ახალი შესაძლებლობა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისათვის, რაც უმთავრესად ეფუძნება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებას.

8) „რეგიონული მნიშვნელობის რკინიგზის ხაზები ცენტრალურ კავკასიაში და საქართველოს ეკონომიკური ინტერესები" (თანაავტორობით; j. „The Caucasus & Globalization", ტ. 8, №1-2, შვედეთი, ინგლისურ – 58-67 და რუსულ – 65-75 ენებზე).

განხილულია რკინიგზის ორი რეგიონული პროექტი – ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს (ამჟამად მშენებლობის დასრულების სტადიაშია) და ტრანსკავკასიური რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა (ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკური განხილვის სტადიაშია). შესწავლილია ორივე პროექტის მშენებლობისა და აღდგენის ღირებულება, ფინანსური ბრუნვა და ტვირთბრუნვა, რენტაბელობა, პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტები, სოციალური ეფექტები. მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

9) „ძველი თუ ახალი ცივი ომი?" (ელექტრონულ გამოცემაში „ციცერო ფონდის დიდი სადისკუსიო სტატია" – „CICERO Foundation Great Debate Paper", №14/07, ოქტომბერი, საფრანგეთი და ჰოლანდია, 8 გვ., ინგლისურ ენაზე. http://www.cicerofoundation.org/lectures/Papava_Old_or_%20New_Cold_Warx.pdf).

ნაჩვენებია, რომ პერესტროიკის პერიოდის დაწყებამ და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის, როგორც „ბოროტების იმპერიის", დაშლამ დასავლეთში შექმნა იმის განცდა, რომ ცივი ომი დასრულდა. მას შემდეგ კი, რაც რუსეთმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და განახორციელა მისი ანექსია, ამას ვაშინ-

გტონისა და ბრიუსელის მხრიდან მოჰყვა რუსეთის წინააღმდეგ გარკვეული ეკონომიკური სანქციების შემოღება. შემდგომში, როცა რუსეთმა დაიწყო სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების დახმარება არაფორმალური სამხედრო ფორმირებებითა და იარაღით, განსაკუთრებით კი უკრაინის ტერიტორიაზე მალაიზიური ბოინგის ჩამოგდების შემდეგ, დასავლეთმა ეკონომიკური სანქციები გაამკაცრა, რაზეც მოსკოვმა ასევე შემოიღო საპასუხო ეკონომიკური სანქციები. ამ მოვლენების ფონზე არც თუ იშვიათად გაისმის მოსაზრება „ახალი ცივი ომის" დაწყების შესახებ. ნაჩვენებია, რომ ცივი ომი (ის, რომელსაც ზოგიერთი დღეს „ძველს" ეძახის) არასოდეს დასრულებულა. ის მხოლოდ დროებით იქნა შეჩერებული, რადგანაც ამ ომის ერთ მხარეს (კერძოდ, რუსეთს) დროის გარკვეულ პერიოდში არ შესწევდა იმის ძალა, რომ ეს ომი ეწარმოებინა.

აკად. ვ. პაპავამ მონაწილეობა მიიღო:

– ქართველი და რუსი ექსპერტების სემინარში თემაზე: „რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზაცია" (სტამბოლი, თურქეთი);

– თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ ორგანიზებულ სემინარში „პოლიტიკური კულტურა ადგილობრივი არჩევნების წინ" (გუდაური);

– მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოების მიერ ჩატარებულ საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით „ღარიბი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამომხმარებლო მოდელი. საქართველოს და რუსეთის მაგალითზე" (პრაღა, ჩეხეთი);

– საერთაშორისო ატლანტიკური ეკონომიკური საზოგადოების მიერ ჩატარებულ 78-ე საერთაშორისო ატლანტიკურ ეკონომიკურ კონფერენციაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით „პოსტსაბჭოთა და პოსტინდუსტრიალიზმის ეკონომიკა. საქართველოს და რუსეთის მაგალითებზე" (სავანა, აშშ). კონფერენ-

ციაში მონაწილეობა დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით.

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

სტატიები

1) „პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტები მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე“ (j. „Problems of Economic Transition“, ტ. 56, № 8, აშშ, 3-16, ინგლისურ ენაზე).

2) „პოსტკომუნისტური ეკონომიკური განვითარების გენეზისი: წინააღმდეგობები და პერსპექტივები. საქართველოს მაგალითზე“ (თანაავტორობით; j. „The Caucasus & Globalization“, v. 7, 3-4, CA&CC Press, შვედეთი, ინგლისურ – 72-81 და რუსულ – 80-90 ენებზე).

3) „ევროკავშირის მთავარი ეკონომიკური ინდიკატორები და საქართველო“ (თანაავტორობით; პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებულში: „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 50-52).

4) „მაკროეკონომიკური ინდიკატორები: საქართველოსა და ევროკავშირის შედარებითი მაჩვენებლები“ („ვილნიუსის სამიტი – შედეგები და პერსპექტივები”, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 9-16).

5) „ევროკავშირის ახალი ასოცირებული წევრების – პოსტსაბჭოური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედარებითი მაჩვენებლები“ (თანაავტორობით; ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, №4. 109-115, რუსულ ენაზე).

აკად. ა. სილაგაძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „პოსტსაბჭოური ეკონომიკა: სასმელი წყლის ბიზნესის განვითარების კონცეფცია“ (ინგლისურ-ამერიკული კონფერენცია, ლონდონის უნივერსიტეტი, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო);

– „ევროკავშირის „ინტეგრაციული ეკონომიკური ინდიკატორები“ და პოსტსაბჭოთა ქვეყნების – ევროკავშირის ახალი ასოცირებული წევრების განვითარების ზოგიერთი საკითხი“ (კიშინიოვი, მოლდოვა);

– „ევროკავშირის მთავარი ეკონომიკური ინდიკატორები და საქართველო“ (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში: „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“);

– „მაკროეკონომიკური ინდიკატორები: საქართველოსა და ევროკავშირის შედარებითი მაჩვენებლები“ (თსუ-ის კონფერენცია „ვილნიუსის სამიტი – შედეგები და პერსპექტივები“).

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე

სტატიები

1) „მზის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები“ (კრებულში: „აღმოსავლეთმცოდნეობა. ეძღვნება გიორგი წერეთელს, დიდ ქართველ მეცნიერს“, №3, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 249-258, ინგლისურ ენაზე).

მზის აღმნიშვნელი ლუვიური სხვადასხვა იეროგლიფების გამოსახულებათა ანალიზის საფუძველზე პირველადაა გამოთქმული თვალსაზრისი ყველა ამ გამოსახულების სემანტიკური კოდების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.

2) „ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო“ (ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, №8, 104-110, თბილისი).

წმინდა მიწაზე მყოფი უცხოელი პილიგრიმების ჩანაწერებისა და ქართული, რუსული, ფრანგული საისტორიო წყაროების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის გზით ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფელიქს ფაბრის და სხვა პილიგრიმების მიერ ქართველებისათვის შერქმეული ტერმინი „სარტყლის ქრისტიანები" ღვთისმშობლის სარტყელს უკავშირდება, რომელიც XI საუკუნიდან საქართველოში იყო დაუნჯებული და არა წმინდა გიორგის სარტყელს, როგორც ამას ზოგიერთი პილიგრიმი ვარაუდობდა.

3) „ანტითეზა: შიდა სამყარო – გარე სამყარო" (თანაავტორობით; ჟ. „ანალები", №10, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, რუსულ ენაზე, 129-135).

ნაჩვენებია ქართველთა პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულება გარე სამყაროდან მოსულთა მიმართ და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ახსნილია ამ დამოკიდებულების მოტივაცია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე გარე სამყარო უფრო გახსნილი და მიღწევადი გახდა, ანტითეზა შიდა სამყარო – გარე სამყარო კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. ამ რეალობის გათვალისწინებას შიდა სამყაროს რეგულაციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია.

4) „ტრადიციული რელიგიური ინსტიტუტები ხალხთა კულტურაში. კრებულის „საზოგადოება, რელიგია, სახელმწიფო" სამეცნიერო სტატიების ზოგი ასპექტი" (ჟ. „ანალები" №10, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 560-570).

ისტორიოგრაფიული ნარკვევი ეძღვნება ბაქოში 2014 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო წერილების კრებულში განთავსებულ ცნობილ აზერბაიჯანელ, რუს და ქართველ მეცნიერთა ნააზრევის ანალიზს.

5) „გიორგი მელიქიშვილი“ (ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №1, თბილისი, 201-215).

ისტორიოგრაფიული ნარკვევი ეძღვნება აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მის მიერ ღირსეულად განვლილ ცხოვრების გზას.

6) „ექვთიმე თაყაიშვილი. 1863-1887” (წიგნში: „ექვთიმე თაყაიშვილი 150. სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციის – „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“ შრომები“, თბილისი, 11-14).

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებისა და სხვა წერილობითი პირველწყაროების საფუძველზე აღდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის ბავშვობის, ყრმობისა და სტუდენტობის წლების ისტორია. გზა ლეხოურიდან პეტერბურგამდე და პეტერბურგიდან თბილისამდე რთული და მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე იყო, მაგრამ სწორედ ამ გზაზე ჩაეყარა საფუძველი მის გასაოცარ სულიერებას. ოცდაოთხი წლის ექვთიმე თაყაიშვილი სრულად პასუხობდა დაბადებისას შერქმეულ სახელს – „ექვთიმეს”, „სულით მოზეიმესა” და „სულით ახოვანს”.

7) „წმიდა დიმიტრი წმიდა ექვთიმეს მოგონებებში“ (წიგნში: „დიმიტრი ყიფიანი 200“, გამომცემლობა „სვეტი“, თბილისი, 1140-1143).

წარმოჩენილია 24 წლის ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკული დასასრულისა და მთაწმინდის პანთეონისაკენ დიდი ქართველის უკანასკნელ გზასთან დაკავშირებული პერიპეტიები. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება დღემდე უდიდესი მნიშვნელობის საისტორიო პირველწყაროს წარმოადგენს.

8) „ინოვაციები კავკასიის არქეოლოგიაში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №2, თბილისი, 142-146, ინგლისურ ენაზე).

9) „ქართული მეცნიერების დიდი შენაძენი“ (ქართული ვერსია სტატიისა „ინოვაციები კავკასიის არქეოლოგიაში“, ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, 29, თბილისი, 117-124).

ნაშრომები 8) და 9) ეძღვნება ბოლო 60 წლის მანძილზე კავკასიის არქეოლოგიაში მიმდინარე პროცესებს, თანამედროვე ეტაპზე არქეოლოგიაში კვლევა-ძიების ახალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას. ნარკვევები ეფუძნება 2013 წელს გამოქვეყნებულ აკად. წევრ-კორ. კ. ფიცხელაურის სამეცნიერო სტატიების ერთტომეულს – „სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში”, რომელშიც შეჯამებულია ავტორის მიერ 60 წლის მანძილზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები.

აკად. ნ. ხაზარაძე რედაქტორია წიგნებისა: „დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რელაცია საქართველოზე. XVII საუკუნე“ (გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი, 108 გვ.) და „ექვთიმე თაყაიშვილი 150. სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე” შრომები“, თბილისი, 172 გვ.).

იგი რეცენზენტია ფუნდამენტური ნაშრომისა: „ქართველები“ – „Грузины“ (თანაავტორი აკად. რ. მეტრეველი; გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, 848 გვ.).

აკად. ნ. ხაზარაძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო“ (V საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ღვთისმშობლის თაყვანისცემის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში”);

– „პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტი“ (საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი – „პირველი მსოფლიო ომი და კავკასია”);

– „ქართული ღვინის უძველესი საწყაოების ისტორიისათვის“ (მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია –

„ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ”);

– „ქართველების აღმნიშვნელი ერთი სადავო ტერმინის ინტერპრეტაციისათვის“ (მესამე საერთაშორისო კონფერენცია – „მეცნიერება და რელიგია”);

– „ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინის – „იოანეს ქვეყნის ქრისტიანები” – ისტორიისათვის“ (ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ხელისუფლება და საზოგადოება“, ინგლისურენოვანი თეზისები გამოქვეყნდა);

– „რამდენიმე ეპიზოდი ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან“ (რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია – „ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალებიდან 60 წლისთავი”);

– „დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის „რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), როგორც საისტორიო წყარო“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „საქართველო შუა საუკუნეების ევროპული (დასავლეთევროპული) წყაროების მიხედვით“);

აკად. ნ. ხაზარაძემ საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო სემინარიაში წაიკითხა მოხსენება – „ქართველთა აღმნიშვნელი უცხოური ტერმინები”.

საქართველოს საპატრიარქოს არხით „ერთსულოვნება” წაიკითხა ლექცია თემაზე „ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ერთობლივ სხდომაზე წარსდგა მოხსენებით „ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები”.

მონაწილეობა მიიღო აკად. ანდრია აფაქიძის, აკად. როინ მეტრეველის, აკად. წევრ-კორ. აკაკი სურგულაძის, პროფ. პროკოფი რატიანის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო ფორუმებში.

არის ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის“ და ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალების“ სარედაქციო კოლეგიების წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის კონსულტანტი.

ხელმძღვანელობდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებას. ახალი ვადით არჩეულია ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობისა და საქართველოს ქალთა საბჭოს აღმასრულებელ საბჭოს წევრად.

აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი

სტატია

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხებზე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბილისი, 5-25).

გამოკვლეულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვას ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის პერსონალური შემადგენლობის ფორმირებისას, აგრეთვე, სადეპუტატო მანდატის განხორციელებისას. გაანალიზებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, სასამართლო პრაქტიკა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. დასაბუთებულია საკანონმდებლო წინადადებები საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების განხორციელების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

აკად. ჯ. ხეცურიანი მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობასა და „საქარ-

თველოს სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტის განხილვაში პარლამენტის კომიტეტების სხდომებზე.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის აკად. ჯ. ხეცურიანი დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე

წიგნი

„ბრინჯაოს ინდუსტრიის ისტორიისათვის უძველეს საქართველოში“ (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 88 გვ.).

ბრინჯაოს მეტალურგიას სამხრეთ კავკასიაში საფუძველი ეყრება ძვ. წ. VI ათასწლეულში. აქ ლითონის წარმოებისათვის ხელსაყრელი გარემო არსებობდა. ბრინჯაოს ინდუსტრია ადგილობრივ ნედლეულზე იყო დაფუძნებული. ადრე იწყება დარიშხანიანი ბრინჯაოს გამოყენება. უფრო გვიან ფართოდ ვრცელდება კალიანი ბრინჯაო. კალა გარედან შემოჰქონდათ, ალბათ, ალბანეთიდან, ირანიდან და სხვ. ჩნდება საბრძოლო და სამეურნეო იარაღების ადგილობრივი ფორმები. გვიანბრინჯაოს ეპოქა ბრინჯაოს მეტალურგიის აყვავების ხანაა, რომელიც ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებამდე გაგრძელდა. დასრულდა სპილენძ-ბრინჯაოს ხანის მრავალსაუკუნოვანი ერა და ფერად მეტალურგიას შავი მეტალურგია ენაცვლება. იწყება რკინის ფართო ათვისების ხანა.

სტატიები

1) „ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს მიწისქვეშა სიძველენი“ (კრებულში „დიდი ექვთიმე“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 88-92).

2) „ღირსეული მოღვაწე“ (აკად. რ. მეტრეველის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში: „ქვეყნის სიყვა-

რულში განვლილი წლები“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 207-208).

აკად. ო. ჯაფარიძემ წაიკითხა მოხსენება „ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიიდან“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „თბილისი-იერუსალიმი 3“, რომელიც მიეძღვნა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის იუბილეს (დავით ბაზაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი).

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში აკად. ო.ჯაფარიძე მონაწილეობდა ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი იმედაძე

წიგნი

„ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე“ (გამომცემლობა „მწიგნობარი”, თბილისი, 714 გვ.).

ვრცლად არის გადმოცემული და გაანალიზებული ფსიქოლოგიის 2500-წლოვანი ისტორია, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და უმთავრესი ტენდენციები. განხილულია მეცნიერებისა და, კერძოდ, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის საკვანძო საკითხები. წიგნი შეიცავს მსოფლიო ფსიქოლოგიის ყველა უმთავრესი თეორიული სისტემისა თუ მიმდინარეობის ანალიზს. ეს ანალიზი, ასევე შეფასებები, ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის პოზიციიდან კეთდება. განხილულია საკუთრივ დიმიტრი უზნაძის სკოლის მონაპოვარიც, ისევე, როგორც ქართული ფსიქოლოგიური აზრის უფრო ადრინდელი ნიმუშები.

სტატიები

1) „დ. უზნაძე: ნაცნობი და უცნობი“ (თანაავტორობით; წიგნში: „Д. Н. Узнадзе: Философия. Психология. Педагогика”, издательство „Смысл”, Москва, 10-28, რუსულ ენაზე).

სტატია წარმოადგენს შესავალ წერილს აღნიშნული კრებულისათვის. წიგნში შევიდა სპეციალურად თარგმნილი დ. უზნაძის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიკური ნაშრომები, რომლებიც აქამდე არ იყო გამოქვეყნებული რუსულად. გაანალიზებულია ეს ნაშრომები და ნაჩვენებია დიდი ქართველი მეცნიერის შეხედულებათა მნიშვნელობა.

2) „მოსაზრებები უზნაძის ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ“ (ჟ. „სეუ & მეცნიერება“, თბილისი, 238-244).

რამდენადაც განწყობა (ბიოსფერო) ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურ მოვლენად არის გააზრებული, დიმიტრი უზნაძე ფილოსოფიური ონტოლოგიის სფეროში ახალი რეალობის ჰიპოთეზის ავტორად გვევლინება და, ამდენად, ონტოლოგიური პლურალიზმის წამომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. ეს თვალსაზრისი პრინციპულად ეწინააღმდეგება მარქსისტულ-დიამატურ პოზიციას.

3) „ნებისყოფის ფენომენოლოგია: რამდენიმე პოლემიკური მოსაზრება“ (კრებულში: „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“, ბათუმი, 27-33).

სტატია პოლემიკური ხასიათისაა და ეხება ნებისყოფის ფსიქოლოგიის სფეროში დ. უზნაძისა და შ. ჩხარტიშვილის თვალსაზრისების სინთეზის მცდელობას. ეს მცდელობა დაფუძნებულია მოსაზრებაზე, რომლის მიხედვით ნებისყოფის პროცესის გადაწყვეტილების პერიოდთან დაკავშირებული „მე უნდა” განცდა (ჩხარტიშვილი), ქცევის განხორციელების ეტაპზე, „მე მინდა” განცდად (უზნაძე) გარდაიქმნება. ამგვარად, ნებელობით ქცევაში ორივე ავტორის მიერ დახასიათებულ „ნებელობის სპეციფიკურ განცდას” ენახება ადგილი. ნაჩვენებია, რომ ასეთი კონსტრუქცია სერიოზულ თეორიულ სირთულეებს წარმოქმნის. რაც მთავარია, მას არა აქვს ემპირიული საფუძველი, რამდენადაც განცდათა ამგვარ ტრანსფორმაციას არ ადასტურებს შინაგანი გამოცდილება.

აკად. წევრ-კორ. ი. იმედაძემ რედაქტირება გაუწია უზნაძის შრომების კრებულის გამოცემას მოსკოვში.

იგი მონაწილეობდა რამდენიმე უცხოური (საერთაშორისო) ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების მუშაობაში: „ფსიქოლოგიური ჟურნალი” (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, მოსკოვი); „21-ე საუკუნის ფსიქოლოგიის პრობლემები” (შაულიაი, ლიტვა); „პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პრობლემები” (ერევნის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი).

ხელმძღვანელობდა საქართველოს ფსიქოლოგიურ საზოგადოებას.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გურამ ლორთქიფანიძე

წიგნები

1) „მასალები ქართული საფასმცოდნეობის ისტორიისათვის. კულტუროლოგიური ასპექტები“ (თანაავტორობით; ქუთაისის მერია, გამომცემლობა „თეთნულდი“, ქუთაისი, 3-72 გვ. ქართულ და 73-99 გვ. ინგლისურ ენებზე).

განხილულია ქართული ნუმიზმატიკის, საფასმცოდნეობის განვითარების საწყისი ეტაპი 1844 წლიდან 1881 წლის ჩათვლით, როდესაც თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა. გამოვლენილია მ. ბარათაევთან დაკავშირებული უცნობი საარქივო მასალები, მიკვლეულია სახლი სოლოლაკში (დიდვაჭარ შადინოვის სახლი, დღევანდელი ლ. ასათიანის ქუჩა), სადაც 1839-1843 წწ. ცხოვრობდა ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი მ. ბარათაშვილი. წამოყენებულია წინადადება შადინოვის სახლს გაუკეთდეს მემორიალური დაფა. განხილულია ფულის მონეტამდელი ფორმები, ოქროს სტანდარტიზებული ზოდები, რომლებიც კოლხეთის სამეფოშია გავრცელებული ძვ. წ. VI-III სს. ვერცხლის ე.წ. „კოლხურ თეთრებთან“ ერთად. ქვეყანაში მონეტების ინტენსიური ტრიალი მეტყველებს ფულადი მეურნეობისა და ვაჭრობის, ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე. ამ ფულად აღებ-მიცემო-

ბის პროცესში ჩართულია არა მარტო საქალაქო მოსახლეობის ფართო ფენები, არამედ თავისუფალი მეთემეები როგორც მთაში, ასევე ბარში. მარტო სამონეტო განძების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში სამოცდაათს აჭარბებს. მათი გავრცელების საზღვრები მაჩვენებელია ძვ. წ. V-III სს. სამეფოში ერთიანი ეკონომიკური სივრცის არსებობისა. მასში შედიოდა შიდა ქართლი და ბორჯომის ხეობა. „კოლხური თეთრი“ აღმოჩენილია მცხეთაში.

2) „კულტუროლოგია ყმაწვილთათავის“, II (ანტიკური ცივილიზაცია) (თანაავტორობით; თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 162 გვ.).

ეძღვნება ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების ძველ ცივილიზაციებს, კერძოდ, ბერძნული კულტურის განვითარების ცალკეულ ეტაპებს, კრეტა-მიკენიდან დაწყებული ელინისტური ხანით დამთავრებული. ევროპული და ძველაღმოსავლური ცივილიზაციების დამაკავშირებელ რგოლად წარმოჩენილია ებრაული კულტურა და „წიგნთა წიგნი“ ბიბლია. განხილულია გეოგრაფიული, კერძოდ, ზღვის ფაქტორის როლი „ბერძნული სასწაულის“ კულტუროლოგიური გააზრებისას.

3) „აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე 100“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 23 გვ.).

შესწავლილია გამოჩენილი ქართველი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის საქმიანობა.

სტატიები

1) „ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე“, ნაწილი I (ჟ. „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №1, თბილისი, 134-152).

2) „ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX-XXI სს. მიჯნაზე“, ნაწილი II (ჟ. „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №2, თბილისი, 106-117).

ნაშრომის I და II ნაწილში ეტაპობრივად შესწავლილია ქართულ-ანტიკური ეპოქის ისტორიოგრაფიის მიღწევები. განხილულია XX ს-ის ოცდაათიანი წლებიდან 1996 წლამდე ანტიკურ არქეოლოგიაში გამოსული პუბლიკაციები (გ. ნიორაძე, ა. აფაქიძე, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ნ. ხოშტარია, პ. ზაქარაია, ო. ლორთქიფანიძე და სხვ.). მიმოხილულია მცხეთის, ნოქალაქევის, ბიჭვინთის და სხვ. არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგები.

3) „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში“ (აკად. რ. მეტრეველის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 67-77).

წარმოჩენილია გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკად. რ. მეტრეველის საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

4) „ანდრია აფაქიძე. 1914-2005“ (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ა. აფაქიძის ბიობიბლიოგრაფია; თსუ-ის ეროვნული ბიბლიოთეკა, სერია – ქართველი მეცნიერები, თბილისი, 9-18, ინგლისური რეზიუმე, 19-24).

განხილულია აკად. ა. აფაქიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა, შეფასებულია მისი ღვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში.

5) „არქეოლოგიური განათლებიდან რუსეთსა და საქართველოში“ (კრებულში: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, XXIX, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 37-45).

შესწავლილია არქეოლოგიური განათლების ისტორია რუსეთსა და საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ში. 1918 წელს პროფ. ე. თაყაიშვილი არჩეულ იქნა თსუ-ის არქეოლოგიის კათედრის გამგედ. დაიწერა პირველი ქართული სასწავლო გეგმები არქეოლოგიაში, იკითხებოდა ზოგადი კურსი „საქართველოს სიძველეები“, ლექციები არქეოლოგიის შესახებ, სპეცკურსები პალეოლითსა და ნეოლითში, პალეო-

ლითურ ხელოვნებაში და სხვ. 1921 წლიდან არქეოლოგიის სწავლების ფორმა და მეთოდები მკვეთრად შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოუცხადა ბრძოლა „კლასობრივ მტრებს ისტორიის ფრონტზე“. არქეოლოგია, როგორც სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინა, ამოღებულ იქნა სასწავლო გეგმიდან, მისი აღდგენა მოხერხდა მხოლოდ 1934 წელს. ამ დროიდან მზარდი ტემპით დაიწყო არქეოლოგთა კვალიფიციური კადრების მომზადება, არქეოლოგიის კათედრამ 2005 წლამდე იარსება.

6) „ალექსანდრე გამყრელიძის გახსენება. 1918-1971 წწ.“ (ჟ. „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №2, თბილისი, 189-194).

„ანტიკურ ენციკლოპედიაში“, ტ. II, 1 (გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი) დაიბეჭდა:

7) „აბანოები/თერმები“ (1-17).

განხილულია საქართველოში და სომხეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ე. წ. რომაული აბანოები (ბიჭვინთა, გონიო, უხუთი, ნოქალაქევი, მცხეთა, ძალისა, გარნი და სხვ.), ანტიკური ხანის ქალაქების აუცილებელი ელემენტები.

8) „ალექსანდრიის ბიბლიოთეკა“ (67-68).

აღწერილია ანტიკური ხანის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი წიგნთსაცავი, სადაც ძვ. წ. I ს. 700000 გრაგნილი ინახებოდა, მათ შორის, ისტორიასა და გეოგრაფიაში. იარსება ახ. წ. 331 წლამდე.

9) „ანტონიანები“ (92).

მოცემულია ვერცხლის 4-5 გრ. რომაული მონეტების (ახ. წ. III ს.) აღწერა-დახასიათება.

10) „ასსი“ (რომაული სპილენძის ჩამოსხმული მონეტები, ძვ. წ. IV ს., იანუსისა და ხომალდის ქიმის გამოსახულებით (153).

11) „ახალი საარქივო მასალები საქართველოს ებრაულ დიასპორაზე“ (Сб. «Страницы истории и культури евреев Грузии», издательство «Сэфер», 67-70, რუსულ ენაზე).

განხილულია საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში გამოფენილი საბუთები 1804–1902 წწ. ქართველი ებრაელების შესახებ.

აკად. წევრ-კორ. გ. ლორთქიფანიძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „მცხეთის სინაგოგა I-III საუკუნეებში“ (ბარ-ილანისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია –„საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაელები“, თბილისი; დაიბეჭდა კრებული – „საერთაშორისო კონფერენციის აბსტრაქტები“, ბარ-ილანის უნივერსიტეტი, ისრაელი);

– „ქართული სიძველეები მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზურაბ წერეთლის ფონდის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“, თბილისი).

– „აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე სამამულო არქეოლოგიის ნაცადი ხელმძღვანელი“ (აკად. ა. აფაქიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია – „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, თბილისი).

აკად. წევრ-კორ. გ. ლორთქიფანიძე არის: სამეცნიერო რედაქტორი პროფ. გ. ყიფიანის მონოგრაფიისა „ქალაქი სურიონი“ და მთავარი რედაქტორი თსუ-ის სერიული გამოცემისა – „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლიანა მელიქიშვილი

სტატიები

1) „საქორწილო წეს-ჩვეულებები“ (თანაავტორობით; მონოგრაფიაში: „ქართველები” – „Грузины“, გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, 434-444, რუსულ ენაზე).

2) „ღვთისმშობლის ხალხური კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ (ჟ. „ანალები“, №10, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი, 409-417).

მარიამ ღვთისმშობლის სახე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში თავისებურად არის წარმოდგენილი და გარკვეულწილად სცილდება ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს. მასში მეტად არის ასახული წარმართული ელემენტები.

3) „ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი“ („ექვთიმე თაყაიშვილი 150. სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“ შრომები“, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, ქ. თბილისი, 134-140).

აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი არის ერთ-ერთი რედაქტორი, შემდგენელი და თანაავტორი წიგნისა „ქართველები” – „Грузины“, რომელიც გამოიცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის ეგიდით (გამომცემლობა „ნაუკა“, ქ. მოსკოვი, 840 გვ., რუსულ ენაზე).

„ქართველები” (მორიგი ტომი ფუნდამენტური სერიისა „ხალხები და კულტურები“) მიეძღვნა კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ავტოქთონი ხალხის – ქართველების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას. განხილულია ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის ძირითადი ეტაპები, დემოგრაფიული პრო-

ცესები, მატერიალური კულტურა, ხელოსნური წარმოების ტრადიციები, ოჯახისა და საოჯახო ყოფის საკითხები, ნათესაობის სისტემა, საქორწილო წესები, სიცოცხლის ციკლთან დაკავშირებული ჩვეულებები, საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება და რელიგიური რწმენა, ფოლკლორი, ხალხური მუსიკა და მუსიკალური ინსტრუმენტები, ქორეოგრაფია, ხალხური მედიცინა, პროფესიული კულტურა, აგრეთვე, ქართული დიასპორები მოსაზღვრე ტერიტორიებზე და ევროპასა და ამერიკის ქვეყნებში. განკუთვნილია ისტორიკოსებისათვის, ეთნოლოგებისათვის, კულტუროლოგებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი არის შემდგენელ-რედაქტორი წიგნისა „ნინო წერეთელი. პირველი ქართველი მოქანდაკე ქალი – 110“.

აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „პოლიეთნიკური დასახლება და ტოპონიმიკის პრობლემები ქვემო ქართლში“ (პროფ. დევი ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი);

– „ადრეული ქრისტიანობის სათავეებთან. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რელიგიები კავკასიაში“, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი);

– „ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება წალკის რაიონის ბერძნებში. სოციალური საზღვრის ლინგვისტური კონსტრუქცია“ (საერთაშორისო კონფერენცია, ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი, ოდერის ფრანკფურტი, გფრ).

აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი მონაწილეობდა გრანტებში:

– „ეთნიკური უმცირესობა სამცხე-ჯავახეთში” – კონსულტანტი-მონაწილე (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი);

– ბელეფილდისა და ვიადრანას (გერმანია) უნივერსიტეტების პროექტის – „თანამედროვე ტრანსფორმაციული პროცესების გავლენა ენასა და ეთნიკურ იდენტობაზე: ურუმები და პონტოელი ბერძნები საქართველოში“ – მონაწილე-ექსპერტი (ფოლკსვაგენის ფონდი, 2013-2015);

იგი არის „კავკასიური მიმომხილველი – კავკასიური კვლევების ასოციაციის ჟურნალის“ (სორბონის უნივერსიტეტი, პარიზი) საერთაშორისო საბჭოს წევრი; ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კონსტანტინე ფიცხელაური

სტატიები

1) „სამხრეთ კავკასია და ჩრდილო სტეპური სამყარო შუა-ბრინჯაოს ხანაში“ (ჟ. „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №2, თბილისი, 83-96).

უკრაინაში სპეციალისტების მიერ ჩატარებული სკრუპულოზური კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში, სტეპურ სამყაროში მცხოვრები კატაკომბური კულტურის მატარებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად მოძრაობს სამხრეთით, ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი ნედლეულის ძიების მიზნით. ახალი გამოკვლევები ადასტურებენ კატაკომბელთა არსებობას სამხრეთ კავკასიაშიც, რომელთა თანმდევი მძლავრი ინოვაციური ტალღა ფარავს მთელ მის ტერიტორიას. როგორც ჩანს, ეს აქტიური ინფილტრაციული პროცესი ორივე მხარის ინტერესებთან შესაბამისობაში ვითარდებოდა – ეს იყო სამხრეთ კავკასიის მადანგამოვლინებების ფართო დამუშავება და მონაპოვარი ნედლეულის მაქსიმალური რეალიზაცია, რის სა-

ფუძველზეც შეიქმნა ე. წ. ცირკუმპონტოს პალეომეტალურგიული ზონა.

სავარაუდოა, ჩრდილოელთა განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებები ლითონის ნედლეულზე საფუძვლად დაედო სამხრეთ კავკასიის ლითონწარმოების ფეთქებად განვითარებას. არ უნდა გამოირიცხოს, რომ სწორედ ეს იქცა აქ დემოგრაფიული აფეთქების კატალიზატორად და მისი თანადროული საზოგადოების სწრაფი სოციალური წინსვლის საფუძვლად. შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის ამ პროგრესის შედეგები სრულად აისახა მხოლოდ მის შემდგომ, გვიანბრინჯაოს ხანაში. სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ეს ურთიერთობა იმდენად მასშტაბური იყო, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩნდება კატაკომბელების კომპაქტური დასახლებები. მსგავსი დასახლებები ამ რეგიონში არსებობს უფრო გვიანაც.

ამგვარად, კავკასიოლოგიაში პირველად არის დასმული საკითხი ბრინჯაოს ხანაში სამხრეთ კავკასიისა და სტეპური სამყაროს ამდენად ახლო კავშირის შესახებ. როგორც ჩანს, ამ პროცესში არსებითად შეიცვალა სამხრეთკავკასიური კულტურების განვითარების რიტმი და შესაბამისად მათი სოციალური სისტემაც, რაც მოითხოვს ჩვენი წარსულის მრავალი ფუნდამენტური პრობლემის ახლებურ გააზრებას.

2) „დიდი ექვთიმე საქართველოში სამეცნიერო-არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფუძემდებელი“ („ექვთიმე თაყაიშვილი 150“. სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“ შრომები“, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 51-53).

აკად. წევრ-კორ. კ. ფიცხელაურმა დაასრულა მუშაობა ორტომეულზე „აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ძვ. წ. II ათასწლეულის არქეოლოგიური კულტურების გენეზისისა და ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრინციპები“.

საანგარიშო წელს მიმდინარეობდა მუშაობა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მესა-

მე წიგნზე (ეძღვნება კახეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს). რადგან არქეოლოგიური მასალები ამ წიგნისათვის დიდი ხნის წინ იყო თავმოყრილი, აუცილებელი გახდა მათი თითქმის მთლიანად თავიდან დამუშავება. ამის გამო, არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილი მრავალი ათეული სტატია თავიდან დაიწერა, უმეტესობა კი არსებითად ჩასწორდა.

აკად. წევრ-კორ. კ. ფიცხელაური ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ ექსპედიციას შირაქში. სატელიტური გადაღებების დეშიფრაციის შედეგად შირაქის ველზე აღმოჩნდა დიდი ნაქალაქარი, რომელიც პირველი მონაცემებით ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის ახლო ხანით თარიღდება. არქეოლოგიურ სამუშოებს აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
დავით ჩარკვიანი

სტატია

„შეფასებითი მსჯელობა და ასიმილაციის ეფექტები“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 8, №1, 142-145, ინგლისურ ენაზე).

სხვადასხვა საგნებისა და მოვლენათა ასიმილაციური და კონტრასტული შეფასებების განმსაზღვრელი ფაქტორები მრავალმხრივ არის შესწავლილი ქართველი ფსიქოლოგების მიერ. სათანადო გამოკვლევებმა გამოავლინა ე.წ. „შეფასებითი ეტალონების” არსებითი მადეტერმინირებელი მნიშვნელობა განწყობათა ფორმირებასა და ფუნქციონირებაში, განსაკუთრებით ეს ეხება ადამიანის სენსომოტორულ და პერცეფტულ მოქმედებებს. თანამედროვე ემპირიული კვლევა-ძიების თანახმად, განუსაზღვრელობის პირობებში ადამიანთა მიერ რაოდენობრივი და ალბათური ინფორმაციის მონაცემთა შეფასებები ხში-

რად არ მიმდინარეობს ნორმატიულ მოთხოვნათა შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ალბათური და რაოდენობრივი შეფასებების ერთდროული და შედარებითი შესწავლა ფაქტობრივად არ განხორციელებულა. გამოკვლევის მიზანს ამოცანაზე მიმართული სიტუაციური განწყობის რაოდენობრივ და ალბათურ შეფასებებზე ზემოქმედების შესწავლა წარმოადგენდა. ძირითადი შედეგები შემდეგზე მიგვითითებს: 1) ექსპერიმენტულ ვითარებაში სათანადო ეტალონების შემოტანამ, ალბათურ შეფასებებთან შედარებით, ცდისპირთა რაოდენობრივ შეფასებებზე უფრო მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა; 2) ორივე სახის შეფასებებში ცდისპირთა დარწმუნებულობასა და ობიექტების შესახებ ინფორმულობას შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია გამოვლინდა, ხოლო მისი მაჩვენებელი რაოდენობრივი შეფასებების შემთხვევაში უფრო მაღალი აღმოჩნდა. ასიმილაციის ეფექტი, შემოტანილი ობიექტური ეტალონის მიმართულებით, ცდისპირის საწყისი შეფასების გადანაცვლებას ნიშნავს, რაც დადებით შედეგად განიხილება.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა

სტატიები

1) „დემოლოგიური კანონები: არსი, თავისებურებანი, კლასიფიკაცია (ж. „Общество и экономика”, №2-3, მოსკოვი, 188-206, რუსულ ენაზე).

მოცემულია მეცნიერული არგუმენტაცია იმის დასასაბუთებლად, რომ დღევანდელი ფართო მეცნიერული არეალის გათვალისწინებით, მოსახლეობის აღწარმოების შესახებ მეცნიერებას მიზანშეწონილია ეწოდოს დემოლოგია, ნაცვლად დემოგრაფიისა. შემოთავაზებულია დემოლოგიური კანონის არაორდინარული განმარტება და დემოლოგიური კანონების თავისებურებებისა და კლასიფიკაციის დახასიათება. ავტორის

მეცნიერული ინტერპრეტაციით, დემოლოგიური კანონები იყოფა კერძო, სპეციფიკურ და ზოგად დემოლოგიურ კანონებად, რომელთაგან ერთ-ერთს ეწოდება ძირითადი დემოლოგიური კანონი.

2) „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი“ (დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული – „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“, თბილისი, 6-21).

დახასიათებულია საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები (შობადობის კლება, მოკვდაობის ზრდა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, დემოგრაფიული დაბერების ჩქარი ტემპები) და რეგიონული თავისებურებანი (დეპოპულაცია იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და, განსაკუთრებით, რაჭა-ლეჩხუმში, ხოლო მცირეოდენი ბუნებრივი მატება თბილისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში).

3) „საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონი და მოკვდაობა“ (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული – „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“, თბილისი, 62-66).

ახსნილია მოკვდაობაზე გავლენა ისეთი ფაქტორებისა, როგორიცაა კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა და სასურსათო პროდუქტების დაბალი ხარისხი.

4) „საქართველოს მოსახლეობის არარაციონალური კვების კორელაციური კავშირი მოკვდაობასთან“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კრებული – „საქართველოს

მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“, თბილისი, 97-106).

ნაჩვენებია, თუ რა ნეგატიურ გავლენას ახდენს არარაციონალური კვება მოკვდაობაზე, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა შორის. ავტორის დასკვნით, საქართველოში მთელი რიგი სასურსათო პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარება ჩამორჩება არა მარტო რაციონალურ, არამედ მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმებსაც. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სასურსათო ბაზარი, ძირითადად, იმპორტირებული, ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე გენმოდიფიცირებული პროდუქციითაა გაჯერებული.

აკად. წევრ-კორ. ლ. ჩიქავამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს („საქართველოს ბუნებრივი რესურსები“) ერთი მონაკვეთის – „ადამიანური (შრომითი) რესურსები და მათი გამოყენება“ – შესრულებაში, რომელიც გადაცემულია დასაბეჭდად.

სტუ-ის დაფინანსებითა და აკად. წევრ-კორ. ლ. ჩიქავას ხელმძღვანელობით დამუშავდა საგრანტო თემა: „სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის დაკმაყოფილების აქტუალური პრობლემები“.

აკად. წევრ-კორ. ლ. ჩიქავამ წაიკითხა სამეცნიერო მოხსენებები:

– „სადისკუსიო ქართული ეკონომიკური ტერმინების შესახებ“ (მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია – „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“);

– „საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონი და მოკვდაობა“ (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-

პრაქტიკული კონფერენცია – „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“);

– „საქართველოს მოსახლეობის არარაციონალური კვების კორელაციური კავშირი მოკვდაობასთან“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია – „საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“.

აკად. წევრ-კორ. ლ. ჩიქავა „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედიისა“ (562 გვ.) და „საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების“, XII (430 გვ.) რედაქტორია.

როგორც სარედაქციო კოლეგიების წევრი აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკური პროფილის ჟურნალების („Общество и экономика”, „ეკონომიკა“, „ეკონომისტი“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, „ახალი ეკონომისტი“, „საქართველოს ეკონომიკა“) საქმიანობაში.

არის ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის ეკონომიკის სექციის ხელმძღვანელი.

საანგარიშო წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებულმა დარგობრივმა კომისიებმა. კომისიების წევრებმა გამოაქვეყნეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა 2013 წლის საქმიანობის ანგარიშების განხილვა-შეფასებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისათვის დასკვნების წარდგენაში. კომისიების თაოსნობით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ჩატარდა **ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის** სამეცნიერო კონფერენცია – „2008 წლის აგვისტოს

რუსეთ-საქართველოს ომი. ისტორიული გაკვეთილები“. კონ-ფერენციის მასალები დაიბეჭდა. მიმდინარეობს მოლაპარაკება გამომცემლობა „ნოვასთან“ (აშშ) მასალების ინგლისური ვერ-სიის ამერიკაში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მოეწყო ის-ტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიისა და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის V საერთაშო-რისო სიმპოზიუმი – „ღვთისმშობლის თაყვანისცემის ტრადი-ცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“, აგრეთვე, ერთობლივი სა-მეცნიერო სემინარები: „ეკლესია და ეროვნული ფასეულობე-ბი“, „ქართული სოფელი“. ჩატარდა პროფ. დევი ბერძენიშვი-ლის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

ინგლისურად ითარგმნა, რედაქტირება გაუკეთდა და აშშ-ში გამოქვეყნდა კრებული – „ქართულ-რუსულ ურთიერ-თობათა ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფია-ში“, რომელიც 2010 წელს დაიბეჭდა თბილისში რუსულ ენაზე. დასრულდა მუშაობა კაპიტალურ ნაშრომზე „ქართველები“ – „Грузины“, რომელიც გამოიცა მოსკოვში (გამომცემლობა „ნაუ-კა“, რუსულ ენაზე). საანგარიშო წელს ორჯერ დაიბეჭდა „სა-ქართველოს ისტორიის“ ერთტომეული (გამომცემლობა „გუმ-ბათი“), ჟურნალი „ანალები“, №10, საქართველოს პოლიტიკური საზღვრების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომი – „ყოვე-ლი საქართველო“ (შპს „ფავორიტი-სტილი“).

2014 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფი-ლებაში ჩატარდა 10 სხდომა; აქედან 6 – ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან ერთად. განყოფილების სა-ერთო კრებამ განიხილა განყოფილების წევრების, სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა 2013 წლის საქმიანობის ანგარიშები. განყოფილების გაერთიანებული ანგა-რიში წარედგინა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს სა-ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსამზადებლად. განყოფილების წევ-

რებს, მოწვეულ მეცნიერებს და დარგობრივ კომისიებს ექსპერტიზისათვის გადაეცათ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი 2013 წლის ანგარიშები და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები; სულ 70 ანგარიში (ინსტიტუტები, ფაკულტეტები, მიმართულებები და სხვ.). ექსპერტიზის დასკვნები, განყოფილების სხდომაზე განხილვის შემდეგ, წარედგინა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

განყოფილების გაფართოებულ სხდომებზე მოსმენილ იქნა შემდეგი სამეცნიერო მოხსენებები: აკად. ზაზა ალექსიძის – „ტაოს საეპისკოპოსო მეექვსე საუკუნესა და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში“; აკად. რისმაგ გორდეზიანის – „ბერძნულ-ქართული ურთიერთობების სადისკუსიო საკითხებისათვის“; აკად. მზექალა შანიძის – „სინური ხელნაწერები, მათი მნიშვნელობა და ბედი“; აკად. ნანა ხაზარაძის – „ლუვიური იეროგლიფების სამყარო“; აკად. წევრ-კორ. ავთანდილ არაბულის – „ქართული ენის კანონპროექტის კომენტარი“; პროფ. მამუკა დოლიძის – „დიდი აფეთქების თეორიის კრიტიკა ფენომენოლოგიური ფილოსოფიის პოზიციიდან“.

განყოფილების ინიციატივით ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“; აკად. ანდრია აფაქიძის, აკად. ვახტანგ ბერიძის, აკად. წევრ-კორ. გიორგი ძიძარიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომები; საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შეხვედრა აფხაზეთის მთავრობასთან მეცნიერების განვითარებისა და პერსპექტივების საკითხებზე.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფი-ლებაში 2015 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 13 წევრი, მათ შორის 8 აკადემიკოსი და 5 წევრ-კორესპონდენტი.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების წევრების მიერ გამოქვეყნებულია 3 წიგნი და 40 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

სტატია

„ბრწყინვალე ქართველოლოგი" (კრ. „ქართველოლოგია", №4, 17-19).

ნაშრომი ეძღვნება აწ გარდაცვლილ ცნობილ ქართველოლოგს, პროფესორ გურამ კარტოზიას დაბადების 80 წლისთავს, შეჯამებულია გ. კარტოზიას წვლილი ქართველოლოგიაში.

აკად. თ. გამყრელიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის მუშაობას. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს და ხელმძღვანელობდა თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას.

იგი ხელმძღვანელობდა აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ხელმძღვანელობდა პროექტს: „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (საერთო-ქართველური სემანტიკური ლექსიკონით)".

დასრულებულია პროექტის მესამე ეტაპი: შექმნილია საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემის ელექტრონუ-

ლი ვერსია, გამოყოფილია სავარაუდო სემანტიკური ჯგუფები რეკონსტრუირებულ საერთო-ქართველურ ლექსიკონში.

პროექტის ფარგლებში მომზადდა სტატია პუბლიკაციისათვის: „საერთო-ქართველური ფუძე ენის წყობა: აქტიური (?)"; პროტო-ქართველურში ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და დიაქრონიული სტაბილურობის შესახებ მოხსენება წარდგენილ იქნა ნიუ-იორკში საერთაშორისო კონფერენციაზე; დამუშავდა თემა: „ზმნური ხმოვანპრეფიქსების რეკონსტრუქცია და ვნებითი გვარის საკითხი ქართველურ ენებში".

აკად. თ. გამყრელიძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო შეკრებაზე ინდოევროპული პრობლემატიკის თაობაზე – ფორუმში Rimini – Meetings 2014, რომელიც შედგა იტალიაში. იგი ფორუმზე გამოვიდა მოხსენებით – „ინდოევროპული ენა და ინდოევროპული მიგრაციები". მოხსენებაში განხილულია ინდოევროპული წინარე სამშობლოს პრობლემატიკა და ინდოევროპული მიგრაციის საკითხები.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა კრებული: „თამაზ გამყრელიძე, რჩეული წერილები და გამოსვლები" სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II–ის წინასიტყვაობით.

აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი

წიგნი

„ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა" (მეოთხე შესწორებული და გავრცობილი გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი", 588 გვ.).

გამოცემა გავრცობილია სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის განახლების საფუძველზე. დამატებულია თავები: არქილოქოსის ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტები, საფოს ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტები, ბერძნული დრამის წარმოშობის უახლესი თეორიები.

სტატიები

1) „ტექსტის ორგანიზაციის პრინციპები „ილიადაში" (ვიოლა ფურცელაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, თსუ–ის გამომცემლობა, 299-310).

განხილულია ის ძირითადი პრინციპები (კომპოზიციური ორგანიზაცია, გმირთა ინდივიდუალიზაცია, ურთიერთციტირება), რომლებიც ადასტურებენ, რომ „ილიადა" წარმოადგენს მკაცრად ორგანიზებულ ტექსტს.

2) „კოლხები ადრიატიკაში – პოეტური ფანტაზია თუ ისტორიული რეალობა" (გ. წერეთლისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, თსუ–ის გამომცემლობა, 64-67).

განხილულია ანტიკური ცნობები არგონავტთა მდევარ კოლხთა ადრიატიკაში დამკვიდრების შესახებ და მიჩნეულია, რომ მათში ასახვა ჰპოვა კოლხეთსა და ადრიატიკის რეგიონს შორის არსებულმა უძველესმა ურთიერთობებმა.

3) „ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი" (კრებულში „ათენი", 541-559, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეძღვნება ბერძნულ-ქართული ენობრივი მიმართებების პერიოდიზაციას და გამოვლენის ფორმებს, დაწყებული ეგეოსურ-ქართველური კონტაქტებიდან, დამთავრებული შეხვედრებით პონტოელ ბერძენთა დიალექტთან.

აკად. რ. გორდეზიანმა მოამზადა რამდენიმე ათეული სტატია ენციკლოპედიისათვის „ანტიკური კავკასია".

აკად. რ. გორდეზიანი გამოვიდა მოხსენებით კონფერენციებზე:

– „წინაბერძნულ–კავკასიური ჰიპოთეზა კვლევის თანამედროვე ეტაპზე" (თსუ-სა და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები");

– „ქართველი მეცნიერები მედიტერანულ შტუდიათა ცენტრის კვლევებში" (მედიტერანულ შტუდიათა ცენტრის 10

წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში).

აკად. რ. გორდეზიანმა გააკეთა სამეცნიერო მოხსენება აკადემიური საბჭოს სხდომაზე – „ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ზოგიერთი აქტუალური პრობლემებისათვის".

აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია

სტატიები

1) „ტექსტურ გადაძახილთა მრავალფეროვნება" (წიგნში: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები", წიგნი მე–14, თბილისი, 56–80).

სტატია განკუთვნილია ფილოლოგთა და ვიწრო ლინგვისტთა წრისათვის. იგი ეხება ინტერტექსტის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის, მისი სხვადასხვა განმარტებისა და გამოყენების ისტორიას. მდიდარი ტექსტობრივი მასალის საფუძველზე ავტორი მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს, ასევე გვაწვდის თეორიული თვალსაზრისით საინტერესო განზოგადებებს. აღსანიშნავია, რომ ქართულ სინამდვილეში პირველად გვხვდება აქ „სიმულაკრისა" და „რიზომის" სემიოტიკური ცნებები, მათი განმარტება და ფუნქციონირების საზღვრები.

2) „პირველი ქართული ზოგადლინგვისტური მოძღვრება" (ტომის რედაქტორისაგან, არნოლდ ჩიქობავა, შრომები, ტ. VIII, თბილისი, 477–483).

წარმოჩენილია არნ. ჩიქობავას ზოგადთეორიული შეხედულებანი. ნაშრომში თავმოყრილი და გაერთიანებულია თავისი დროისათვის ნოვატორული და დღემდე მაღალი აქტუალური მნიშვნელობის მქონე, დიდი მეცნიერის ენათმეცნიერული ნააზრევი. ანალიზი და თეორიული განზოგადებანი, რომელთაც ავტორი გვთავაზობს, არნ. ჩიქობავას ზოგადლინგვისტური მოძღვრების წარმოჩენის პირველი ცდაა.

3) „ღვთის სათნო ანა" (კრებულში „ანას", არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 55–64).

სტატია ადეკვატურად გამოხატავს პოეტ ანა კალანდაძის, როგორც შემოქმედის, ჭეშმარიტ ნიჭს, მის პრინციპულ ზნეს და ეთიკურ კრედოს, რასაც თანამედროვე სიყვარულდაკარგული საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშინ, როდესაც იკარგება ურთიერთნდობა, ურთიერთსიყვარული, ურთიერთდანდობა, შენდობა-პატიება და მის ადგილს ყველგან უკეთურება იკავებს, ადამიანებს საყრდენი ესაჭიროებათ, რათა ცხოვრების გაგრძელება შეძლონ. სწორედ ეს საყრდენია მკითხველისათვის ანას პოეზია.

4) „აჰა, ტაძარი... ცათუმაღლესი...” (კრებულში „ანა”, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 3-12).

ტაეპი ანა კალანდაძის ლექსიდან სათაურად წაუმძღვარა ავტორმა წერილს, რომელიც პოეტის შემოქმედების განხილვას ეძღვნება. აქ დახასიათებულია ანას ლექსის როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი მხარეები, თავისებური ევფონია, მრავალწერტილის – პაუზის დატვირთვა პოეტური და ფილოსოფიური სემანტიკით; ხაზგასმულია ყველგან მსუფევი სულიერების პრიორიტეტი. პოეტი დახასიათებულია როგორც თავისი დროის ნოვატორი და სწორუპოვარი ლირიკოსი.

5) „და ისევ მიწას ვინატრებ” (სიკვდილი ანას პოეზიაში) (კრებულში „ანას”, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 73–79).

სტატია ეძღვნება ზოგადად სიკვდილ-სიცოცხლის თემას. ავტორი გვამცნობს სიკვდილის ნაირსახეობებს, რომლებიც გვხვდება ანა კალანდაძის პოეზიაში. პოეტური ტექსტებიდან მოყვანილი ილუსტრაციები გვიდასტურებენ, რომ მედიტაციები სიკვდილზე იმთავითვე გაჩნდა პოეტის ლექსებში. მათ დასასრულისკენაც იჩინეს თავი. მედიტაციებს მსჭვალავს პოეტის ეჭვი, რომ სამოთხის ბაღები იქნება კი ისეთივე მშვენიერი, როგორიც ახლაა ამ მიწაზე.

6) „ღირსეული აწმყოსა და მომავლისათვის, დიმიტრი ყიფიანი” – 200 (გამომცემლობა „სვეტი“, 1145–1148, თბილისი).

წერილი ეძღვნება დიდი ქართველის, „მტრის ურჩი რაინდის" (აკაკი), გამორჩეული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, ლიტერატორის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, ორიგინალური და ისტორიული ნარკვევების ავტორის, დიმიტრი ყიფიანის დაბადების 200 წლისთავს. განხილული და სათანადოდ შეფასებულია დიდი ქართველი პატრიოტის ცხოვრების გზა, აღსავსე ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობით. აღსანიშნავია მისი დამსახურება და ღვაწლი ქართული ენის შესახებ გრამატიკული ცნობიერების განვითარებაში („ახალი ქართული გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის").

7) „ანას მსოფლშეგრძნება - უმდიდრესი მემკვიდრეობა" (საიუბილეო ბროშურა, ანა – 90, თბილისი, 31 გვ.).

განხილულია პოეტის შემოქმედების ის ასპექტები, რომლებსაც დღემდე არ შეხებიან სპეციალისტები. ამ სიახლეს მოიცავს როგორც ანას პოეზიის შინაარსობრივი მხარე, ისე ევფონიის (ფართო მნიშვნელობით) სფეროც. გამოვლენილი და სათანადოდ გააზრებულია პოეტის ორიგინალური მსოფლშეგრძნებითი თავისებურებანი, მათი ერთობლიობის მნიშვნელობა. ყოველივე ამას ავტორი უდიდეს ეროვნულ-კულტურულ განძს უწოდებს.

აკად. გ. კვარაცხელია ეწეოდა სარედაქციო საქმიანობას:

1. არნოლდ ჩიქობავა, შრომები, VIII, თბილისი, ტომის რედაქტორი;

2. „ანას" – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, კრებულის გამოსაცემად მომზადება, კრებულის რედაქტორი;

3. „ანა" (ლექსების კრებულის რედაქტორი, თბილისი).

იგი ხელმძღვანელობდა დოქტორანტის თემას, იყო რუსთაველის თეატრში ანა კალანდაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ორგანიზატორი.

აკად. გ. კვარაცხელია მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ენათმეცნიერების დარგში მიღწეული წარმატე-

ბებისათვის დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-ნული აკადემიის საპატიო სიგელით.

აკადემიკოსი მერაბ მერაბიშვილი

2014 წელს აკადემიკოსმა მერაბ მერაბიშვილმა შექმნა დავით IV აღმაშენებლის სამეფო ტახტზე მჯდომი ფიგურა. ეს არის დავით აღმაშენებლის, როგორც მეფე ინტეგრატორის სა-ხე. ნამუშევარი შექმნილია სამუშაო მოდელის სახით. მასალა: ბრინჯაო.

აკადემიკოსი მზექალა შანიძე

სტატიები

1) „ბიბლიური პარალელები ,,დავითის ისტორიკოსის“ თხზულებაში“ (გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. I, 29-51).

განხილულია ბიბლიიდან მომდინარე ფრაზეოლოგიზ-მები და ლექსიკა „დავითის ისტორიკოსის“ თხზულებაში. ზო-გიერთ შემთხვევაში მათი სწორი გაგება გვიანდელ გადამწერ-თა მიერ დამახინჯებული ტექსტის გასწორების საშუალებას იძლევა.

2) „ქრონოგრაფი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურ-ნალში „ქართველოლოგი“).

3) „დავითის ისტორიკოსის“ თხზულება“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „ქართველოლოგი“).

აკად. მ. შანიძემ რედაქცია გაუკეთა ნაშრომებს:

– „იოანე ოქროპირი, მათეს თავის თარგმანება“ (ეფთვიმი მთაწმიდლის თარგმანი, ნაკვ. I, ნაკვ. II, 548 გვ., თბილისი);

– „ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექ-სიკონი“, ნაკვ. III (ს-ყ), 395 გვ. (თანაავტორობით; თბილისი);

– იოსებ ფლავიოსი, „მოთხრობანი იოდაებრივისა ძველ სიტყვაობისანი” (გამოსცა ნ. მელიქიშვილმა, 377 გვ., თბილისი).

აკად. მ. შანიძემ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში წაიკითხა ლექციები საზაფხულო სკოლაში უცხოელთათვის.

აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე

სტატიები

1) „რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და შექსპირის „ციმბელინი” (ჟ. „ქართველოლოგი”, №20, 10–72, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

პირველადაა გამოვლენილი დიდი სიახლე ქართველოლოგიური მეცნიერებისა – „ვეფხიტყაოსანს“ სიუჟეტურ წყაროდ იყენებს შექსპირი. შექსპირის „ციმბელინის“ სიუჟეტური წყაროების კვლევას ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში საუკუნოვანი ისტორია აქვს. შექსპიროლოგები მიანიშნებენ, რომ გარდა მათ მიერ გამოვლენილი წყაროებისა, საფიქრებელია რაღაც სხვა, კერძოდ, შუასაუკუნეობრივი რომანის სიუჟეტიც იყოს გამოყენებული. სწორედ ეს სიუჟეტია ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ისტორია „ვეფხისტყაოსნიდან”.

2) „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული – ახალი ფილოსოფიური კონცეფცია” (ჟ. „ქართველოლოგი”, №21, 72–121, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

„ვეფიხტყაოსნის“ სიყვარულის ინტერპრეტაციას ქართულ სინამდვილეში მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. უკანასკნელ წლებში იგი საზღვარგარეთელ მკვლევართა ინტერპრეტაციის საგნადაც იქცა. ჩამოყალიბებულია თვალსაზრისი, რომ ვეფხისტყაოსნისეული სიყვარული იმ დროისათვის ახლებური ფილოსოფიური კონცეფციაა, რომლის მიხედვითაც ამქვეყნიური ადამიანური სიყვარული ღვთაებრიობის რანგშია აყვანილი და სიყვარულის ღვთაებრივი არსის გამოვლენა სწორედ ადამიანურ ურთიერთობებშია მოაზრებული.

3) „ვეფხისტყაოსანი“ – ინგლისური დიდი დრამატურგიის უშუალო ლიტერატურული წყარო” (ჟ. „აღმოსავლეთმცოდნეობა”, №3, 110–122).

ქართველოლოგიურ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ და თვით რუსთაველის სახელის პირველ, უძველეს მოხსენიებად არაქართულენოვან წყაროებში მიჩნეული იყო რუსი ავტორის ევგენი ბოლხოვიტინოვის მიერ 1802 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის თხრობა. როგორც აკად. ე. ხინთიბიძის უკანასკნელი წლების გამოკვლევებში გამოვლინდა „ვეფხისტყაოსანი“ გამოყენებულია სიუჟეტურ წყაროდ თვით ინგლისურ დიდ დრამატურგიაში მე-17 საუკუნის დასაწყისის ინგლისელ ავტორთა მიერ შექსპირის, ბომონტისა და ფლეტჩერის მიერ.

4) „ამერიკელი მკვლევრის წიგნი „ვეფხისტყაოსანზე” (თანაავტორობით; ჟ. „ქართველოლოგი”, №20, 216–231, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ამერიკელი მკვლევრის დიანა ფერელის ახალი გამოკვლევის საფუძველზე კრიტიკულად არის განხილული ვეფხისტყაოსნისეული სიყვარულის ზოგიერთი პრობლემა აღმოსავლური ეპიკისა და დასავლური რაინდული სიყვარულის სხვადასხვა ფორმასთან მიმართებით.

5) „სიყვარულის რენესანსული კონცეფცია შუასაუკუნეობრივ მოდელზე” (ჟ. „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი”, №3, 83–95).

სტატიაში, რომელიც მოხსენების სახით იქნა წაკითხული 2013 წელს შალვა ნუცუბიძისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, სიყვარულის ვეფხისტყაოსნისეულ კონცეფციაში დანახულია ფილოსოფიური თეზა – ადამიანური სიყვარული თავისი არსით ღვთაებრივი სიყვარულია, ამდენად, თვითონ სიყვარულია ღვთაებრივი მოვლენა.

6) „რუსთველის ადგილისათვის შუა საუკუნეების ევროპულ-ქრისტიანულ აზროვნებაში” (Text and studies in Eastern Christianity. ტ. 2, ბრილი, ლეადენი, ბოსტონი).

ჩამოყალიბებულია ახლებური თვალსაზრისი რუსთველის მსოფლმხედველობაზე, რომელიც განსხვავებულია სამეცნიერო წრეებში ცნობილი ე. წ. აღმოსავლური რენესანსის კონცეფციისაგან. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სისტემაში ჩაქსოვილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური პოზიცია შუასაუკუნეობრივ აზროვნებას ემყარება, ხოლო მასში მოაზრებული პრობლემების რუსთველისეული გადაწყვეტა რენესანსული გზით მიდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონცეფცია შუასაუკუნეობრიობისა და რენესანსულის თავისებური სინთეზია დაახლოებით იმ ტიპისა, რომელიც ევროპულ ქრისტიანულ აზროვნებაში გამოჩნდა მე-13-14 საუკუნეებში დანტეს, პეტრარკასა და სხვა დიდ ევროპელ ინტელექტუალთა შემოქმედებაში.

აკად. ე. ხინთიბიძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ – ლიტერატურული წყარო შექსპირისა და მისი თანამედროვეების” (ლონდონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი);

– „რუსთველოლოგიის დიდი სიახლე: „ვეფხისტყაოსანი“ – მე-17 საუკუნის ინგლისური დრამატურგიის სიუჟეტური წყარო” (წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია, ვარშავა, პოლონეთი);

– „შექსპირის „ციმბელინის“ უცნობი შუასაუკუნეების წყარო – რუსთველის „ვეფხისტყაოსანი” (49–ე საერთაშორისო კონგრესი მედიევისტიკაში, კალამაზუ, დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი, აშშ).

აკად. ე. ხინთიბიძე მონაწილეობდა დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულებაში.

იგი ხელმძღვანელობდა ჟ. „ქართველოლოგის” გამოცემას, ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტს – „ვეფხისტყაოსნის“ კვალი შექსპირის მემკვიდრეობასა და შექსპიროლოგიურ წყაროებში”.

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ 2014 წლის სამეცნიერო ფორუმზე წარმოდგენილი მოხსენებისთვის – „ვეფხისტყაოსანი“ – შექსპირისა და შექსპირის მემკვიდრეების ლიტერატურული წყარო” – დაჯილდოვდა პრემიით.

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე

სტატიები

1) „აშიკ ფაშას ლირიკული მემკვიდრეობის შესწავლისათვის“ (კრ. „აღმოსავლეთმცოდნეობა”, №3, ეძღვნება აკად. გ. წერეთელს, 123-139);

ახლებური კუთხით გაანალიზებულია ცნობილი თურქი პოეტისა და სუფიური მოძღვრების მქადაგებლის აშიკ-ფაშას (1272-1333 წწ.) ლირიკული ლექსები, რომლებიც დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი.

2) „საჯარო წერილი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს“ (ჟ. „ისტორიული მემკვიდრეობა”, №9(50), IX, 9-16; №10 (51), 15-24).

წერილში ნაჩვენებია ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის კრიზისული მდგომარეობა. ახსნილია ამ კრიზისის მთავარი მიზეზები და დასახული გზა, თუ როგორ უნდა ეშველოს ჩვენი სულიერებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ამ სფეროებს.

3) „ილია მართლის შეგონებანი მცირე კომენტარებით“ (ჟ. „ჩვენი მწერლობა”, №4(212), II, 8-10).

გადმოცემულია ილია ჭავჭავაძის ის მთავარი თეზისები, რომლებიც ერის ვინაობის გადარჩენას ეხება და ხსნის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას დღეს ჩვენი სახელმწიფოსა და ქვეყნის ხსნისათვის.

სხვადასხვა გაზეთში („ასავალ-დასავალი”, „საქართველო და მსოფლიო”, „საერთო გაზეთი”, „ქრონიკა”, „ალია”, და სხვ.) დაიბეჭდა 35-მდე ინტერვიუ-წერილი და სხვა მასალები აკად. ელ. ჯაველიძეზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკად.

ე. ჯაველიძის დაბადების 75 წლისთავს მიუძღვნა ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული „ელიზბარ ჯაველიძე – 75” (თბილისი, 2014 წ.), რომელშიც გადმოცემულია მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის გზა და მოთავსებულია მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატიები, მიძღვნილი ენის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიის საკითხებისადმი. ამ კრებულის შესახებ დაიბეჭდა საყურადღებო რეცენზია (გ. კუჭუხიძე, „გზად დაღლილი არავის ვუნახივარ“) ჟურნალში „ჩვენი მწერლობა” (№1(235), 2015, 9. I, 29-32);

აკად. ე. ჯაველიძე თსუ–ის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის კათედრაზე კითხულობს საგანს „სუფიზმი და აღმოსავლური პოეზია”.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ არაბული

სტატიები

1) „გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის გააზრებისათვის“ (იკე, ტ. 42, თბილისი, 9-21).

განსხვავებული კუთხით არის წარმოდგენილი გასული საუკუნის 50-იანი წლების ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსია, კერძოდ, წარმოდგენილია მოსაზრება, რომ „მარიზმი” მხოლოდ საბაბი იყო ამ დისკუსიისა, ხოლო ნამდვილ მიზანს წარმოადგენდა ფუნდამენტური ცვლილება ენის არსისა და მნიშვნელობის იდეოლოგიურ გააზრებასა და, შესაბამისად, ეროვნულ პოლიტიკაში.

2) „არქაიზმი – როგორც კომიკურის საფუძველი“ (ელიზბარ ჯაველიძე – 75, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 32-40).

ანალიზის საგნად არის ქცეული ის უიშვიათესი შემთხვევები, როდესაც არქაიზმი, არქაული ნიშნით სტილიზაცია გამოყენებულია არა ამაღლებული, სერიოზული მხატვრული სურათის შესაქმნელად, არამედ, პირიქით, კომიკური ეფექტის

გამოსაწვევად. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც პერსონაჟის რიტორიკული მაღალფარდოვნება და მისი რეალური გარემო კონტრასტულ მიმართებაშია ერთმანეთთან. ამ მიზნით განხილულია ვაჟა-ფშაველას ერთი დაუმთავრებელი მოთხრობისა და ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის" სტილისტიკისათვის დამახასიათებელი ენობრივი მონაცემები.

3) „ახალი ათასწლეული და ქართული სახელმწიფო ენის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები" (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, №7, თბილისი, 7-11).

წერილი წარმოადგენს იმ ობიექტური ვითარების მიმოხილვას, რომელშიც ახლებურად მოითხოვს გააზრებას თანამედროვე ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის პრობლემები. აქ ქართული ენის მდიდარი ისტორია განხილულია ათასწლეულთა მასშტაბებით და წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით მითითებულია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის რეალური განხორციელებისათვის აუცილებელია მისი ფუნდამენტის – სახელმწიფო ენის სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა.

4) „ზოგი წარმოქმნილი (მეორეული) ზმნისართის შეხამებისათვის ნაცვალსახელებთან" (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. 14, თბილისი, 16-25).

როგორც ცნობილია, ზმნისართი (ცალკე მდგომი თანდებული) მასთან მდგომ პირის ნაცვალსახელს ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვს ფუძის სახით (შდრ: ჩემ-ს ძმა-ს, მაგრამ: ჩემ გამო). წერილში არის დასაბუთება იმისა, რომ ანალოგიური შეხამება უნდა მოხდეს მყოფადისა და უარყოფითი მიმღეობებისაგან წარმოქმნილ მეორეულ ზმნისართებთანაც: ჩემ უკითხავად, შენ სანახავად...

5) „ხუცეს-ტერმინისა და მისი სოციალურ-კულტურული შინაარსისათვის ისტორიულ ფხოვში" (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 5–9).

უძველესი წარმოშობის ხუცეს-ტერმინი (გაქვავებული ხანმეტი ფორმა) დღესაც შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში, კერძოდ, ხევსურეთში და მისი შინაარსი გულისხმობს ხატის ღვთისმსახურს. ამავე დროს, მის პარალელურად სხვა ფხოვურ კილოებში დასტურდება ხევისბერ- და დეკანოზ- ტერმინები. ცხადია, ეს მრავალფეროვნება ღრმა და მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესების შედეგად არის ჩამოყალიბებული, რაც გააზრებულია წარმოდგენილ სტატიაში.

6) „ანა კალანდაძის პოეტური სიტყვა“ („ანას”, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 83-108).

წერილში მდიდარი ილუსტრაციების მოხმობით არის განხილული ანა კალანდაძის პოეტური მემკვიდრეობის მიმართება, ერთი მხრივ, ძველ ქართულ ენობრივ და სახეობრივ სამყაროსთან, ხოლო მეორე მხრივ – ფხოვური ბუნებრივ-ეთნოგრაფიული გარემოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება დიდი პოეტის მაღალმხატვრულ შემოქმედებაზე.

7) „ალექსი ჭინჭარაული“ (კრ. „ქართველოლოგია”, №4, თბილისი, 114-120).

პროფ. ალექსი ჭინჭარაულმა მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა დიალექტოლოგიაში, ლექსიკოლოგია-ეტიმოლოგიაში, რუსთველოლოგიაში, ვაჟაოლოგიაში, ფოლკლორში... წერილი არის მეცნიერის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის ძირითადი შტრიხებით წარმოდგენის მცდელობა.

8) „გურამ კარტოზიას წვლილისათვის „ვეფხისტყაოსნის” ტექსტის კვლევის საქმეში“ (კრ. „ქართველოლოგია”, №4, 40-44).

პროფ. გურამ კარტოზია ცნობილია როგორც ქართველურ ენათა შედარებითი კვლევის ჩინებული მკვლევარი. ამავე დროს, განსაკუთრებულია მისი წვლილი „ვეფხისტყაოსნის” ტექსტისა და ენის შესწავლის საქმეში. იგი იმთავითვე იყო ჩაბმული „ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დამდგენი კომისიის ორგანიზაციულ და სამეცნიერო მუშაობაში და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაც დატოვა.

9) „წინათქმა – კრებულისათვის „ტერმინოლოგიის საკითხები", I (თბილისი, 3-8).

სტატია წარმოადგენს სატერმინოლოგიო ძიებების ისტორიისა და ძირითადი პრინციპების ზოგად მიმოხილვას. იგი ხაზს უსვამს ამგვარი საქმისათვის ისეთი კრებულის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომლის გამოცემაც დასახელებული კრებულის პირველი წიგნის გამოსვლით იწყება.

აკად. წევრ–კორ. ა. არაბული გამოვიდა მოხსენებებით:

– „კიდევ ერთხელ გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის შესახებ" (არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXV);

– „ხევისბერი, ხუცესი, მახვში და ამ რიგის სხვა წარმოებათა ისტორიისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულებისათვის" (XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მესტია);

– „ხუცესის ინსტიტუტი ისტორიულ ფხოვში" (საერთაშორისო კონფერენცია – „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - II", ბათუმი);

– „ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, განვითარების უახლესი ამოცანები" (საერთაშორისო კონფერენცია – „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - II", ბათუმი);

– „თანხმოვან- და ხმოვანფუძიან აბრევიატურათა მართლწერისათვის" (კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია - II", თბილისი);

– „ენის ეკოლოგიის პრობლემა" (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია);

– „შიო არაგვისპირელის ლექსიკა და ფრაზეოლოგია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" (შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თელავი),

აკად. წევრ–კორ. ა. არაბულმა წაიკითხა მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე – „სახელმწიფო ენა და კანონპრო-

ექტი სახელმწიფო ენის შესახებ” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებების გაერთიანებული სხდომა).

იგი ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ჯგუფს, რომელმაც რედაქცია გაუკეთა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მე-3 ტომს.

აკად. წევრ–კორ. ა. არაბული მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამ საგრანტო პროექტში:

– „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა“;

– „შემოკლებათა და აბრევიატურების ლექსიკონი“;

– „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ცნობარი“.

იგი არის თანაავტორი კანონპროექტებისა:

– „ქართული სახელმწიფო ენის შესახებ“;

– „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“.

არის რედაქტორი ნაშრომებისა:

– გ. ხორნაული, „ხევსურეთის ტოპონიმიკა“, თბილისი;

– ი. ბაჩიაშვილი, „ერი და დრო“, თბილისი;

– კრებული „ეტიმოლოგიური ძიებანი“, XI, თბილისი;

– მიხეილ ქურდიანი - 60 (ხსოვნის წიგნი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
აპოლონ სილაგაძე

მონოგრაფიები

1) „ქართული იდეა“, მეორე გამოცემა (გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი, 136 გვ.).

მონოგრაფია წარმოადგენს 2010 წელს გამოცემული ნაშრომის მეორე გამოცემას. იგი არის ცდა, დახასიათდეს ქარ-

თული იდეა, რომელიც განსაზღვრავდა ქართველი ერის მრავალათასწლიან ისტორიას. ნაშრომი შედგება სამი თავისა და საძიებლებისგან. პირველ თავში („ქართული ისტორია") მოკლედ მიმოხილულია საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ბოლოდან დღევანდლამდე. მეორე თავი („ქართული იდეა") ეძღვნება საკუთრივ ქართულ იდეას, მისი მთავარი შემადგენლებისა და მისი სპეციფიკის განსაზღვრას. მესამე თავი („ბოლოთქმა") წარმოადგენს ამავე კონტექსტის დაკავშირებას თანამედროვეობის ზოგიერთ პრობლემასთან.

2) „მეგრული ლექსი", მეორე გამოცემა (გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 152 გვ.).

წიგნი ორენოვანია – ქართული (117 გვ.) და ინგლისური (35 გვ.). იგი წარმოადგენს 2013 წელს გამოცემული ნაშრომის ხელმეორე გამოცემას. შედგება შვიდი თავისგან (I. შესავალი, II. ტრადიციული აღწერა, III. მეგრული ლექსი ქართული ლექსთწყობის კონტექსტში, IV. მეგრული ლექსის ადგილი საერთოქართული ლექსთწყობის სისტემაში; სალიტერატურო და არასალიტერატურო ლექსი, V. მეგრული ლექსი და დიალექტური ლექსი, VI. მეგრული ლექსი და საერთოქართული ლექსთწყობის პირველისწინა საფეხურის რეკონსტრუქციის პრობლემა).

დადგენილია მეგრული ლექსის ვერსიფიკაციული სისტემა, ნაჩვენებია მისი სპეციფიკა, განსაზღვრულია მეგრული ლექსის ადგილი საერთოქართულ სისტემაში. მეგრული ლექსი შედარებულია სხვა არასალიტერატუროენოვან ქართულ ლექსთან. განხილულია მეგრული ლექსის მიმართების საკითხი საერთოქართული ვერსიფიკაციის განვითარებაში იმ საფეხურთან, რომელიც რეკონსტრუირდება როგორც ამოსავალი (პირველისწინა) საფეხური.

სტატიები

1) „გარითმვის სისტემა ყურანში" (ჟ. „აღმოსავლეთმცოდნეობა", 3, თსუ–ის გამომცემლობა, 98-109).

წარმოდგენილია ყურანის გარითმვის სისტემა ავტორისეული ინტერპრეტაციით. ყურანისეული სურათისათვის დადგენილია რამდენიმე ტიპი, განსაზღვრულია გარითმვის სისტემის დამოკიდებულებათა/ურთიერთმიმართებათა ორი ფორმა: 1. იდენტური, როდესაც გარითმვის მოცემული სტრუქტურის მონაკვეთები, როგორც კომპაქტური ერთეულები, შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებელ მონაკვეთებად, რომლებიც ერთმანეთზე ზეგავლენას არ ახდენენ და პრინციპულად ერთნაირი ძალისა და აგებულების ქვესისტემებს წარმოადგენენ; 2. ურთიერთგადამკვეთი, როდესაც მონაკვეთები არ წარმოადგენენ გარკვეული პოზიციების მქონე კომპაქტურ ერთეულებს, არამედ განიხილებიან მხოლოდ გარითმვის მოცემული სტრუქტურის ფარგლებში, სადაც მათი, როგორც ქვესტრუქტურების, ურთიერთგადაკვეთა ქმნის გარითმვის მოცემულ სტრუქტურას.

2) „არაბული დიალექტური მხატვრული ლიტერატურის შესახებ“ (თანაავტორობით; ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული „ელიზბარ ჯაველიძე – 75”, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 106-112).

წარმოდგენილია რამდენიმე განზოგადებული დებულება, დაკავშირებული დიალექტზე შექმნილი არაბული (კერძოდ, ეგვიპტურ–დიალექტური) მხატვრული ლიტერატურის მოვლენასთან. ჩამოყალიბებულია რამდენიმე განზოგადებული დებულება: სოციოლინგვისტური ასპექტი: ა) ეგვიპტური დიალექტი, როგორც ჩანს, აღარ არის მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის საშუალება – იგი ხდება, აგრეთვე, ლიტერატურის ენა (resp. სალიტერატურო ენა/ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნის საშუალება), ბ) ის, რომ დიალექტი ფიქსირდება ლიტერატურულად, ნიშნავს, რომ იგი განიცდის სტანდარტიზაციას, იღებს სტანდარტული ენობრივი ფორმის სახეს, და, როგორც საერთოეგვიპტური ენა – ლიტერატურული კოინე (დამყარებული, ძირითადად, კაიროს დიალექტზე) – შედის ოპოზიციაში ყველა დანარჩენ ეგვიპტურ დიალექტთან.

3) „გიორგი წერეთელი – დიდი ქართველი მეცნიერი“ (ჟ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, 3, თსუ–ის გამომცემლობა, 13-35).

დეტალურადაა გაანალიზებული აკად. გ. წერეთლის ცხოვრება და სამეცნიერო შემოქმედება. კონკრეტულადაა ილუსტრირებული ის ფაქტი, რომ გ. წერეთელი იყო მსოფლიოში აღიარებული ქართული სემიტოლოგიური (ებრაისტიკა, არამეისტიკა) სამეცნიერო სკოლის, ასევე მსოფლიოში აღიარებული ქართული არაბისტიკული სამეცნიერო სკოლის შემქმნელი, ასევე, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელი, საქართველოში ურარტოლოგიის (საერთოდ, სოლისებრი დამწერლობის შესწავლის) ფუძემდებელი. ვრცლადაა განხილული ისეთი ნაშრომები, რომლებიც მსოფლიო მეცნიერების კლასიკას განეკუთვნება („არმაზის ბილინგვა”, „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები”, „შუა აზიის არაბული დიალექტები”, „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის”, „ენათა ნათესაობისა და ენათა კავშირების შესახებ”, „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან”, „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში” და სხვ.).

4) „ქართული თურქოლოგიის ლიდერი“ (ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული „ელიზბარ ჯაველიძე – 75”, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 5-8).

განხილულია აკად. ელიზბარ ჯაველიძის სამეცნიერო მოღვაწეობა, პირველ რიგში, დაკავშირებული თურქული ლიტერატურის, მისი ისტორიისა და ლიტერატურისმცოდნეობის პრობლემებთან („რუჰი ბაღდადი”, „ფუზული”, „თურქული ლიტერატურის სათავეებთან, I, ჯალალ ედ-დინ რუმი”, „თურქული ლიტერატურის სათავეებთან, II, იუნუს ემრე”, თურქული ლიტერატურის სათავეებთან, III, აშიკ ფაშა” და სხვ.). ასევე – ნაშრომები, მიძღვნილი სუფიზმის თემატიკისადმი. განხილულია, აგრეთვე, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის კრიტიკისადმი მიძღვნილი გამოკვლევები; და ბოლოს: ნაშრომები, მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტო-

რიის, თანამედროვეობის სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი.

5) „ფიგურა“ (აკად. როინ მეტრეველის 75 წლისადმი მიძღვნილი კრებული „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“, გამომცემლობა „არტანუჯი”, 216-220).

მიმოხილულია აკადემიკოს როინ მეტრეველის ნაყოფიერი მოღვაწეობა – ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ის საქმეები, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და სხვ.

აკად. წევრ–კორ. ა. სილაგაძე მონაწილეობდა კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „დიალექტზე შექმნილი არაბული ლიტერატურის ზოგიერთი საკითხი“ (ახლო აღმოსავლური კვლევების მსოფლიო კონგრესი, ანკარა, თურქეთი);

– „ჭაშნიკის შეფასებისთვის” (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი).

აკად. წევრ-კორ. ა. სილაგაძის რედაქტორობით გამოიცა კრებული „აღმოსავლეთმცოდნეობა”, 3, მიძღვნილი აკად. გ. წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა შენგელია

სტატიები

1) „მიმღეობა და მასდარი მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში“ (იკე, ტ. 42, თბილისი, 280-283).

განხილულია მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში მასდარის სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობათა ფუნქციონირების შესაძლებლობა სხვადასხვა ბრუნვის ფორმებსა თუ სხვადასხვა სინტაქსურ პოზიციაში.

2) „პირთა ჩერქეზული სახელების ტრანსლიტერაციისათვის ქართულში“ („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. 13, თბილისი, 159-164).

დადგენილია ხმოვანთა ტრანსლიტერაციის წესები ჩერქეზულ (ადიღეურ და ყაბარდოულ) პირთა სახელების ქართულად გადმოცემისას, კერძოდ, ანგარიში უნდა გაეწიოს ჩერქეზულ ხმოვანთა ფონეტიკურ რეალიზაციას ამა თუ იმ პოზიციაში.

3) „მცირე ანალიზი ეროვნული ინტერესების დასაცავად XX ს-ის 50-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე პროცესებისა“ (კრ. „ახალგაზდული მოძრაობის ქრონიკები საქართველოში“, თბილისი, 82-90).

გაანალიზებულია მე-20 საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში მიმდინარე ეროვნული ინტერესების დასაცავი პროცესები.

აკად. წევრ–კორ. ვ. შენგელიამ მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. LXI-LXIX“ (არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. XXV, თბილისი);

– „დედა, ბერი, დედაბრიშვილი...“ (თანაავტორობით; შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი);

– „ადამიანის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში“ (იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი);

– „პოსტპოზიცია სამეგრელოს ტოპონიმიაში“ (რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში, ახალციხე);

– „მეგრული ხე „ხელი“ კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში“ (თანაავტორობით; XXXIV დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბილისი);

– „ჩერქეზულ ანთროპონიმთა ქართულად გადმოცემის საკითხები. პირთა სახელები. I“ (არნ. ჩიქობავას სახელობის

ენათმეცნიერების ინსტიტუტის 73-ე სამეცნიერო სესია, თბილისი).

აკად. წევრ–კორ. ვ. შენგელია ხელმძღვანელობდა გრანტს:

– „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი).

იგი რედაქტორობდა ნაშრომებს:

– არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. XXV. მასალები, თბილისი, 110 გვ.;

– რ. ფარეულიძე, არსებით სახელთა ბრუნების ძირითადი საკითხები ჩეჩნურში, თბილისი, 156 გვ.;

– არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. VIII, თბილისი, 488 გვ., (მთავარი რედაქტორი);

– არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IX, თბილისი, 414 გვ., (მთავარი რედაქტორი);

– იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 42, თბილისი, 318 გვ.;

– ნ. არდოტელი, ბეჟიტური ენა, თბილისი, 398 გვ.

განყოფილებასთან არსებულმა **აფხაზეთის ენისა და კულტურის დარგობრივმა კომისიამ** ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტთან ერთად დაა-ფუძნა პროგრამა, რომლის მიზანია აფხაზური ეთნოკულტურული სივრცის აღწერა შემდგომში აფხაზური ენციკლოპედიის შესაქმნელად. ამ პროგრამაში ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ სოხუმში მოღვაწე აფხაზი მეცნიერები. კომისიამ განიხილა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები”, რომლის ავტორებიც არიან ლეილა ავიძბა და ესმა კოკოსკერია.

ენის. ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების წევრები, აკადემიკოსები თ. გამყრელიძე, მ. შანიძე, გ. კვარაცხელია, აკად. წევრ-კორპონდენტები, ა. არაბული და ვ. შენგელია განყოფილებასთან არსებული ქართული ენის კომისიის წევრები (თავმჯდომარე აკად. მ. შანიძე) მონაწილეობდნენ „ქართული სახელმწიფო ენის" კანონპროექტის განხილვაში.

განყოფილებაში განხილულ იქნა და გადაეცა სარეცენზიოდ: აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მუშაობის ანგარიშები. რეცენზიები გადაეცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 8 საერთო კრება, მათ შორის 6 კრება საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ერთად, სადაც მოსმენილ და განხილულ იქნა შემდეგი მოხსენებები:

1) აკად. წევრ-კორ. ავთანდილ არაბული – „ქართული ენის კანონპროექტის კომენტარი";

2) აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი – „ბერძნულ-ქართული ურთიერთობების სადისკუსიო საკითხებისათვის";

3) აკადემიკოსი მზექალა შანიძე – „სინური ხელნაწერები, მათი მნიშვნელობა და ბედი";

4) აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე – „ტაოს საეპისკოპოსო მეექვსე საუკუნესა და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში";

5) აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე – „ლუვიური იეროგლიფების სამყარო";

6) პროფესორი მამუკა დოლიძე – „დიდი აფეთქების თეორიის კრიტიკა ფენომენოლოგიური ფილოსოფიის პოზიციიდან“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული სტრუქტურული ერთეულები, კომისიები, რედაქციები

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

1. მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა ენციკლოპედია „საქართველოს“ მე–3 ტომი;

2. დაიწყო მუშაობა ენციკლოპედია „საქართველოს“ მე–3 ტომის ელექტრონულ ვერსიაზე, რომელიც განთავსდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებ–გვერდზე;

3. სტამბურად გამოიცა წიგნი „100 ღირსსახსოვარი სახელი“ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე).

აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი („რუსთაველის კომიტეტი“) 2014 წელს სამეცნიერო მუშაობას აგრძელებდა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

ა) რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისა და „რუსთაველის კომიტეტის“ მემკვიდრეობის მოწესრიგება, „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო პროექტების ხელშეწყობა;

ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აკადემიური გამოცემის მასალების (ტექსტი, ვარიანტები, კომენტარები) მომზადება და პუბლიკაცია;

გ) ქართული ენის თესაურუსის შედგენა;

დ) „რუსთაველის კომიტეტისთვის“ ახალი ვებ–გვერდის შექმნა და „ვეფხისტყაოსნისა“ და თესაურუსის მასალების გან-

თავსება თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით (http://saunje.nekeri.net/commettee/).

I. გამოიცა:

„რუსთაველის კომიტეტის“ მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოცემის ჯგუფმა (გ. არაბული, მ. ქავთარია, ნ. ციხისთავი) მოამზადა და გამოსცა რუსთველოლოგიური ლიტერატურა (ანოტირებული ბიბლიოგრაფია), III ტომი (ორ ნაწილად), კრებული საარქივო მასალებით შეავსო და საძიებლები დაურთო გიორგი არაბულმა.

II. მომზადდა:

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, აკადემიური გამოცემის მასალები (ტექსტი, ვარიანტები, კომენტარი), I ნაკვეთი (მუშაობდნენ გიორგი არაბული, ნინო ციხისთავი, მიხეილ ქავთარია, ნინო მაქაძე);

2. ბ. გიგინეიშვილი, „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ)“, გამოსაცემად მოამზადეს თამარ გიგინეიშვილმა და ირმა ალასანიამ; რედაქტირება გაუწიეს ავთანდილ არაბულმა და მიხეილ ქავთარიამ;

3. ა) ქართული ენის თესაურუსის ბაზისათვის დამუშავდა (კორექტურა, იკითხვისები და კომპიუტერში შეტანა) ძველი ქართული ენის შემდეგი ძეგლები: მრავალთავები (სინური, უდაბნოს, კლარჯული); აგიოგრაფიული ძეგლები (I, II, III), ნათარგმნი აგიოგრაფიული ძეგლები, შატბერდის კრებული, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, „ბალავარიანი“, „რუსუდანიანი“, ამონიოს ერმისის თხზულებანი, ეფრემ მცირის „უწყებაჲ“, თეოდორე აბუკურას თხზულებანი, იოანე პეტრიწის შრომები (I-II ტომი), იოანე მოსხის „ლიმონარი“, პავლენი, ფსევდომაკარი, ქართლის ცხოვრება (ახალი გამოცემა), ასურელ მამათა ცხოვრება, იოანე ოქროპირის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი, წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, I-II ნაწილი, მათეს სახარება.

ბ) ქართული ენის თესაურუსის ავტომატური ლემატიზაციის პროგრამის შესაბამისად დამუშავდა და ინტერნეტში გან-

თავსდა შემდეგი ტექსტები: ბიბლიური წიგნები (მცხეთური რედაქცია), „მამათა ცხორებანი“, „ვეფხისტყაოსანი“ (http://saunje.nekeri.net/commettee/).

III. წარდგენა და საზოგადოებრივი აქტივობა

„ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე საგამომცემლო პროექტის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებისა და დაინტერესებული პირებისათვის მოეწყო წარდგენები ქალაქ ბათუმსა და დაბა მესტიაში. წარდგენებზე სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის საჩუქრად განაწილდა მაგთიკომის მხარდაჭერით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქციის 350 კომპლექტი და ელექტრონულ გამოცემათა კომპაქტ-დისკები.

IV. „რუსთაველის კომიტეტის“ მეცნიერ-თანამშრომელთა ავტორობითა და რედაქტორობით გამოქვეყნდა:

1. აკად. თ. გამყრელიძე (იხ. გვ. 233);

2. აკად. წევრ-კორ. ა. არაბული (იხ. გვ. 244);

3. მიხეილ ქავთარია (გიორგი კალანდაძესთან თანამშრომლობით), „სამოთხის ყვავილის“ ტექსტის გამოსაცემად მომზადება (იბეჭდება);

4. მიხეილ ქავთარია, „ანტონ I კათალიკოსის საქართველოს მეფეთა შთამომავლობა“ (ჟ. „მწიგნობარი“);

5. მიხეილ ქავთარია, „ქართლის ცხოვრების გამომცემელი“ (აკად. როინ მეტრეველისადმი მიძღვნილი კრებული);

6. პარმენ მარგველაშვილი, „ღვთიური შესაქმის დანიშნულებითი ასპექტი“ (კრ. „რელიგიის ისტორიის საკითხები“, II);

7. პარმენ მარგველაშვილი (გამომცემელი), ნიკოლოზ ავალიშვილი, „თავგადასავალი და განცდანი“ (გამომცემლობა „ნეკერი“);

8. რუსუდან ასათიანი, „აკუზატივის გაქრობა კავკასიის ენებში: არეალური თუ უნივერსალური ნიშანი?“ (ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი);

9. რუსუდან ასათიანი, „Ergative constructions peculiarities in Batsbi: A result of Georgian influence?“ (Language contacts (Forthcoming);

10. რუსუდან ასათიანი, „საერთო-ქართველური ფუძეენის წყობა: აქტიური (?)“ („ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი (იბეჭდება);

11. რუსუდან ასათიანი, „The Morphological Adaptation of the Russian and Turkish Borrowings in Georgian“ (Visible and Invisible Borders, Frankfurt/Oder-Bielefeld. Germany (იბეჭდება);

12. რუსუდან ასათიანი, „Prosodic phrasing in scripted and unscripted speech. An empirical study on Georgian prosodic structure (co-authors Stavros Skopeteas, Caroline Fery)“ (Journal of Phonetics, Elsevier (იბეჭდება);

13. მარინე ივანიშვილი, „მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში“ (მონოგრაფია, „ნეკერი“, თბილისი; 168 გვ.);

14. მარინე ივანიშვილი, „მცენარეთა სახელები ქართველურში“ (მონოგრაფია, „ნეკერი“, თბილისი; 250 გვ.);

15. მარინე ივანიშვილი (თანაავტორი ივანე ლეჟავა), „მეგრული ყ, ę თანხმოვნების დისტრიბუციული და ექსპერიმენტული ანალიზი“ („ენათმეცნიერების საკითხები“, თსუ, თბილისი);

16. მარინე ივანიშვილი, „Lexical Exceptions in the Comparative Reconstruction of the Kartvelian Languages: Words for 'oak', Rules and Exeptions“ („Peter Lang“, v. 34, Oxford-Bern-Berlin-Bruxelles-Frankfurt am Main-New-York-Wien);

17. მარინე ივანიშვილი (თანაავტორი – ეთერ სოსელია), „Passive in Georgian, Rules and Exeptions“ („Peter Lang“, v. 34, Oxford-Bern-Berlin-Bruxelles-Frankfurt am Main-NewYork-Wien);

18. ეთერ სოსელია (თანაავტორი – მანანა ქარქაშაძე), „თავისებური ი- პრეფიქსიანი ზმნური ფორმები ქართულში“ („ენათმეცნიერების საკითხები“, თსუ–ის გამომცემლობა, თბილისი, 2013 (დაიბეჭდა 2014 წელს);

19. ეთერ სოსელია (თანაავტორი – თამაზ გამყრელიძე), „ბრწყინვალე ქართველოლოგი“ (ჟ. „ქართველოლოგია“, №4, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი);

20. Beedham Christopher/ /Danks, Warwick/ Soselia Ether (Editors), „Rules and Exceptions: Using Exceptions for Empirical Research in Theoretical Linguistics, Series: Contemporary Studies in Descriptive Linguistics“ („Peter Lang”, v. 34, Oxford–Bern–Berlin–Bruxelles–Frankfurt am Main–New York–Wien);

21. ეთერ სოსელია, „On the Specification of Basic Colour Terms in Georgian“ (იმავე კრებულში);

22. ეთერ სოსელია (თანაავტორი – მარინე ივანიშვილი), „Passive in Georgian“ (იმავე კრებულში);

23. მარინე ჯიქია, „On Compounds in Georgian of the Type cxenip’aria ‘horce stealer’– Rules and Exceptions, Contemporrary Studies in Descriptive Linguistics“ („Peter Lang“, v. 34, AG,Bern);

24. მარინე ჯიქია, „The Non-Suffixal Derivation of Intensive Forms in Turkish – Rules and Exceptions, Contemporrary Studies in Descriptive Linguistics“ („Peter Lang“, v. 34, AG,Bern);

25. მარინე ჯიქია, „თურქული მსაზღვრელ-საზღვრული ქართულ ანთროპონიმიაში – ელიზბარ ჯაველიძე – 75“ (ისტორიულ–ფილოლოგიური კრებული, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი);

26. მარინე ჯიქია, „რამდენიმე სოციოლინგვისტური ფაქტის შესახებ გერმანულ ენაში – ტექსტზე ორიენტირებული კვლევები“ (კრებული ეძღვნება პროფესორ ვიოლა ფურცელაძის 85 წლის იუბილეს, თსუ–ის გამომცემლობა);

27. მარინე ჯიქია, „ხელობა-მოსაქმეობის არაბული ტერმინები ქართულ ანთროპონიმიაში“ (ჟ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, №3, ეძღვნება გიორგი წერეთელს, დიდ ქართველ მეცნიერს, თსუ–ის გამომცემლობა);

28. ზურაბ ბარათაშვილი, „ეგვიპტური ენა“ (საენციკლოპედიო სტატია) (წიგნში: მანანა ხვედელიძე, „ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია“, ქარჩხაძის გამომცემლობა);

29. ზურაბ ბარათაშვილი, „კოპტური ენა“ (საენციკლოპედიო სტატია) (წიგნში: მანანა ხვედელიძე, „ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია“, ქარჩხაძის გამომცემლობა);

30. ზურაბ ბარათაშვილი (მთარგმნელი), რომან იაკობსონი, „შიფტერები, ზმნური კატეგორიები და რუსული ზმნა“ (ჟ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თსუ–ის გამომცემლობა).

V. „რუსთაველის კომიტეტის“ მეცნიერ-თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო სესიებში და მასალების სახით გამოაქვეყნეს:

1. რუსუდან ასათიანი, „The Morphological Adaptation of the Russian and Turkish Borrowings in Georgian“ (The International Workshop Visible and Invisible Borders, Frankfurt/Oder, Germany);

2. რუსუდან ასათიანი, „The Diachronic Stability of the Morphological Structure of the Verb: Georgian and the Other Kartvelian Languages“ (Fifteenth Annual CESS Conference, Harriman Institute in New York City, USA);

3. რუსუდან ასათიანი, „The Diachronic Stability of Verb Morphological Structure: The Georgian and other Kartvelian Languages“ (47th Annual Meeting of the Societas Linguistica Europaea, Poznan, Poland);

4. რუსუდან ასათიანი, „Main Constructions Expressing Mirativity in Georgian“ (The Third International Conference on Functional Discourse Grammar, Jaen, Spain);

5. რუსუდან ასათიანი, „ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის დიაქრონიული სტაბილურობა: ქართული და სხვა ქართველური ენები“ (პროფ. იოსებ ყიფშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი);

6. მარინე ივანიშვილი (თანამომხსენებელი – ივანე ლეჟავა), „მეგრული ფარინგალების დისტრიბუციული და ექსპერი-

მენტული ანალიზი“ (თეორიული და გამოყენებითი ლინგვისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ბაქარ გიგინეიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი, თსუ);

7. მარინე ივანიშვილი (თანამომხსენებელი – ივანე ლეჟავა), „ყ, ę თანხმოვნების კვალიფიკაციისათვის მეგრულში” (გ. ახვლედიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თსუ);

8. მარინე ივანიშვილი (თანამომხსენებელი – ივანე ლეჟავა), „იოსებ ყიფშიძის ფონეტიკური ალღო: მომავლის მეცნიერი“ (პროფ. იოსებ ყიფშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ);

9. ეთერ სოსელია, „ერთი არაკანონიკური ზმნური კონსტრუქცია ქართულში“ (გ. ახვლედიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თსუ–ის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და გიორგი ახლვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება);

10. მარინე ჯიქია, „აკაკი ხინთიბიძე და ლექსმცოდნეობის სემინარი“ (თსუ–ის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ცნობილი მეცნიერის, ლექსმცოდნის აკაკი ხინთიბიძის 90 წლისთავისადმი);

11. მარინე ჯიქია, „ტერენტი გრანელის პოეტური ლექსიკა“ (თსუ–ის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის VIII სამეცნიერო სესია);

12. მარინე ჯიქია, „ხელობა-მოსაქმეობის არაბული ტერმინები ქართულ გვარ-სახელებში“ (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში. ეძღვნება პროფესორების – ვალერი სილოგავასა და სერგო მელიქიძის ხსოვნას);

13. მარინე ჯიქია (თანამომხსენებელი – ნუცა წერეთელი), „Morphological integration of transfers from foreign languages in

Caucasian Urum“ (International workshop – Visible and invisible borders: Language use expressing group belonging and change in the Georgian Greek community – Europa-Universität Viadrina Frankfurt (Oder);

14. მარინე ჯიქია, „ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობიდან“ (წმიდა თამარ მეფის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – თურქეთში მცხოვრები ქართველები: სულიერი და მატერიალური კულტურა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

VI. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

1. თამაზ გამყრელიძე, ავთანდილ არაბული, რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი, ეთერ სოსელია, მარინე ჯიქია, ზურაბ ბარათაშვილი, „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (საერთო-ქართველური სემანტიკური ლექსიკონით)“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2013-2015);

2. რუსუდან ასათიანი, „The impact of current transformational processes on language and ethnic identity: Urum and Pontic Greeks in Georgia“ (ძირითადი შემსრულებელი, გერმანიის სამეცნიერო ფონდი, ბილეფელდის უნივერსიტეტი, 2013-2015);

3. ეთერ სოსელია (პროექტის ხელმძღვანელი), „ქართველურ-ინდოევროპული საერთო ლექსიკის ანალიზი და ინტერპრეტაცია“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2013-2016);

4. პ. მარგველაშვილი, გ. შერვაშიძე, საზღვარგარეთ არსებული არქიტექტურული ძეგლების ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერაქტიული რუკისა და მონაცემთა ბანკის შექმნა (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2011-2014).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრში მუშაობა მიმდინარეობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების თაობაზე ინფორმაციული მასალების შეგროვების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობის,

ეროვნული ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებაში აქტიური ჩართულობის, ქვეყანაში დემოკრატიული განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესების ხელშეწყობის, განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის დაჩქარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება-განხორციელების მიმართულებებით.

რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მიერ გაწეული მუშაობა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

– რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები;

– რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივი კომისიების მიერ განხორციელებული პროექტები და პროგრამები.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის დარგობრივი კომისიების მიერ მომზადდა რეცენზიები სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესრულებული მეცნიერული კვლევების ანგარიშებზე, მეცნიერებისა და მეცნიერთა ჯგუფების მიერ მომზადებულ ნაშრომებზე, პროექტებსა და პროგრამებზე სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მასშტაბური იყო მეცნიერული კვლევების მასალები აგროსფეროს განვითარების, რეგიონული და მუნიციპალური მართვის, სოციალური და ეკონომიკური სტრატეგიის კონცეფციების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ.

ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი იყო უცხოეთის აკადემიურ სტრუქტურებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფარგლებში გაწეული მუშაობა. მათ შორის აღსანიშნავია ლატვიის რესპუბლიკის ქ. რეზეკნეს უმაღლესი აუგუსტ-სკოლისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების მეცნიერული წრეების მონაწილეობით ქ. ბათუმში ჩატარებული შეხვედრები და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთობ-

ლივი პროგრამების განხორციელების, საქართველოს ტყეებში ხე-ტყის ნარჩენების შეგროვება-გადამუშავებისა და მისი გამოყენებით სხვადასხვა პროდუქციის წარმოების, დეკორატიული მცენარეების ნერგების გამოყვანისა და სხვა უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. აგრობიზნესის სფეროში თანამშრომლობა უკვე დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს პრაქტიკული პროექტების განხორციელება.

ცენტრის აგრარული, ეკონომიკური კვლევებისა და ტურიზმის დარგობრივმა კომისიამ განიხილა და შეაფასა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული კონცეფციები, პროგრამები და პროექტები, რომლებიც ეხება ქვეყანაში აგრარული სფეროს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. აღნიშნულ პროექტებზე კომისიამ მოამზადა შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასთან, დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებასთან, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებასთან, სასოფლო სამეურნეო გაერთიანებების (კოოპერატივების) ჩამოყალიბება-განვითარებასთან და ა.შ.

ცენტრი ჩართული იყო აჭარის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში. მომზადდა სათანადო რეკომენდაციები. ეკონომიკური კვლევებისა და ტურიზმის დარგობრივი კომისიის წევრებმა მოამზადეს შენიშვნები და წინადადებები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების შესახებ.

მეცნიერული კვლევების გაფართოების, ეროვნული მეცნიერების განვითარებისადმი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმების ჯანსაღი ფორმების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით, რეგიონული ცენტრის მიერ თანამშრომლობა განხორციელდა ქვეყანაში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ერთობლივად მომზადდა და განხილულ იქნა პროექტები ქვეყანაში

მეცნიერული კვლევების დაგეგმვის, ინტელექტუალური პროდუქციის მოთხოვნისა და მიწოდების თანხვედრის, მეცნიერული კვლევების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.

ცენტრის მიერ მომზადდა სპეციალური ფორმები, რომლებიც გამოყენებულია ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს სუბიექტების მიერ მეცნიერული კვლევების შედეგების შესახებ ინფორმაციული მასალების შეგროვებისათვის. კვლევების განხორციელება მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში. სამუშაოთა მიზანია გაანალიზებულ იქნეს ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის გამოყენების დონე და მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მეცნიერული შედეგების გამოყენების პრიორიტეტები და მასშტაბები. პროექტებით გათვალისწინებული კვლევების ჩატარების მიზანია რეგიონში მეცნიერული პოტენციალის წარმოჩენა, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ცენტრისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნება. შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, განისაზღვრა პუბლიკაციის პროცესის რეგლამენტი, მომზადდა გამოსაქვეყნებელი მასალები. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში მონაწილეობისა და საპუბლიკაციო მასალების შედგენაში თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმაც.

რეგიონში განხორციელებული კვლევების მაღალმეცნიერული დონის გამოვლენას ხელი შეუწყო აჭარაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ აკადემიური საბჭოს გამსვლელი სხდომისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარებამ. მოხსენებები წარმოადგინეს რეგიონში მოღვაწე მეცნიერებმა არქეოლოგიის, მათემატიკის, ფარმაციის, ფილოსოფიისა და სხვა დარგებში. მომზადდა და გამოსაქვეყნებლად გადაცემულია აღნიშნული სხდომის ანგარიში.

ცენტრისა და ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის (შუახევის მუნიციპალიტეტი, ხიჭაური) რექტორატის

ერთობლივი ორგანიზაციით ჩატარდა საჯარო ლექციები ამავე უნივერსიტეტში. ლექციები წაიკითხეს ცნობილმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა: გიორგი კვესიტაძემ, როინ მეტრეველმა, ნოდარ ჭითანავამ, პროფესორებმა: იოსებ ბაჩიაშვილმა, ვაჟა ბერიძემ ბიოლოგიის, იურისპრუდენციის, საქართველოს ისტორიისა და სხვა სფეროების პრობლემებზე. შედგა შეხვედრები მოსახლეობასთან, საეკლესიო პირებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. გამოსაქვეყნებლად მომზადდა მოხსენებების ტექსტები და ვიდეო მასალები. დაისახა შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები.

ცენტრის დარგობრივი კომისიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა სახის საიუბილეო ღონისძიებები: აღინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, გურამ პაპუნიძის დაბადების 70 წლის იუბილე; ჩატარდა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქართული ტოპოლოგიური სკოლის ფუძემდებლისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის დაბადების 100 წლისთავს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა–კურთხევითა და თანადგომით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ კლუბ „ბათუმთან“ და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად ნაყოფიერად განაგრძობდა საქმიანობას სახალხო დიპლომატიის კუთხით ქართველ და აფხაზ ხალხს შორის დროებით დაკარგული თანაარსებობის პოზიციების აღდგენა-შერიგების მიმართულებით:

– მოეწყო შეხვედრა ქართველ და აფხაზ ღვაწლმოსილ პედაგოგებთან. შეხვედრაზე აღინიშნა პედაგოგთა განსაკუთრებული როლი მოსწავლე-ახალგაზრდობის იმ სულისკვეთე-

ბით აღზრდაში, თუ როგორ ძმურ და მეგობრულ თანაარსებობაში ცხოვრობდა ქართველი და აფხაზი ხალხი, რომ კვლავაც უნდა გაგრძელდეს ისტორიული ერთობის, ძმობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციები;

– მოხდა ცნობილი ქართველი მეცნიერების შეხვედრა აფხაზი მოსახლეობის ყველაზე კომპაქტურად დასახლებულ, სოფელ ფერიის სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან. წაკითხულ იქნა მოხსენებები ქართველთა და აფხაზთა ისტორიული წარსულის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე;

– მოეწყო შეხვედრა ქართველ და აფხაზ ღვაწლმოსილ ექიმებთან. აქვე მოხდა შეთანხმება, რომ აფხაზეთიდან ყველა ჩამოსულ სტუმარს, საჭიროების შემთხვევაში გაეწიოს უფასო მკურნალობა;

– ორგანიზება გაუკეთდა ქართველი და აფხაზი მოსახლეობის საერთო ნათლობას. მასობრივი ნათლობა ჩატარდა საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მიერ, მანვე აკურთხა ხულოში ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახლად გახსნილი ტაძარი, სადაც მოინათლა 2000–მდე ადამიანი, ხოლო ბათუმში, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მოინათლა 1500 ქართველი და აფხაზი;

– ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში მოეწყო შეხვედრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორთან, აფხაზ ქალბატონთან, ფერიდე აცამბასთან, რომელსაც რეგიონული ცენტრის წარდგინებით, ქალაქ ბათუმის მერიამ მიანიჭა ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება;

– აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზი პედაგოგის, ადა ქუთელიას ხელმძღვანელობით სლოვენიაში და პოლონეთში აჭარიდან დასასვენებლად გაიგზავნა 3 აფხაზი ახალგაზრდა, რომლებმაც ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან წარგზავნილ ახალგაზრდებთან მეგობრულ ვითარებაში გაატარეს დასვენების პერიოდი;

– აჭარაში მცხოვრები აფხაზი მოსახლეობისათვის ბათუმის კულტურის ცენტრში გაიმართა ოპერა „კარმენის“ პრემიერა (რეჟისორი გიზო ჟორდანია), რომელსაც დაესწრნენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, აფაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი და მწერალი მაყვალა ბერიანიძე. აღინიშნა ქალბატონი მაყვალას დაბადების 60 წლის იუბილე;

– ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარდა ქართველთა და აფხაზთა მეორე ფორუმი, რომელსაც დაესწრო 500 დელეგატი.

ცენტრის სწავლული მდივანი ასლან დევაძე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ბუნებრივი კლიმატური პირობების ცვლილებების ზეგავლენას აგროსფეროს განვითარებაზე.

რეგიონული სამეცნიერო ცენტრისა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ჩატარებულ იქნა ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე – „სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პრობლემები და აგრარული სექტორის აღორძინების გზები“. კონფერენციაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება – „აგრარული რეფორმების პრინციპები და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების ძირითადი მიმართულებები“ (ვ. პაპუნიძე, ა. დევაძე).

ცენტრის სწავლულმა მდივანმა ა. დევაძემ მოამზადა ანგარიში აჭარაში 2013 წელს განხორციელებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია“ – შედეგებზე.

ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი. 2014 წლის 30 სექტემბრის აკადემიური საბჭოს №43 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის №48 დადგენილება აკადემიასთან „სამეცნიერო-

ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისიის" შექმნის შესახებ, ხოლო 2014 წლის 29 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №47 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული „ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი" და მის შემადგენლობაში შემავალი 43 წევრი, რომელთა ბირთვს სწორედ კომისიის წევრები წარმოადგენენ, კომისიამ შეწყვიტა თავისი მუშაობა.

კომისია შეიქმნა აკადემიური საბჭოს 2013 წლის 12 ივლისის №38 დადგენილებით საქართველოში მეცნიერთა და სპეციალისტთა სამეცნიერო–ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და კომერციალიზაციის პერსპექტივების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავების, აგრეთვე, საავტორო წინადადებების ინფორმაციული ბაზის ჩამოყალიბების და თითოეული შერჩეული წინადადების შესახებ საქართველოს მთავრობის, დარგობრივი სამინისტროებისა და ბიზნეს–წრეებისათვის პრაქტიკაში გამოსაყენებლად რეკომენდაციების მიწოდების მიზნით. კომისიის დებულება და პერსონალური შემადგენლობა დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 9 ოქტომბრის №48 დადგენილებით. კომისიას დაეკისრა საქართველოს სამეცნიერო–ტექნოლოგიური განვითარების კონცეფციის და ამ კონცეფციის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავება დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში და მათი განხორციელების პროგრამის კოორდინაცია. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა აკად. ირაკლი ჟორდანია, თავმჯდომარის მოადგილედ პროფ. გივი აბდუშელიშვილი და სწავლულ მდივნად აკად. წევრ-კორ. ალექსანდრე დიდებულიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების საერთო კრებაზე განხილულ იქნა „საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობ-

ლემები“. საკითხის კრებაზე განხილვას წინ უსწრებდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებულ დარგებში რეფორმების მიმდინარეობის კომპლექსური ანალიზი. აღსანიშნავია, რომ საკითხის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი პროფილის სპეციალისტებმა, პრაქტიკოსებმა, მეცნიერებმა. ანალიზისას გამოყენებულ იქნა უცხოელი სპეციალისტების გამოკვლევები, რეკომენდაციები, ასევე განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ანალიზით დადასტურდა, რომ:

<u>პირველი,</u> ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარება ჩამორჩა. გაჩანაგდა მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, არარაციონალურად გამოიყენება რესურსები, მოშლილია მიწის აღრიცხვა. 2005 წლიდან ქვეყანაში მიწის ბალანსი არ დგება, არ ხორციელდება მიწის ნაყოფიერების დაცვის ღონისძიებანი, რის შედეგადაც მეორადი დაჭაობებისა და გაუდაბნოების პროცესი ღრმავდება და საშიშ ხასიათს იძენს. დამუშავებული არ არის მიწის კოდექსი და კადასტრი.

მოიშალა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა. მცირდება სოფლად დასაქმებულთა რაოდენობა და დემოგრაფიული ვითარება რთულდება. სოფლები დაცარიელდა, საგრძნობლად შემცირდა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა, დარგისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დარგების განვითარება არამც თუ დროის მოთხოვნებს, არამედ ადრე მიღწეულ დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩა. კერძოდ, ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების, მელიორაციის, საინჟინრო–ტექნიკური მომსახურების, მცენარეთა დაცვის, ვეტერინარიისა და სხვა სამსახურების საქმიანობა.

მიწის არასწორად ჩატარებული პრივატიზაციის შედეგად მოხდა მიწების მცირე ფართობებად დაქუცმაცება. რეგისტრირებულ მეურნეობათა 74,5%–ს საკუთრებაში აქვს 1 ჰექტრამდე მიწა, 23,2%–ს – 1–5 ჰექტრამდე, 5–დან 10 ჰექტრამდე მიწას ფლობს მეურნეობათა მხოლოდ 1%. ნაკვეთების საშუალო ფარ-

თობი შეადგენს 1,22 ჰექტარს. ნაკვეთების საშუალო რაოდენობაა 2,33. მეურნეობათა 48,8%–ს 2–დან 3 ნაკვეთიანი ფართობი აქვს. 17,3%–ს 4–9 ნაკვეთამდე. ასეთ პირობებში სამეურნეო მანევრირების მასშტაბის ეფექტი შეზღუდულია.

<u>მეორე</u>. განვლილ პერიოდში მკვეთრად დაეცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე. კერძოდ, 1990–2012 წლებში ყურძნის წარმოება შემცირდა 4,8–ჯერ, ხილის – 3,8–ჯერ, ჩაის ფოთლის – 193–ჯერ, ციტრუსების – 3,7–ჯერ, ხორბლის – 3,2–ჯერ, ხორცის – 4–ჯერ, რძის – 1,2–ჯერ, კვერცხის – 1,6–ჯერ. შეწყდა რიგი ტექნიკური კულტურების წარმოება. შემცირდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა: ღორის – 4,3–ჯერ, ფრინველის – 3,5–ჯერ, ცხვრისა და თხის – 2,5–ჯერ.

შესაბამისად, შემცირდა სასურსათო პროდუქციის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე.

<u>მესამე</u>. სასურსათო პროდუქციის წარმოების შემცირებამ განაპირობა მოხმარების დონის შემცირება. 1990–2012 წლებში შემცირდა: ხორცის მოხმარება 1,4–ჯერ, რძის – 2,3–ჯერ, თევზის – 2,3–ჯერ, კვერცხის – 1,4–ჯერ, ბოსტნეულის – 2,3–ჯერ. მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში განმსაზღვრელია გარე ფაქტორი – იმპორტი. ქვეყნის სასურსათო ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას უჭირავს 75–80%. ხორბალში – 85%–ზე მეტი.

ძირითადი სასურსათო პროდუქტის არც ერთ სახეში საკუთარი წარმოებით მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება. 2012 წელს ქვეყანაში მოსახლეობის 24,7% არასაკმარისად იკვებებოდა (შესაბამისი მსოფლიო მაჩვენებელი შეადგენდა 12,5%–ს).

ამასთან, შიდა ბაზარი დაცული არ არის სასურსათო ინტერვენციისაგან. აღსანიშნავია, რომ იმპორტირებული სასურსათო საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილის მოხმარება უვნებლობის თვალსაზრისით დიდ რისკებთან არის დაკავშირებული.

<u>მეოთხე</u>. ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა სოფ-

ლის მეურნეობის როლისა და მნიშვნელობისადმი სახელმწიფოს მხრივ არაადეკვატურმა დამოკიდებულებამ. ეკონომიკის (პირველ რიგში სოფლის მეურნეობის) ტრანსფორმაციის პროცესებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებამ განაპირობა გარდაქმნების თავად ობიექტური პროცესის დამანგრეველი ხასიათი (2012 წელს 1990 წლის მიმართ სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობამ შეადგინა 37,3%). კოოპერაციის საწყისები მოიშალა. სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოება მთლიანად კონცენტრირებულია წვრილ ოჯახურ მეურნეობებში (99,8%). სოფლის მეურნეობის განვითარებაში უმნიშვნელოა ინვესტიციების მოცულობა. ფაქტობრივად, ქვეყნის სოფლის მეურნეობა ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერის მიღმა დარჩა. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის განვითარების მართვის ეფექტიანი სტრუქტურების ჩამოყალიბება.

<u>მეხუთე</u>. აგრარულ სექტორში შექმნილი მდგომარეობა და საერთოდ სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები მნიშვნელოვანწილად განაპირობა ეკონომიკის ტრანსფორმაციაში მეცნიერების როლის უგულებელყოფამ. აგრარულ პრობლემებზე მეცნიერული კვლევები შეწყდა. სამეცნიერო დაწესებულებები დაიშალა. სამეცნიერო კადრები გაიფანტა. მიწის რესურსის დაცვისა და მისი ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებები არ ხორციელდება, კადრების მომზადების სისტემა არ არსებობს. მემცენარეობაში, მეცხოველეობასა და გადამამუშავებელ საწარმოებში ახალი ტექნოლოგიები, წარმოების სპეციალიზაციისა და ინტეგრირების თანამედროვე ფორმები არ ინერგება. სასოფლო–სამეურნეო წარმოება ჩამორჩა ორგანიზაციულად და ტექნოლოგიურად, დაბალია მწარმოებლურობა. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება შეზღუდულია ბუნებრივ–საწარმოო თავისებურებებით (მრავალდარგიანობა, მიწის ფართობების სიმცირე, ვერტიკალური ზონალობა და სხვ.).

ქვეყნის ეკონომიკის უმთავრეს დარგში შექმნილი მდგომარეობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება:

პირველი. სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარება, ეკოლოგიურად მისაღები, ეკონომიკურად ხელმისაწვდომი საკვები პროდუქციის წარმოება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიჩნეულ იქნეს ქართული სახელმწიფოს განმტკიცების ერთ–ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად.

მეორე. სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების ინტენსიფიკაცია, ევროკავშირთან ინტეგრაციის დაჩქარების მრავალმხრივი პროცესი, დასმული ამოცანების მასშტაბურობა მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედებაზეა დამოკიდებული, ამიტომ საჭიროებს სისტემურ მიდგომას და პროგრამულ მართვას.

მესამე. სოფლის მეურნეობაში განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ კრებაზე გამოთქმული მოსაზრებების, წარმოდგენილი ანალიზისა და რეკომენდაციების შეჯერებისა და კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა წარმოედგინა აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ რეკომენდაციები და შესაბამისი დასკვნები.

კრების გადაწყვეტილებების შესაბამისად განსაზღვრულ დროში შემუშავდა დოკუმენტი: „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და მათი გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები“. იგი შედგება სამი ნაწილისაგან.

I ნაწილი – სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციის ძირითადი ნიშნები, თავისებურებები და ტენდენციები (1990–2012 წლების ანალიზი).

II ნაწილი – სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები (კონცეპტუალურ–მეთოდოლოგიური მიდგომა).

III ნაწილი – სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მათთან დაკავშირებული დარგების მდგრადი განვითარე-

ბის კომპლექსური პროგრამის ფორმირების აუცილებლობა (კონცეპტუალური ანალიზი).

აღნიშნული დოკუმენტი (რეკომენდაციები), რომელიც მოიცავს 110 გვერდს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გ. კვესიტაძისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკად. გ. ალექსიძის ხელმოწერით 2014 წლის 8 აგვისტოს წარედგინა ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს და პრემიერ–მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს.

აღნიშნულ დოკუმენტში სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსურ ანალიზთან ერთად წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები (ღონისძიებათა სისტემა) 2020 წლამდე ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების შესახებ. დასაბუთებულია, რომ:

პირველი. საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მათთან დაკავშირებული დარგების განვითარება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომელიც უშუალოდ განიცდის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული მექანიზმების, გლობალური მოვლენების, რეგიონული თავისებურებების, ტრადიციების, მეურნეობრიობის პრინციპებისა და სხვა ფაქტორების გავლენას. ამიტომ, მათი განვითარების რეგულირება მიზანმიმართულ პროგრამულ მართვას საჭიროებს.

მეორე. დღევანდელ პირობებში, როცა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში სისტემურ კრიზისთან გვაქვს საქმე, ქვეყანას სჭირდება „გარღვევის სტრატეგია“, მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას ეკონომიკაში მიზანმიმართული (შედეგებზე ორიენტირებული) საქმიანობის ისეთი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს გარე და შიდა რესურსების მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენებას, დაეფუძნება მიზნის მიღწევისა და მთავარი რგოლის შერჩევის პრონციპებს. ჩვენს შემთხვევაში სასურსათო უსაფრთხოებას (მიზანი) და სოფლის მეურნეობის

(როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთ–ერთი მთავარი რგოლის) კომპლექსურ და რაციონალურ განვითარებას, პროცესების მიზნობრივი პროგრამებით რეგულირებას, საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისათვის რესურსების კონცენტრაციას, ეკონომიკის გაჯანსაღების ფულად–საკრედიტო და საბიუჯეტო–საგადასახადო პოლიტიკას, კერძო სექტორთან სახელმწიფოს პარტნიორობას, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობისათვის უპირატესობის მინიჭებას, სოფლის მეურნეობის მართვის სახელმწიფო სტრუქტურის თვისებრივ სრულყოფას და სხვ.

ამ მიზნით აუცილებელია შედგეს 2020 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

მესამე. იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტზე ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის დამოკიდებულება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, საჭიროა ადგილობრივი წარმოების მაქსიმალურად ზრდაზე და იმპორტის რაციონალურ შეხამებაზე ავიღოთ ორიენტაცია. ამ მიზნით უნდა განისაზღვროს საბაზო სტრატეგიულ პროდუქტთა ნუსხის მიხედვით (პური და პურ–პროდუქტები, ხორცი და ხორც–პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, შაქარი, თევზი და თევზ–პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი, მცენარეული ზეთი, კარტოფილი) თითოეულ პროდუქტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების პოტენციალი და საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად დარგობრივი სპეციალიზაციის ამოცანები, ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების, მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებანი.

მეოთხე. მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის აუცილებელია რიგი პოლიტიკურ, სოციალურ–ეკონომიკურ და ორგანიზაციულ–ტექნოლოგიურ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება. უპირველეს ყოვლისა

უნდა შეიქმნას მართვის ერთიანი სახელმწიფო სამსახური (რეგიონებში შესაბამისი სტრუქტურებით). მისი უფლება–მოვალეობები ადეკვატურად უნდა პასუხობდეს დროის მოთხოვნებს. უცხოელზე მიწა არ უნდა გაიყიდოს (მიზანშეწონილობისას არენდით გადაეცეს). სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მიწის მარაგი. გრძელვადიან პერიოდზე გათვლით, მიზნობრივი პროგრამებითა და რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს მიწის რესურსების დაცვისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი, ამ მიზნით უნდა დამუშავდეს 15–20 წელზე გათვლილი სახელმწიფო პროგრამა.

მეხუთე. სოფლის მეურნეობისა და მათთან დაკავშირებული დარგების განვითარება ორგანულად უნდა დაუკავშირდეს სოფლის, როგორც ტერიტორიის (სივრცის) განვითარებას, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტასთან, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებასთან. აღნიშნული და სხვა პრობლემების გადაწყვეტა მიზანშეწონილია მოხდეს მიზნობრივი პროგრამებით. ამასთან, ამოსავალი საწყისი უნდა იყოს სასოფლო–სამეურნეო წარმოების განვითარების სტიმულირება, რათა შეიქმნას ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული დარგების განვითარების ხელშემწყობი გარემო.

მეექვსე. ეროვნული ეკონომიკის, კერძოდ, აგრარული სექტორის ეფექტიანობის ამაღლება, მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში მისი ჩართვა, ინტენსიფიკაციის მაღალი ტემპები, პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, სტრუქტურული ცვლილებები არსებითად დამოკიდებულია თანამედროვე სამეცნეიერო–ტექნიკური მიღწევების, ახალი ტექნოლოგიების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმების გამოყენებაზე. სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უმთავრესი ამოცანაა ყოველმხრივ ხელი შუწყონ ეკონომიკის, კერძოდ, აგრარული სექტორის პრობლემების კვლევას, ინოვაციური ტექნოლოგიების

ფართოდ დანერგვას, ორგანიზაციულ–ეკონომიკური საფუძვლების თვისობრივად სრულყოფას, მართვის ახალი სისტემების გამოყენებას, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აგრარული სექტორის ინტენსიურად ჩართვას. ამ მიზნით მიზანშეწონილია აგრარული სექტორის მიმართულებების (მემცენარეობა, მეცხოველეობა) მიხედვით შედგეს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნობრივი პროგრამა.

მეშვიდე. სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მათთან დაკავშირებული დარგების მდგრადი განვითარების პროგრამის საერთო–სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეიქმნას სახელმწიფო კომისია დაინტერესებული სამინისტროების, სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურების, ეკლესიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომისიამ უნდა მოამზადოს პროგრამის პროექტი, რომელსაც ფართო განხილვის შემდეგ დაამტკიცებს მთავრობა.

დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ, 2015 წელს მიღებულ სტრატეგიაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 10 სხდომა.

მე-6 სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოში ფარმაკოქიმიის დარგის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განვითარების ამოცანები. მომხსენებელმა აკად. ეთერ ქემერტელიძემ აღნიშნა, რომ ფარმაკოქიმიის მეცნიერების გაძლიერება ქვეყნის ერთ–ერთი ტრადიციული და ეკონომიკურად მაღალეფექტიანი ქიმიურ–ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებას განაპირობებს და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი, სამკურნალოდ ეფექტიანი, უვნებელი პრეპარატებით მომარაგების საწინდარია. ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებაა მცენარეული და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევა, მათი ქიმიური ბუნების, ფარმაკოლოგიური ეფექ-

ტიანობის შესწავლა, მიღების ტექნოლოგიებისა და ანალიზის მეთოდების შემუშავება და ამის შედეგად სამკურნალო პრეპარატების შექმნა. ინსტიტუტს აქვს სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურები შირაქსა და ქობულეთში და ექსპერიმენტული საწარმოო ბაზა თბილისში. ექსპერიმენტული საწარმოო ბაზის სასტენდო დანადგარებზე მიმდინარეობს პრეპარატთა ტექნოლოგიების დახვეწა, აღწარმოება, კლინიკური გამოკვლევები და ფართო მოხმარებისათვის მათი გამოშვება. სამკურნალო მცენარეთა ფიტოქიმიური შესწავლა წარმოებს ისეთი ქიმიური კლასის ნივთიერებებზე, როგორიცაა: ალკალოიდები, კარდენოლიდები და ბუფადიენოლიდები, სტეროიდული და ტრიტერპენული გლიკოზიდები, ტერპენოიდები, ციკლოარტანები, ლიპიდები, ფლავონოიდები, კუმარინები, ლიგნანები, ტანიდები, ანტრაქინონები, პოლისაქარიდები, პროტეოლიზური ფერმენტები, ლექტინები. შეიქმნა და დაინერგა მრავალი სამკურნალო საშუალება, რომელთაგან აღსანიშნავია კარიპაზიმი, თიხა–ასკანეს 10%–იანი გელი, ბენტონიტური თიხის პრეპარატი Bentobolum-ი, სატურინი, როდოპესი, ფსორანტრონი, კავსურონი, ცარუბოლი, ფაციფლოგინი, ფლარონინი, გინკგობათი, ფაცილოგინი და მრავალი სხვა. ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას ხელს შეუწყობს ინსტიტუტში დამუშავებული მცენარეთა ზრდის ეკოლოგიურად სუფთა სტიმულატორი ალექსინი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრეპარატი უზრუნველყოფილია ნედლეულის მყარი ბაზით.

მე–7 სხდომაზე განხილულ იქნა აკად. თამაზ ჭელიძის მოხსენება: „ბუნებრივი კატასტროფების მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილების, პრევენციისა და შედეგების შემცირების პროგრამის შესახებ“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში რამდენიმე დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა, რამაც 700 ათასი მსხვერპლი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია. ქვეყნის ტერიტორიის 70%-ს ემუქრება ისეთი საშიშროებები, როგორიც

არის მიწისძვრები, მეწყრები, ღვარცოფები, ზვავები, წყალ-მოვარდნები, წყალდიდობები და მრავალი სხვა. ამ მოვლენებს თან ახლავს მეტად მძიმე ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები. ამ საშიშრობებთან დაკავშირებული რისკები ყოველ-წლიურად იზრდება, ვინაიდან იზრდება რთული ტექნოლოგი-ური ობიექტების (მილსადენების, კაშხლების, დიდი წარმოე-ბების) რიცხვი, რომელთა დაზიანება მძიმე შედეგებს იწვევს. არ არის გამორიცხული, რომ გლობალური დათბობა გაზრდის ზოგი კატასტროფის რიცხვს, განსაკუთრებით ჰიდრომეტეო-როლოგიური ბუნების მოვლენებს. ჩვენს ქვეყანაში ყოველწლი-ური ეკონომიკური ზარალი ბუნებრივი კატასტროფების გამო ათეულობით და ზოგჯერ ასეულობით მილიონ დოლარს აღწევს. 1995-2008 წწ. მხოლოდ მეწყრებით და ღვარცოფებით გამოწვეული ზარალი 1,2 მლრდ ლარს შეადგენს. ამიტომ ძალ-ზე მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკის შემცირება გახდეს ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი. მეცნიერება მხოლოდ ნაწი-ლობრივ არის მზად მოსალოდნელი საშიშროებისგან თავის დასაცავად. ბუნებრივი საშიშროებების რიცხვის შემცირება ადამიანს არ შეუძლია, მაგრამ, მეცნიერებამ გამოიმუშავა ისე-თი მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა შემცირდეს კატასტროფებით გამოწვეული რისკები, ანუ, მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალი; მაგალითად, მიწისძვრების რისკის შემცირება შესაძლოა ანტისეისმური სამშენებლო ნორმების დაცვით. არსებული კანონმდებლობის გარდა, საქართველოში მოქმედებს ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე რეა-გირების ეროვნული გეგმა, რომელიც სხვადასხვა სახის საგან-გებო სიტუაციებზე რეაგირებისას შესაბამისი უწყებების კონ-კრეტულ ფუნქციებს განსაზღვრავს. მიზანშეწონილია სათანა-დო ანალიზის საფუძველზე აღნიშნული გეგმის მიხედვით ფართომასშტაბიან ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა და ამგვარ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით მაკოორდინირებელი უფლებების ისეთ უწყებაზე დელეგირე-

ბა, რომელსაც ამ სფეროში ყველაზე მეტი კომპეტენცია და შესაძლებლობები გააჩნია. აღინიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტებს შორის კომპეტენციების გადანაწილებისა და ასევე საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და პრევენციის კომპონენტის გაძლიერებისთვის, საჭიროა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების ადეკვატური კორექტირება და შემდგომი სრულყოფა. აუცილებელია „კატასტროფების რისკების შემცირების ეროვნული პლატფორმის“ ჩამოყალიბებაში აკადემიის ჩართვა, პლატფორმის უფლებამოსილებების და მუშაობის რეგლამენტის განსაზღვრა და ნორმატიული აქტის შემუშავება კატასტროფების რისკების შემცირების ეროვნული პლატფორმის ჩამოყალიბებისათვის ყველა შესაბამისი სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციების, ადგილობრივი თვითმმართველობების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, სტიქიური მოვლენების საფრთხეების, მიყენებული ზარალისა და ზარალის კომპენსირების ერთიანი სივრცითი მონაცემთა ბაზის (კატალოგის) შექმნა. წარმოდგენილი იყო მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მდიდარი გამოცდილება და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი კატასტროფების რისკების შემცირების საქმეში. კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი ინფორმაცია და დაადგინა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებები გადაეცეს ზემდგომ ორგანოებს რეაგირებისათვის:

– შეიცვალოს პრეზიდენტ სააკაშვილის №4922 ბრძანებულების ნაწილი, რომლითაც შსს–ს ევალება კატასტროფების პრობლემების საერთო კოორდინაცია და ეს ფუნქცია დაეკისროს საქართველოს კატასტროფების რისკის შემცირების კომიტეტს;

– მთავრობამ დაავალოს შესაბამის სამეცნიერო ორგანიზაციებს საქართველოს სეისმური საშიშროების ახალი რუკის შედგენა, მრავლობითი რისკების რუკების დაზუსტება და დიდი საინჟინრო ობიექტების სამშენებლო მოედნების გეოლოგი-

ურ-გეოფიზიკური სტანდარტების შესახებ ნორმატიული დოკუმენტების პროექტების შემუშავება;

– დაევალოს გარემოს დაცვის სამინისტროს სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთად ჩამოაყალიბოს საინიციატივო ჯგუფი ეროვნული პლატფორმის პროექტის შედგენის მიზნით და ინფორმაცია გაუგზავნოს UN/ISDR სამდივნოს;

– უზრუნველყოფილ იქნეს ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის 2005–2015 წწ. სათანადო პუნქტების შედგენაში სამეცნიერო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, კერძოდ, კატასტროფების რისკის შემცირების საქართველოს ეროვნული კომიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კატასტროფების კომისიისა, რომლებიც მრავალ სამეცნიერო ორგანიზაციას აერთიანებს.

– საკანონმდებლო ბაზის შექმნა კატასტროფების რისკის შემცირების ეკონომიკური უზრუნველყოფის შესახებ (სავალდებულო დაზღვევა, სარეზერვო ფონდი), რათა გაუმჯობესდეს ქვეყნის მდგრადობა კატასტროფების მიმართ (შემცირდეს Disaster Deficit Index, DDI ანუ კატასტროფის დეფიციტის ინდექსი);

– კრშ-ს დაგეგმვაში მთავრობამ მხედველობაში მიიღოს აკადემიის მიერ შემუშავებული სეისმური და ბუნებრივი კატასტროფების რისკის კონცეფციები;

– აუცილებელია არსებული კრშ-ს გამოცდილების ანალოგური ინფორმაციის შეკრება ქვეყნის ფარგლებში და გაერთიანებული ელექტრონული ბაზის შედგენა, რათა არ დაიკარგოს არსებული ცოდნა და გამოცდილება; ეს ბაზა საჭიროა ექსტრემალური სიტუაციის შემთხვევაში შესაბამისად აღჭურვილი პროფესიონალების გუნდის ოპერატიული მობილიზაციისთვის;

– აუცილებელია PreventionWeb საიტზე დადებული მცდარი ინფორმაციის კორექტირება, განსაკუთრებით რაჭის მიწისძვრით გამოწვეულ ზარალზე, ვინაიდან ეს ძლიერ ამახინჯებს საერთო სურათს.

მე–8 სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გიორგი კვესიტაძის ინფორმაცია შვეიცარიაში, ჟენევის მახლობლად მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრ „ცერნში“ (CERN, Conseil Europeen pour la Recherche Nuclear) სამეცნიერო მივლინების შესახებ. „ცერნში“ აკადემიის პრეზიდენტი ამ ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა როლფ-დიტერ ჰოიერმა მიიწვია, რადგან იქ 35 ქართველი მეცნიერი მუშაობს და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დამტკიცებული ბიუჯეტიდან – 24,875 მლნ ლარიდან (2011 წელი) იხდის ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში პროგრამა ATLAS-ში საქართველოს მონაწილეობის ყოველწლიურ საწევრო გადასახადს – 100 ათას ლარს. „ცერნის“ ატომური კვლევების ლაბორატორიაში ქართველების წვლილი საკმაოდ დიდია და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მსოფლიოში სახელგანთქმულ ამ ორგანიზაციაში მივლინება მიზანშეწონილად ჩაითვალა. „ცერნში“, რომლის შენობა განლაგებულია მიწის ქვეშ 80 მ სიღრმეზე, 100-ზე მეტი ქვეყნის 7000 მეცნიერი და ინჟინერი მუშაობს, მათ შორის, არიან ქართველი მეცნიერები ჯემალ ხუბუა („ცერნში“ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი), გივი სეხნიაძე, ირაკლი მინაშვილი, ალექსანდრე ღონღაძე, ირმა ღოღაძე, ალექსი მესტვირიშვილი, ალექსანდრე ბითაძე, ნუგზარ მოსულიშვილი, რომან აბრამიშვილი, ნიკო ცუცქირიძე, ნიკა შარმაზანაშვილი, სოფიო პატარაია, გიორგი სალუქვაძე და სხვები.

კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი ინფორმაცია და დაადგინა, რომ აკადემიკოს გ. კვესიტაძის მიერ მოწოდებული მასალები უნდა ჩაერთოს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამაში, ხოლო კომისიის წევრები აქტიურად ჩაებან საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით დამუშავებული ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020-ის“

პროექტის განხილვაში და დახვეწაში. განხილვის შედეგად მიღებული მასალები გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობას.

მე-9 სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს ენერგეტიკული ბალანსები, რომლებიც წარმოადგინა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე–პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ. აღინიშნა, რომ ენერგეტიკის სპეციფიკის გათვალისწინებით სახელმწიფოს როლი დარგის პროგრესის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია და ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დღეს საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების დაახლოებით 60% მოდის მოსახლეობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების დონე დაბალია. ერთ მოსახლეზე ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოში არის 1.900 კვტ/სთ, განვითარებულ ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, საქართველო სიაში მხოლოდ 79–ე ადგილზე იმყოფება, თუმცა მეზობელ სომხეთსა (82) და აზერბაიჯანს (83) უსწრებს. კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აკადემიური საბჭოს სხდომაზე ენერგეტიკული სექტორის შემდგომი განვითარების შესახებ საკითხის განხილვა და გაუმართლებლად მიაჩნია წინა ხელისუფლების მიერ საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტის, საპროექტო ინსტიტუტების – „თბილჰიდროპროექტის" და „ენერგოქსელპროექტის" გაუქმება. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხის დაყენება მთავრობის წინაშე ენერგეტიკული კვლევების სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ; კომისია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ენერგეტიკული ობიექტების პროექტირებისას და მშენებლობისას ასეთი გავლენის მინიმიზაციის ღონისძიებების დამუშავებასა და განხორციელებას; აუცილებელია საქართველოს ენერგეტიკის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების დამუშავება, რა დროსაც პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებას როგორც მცირე და საშუალო, ასევე დიდი სიმძლავრის, მ. შ. წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობას და, ასევე, ჰიდრომააკუმულირებელი კომპლექსების მოწყობას; ახალი ენერგეტიკული სიმძლავ-

რეების განვითარების პარალელურად მუდმივ პროცესად უნდა მიმდინარეობდეს მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ენერგეტიკული დანადგარებისა და მოწყობილობის მოდერნიზაცია, ელექტრულ ქსელებში დანაკარგების შემცირების ღონისძიებების განხორციელება და ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების გავრცელება.

მე-10 სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოში სამხედრო საქმის განვითარებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების პროგრამა, რომელიც მოამზადა აკად. ელგუჯა მემარიაშვილმა. მან ყურადღება გაამახვილა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დამუშავებაზე, ტერიტორიის, კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის მომზადებაზე თავდაცვისათვის და საბრძოლო მოქმედებათა ერთიანი სახელმწიფო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსის შექმნის საკითხებზე. სამხედრო მეცნიერების პოზიციებიდან, პრობლემათა შორის, პრიორიტეტებად მიჩნეულ იქნა:

– საქართველოს ტერიტორიის ომისთვის მომზადება;

– ძლიერ მოწინააღმდეგესთან საქართველოს მხრიდან შემაკავებელი ომის წარმოებისას საბრძოლო მოქმედებების ასიმეტრიული და ჰიბრიდული ხასიათი და არაპირდაპირი მოქმედებები;

– სამოკავშირეო ძალებთან იმის მიღწევა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვის პუნქტებზე, დროის რეალურ მასშტაბში, განხორციელდეს ინფორმაციის მიწოდება საქართველოსკენ თვითმფრინავების, რაკეტებისა და წყალქვეშა ნავების მიერ საიარაღო ზემოქმედების ადრეული აღმოჩენისა და მათი გადაადგილების კოორდინატების განსაზღვრის შესახებ.

ყურადღება გამახვილებულ იქნა, აგრეთვე, 2006 წელს შექმნილი სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამუშაოებზე, რომელთაგან გამოიყო ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია და ტრანსფორმირებადი გასაშლელი სამხედრო და

სამოქალაქო, კოსმოსური და მიწისზედა კომპლექსების შექმნა, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ, აგრეთვე, მისი ხელმძღვანელობით შექმნილ პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტზე, რეფლექტორულ ანტენაზე, რომელიც ღია კოსმოსში 1999 წლის 23 ივლისს გაიტანეს. ამ ფაქტმა მაშინ მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ხოლო ქართულ სამეცნიერო ლაბორატორიაში შექმნილი რეფლექტორული სისტემებით ევროპული კოსმოსური სააგენტოც დაინტერესდა. კომისიამ დაადგინა, რომ მოხსენების ტექსტი გადაეგზავნოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მისი შემდგომი განხილვის, შეფასებისა და პრაქტიკაში შესაძლო გამოყენების მიზნით, ხოლო საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარების და კვლევების შედეგების ფართო გავრცელების პირობებში ეთხოვოს აკადემიის აკადემიურ საბჭოს, რათა თავდაცვის სამინისტროსთან ერთად დაჩქარდეს პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის დაარსება, აგრეთვე, აკადემიური საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი, რათა აკადემიაში ამოქმედდეს სამსახური საიდუმლო დოკუმენტაციის წარმოების და საიდუმლო საკითხებზე მიმოწერის განხორციელებისათვის.

მე–11 სხდომაზე იყო მსჯელობა იმ საინვესტიციო წინადადებებზე, რომელთა გასავრცელებლად წარდგენას მოითხოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი თამაზ გაბადაძე. მომხსენებელმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მის მიერ მიღებულია სწრაფშეკვრადი ალუნიტიანი ზესწრაფგამაგრებადი, გაფართოებადი დამძაბავი ცემენტები, რომლებიც დაცულია მრავალი საავტორო მოწმობით, მაგრამ ამჟამად აღარ იწარმოება. გაგრძელდა სამუშაოები ხელმისაწვდომი მასალების, კერძოდ, უთაბაშიროდ დაფქული კლინკერის ბაზაზე, ახალი სახეობის სწრაფშეკვრადი ცემენტების მიღების მიზნით. შესწავლილ იქნა სხვადასხვა ელექტროლიტის დამატების გავლენა დაფქული კლინკერის ფიზიკურ–მექანიკურ თვისებებზე და მიღებულ იქნა სწრაფშეკვრადი მაღალი სიმტკიცის ცემენტები, რომლებიც შეიძლება

გამოყენებულ იქნეს მშენებლობის მთელ რიგ უბანზე. კვლევების შედეგები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სწრაფშეკვრადი ცემენტი პორტლანდცემენტის კლინკერის და არადეფიციტური და იაფი დანამატების საფუძველზე, ამასთან მისი წარმოების ტექნოლოგია შესაძლებელია განხორციელდეს ცემენტის მოქმედ საწარმოებში ცვლილებების გარეშე ან უშუალოდ სამშენებლო პოლიგონზე. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დასავლეთ საქართველოში მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის 100–200 ათასი ტ მწარმოებლურობის ჰიდროტექნიკური კლინკერ–ცემენტების წარმოების თაობაზე ინიციატივით საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა.

მე–12 სხდომაზე განხილულ იქნა სამშენებლო დარგის ევროპის ტექნიკურ, სამართლებრივ და საგანმანათლებლო სფეროსთან ინტეგრაციის საკითხები, რომლებიც მოახსენა აკადემიის წევრ-კორ. გურამ გაბრიჩიძემ. სხდომამ მხარი დაუჭირა ევროპის სამართლებრივ და ტექნიკურ სივრცესთან ჰარმონიზაციის კურსს, რომელიც დაფიქსირებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამუშავებულ დოკუმენტში „საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“ და აღძრა შუამდგომლობა, რათა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კოორდინაცია გაუწიოს საერთო პროგრამის სამეცნიერო ნაწილის შესრულებას.

მე–13 სხდომაზე სეისმომედეგობის შესახებ მიზნობრივი პროგრამის დამუშავებაზე მოხსენება გააკეთა აკადემიის წევრ–კორ. გურამ გაბრიჩიძემ. მან კომისიას გააცნო ინფორმაცია სეისმურ საშიშროებასთან დაკავშირებული, ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო საფუძვლებისა და აკადემიის მიერ ბოლო ხანებში განხორციელებული ინიციატივების შესახებ. ბუნებრივია, მიწისძვრის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ,

სავსებით რეალურია მიწისძვრით გამოწვეული დამანგრეველი შედეგების შემცირება. ეს კი, უპირველესად, შენობა-ნაგებობების სეისმომედეგობაზეა დამოკიდებული. დამსწრეთა წინაშე დაისვა საკითხი იმის თაობაზე, აკმაყოფილებს თუ არა საქართველოში ახალმშენებლობები რაიმე სტანდარტებს და რა მდგომარეობაშია თბილისში საკმაოდ მრავლად არსებული უკვე ამორტიზებული საცხოვრებელი სახლების სეისმომედეგობა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიწისძვრის პრევენციის ერთ-ერთი საშუალებაა ნაგებობების სეისმომედეგობა. საკითხი ასე დგას: როგორ ვაშენოთ სეისმურად აქტიურ რეგიონებში. კომისია შუამდგომლობს, რათა აკადემიის მიერ სახელისუფლო ორგანოების წინაშე დაისვას საკითხი ახალი მიზნობრივი პროგრამის შემუშავების თაობაზე და ამ დავალების შესასრულებლად, ეთხოვოს ოფიციალურ უწყებებს, სამეცნიერო ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და სპეციალისტებს, 2014 წლის 20 სექტემბრამდე წარმოადგინონ თავისი წინადადებები 1998-2005 წლების მიზნობრივი პროგრამის კორექტირების მიმართულებით.

მე–14 სხდომა მიეძღვნა საქართველოს მდგრადი განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. ომარ ქუცნაშვილის მიერ წარმოდგენილი „მეცნიერებასა და განათლებაზე დაფუძნებული საქართველოს დარგობრივი ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის" განხილვას. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართველი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე, ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის პროექტი ემყარება ოთხ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს: თვითუზრუნველყოფა და თვითმყოფადობა; მეცნიერებისა და განათლების უპირობო პრიორიტეტულობა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ღირებულებებს; მწარმოებლური, კონკურენტუნარიანი „ცოდნის ეკონომიკის" განვითარება; პიროვნების, ოჯახის, ერის უფლებებისა და პასუხისმგებლობების ჰარმონიზაციით სამართლიანობისა და კეთილდღეობის მიღწევა. ამ პრინცი-

პებსა და დასახულ ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და განათლების განვითარების სტრუქტურული მოდელი, რომლის შესაბამისად ეკონომიკა მოიცავს 12 დარგს და 50 ქვედარგს, რომელთა პროგრესისათვის დადგენილია ჰარმონიულად განვითარებადი 16 გამოყენებითი, 9 ფუნდამენტური და სოციალურ–ჰუმანიტარული სამეცნიერო დარგი და 96 ქვედარგი. კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი დოკუმენტი კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხოლო ავტორებმა უნდა დაასრულონ სტრატეგიის პროექტში ცვლილებების შეტანა; აკადემიურ საბჭოს ეთხოვა კომისიის მიერ მოწონებული დოკუმენტი – „საქართველო–2050“ წარუდგინოს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას.

მე–15 სხდომაზე განხილულ იქნა კერძო სექტორში სამეცნიერო კვლევების წარმოების შესაძლებლობები სამეცნიერო-კვლევითი ფირმა შპს „გამა“-ს გამოცდილების მაგალითზე; მოხსენებით გამოვიდა ფირმის ხელმძღვანელი, პროფ. ვახტანგ გვახარია. აღინიშნა, რომ „გამა” დაარსდა 1991 წელს და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ნივთიერი შედგენილობის შესწავლის ლაბორატორიული სამსახური, ბუნებრივი რესურსების შესწავლა და გამოყენება, ეკოლოგია და გარემოსდაცვითი პროექტები, ნარჩენების მართვა, სამეურნეო-სამეწარმეო და გარემოსდაცვითი დანიშნულების ობიექტების პროექტირება, ბუტილირებული წყლების სერტიფიცირება. ფირმა დაკომპლექტებულია 80 სპეციალისტით და მასში მუშაობენ: ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, გეოლოგები, ჰიდროლოგები, ეკოლოგები, სხვადასხვა დარგის ინჟინრები, ეკონომისტები, იურისტები და ა.შ. ფირმის ლაბორატორია გაწევრიანებულია საერთაშორისო ასოციაციაში „ანალიტიკა“, აკრედიტებულია საქართველოს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრის მიერ ISO 17025-კვლევითი და დაკალიბრების ლაბორატორიების კომპეტენციის ზოგა-

დი მოთხოვნების შესაბამისად. კომისიამ მოიწონა მოხსენება და რეკომენდაციები ქვეყანაში შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ფირმა „გამა" მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, აგრეთვე, წამყვან უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და მათთან თანამშრომლობით ახორციელებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებს, გააჩნია თანამედროვე ტექნიკური საშუალებები და ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივა, მიზანშეწონილად ჩაითვალოს მის ბაზაზე გარემოსდაცვითი პროფილის თანამედროვე ლაბორატორიული კომპლექსის შექმნა. ახლად შექმნილი ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობა უნდა უზრუნველყოფდეს ჩვენს ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური „ცხელი წერტილების" ლიკვიდაციისთვის საჭირო ანალიტიკურ კვლევებს ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს სახელმწიფოს სათანადო მხარდაჭერას.

მე–16 სხდომაზე განხილულ იქნა ორი საკითხი. მოხსენებით – „თანამედროვე მოწყობილობები ორგანული დამაბინძურებლების განსაზღვრისას სინჯების დაჩქარებული შემზადებისათვის" – გამოვიდა ამერიკელი მეცნიერი, დოქტორი ფილიპე გერმანსდერფერი, საერთაშორისო მარკეტინგის დირექტორი, რომელმაც წარმოადგინა ფირმის უახლესი ინოვაციები, კერძოდ, სისტემა Power-PrepTM, რომელიც მკვეთრად აჩქარებს ნიმუშების მომზადების სიჩქარეს. ეს ავტომატიზებული სისტემა იყენებს სვეტური ქრომატოგრაფიის მეთოდს და ერთდროულად, ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება 6 ნიმუშის გასუფთავება. საჭიროა მხოლოდ ნიმუშების ჩატვირთვა, პროგრამის არჩევა და ამოქმედების ღილაკის დაჭერა. სისტემა ასრულებს ფრაქციონირებას, იგი გამოყოფს გასაანალიზებელ ნივთიერებებს სხვადასხვა შემშლელი შენაერთებისგან. დიოქსინების, ფურანების, პოლიქლორბიფენილების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების, პესტიციდების და ა.შ. განსასაზღვრავად ამ ერთიდან ექვსამდე ნიმუშის შემზადება

მოითხოვს 1 საათამდე დროს, მაშინ, როდესაც გაწმენდის ტრადიციული მეთოდების გამოყენება რამდენიმე დღეს საჭიროებს. მეთოდი რენტაბელური და სანდოა, მიიღწევა სრული გაწმენდა და ყველა გასაანალიზებელი ნივთიერების გამოყოფა. ადგილი აქვს გამხსნელების ეკონომიას, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სისტემის გაფართოება.

კომისიამ მოისმინა სტუ-ის პროფესორის და გადამზიდავი კომპანია შპს „იბერია 2005"-ის გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის მოხსენება საქართველოს რკინიგზის როლზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საერთაშორისო პროგრამის – „განახლებული აბრეშუმის გზის კონცეფცია" – შესახებ. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დიდი აბრეშუმის გზა, რომლის აღორძინებაც განახლებული პროექტით განხორციელდება, სინძიანში იწყებოდა და ცენტრალურ აზიაში ქალაქ ყაშგარის გავლით შემოდიოდა, კვეთდა ამ რეგიონს და კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან კავკასიის გავლით ფაზისში ჩადიოდა. დიდი აბრეშუმის გზა დიდი დიპლომატიის გზაც იყო – ქარავნებს ხშირად თან მიჰყვებოდნენ ელჩები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განახლებული პროექტით დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სამხრეთ კავკასიისა და მისი მიმდებარე სხვა სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაზე პოლიტიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით და გამოთქვა მოსაზრება, რომ დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაბალანსებასაც. მისი აზრით უნდა მოხდეს აფხაზეთზე გამავალი სატრანსპორტო კომუნიკაციების სწრაფი რეაბილიტაცია, რა თქმა უნდა, თუ იქნება მიღებული შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ასევე სოხუმისა და სხვა ნავსადგურების საკრუიზო სატრანზიტო მიმოსვლაში ჩართვა, აგრეთვე, ჯვარის, როკისა და ლარსის მისასვლელი გზების გაფართოება. შემდეგ მომხსენებელმა აღწერა საქართველოს ტრანსპორტის სხვადასხვა სტრუქტურის დღევანდელი მდგო-

მარეობა და აღნიშნა, რომ ანაკლიის პორტის ამოქმედების შემდეგ საქართველოს პორტების საერთო ტვირთბრუნვა 40 მლნ ტონით გაიზრდება, რაც ქვეყანას პირველ ეტაპზე დამატებით მოუტანს ყოველწლიურად 150 მლნ დოლარს.

კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, ქვეყანამ უნდა შეასრულოს ინფორმაციული დერეფნის ფუნქციაც, ე.ი. აუცილებელია ვიმსჯელოთ მის ინფორმაციული დერეფნის ფუნქციაზე, საქართველოს რკინიგზა უნდა გადავიდეს მუდმივი დენიდან ცვლადზე, უნდა გადაწყდეს რკინიგზისთვის განძელების ქარხნის დაბრუნების საკითხი, ასევე, შეძენილ იქნეს გოგორწყვილების და სამუხრუჭო ხუნდების დამამზადებელი ქარხნები.

ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათაშორისი კომისია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის №62 დადგენილებით დამტკიცდა აკადემიურ საბჭოსთან არსებული „ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათაშორისი კომისიის“ დებულება და შემადგენლობა. 2014 წელს კომისია, ძირითადად, დაკავებული იყო საორგანიზაციო საკითხებით. დაიხვეწა და გაფართოვდა კომისიის შემადგელობა; შემუშავებულ იქნა 2015 წლის სამუშაო გეგმა და გრძელვადიანი ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამა 2016–2020 წლებისათვის. შეთანხმდა და ხელმოსაწერად მომზადდა მემორანდუმი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

საქართველოს ეროვნულმა მეცნიერებათა აკადემიამ მკვეთრად აიღო გეზი პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული თემატიკის დამუშავებაზე. კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო თემატური მასალების მომზადებაში „სურსათის უსაფრთხოების შესახებ“. ამჟამად მზადების პროცესშია მთელი რიგი დასანერგად პერსპექტიული ინოვაციური წინადადება ბუნებრივი რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებაში.

გასულ პერიოდში, კომისიამ გამართა 4 სხდომა, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ერთობლივ ღონისძიებაში. კომისიაში შეყვანილია 3 ახალი წევრი; დეტალურად დამუშავდა ორ წამყვან უნივერსიტეტთან შემდგომი თანამშრომლობის თემატიკა.

ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის წევრები საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული გეგმის მიხედვით შეისწავლიდნენ ცალკეულ რელიგიათა ისტორიის საკითხებს, მათ მიმართებას ქართველი ერის ცხოვრებასთან.

კომისიის გაფართოებულ სხდომაზე წარდგენილ იქნა კომისიის წევრის, მიტროპოლიტ შიოს მონოგრაფია – „თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიიდან“. სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის ხელმძღვანელი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე. ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. ერთხმად აღინიშნა, რომ ნაშრომი, გამოყენებული საარქივო დოკუმენტების მოცულობითა და მათი საშური ანალიზით, თვით წარმოგვიდგება აღნიშნული ეპოქის ქართველთა სულიერი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისათვის მეტად საჭირო წყაროდ.

კომისიის ხელმძღვანელის მოადგილის, ისტ. მეცნ. დოქტ. ზაზა აბაშიძის თანაავტორობით გამოვიდა კრებული „ყოველი საქართველო“.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ 2014 წელს გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე (ინგლისური ტექსტის რედაქტორი სტივენ ჯონსი, ქართული და რუსული ტექსტების მთავარი რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი).

კომისია მუშაობდა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულზე „დიდი ექვთიმე“ (შემდგენელი და მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი; შემდგენელი და რედაქტორი ნ. ვაჩნაძე, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი). კრებულში პირველად ქვეყნდება უმნიშვნელოვანესი საარქივო მასალები, მათ შორის ახლად მოპოვებული საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ქვეყნიდან გატანილი განძის საქართველოში დაბრუნების რეალიებს ასახავენ.

კომისიის წევრების აქტიური მონაწილეობით მომზადდა და ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“ (თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ზურაბ წერეთლის ფონდი). კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, გერმანიის სხვადასხვა მუზეუმის დირექტორები და მეცნიერ-თანამშრომლები.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის წევრებმა გამოაქვეყნეს შემდეგი ნაშრომები და მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კონფერენციებში:

ისტ. მეცნ. დოქტ. ე. ბუბულაშვილმა გამოსცა ნაშრომები:

1) „ქართული საეკლესიო საგალობლების აღდგენის ისტორიიდან“ (ჟ. „რელიგია“, №1);

2) „საინტერესო დოკუმენტი ეგზარქოსობის დროინდელი სამონასტრო ცხოვრების შესახებ (ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის მიმართვა ათონის მთაზე მოღვაწე მამებს)“ (გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №1-2);

3) „ღვაწლი დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძისა“ (ჟ. „სამი საუნჯე“, №2);

4) „სასულიერო სასწავლებლების დაარსების მცდელობა საქართველოს ეკლესიის აღდგენის პირველ წლებში“ (ჟ. „ანალები“, №10);

5) „ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხისათვის (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი) (ჟ. „ლოგოსი“, №4).

მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „მელიტონ კელენჯერიძე საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი“ (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი);

– „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და საეგზარქოსოს მმართველობა (1811-1917)“ (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი);

– „ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი)“ (საერთაშორისო სიმპოზიუმი „ღვთისმშობლის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“, თბილისი);

– „ზაქარია ჭიჭინაძე – აჭარის გულშემატკივარი“ (ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი);

– „მოსე ჯანაშვილის საეკლესიო მუზეუმში მოღვაწეობის ისტორიიდან“ (გელათის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკად. მიხეილ ქურდიანის 60 წლის იუბილესადმი, ქუთაისი-გელათი).

ისტ. მეცნ. დოქტ. ვ. გურულმა გამოაქვეყნა 2 მონოგრაფია:

– „ილია“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი;

– „მეფე-მამა. სტალინის ექსპერიმენტი“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი; გამოსცა, აგრეთვე, დოკუმენტებისა და მასალების კრებული „საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 138 გვ + 11 რუკა);

სახელმძღვანელოები:

1) საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან 1801 წლამდე (თანაავტორობით; გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი);

2) საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. (თანაავტორობით; გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი);

დაბეჭდა სამეცნიერო სტატიები:

1) „მოწამეობრივი ცხოვრების დასასრული (ილია ჭავჭავაძის მკვლელობა)“ (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. I);

2) „პოლიტიკური მკვლელობის ფიზიონომია“ (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. I);

3) „ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?“ (ჟ. „გული გონიერი“, №8);

4) „მცხეთის საპატრიარქო ტახტის გაუქმება“ (ჟ. „გული გონიერი“, №9);

5) „ეკლესიურის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივისა და მეცნიერულის ჰარმონია“ (კრ. „მეცნიერი-მღვდელმთავარი“);

6) „რექტორი“ (აკად. რ. მეტრეველის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილ კრებულში: „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“);

7) „ქართულ ენციკლოპედიაში“ (აკად. რ. მეტრეველის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილ კრებულში: „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“);

8) „დიდთა საქმეთა“ შემოქმედი“ (აკად. რ. მეტრეველის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილ კრებულში: „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“).

მონაწილეობა მიიღო 2 სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებებით:

– „ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის – „სოციალური და ეროვნული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“ – მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის“ (ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი);

– „მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე – წყაროთმცოდნე“ (მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის დაბადებიდან 65 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი).

ისტ. მეცნ. დოქტ. ს. ვარდოსანიძემ თანაავტორობით გამოსცა დოკუმენტების კრებული – „საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები“;

გამოსცა 4 მონოგრაფია:

– „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.)“ (თბილისი);

– „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.)“ (თბილისი);

– „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II“ (მოსკოვი);

– „გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები“ (თბილისი).

საანგარიშო წელს გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატიები:

1) „ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს ეკლესიის პრობლემები“ (კრ. „დიდი ექვთიმე“);

2) „საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი“ (აკად. რ. მეტრეველის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილ კრებულში: „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“);

3) „საქართველოს ეკლესიის ისტორია 1977-2014 წწ.“ (კრ. „ისტორია შეულამაზებლად“);

4) „პატრიარქ ლეონიდესა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დაპირისპირების ისტორიიდან“ (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის

ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. I).

მონაწილეობა მიიღო 5 სამეცნიერო კონფერენციაში.

ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. ვაჩნაძემ, როგორც შემდგენელმა და რედაქტორმა გამოსცა კრებული „დიდი ექვთიმე“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი). ამავე კრებულში დაიბეჭდა სტატია „ქართველ წმინდანთა „ადგილი სამარხოᲲ“ თურქეთში“;

თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა გამოჩენილი მედიევისტისა და სკანდინავისტის ა. გურევიჩის სამეცნიერო სტატია: „რა არის ისტორიული ფაქტი?“;

მოამზადა და დასაბეჭდად გაგზავნა მოსკოვის ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის დაკვეთით დაწერილი სამეცნიერო მოხსენება თემაზე: «Давид Ильич Арсенишвили. Штрихи к творческому портрету (по неизданным воспоминаниям современников)».

ისტ. მეცნ. დოქტ. გ. ოთხმეზურმა გამოაქვეყნა სტატიები:

1) „ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა“ (კრ. „დავიცვათ ქართული ეკლესიები, ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორია“);

2) „დმანის-ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკული ექსპედიციის ანგარიში“ (ელექტრონული ვერსია);

3) „ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა“ (კრ. „დიდი ექვთიმე“);

4) „ექვთიმე თაყაიშვილის „ძველი საქართველო“ (კრ. „დიდი ექვთიმე“);

5) „ვახტანგ გორგასალი“ (სამგანზომილებიანი წიგნი) (გამომცემლობა „პალიტრა L”);

მოხსენებით გამოვიდა კონფერენციაზე:

– „ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ისტორიის დამხმარე დისციპლინები – თანამედროვე ტენდენციები“, თსუ–ის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი).

ისტ. მეცნ. დოქტ. ო. ჟორდანიამ გამოაქვეყნა შრომები:

1) „გიორგი ძიძარია“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2);

2) „მივიწყებული გმირები: პირველი მსოფლიო ომის წმინდა გიორგის ორდენის კავალრები“ (I მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თელავი);

3) „კავკასიის საისტორიო–არქეოლოგიური ინსტიტუტი და ექვთიმე თაყაიშვილი (1917-1921 წწ.)“ (კრ. „დიდი ექვთიმე“).

მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო, ერთ რეგიონულ და ერთ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში; საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულ კომიტეტთან, ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად მოამზადა სამეცნიერო სხდომები, მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ძიძარიასა და პროფესორ პროკოფი რატიანისადმი.

ისტ. მეცნ. კანდ. გ. ბერაძე მუშაობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამწლიან პროექტზე: „მაზანდარანის პროვინციის (ირანის ისლამური რესპუბლიკა) ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა“.

მოხსენებით გამოვიდა კონფერენციაზე:

– „From Tabriz to Tiflis: On Some Iranian Artists Who Studied in Tbilisi (Late 19th – Early 20th Cent.)” („Looking Back and Ahead: An Insight into Iranian Influence in the Caucasus“, International Conference Dedicated to the 110th Anniversary of the Founder of the Institute of Oriental Studies Academician Giorgi Tsereteli”, თბილისი).

– „იმ ირანული ციხის შესახებ, სადაც მოწამეობრივად აღესრულა ქართლის მეფე ლუარსაბ II“ (ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აკად. გ. წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავს).

როგორც ეროვნული მუზეუმის მიწვეული ექსპერტ-კონსულტანტი თანამშრომლობდა მუზეუმის კოლექციებში დაცული ისლამური ხელოვნების ნიმუშების აღწერა-დამუშავების, კატალოგიზაციისა და მეცნიერული შესწავლის პროცესში, რის შედეგადაც მისი თანაავტორობითა და რედაქციით მომზადდა ვრცელი კატალოგი ქართულ და ინგლისურ ენებზე: „ისლამური ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (Islamic Art in the Georgian National Museum”). ამ კატალოგის (ტექსტის და ფერადი ილუსტრაციების) ელექტრონული ვერსია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად; მისი კონსულტაციით გადაღებულ იქნა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამის – „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ – ფარგლებში მომზადებული ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათის ტელეფილმის რამდენიმე სერია.

ისტ. მეცნ. კანდ. შ. გლოველი, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი, მუშაობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტზე: „საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)“. ამ პროექტის ფარგლებში საანგარიშო წელს განხორციელდა სამეცნიერო მივლინებები სამეგრელოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. აღიწერა ამ რეგიონებში მოძიებული ხელნაწერები და მონაცემები შევიდა მონაცემთა ბაზაში. იგი, აგრეთვე, მუშაობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტზე: „ქართულ ხელნაწერთა ანდერძების მონაცემთა ბაზა“. ეს პროექტი ითვალისწინებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენ-

ტრში დაცული ქართული ხელნაწერების ანდერძების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას.

მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ხელნაწერები პროფესორ ვარლამ დონდუას საბიბლიოთეკო ფონდიდან“ (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი);

– „ხელნაწერთა ფონდების შემადგენელი კოლექციების წარმომავლობასთან დაკავშირებული საკითხები (1958-2007)“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი).

ისტ. მეცნ. კანდ. ა. კოხრეიძემ გამოაქვეყნა წიგნი „თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის უცნობი ფურცლები“, I, თბილისი;

კრებულში „დიდი ექვთიმე“ გამოქვეყნდა მისი სტატია „ოღონდ განძეული გადარჩენილიყო (ეპიზოდი ე. თაყაიშვილის ცხოვრებიდან)“; ამავე კრებულში დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი რვა პუბლიკაცია, რომელთაგანაც ოთხი პირველად ქვეყნდება, ხოლო დანარჩენი ოთხი შეუდარდა დედანს, გასწორდა წინა პუბლიკაციაში დაშვებული შეცდომები და განხორციელდა მათი ხელახალი პუბლიკაცია.

ისტ. მეცნ. კანდ. რ. ლაბაძე მუშაობდა თემაზე: „ესქატოლოგიური დრო გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო ნარატივში“. გამოაქვეყნა ნაშრომი „ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციები უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში 1927-1938 წწ.“ (კრებულში: „დიდი ექვთიმე“). ნაშრომს თან ერთვის რ. ლაბაძის მიერ შესრულებული ე. თაყაიშვილის უცნობი მოხსენების თარგმანი ფრანგულიდან, რომელიც პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. მონაწილეობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაში „გიორგი ბოჭორიძე – 140“, სადაც წაიკითხა მოხსენება: „ძველი“ და „ახალი“ ისტორიები:

ფრანგული ისტორიული დისკურსი მ. ბლოკიდან ე. ლე რუა ლადიურიმდე“(თბილისი).

ისტ. მეცნ. კანდ. ქ. ნადირაძე მუშაობდა მონოგრაფიაზე „XIX საუკუნის მე-2 ნახევრის ისტორიოგრაფია“;

გამოაქვეყნა სტატიები:

1) „ექვთიმე თაყაიშვილი – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“ (თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII);

2) „ნაშრომები ისტორიული მეცნიერების ისტორიაში“ (აკად. რ. მეტრეველის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილ კრებულში: „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“, თბილისი);

მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში:

– „1924 წლის აჯანყება. კვლევის ისტორია“ (1924 წლის ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი);

– „XIX ს-ის მე-2 ნახევრის წყაროთმცოდნეობითი კვლევები“ (ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ისტორიის დამხმარე დისციპლინები – თანამედროვე ტენდენციები“, თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი).

ისტ. მეცნ. კანდ. გ. საითიძე მუშაობდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტზე: „ტაო-კლარჯეთი – ისტორიისა და კულტურის ძეგლები (გეოინფორმაციული სისტემა და ინტერაქტიული ვებ-რუკა)“, რომლის ფარგლებშიც კოლეგებთან ერთად ორჯერ იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში; გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი: „ერთი დოკუმენტი ტაოს ისტორიული ძეგლების შესახებ (1887-1888 წწ.)“ (III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ (მოხსენებათა თეზისები); ამ ნაშრომით გ. საითიძეს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს მის მიერ მიკვლეული უცნობი რუსულენოვანი ხელნაწერი სახელწოდე-

ბით: „Исторические памятники древности, находящиеся в Ольтинском округе, Карсской области“, რომლის ავტორი, აღწერილობის ბოლოში დართული ხელმოწერის მიხედვით, ოლთისის ნორმალური სასწავლებლის მეთვალყურე ივანე რამბიდი იყო;

მონაწილეობდა კონფერენციებში:

– „შეფიცულთა რაზმი“ საფრანგეთში (1924 წ.)“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, VI სამეცნიერო კონფერენცია – „XIX-XX საუკუნეების საქართველო – წყაროები და კვლევები“, თბილისი);

– „ერთი დოკუმენტი ტაოს ისტორიული ძეგლების შესახებ (1887-1888 წწ.)“ (III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ტაო-კლარჯეთი“, თბილისი);

– „ახლად აღმოჩენილი საქტიტორო რელიეფი იშხნის ტაძრიდან“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“, თბილისი).

საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიამ ჩაატარა შემდეგი სამუშაოები:

– საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად ჩაატარა კონფერენცია: „უძველესი ტრადიციული თესლოვანი კულტურები და მათი გადარჩენის პრობლემები“;

– კომისიაში და შემდგომ მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხეთა–მთიანეთის გუბერნატორის მოადგილის ინიციატივით განხილულ იქნა „მთის კანონი“;

– რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, კომისიის მონაწილეობით, ჩატარდა თათბირი „მთიანი რეგიონების განვითარება“;

– მეცხოველეობის სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარდა სესია „მთიან რეგიონებში მეცხოველეობა და მისი განვითარების გზები“ და სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „მეცხოველეობის პრობლემები საქართველოს მთიანეთში“;

– კომისიის გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ფილოლ. მეცნ. დოქტ. რამაზ პატარიძის მოხსენება ქართული ენის შესახებ. განხილულ იქნა მეცნ. დოქტ. გიორგი გიგაურის წიგნი „ფარული ნიშნები“;

– კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა მოსახლეობის კვების პროდუქტებითა და სურსათით უზრუნველყოფის პრობლემებს;

– რაჭის განვითარების კავშირთან, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებთან ერთად კომისიამ ჩაატარა სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „რაჭა XXI საუკუნის კვირაძალზე“;

– დასაბეჭდად მომზადდა შრომათა კრებული „ხევსურეთი“;

– დაბა ახმეტაში მოეწყო წიგნის „თუშეთი“ პრეზენტაცია და შეხვედრა თუშ მოსახლეობასთან. წიგნის მთლიანი ტირაჟი საჩუქრად გადაეცა მოსახლეობას.

– შედგა მთის კანონის განხილვა, გადაწყდა 1999 წელს მიღებული კანონის აღდგენა გარკვეული დამატებებითა და შესწორებებით. დადგენილების ოქმი გადაეგზავნა პარლამენტს;

– გამოიცა ორი შრომათა კრებული: „რაჭა“ და „თუშეთი“;

– გამოქვეყნდა კომისიის სწავლული მდივნის ბერდო გოიშვილის წერილები: „მთა ითხოვს შველას“ (ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1(715)); „საქართველოს საზღვარი და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა“ (ჟ. „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1);

– ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიებს“ დასაბეჭდად გადაეცა წერილი „რას სთავაზობენ მეცნიერები მთავრობას ჩვენი მთიანი რეგიონების გადასარჩენად“.

ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიამ 2014 წლის განმავლობაში ჩაატარა 6 სხდომა. კომისიის მუშაობა ძირითადად კონცენტრირებული იყო შემდეგ სამ სტრატეგიულ მიმართულებაზე:

1. რადიაციული ნარჩენების მართვის სამსახურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

2. ქ. თბილისში რადონის მონიტორინგის მრავალწლიანი პროგრამის შემუშავება;

3. სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე რადიაციული უსაფრთხოებისა და სამედიცინო ფიზიკის მიმართულებით სასწავლო პროგრამების შექმნა და ამუშავება.

გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში კომისიის წევრთა აქტიური მონაწილეობით გრძელდება ინტენსიური მუშაობა რადიაციული ნარჩენების მართვის სამსახურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კომისიის წევრთა აქტიური მონაწილეობით, გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავდა და მთავრობას დასამტკიცებლად გადაეგზავნა რადონის მონიტორინგის პროგრამა.

ატომური ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ორგანიზებით კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე – „რადიაციული მედიცინა: XXI საუკუნე – პერსპექტივები და გამოწვევები“. განხილულ იქნა მედიცინაში რადიაციული უსაფრთხოების ახალი ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ასპექტები, რადიაციულ დაცვაში ახალი ევროპული საკვალიფიკაციო სტანდარტი მედიცინის პროფესიონალებისათვის, განათლებისა და ტრენინგების ეროვნული ინფრასტრუქტურის მშენებლობაში საქართველოს სამეცნიერო-საექსპერტო და აკადემიური სექტორის ამოცანები, საერთაშო-

რისო-მარეგულირებელ და სამეცნიერო-საექსპერტო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით მათი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ცნობილი უცხოელი სპეციალისტები: მშვიდობის დარგში 2005 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი მადან რეჰანი (ავსტრია), პროფესორი ჯონ დამილაკისი (საბერძნეთი), პროფესორი დარელ ფიშერი (აშშ), პროფესორი ნიკოლას პალიკარაკისი (საბერძნეთი).

საქართველოს მხრიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები აკად. ფ. თოდუა, აკად. გ. ჯაფარიძე, ბიოლ. მეცნ. დოქტ. დ. ნადარეიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი თამარ სანიკიძე, ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორიის ხელმძღვანელი გიორგი ორმოცაძე.

აკადემიკოს ფ. თოდუას ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს უნივერსიტეტებში სამედიცინო ფიზიკის მიმართულებით სპეციალიზებული სასწავლო პროგრამებისა და მოდულების ამუშავებას.

ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია 2014 წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის სეისმური უსაფრთხოების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით მოსმენილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ გაბრიჩიძის შემდეგი მოხსენებები:

– „საქართველოს სამშენებლო დარგის განვითარების კონცეფცია, საგანმანათლებლო პროგრამა და მეცნიერების განვითარების პრიორიტეტები".

– „სამშენებლო დარგის ევროპის ტექნიკურ, სამართლებრივ და საგანმანათებლო სფეროსთან ინტეგრაციის საკითხები".

– „საქართველოს სეისმური დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამუშავების შესახებ”.

საქართველო იმყოფება სეისმურად აქტიურ რეგიონში. XX საუკუნეში საქართველოში მოხდა ორი 9 ბალიანი და რამდენიმე 8 და 7 ბალიანი მიწისძვრა. საბჭოთა პერიოდში მშენებლობას აწარმოებდა მხოლოდ სახელმწიფო და იგი მკაცრად კონტროლდებოდა. სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიას აყალიბებდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სპეციალური საბჭო, რომელიც კურირებდა რეგიონალურ სამეცნიერო ორგანიზაციებს.

დღეს საქართველოში სეისმური უსაფრთხოების საკითხების რეგულირების პრობლემა არადამაკმაყოფილებელია. რამდენიმე წლის წინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელმა კომისიამ შეიმუშავა ქვეყნის სეისმური დაცვის კანონის პროექტი და განსახილველად წარუდგინა მთავრობას. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ასეთი კანონი, ან პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, შესაძლო ძლიერი მიწისძვრის შედეგების შემცირების მიზნით, ქვეყანაში არ არსებობს.

ეს საკითხი დაისვა სპეციალურ წერილში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. კვესიტაძემ გაუგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს. წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოს, რომელთა წარმომადგენლებთან შეხვედრებისას დაისვა მიზნობრივი პროგრამის შემუშავებისა და მისი განხილვის შესაძლებლობის საკითხი.

დაინტერესებულ სამინისტროებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებს დაეგზავნათ 1997 წელს დამტკიცებული „საქართველოს სეისმური დაცვის 1998-2005 წწ. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის თემატური გეგმა” (რომელიც ფინანსების არარსებობის გამო არ შესრულდა) თხოვნით, წარმოედგინათ

წინადადებები ახალ მიზნობრივ პროგრამაში შესატანად. მიღებული წინადადებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა „საქართველოს სეისმური დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის 2015–2019 წლების პრიორიტეტები", რომელიც გადაეგზავნა ქვეყნის უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოს.

პროგრამა ხუთ პუნქტს შეიცავს:

1) ევროპულ მოთხოვნებთან ჰარმონიზებული სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება.

დღეს საქართველოში არ არსებობს მშენებლობის ტექნიკური რეგულირების სისტემა. ძირითადად მოქმედებს საბჭოთა პერიოდის ნორმები და შესაძლებელია 27 უცხო ქვეყნის ნორმების გამოყენებაც. პროგრამის ამ პუნქტის შესრულების მიზანია სიტუაციის გაუმჯობესება და ტექნიკური რეგულირების ევროპულ სისტემაზე გადასვლა, მათ შორის, სეისმომედეგი მშენებლობის ევროპული ნორმების დანერგვა.

2) არსებულ შენობა-ნაგებობათა სეისმური უსაფრთხოების შეფასება და მისი ამაღლების ღონისძიებები.

იმის გამო, რომ უდიდესი რაოდენობა ძველი შენობებისა აგებულია ანტისეისმური ღონისძიებების გარეშე, ანდა არ აკმაყოფილებენ სეისმომედეგობის შეფასების ახალ შეხედულებებს, უმწვავეს ტექნიკურ პრობლემას წარმოადგენს ამ ნაგებობების რეალური სეისმური რესურსის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, მათი სეისმომედეგობის ამაღლების რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ამ პუნქტის შესრულების პროცესში დამუშავდება მეთოდოლოგიური დოკუმენტები, განისაზღვრება პრიორიტეტები.

3) ჟინვალის კაშხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მთელი რიგი თეორიული გაანგარიშებები მიანიშნებს, რომ ჟინვალის კაშხლის შესაძლო ავარიის შემთხვევაში დატბორვის ზონაში მოექცევა უზარმაზარი რეგიონი ჟინვალიდან რუსთავამდე. მეცნიერები თბილისში რამდენიმე მეტრის

სიმაღლის წყლის ტალღას ვარაუდობენ. პროგრამის ეს პუნქტი ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლას, დატბორვის კატასტროფული შედეგების შემცირების ღონისძიებების შემუშავებასა და ავარიის შემთხვევაში შეტყობინების სისტემის მოწყობას გულისხმობს.

4) საერთაშორისო სამხედრო გზის (მცხეთა-ლარსის) საიმედო ფუნქციონირებისათვის მეწყრული მოვლენების შესაძლო განვითარების გამოვლენა, შეფასება და შედეგების შერბილების ღონისძიებების დასახვა.

ბოლო წლებში ამ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო მაგისტრალზე განვითარებული მოვლენები გვაიძულებს ყველანაირად შეფასდეს შესაძლო რისკები და მათი შერბილების ღონისძიებების ეფექტურობა. პროექტის ამ პუნქტში მეწყრების განვითარების დაკვირვებითი სურათი უკავშირდება ტექტონიკური რღვევების არსებულ სტრუქტურას, რაც შესაძლებელს ხდის მოვლენის განვითარებისა და ავარიების პრევენციის ახლებურ გააზრებას.

5) საგანგებო სიტუაციების მართვა.

საგანგებო სიტუაციების მართვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს, მათ შორის, ისეთებისას, როგორიცაა ქალაქებისა და მსხვილი დასახლებების ნგრევის სურათის სცენარის კომპიუტერული გათამაშება ძლიერი მიწისძვრისას. წარმოდგენილი პროგრამის ამ პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია იმიტაციური სცენარების გათამაშებისა და მათზე რეაგირების მეთოდოლოგიური და პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება, სიმულაციური ვარჯიშების ჩატარება.

საქართველოს „კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" ითვალისწინებს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შემუშავებას, რომელშიც, სხვა საფრთხეებთან ერთად განხილულ იქნება სეისმური საფრთხეც. აკადემიის მიერ დამუშავებულ მიზნობრივ პროგრამაში შეტანილი სხვადასხვა პუნქტის ეროვნულ გეგმაში შეტანის შესაძლებლობების, ფი-

ნანსური უზრუნველყოფისა და რეალიზაციის ფორმებზე გაიმართა მსჯელობა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წარმომადგენლებთან.

ნანოტექნოლოგიების პრობლემების შემსწავლელმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა რამდენიმე სემინარი თემაზე „ნანოტექნოლოგიების სხვა ტექნოლოგიებთან შერწყმის შესაძლებლობები". გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ჯგუფმა ჩაატარა მე-3 საერთაშორისო კონფერენცია „ნანოტექნოლოგიები" (ნანო-2014), რომლის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ა. ფრანგიშვილი, ხოლო წევრები – ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები.

კოფერენციაზე წარმოდგენილი იყო 121 მოხსენება, აქედან 63 უცხოელი ავტორის, რომელთაგან 42 უშუალოდ მონაწილეობდა კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციამ მაღალ სამეცნიერო დონეზე ჩაიარა.

საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი აქტიურად განაგრძობდა თანამრომლობას საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, რომლებთანაც ერთად ახორციელებდა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებს.

ისტორიკოსთა კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ ლექციათა ციკლში, რომელიც ჩატარდა ტბელ-აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. ლექციებს უძღვებოდა საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე აკად. რ. მეტრეველი. კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ ქ. რუსთავში ე. თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე გამართულ რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა

ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას, კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და აჭარის წამყვან მეცნიერთა შეხვედრაში ქ. ბათუმში.

კომიტეტი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად იყო არაერთი სამეცნიერო კონფერენციისა თუ ფორუმის ორგანიზატორი და მონაწილე, კერძოდ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად მოამზადა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლების საკითხებისადმი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ზურაბ წერეთლის ფონდთან ერთად ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში". კომიტეტმა კონფერენციაზე წარადგინა 4 მოხსენება. კონფერენციის პლენარულ და შემაჯამებელ სხდომებს უძღვებოდა აკად. რ. მეტრეველი.

კომიტეტი მონაწილეობდა აკადემიკოსების ვახტაგ ბერიძისა და ანდრია აფაქიძის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პარმენ ზაქარაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომების მუშაობაში.

2014 წელს ფართოდ აღინიშნა აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ძიძარიას დაბადების 100 წლისთავი, რომელიც ორგანიზებული იყო ისტორიკოსთა კომიტეტის, ე. თაყაიშვილის საისტორიო საზოგადოებისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. ამავე სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობით შედგა პროფ. პროკოფი რატიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა.

კომიტეტმა აფხაზეთის მთავრობასთან ერთად განიხილა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2011-2014 წწ. გაწეული მუშაობის ანგარიში.

2014 წელს კომიტეტმა განახორციელა არაერთი პუბლიკაცია: ინგლისურ ენაზე პირველად გამოიცა „ქართლის

ცხოვრების” სრული ტექსტი, გამოქვეყნდა კოლექტიური ნაშრომი, მიძღვნილი ე. თაყაიშვილის ხსოვნისადმი. ორივე გამოცემა მომზადდა აკად. რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს” (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) სარედაქციო კოლეგიასთან, რითაც ხელს უწყობდა ჟურნალის ნომრების მაღალ აკადემიურ დონეზე გამოცემას.

საქართველოს (კავკასიის) გენოფონდის შემსწავლელმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 5 შეკრება სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის საკითხზე.

– კომისიის წევრთა აქტიური მონაწილეობით ჩატარდა მედიცინის ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების (ISHM) 44-ე მსოფლიო კონგრესი (კონგრესის პრეზიდენტი პროფ. რ. შენგელია). კონგრესის ერთ-ერთი ძირითადი მასპინძელი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

– გაღრმავდა კავშირი პენსილვანიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტთან, რომლის ხელმძღვანელი ესწრებოდა აღნიშნულ კონგრესს და საჯარო ლექციაც ჩაატარა;

– პენსილვანიის უნივერსიტეტთან ერთად დასასრულს უახლოვდება მუშაობა სვანების პოპულაციური გენეტიკის შესწავლის მიმართულებით. ორი სტატია კომისიის წევრების თანაავტორობით უნდა დაიბეჭდოს პრესტიჟულ ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალებში;

– დაიგეგმა და ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს მონოგრაფიაზე – „სვანეთი და სვანები”, რომელიც ამ კუთხის კომპლექსურ შესწავლას გულისხმობს (ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ლინგვისტიკა, ანთროპოლოგია, დაავადებათა ეპიდემიოლოგია, პოპულაციური გენეტიკა);

– 2015 წლის ზაფხულისთვის მზადდება სამეცნიერო ექსპედიცია სამეგრელოსა და ლაზეთის გენეტიკური შესწავლის მიზნით;

– პენსილვანიის უნივერსიტეტთან, კერძოდ, პროფესორ თეოდორ შურთან, ზეპირი სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, რეალურია დისტანციური სწავლების მეთოდით პოპულაციური გენეტიკისა და ბიოსტატისტიკის სწავლება შერჩეული მიზნობრივი ჯგუფისთვის;

– კომისიის ინიციატივითა და ორგანიზებით საქართველოში პირველად ჩატარდა მოსახლეობის ჯგუფის (136 ინდივიდი) გენეტიკური შესწავლა. მიღებული შედეგები სტატისტიკურად მუშავდება და საბოლოო შედეგები მოკლე ხანში წარედგინება აკადემიურ საბჭოს;

– კომისიის წევრმა მეცნ. დოქტ. ნინო ჩიქოვანმა აშშ–ს სოლიდურ სამეცნიერო ჟურნალში წარადგინა სტატია დასავლეთ საქართველოს პოპულაციური ჯგუფების აუტოსომური კვლევის შესახებ;

– შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გრანტის მოსაპოვებლად წარდგენილია პროექტი ქართველი ებრაელებისა და საქართველოში მცხოვრები ასირიელების გენეტიკური კვლევის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს გ. კვესიტაძის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სამეცნიერო მივლინების შემდგომ დამყარდა პერსპექტიული ურთიერთობები ჩინელ მეცნიერებთან.

საგამომცემლო-სარედაქციო საბჭო. საანგარიშო წელს ჩატარდა საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს 3 სხდომა, რომლებზეც განხილულ იყო 15 საკითხი. აქედან 10 - აკადემიის დაფინანსებით წიგნების გამოცემას ეხებოდა. გარდა ამისა, საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ახალი წევრები; მომზადდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს განახლებული დებულება, დადგინდა საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოში ნაშრომის დედნის წარმოდგენის ერთიანი წესები; დაზუსტდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბაში წიგნების გამოცემისა და განკარგვის წესები.

საანგარიშო წელს საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს დადგენილებით აკადემიის დაფინანსებით გამოცემულია:

1. გ. ამირანაშვილის სამეცნიერო ნაშრომი „წმინდა ნინოს ცხოვრების ქრონოლოგია და ქრისტიანული ქართლის ისტორიის საკითხები“;

2. „რელიგიის ისტორია“, II ტ.;

3. აკად. ე. ჯაველიძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ფილოლოგიური სამეცნიერო კრებული;

4. აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძის და პროფ. შ. ხიდაშელის ნაშრომი „საქართველოს სამკურნალო მცენარეები“;

5. პროფ. კ. მაჩაბლის ნაშრომი „ქართული ქრისტიანული ხელოვნების სათავეებთან“;

6. აკად. გ. ცინცაძის მონოგრაფია „ტრანს-დიიზოსელენოციანატოტეტრადიმეთილფორმამიდ-ნიკელის(II)-ის [$Ni(NCSE)_2(DMFA)_4$] კრისტალების რენტგენოსტრუქტურული გამოკვლევა“;

7. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა (ტექსტი, ვარიანტები, კომენტარი) 1 წიგნი;

8. კრებული აკად. ი. ბერიტაშვილის დაბადების 130 წლისთავთან დაკავშირებით „მოგონებები ივანე ბერიტაშვილზე“;

9. გამოსაცემად მზად არის აკად. წევრ-კორ. ნ. ალექსიძის მონოგრაფია „ფსიქობიოლოგიის საფუძვლები“.

პერიოდული გამოცემები

2014 წელს გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემდეგი ჟურნალები:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე – სამი ნომერი ტ. 8, №1 (145 გვ., 23 სტატია, 69 ავტორი), №2 (147 გვ., 21 სტატია, 48 ავტორი), №3 (128 გვ., 19 სტატია, 52 ავტორი) (ინგლისურ ენაზე);

ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“ სერიები:

„ქიმია“ – 2014 წელს გამოიცა ქიმიის სერიის ტ. 40 ორი წიგნი: №1 (22 სამეცნიერო სტატია – 12 ქართულ, 2 ინგლისურ და 8 რუსულ ენაზე), №2-3 (27 სამეცნიერო სტატია – 13 ქართულ, 6 ინგლისურ და 8 რუსულ ენაზე) და ინფორმაცია მას– სპექტრომეტრიის მე-10 საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომელიც ჩატარდა თბილისში;

„ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორია“ – დაიბეჭდა ჟურნალის ორი ნომერი. სულ გამოქვეყნდა 42 ქართველი და უცხოელი ავტორის სტატია.

„ბიომედიცინა“ – ტ. 40, №№1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10, 11-12 (40 სტატია, აქედან 4 საზღვარგარეთიდან);

„საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ – 21-ე ტომის 4 ნომერი (517 გვ. ინგლისურ ენაზე). ტომი შეიცავს 20 ქვეყნის 81 ავტორის 51 სტატიას (12 სტატია ქართველი ავტორის, 38 – უცხოელი, 1 – ერთობლივი);

ჟურნალი „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ – 61-ე (162 გვ), 62-ე (170 გვ.) და 63-ე (158 გვ.) ტომები (ინგლისურ ენაზე). სულ გამოქვეყნდა 8 ქვეყნის 21 ავტორის შრომა;

ჟურნალი „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“ – №1-2, რომელშიც გამოქვეყნდა 45 ავტორის 11 სტატია;

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ 3 ტომად: №1(715), №2(716), №3(717). პირველ ტომში დაიბეჭდა 49 ავტორის 17 სტატია, მეორე ტომში – 49 ავტორის 16 სტატია, მესამე ტომში – 51 ავტორის 19 სტატია.

საორგანიზაციო საქმიანობა

სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურმა აკადემიის წევრების სამეცნიერო ანგარიშების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, აკადემიის სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული აპარატის სამსახურების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის ანგარიში (366 გვ.), რომელიც დაამტკიცა აკადემიის საერთო კრებამ 2014 წლის 2 ივლისს.

სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახური მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის 2014 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების მომზადებაში.

თანახმად საქართველოს კანონისა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეფასდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების 2013 წლის სამეცნიერო საქმიანობა.

სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურში შემოსული ანგარიშები კლასიფიცირებულ იქნა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით და საექსპერტო შემოწმებისათვის გადაეცა შესაბამის სამეცნიერო განყოფილებებს.

სულ შეფასდა 7 სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მათთან გაერთიანებული 33 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისა და რამდენიმე დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების 294 სამეცნიერო ანგარიში, მათ შორის, უმაღლესი შეფასება მიიღო 124-მა, დამაკმაყოფილებელი 168-მ, უარყოფითი – 2-მა ანგარიშის არასრულყოფილების გამო.

ანგარიშები შეაფასა 162-მა ექსპერტმა, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 45-მა წევრმა (დანართი 1, 2).

კადრების სამსახური. 2015 წლის 1 იანვრისათვის აკადემიაში იყო 61 აკადემიკოსი (ნამდვილი წევრი), 40 წევრ-კორესპონდენტი, 4 საპატიო აკადემიკოსი, 1 საპატიო უცხოელი წევრი და 96 უცხოელი წევრი.

აკადემია შედგებოდა აკადემიური საბჭოსაგან, 9 სამეცნიერო განყოფილების, აკადემიასთან არსებული 3 სტრუქტურული ერთეულისა და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებთან არსებული 30 დარგობრივი კომისიისაგან.

აკადემიის აკადემიურ საბჭოში იყო 22 წევრი, მ.შ. პრეზიდენტი, 2 ვიცე-პრეზიდენტი, 1 აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, 9 სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და საბჭოს სხვა 9 წევრი.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებში დასაქმებული იყო სწავლული მდივანი – 9, მ.შ. მეცნიერებათა კანდიდატი – 8.

აკადემიურ საბჭოს ემსახურება ადმინისტრაციული აპარატი, სადაც 2015 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 73,75 თანამშრომელი, მ.შ. მეცნიერებათა დოქტორი – 2, მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი) – 16, ვადიანი ხელშეკრულებით აკადემიაში დასაქმებული იყო 21 თანამშრომელი.

2014 წელს აკადემიის თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდნენ თვალსაჩინო მეცნიერები – აკადემიკოსები ჯუმბერ ლომინაძე, აბესალომ ვეკუა, ნიკოლოზ ვახანია, ლევან მახვილაძე და აკადემიის წევრ-კორესპონდენტები რევაზ ბანცური და თამაზ იამანიძე.

უცხოეთთან ურთიერთობის სამსახურმა 2014 წლის განმავლობაში უზრუნველყო აკადემიის საერთაშორისო კონტაქტების, კერძოდ, ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ორგანიზაციული მხარეები:

ისრაელის მეცნიერებათა აკადემიასთან ხელშეკრულების განახლება; ხაზარის უნივერსიტეტთან (ბაქო) მემორანდუმზე ხელმოწერა; სამრეწველო ბიოტექნოლოგიის სფეროში ავსტრიის სამრეწველო ბიოტექნოლოგიის ცენტრთან სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება; დონის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე შეთანხმების ხელმოწერა.

ქ. იანტაის (ჩინეთის) ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრთან ხელშეკრულება, რომლის თანახმად შეიქმნა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის ჩინეთ-საქართველოს ცენტრი.

საქართველოში აკრედიტებული ელჩების რიჩარდ ნორლანდის (აშშ), იუვალ ფუქსის (ისრაელი), ერმუხტ ერტისბაევის (ყაზახეთი) ვიზიტები აკადემიაში.

მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის განყოფილების დირექტორის ჰენრი კერალის შეხვედრა აკადემიის პრეზიდენტთან აკად. გ. კვესიტაძესთან, სადაც იმსჯელეს მეცნიერების, როგორც განათლების ნაწილის, ჯანდაცვის სოციალურ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობაზე.

შედგა ბრიტანელი მოგზაურის, მწერლისა და მეცნიერის ტიმ სევერინის; რუსეთის მედიცინის აკადემიის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი კარდიოქირურგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის, პროფ. ლეო ბოკერიას; უკრაინის სამეცნიერო–ტექნოლოგიური ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის, პროფ. ვიკ კორსუნის; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის პროფ. თამაზ სამხარაძისა და USID-ის ექსპერტის მეცნიერების საკითხებში კარიმ ნეჯა-

დის; მეცნიერებისა და ხელოვნების მსოფლიო აკადემიის საპატიო პრეზიდენტის ივო სლავუსის; NATO-ს სამეცნიერო სექციის სიცოცხლის შემსწავლელი პროგრამების კოორდინატორის პროფ. ვალტერ კაფენბერგერის; ვენის ბუნებრივი რესურსებისა და გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის ვინფრედ ბლუმის; ირანის ისლამური რესპუბლიკის მეჯლისის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის, ESTH-ის (გარემო, მეცნიერება, ტექნოლოგია და ჯანმრთელობა) წარმომადგენლების რაფი ბალიანისა და თიბორ კოვაჩსის და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის რაფალ სმოჟინსკის ვიზიტები აკადემიაში.

საანგარიშო წელს უცხოეთთან ურთიერთობის სამსახური დროულად ავრცელებდა მიღებულ ინფორმაციას გამოცხადებულ საერთაშორისო პროექტებზე, გრანტებსა და სახელობით პრიზებზე. აწარმოებდა მიმოწერას უცხო ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში 2013 წლისათვის დაცული იყო 120422 შესანახი ერთეული. 2014 წელს ამ ერთეულებს დაემატა მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის 1986–1992 წლების საარქივო დოკუმენტების 370 შესანახი ერთეული. დამუშავდა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის პირადი არქივი, რომელმაც შეადგინა 3000 შესანახი ერთეული. სპეციალურად შექმნილი ფონოტეკისათვის არქივს გადმოეცა 55 ერთეული ვიდეო და ფოტომასალა. არქივში დაცული სამეცნიერო მასალებით ისარგებლა 32 მეცნიერმა და მკვლევარმა. დაწესებულებებსა და კერძო პირებზე გაცემულია 81 ცნობა და საარქივო ამონაწერი.

კომპიუტერულმა სამსახურმა ერთი წლის განმავლობაში მოამზადა ჟურნალ „მოამბის“ სამი ნომრის ელექტრონული ვერსია (ტ. 8, №1; ტ. 8, №2; ტ. 8, №3). სამივე განთავსდა ვებ-გვერდზე.

განყოფილებამ მოამზადა:

– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის ანგარიში.

– 2014 წელს ჩატარებული ღონისძიებების მოსაწვევები და ბუკლეტები;

– უცხოელი წევრების არჩევის დიპლომები;

– აკადემიის მიერ გაცემული დიპლომები;

– დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის 2014 წლის 2 ნომერი.

მომზადდა ელექტრონული ვერსიები და დაიბეჭდა აკადემიის კომისიებისა და განყოფილებების მიერ წარმოდგენილი წიგნები და ბუკლეტები; შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა; მოხდა ქსელის კაბელების ტესტირება; დამონტაჟდა ახალი ქსელური აპარატურა. განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო და ტექნიკურად უზრუნველყო ტენდერების დროული და გამართული ჩატარება. განახლდა კომპიუტერული ტექნიკის ნაწილი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით; უზრუნველყო რამდენიმე წიგნის პრეზენტაცია. დაიგეგმა მომავალი წლისათვის შიდა ქსელის გაუმჯობესების გზები.

საფინანსო სამსახური.

I. 2014 წლის დამტკიცებული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტით შეადგენდა **3610 ათას ლარს.** წლის განმავლობაში ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა **3719,5 ათასი ლარი.** ბიუჯეტის ზრდა შეადგენს **109,5 ათას ლარს** (3%).

ასიგნებები გამოიყო შემდეგ მიმართულებებზე:

1. **შრომის ანაზღაურება – 3324,5 ათასი ლარი,** მათ შორის:
   – თანამდებობრივი სარგო – 1246,6 ათასი ლარი;
   – წოდებრივი სარგო – 1953,8 ათასი ლარი;
   – პრემია – 106,2 ათასი ლარი;
   – დანამატი – 17,9 ათასი ლარი.
2. **საქონელი და მომსახურება 333,4 ათასი ლარი,** მათ შორის:
   – მივლინება – 37,2 ათასი ლარი;
   – შტატგარეშე ხელფასი – 50,1 ათასი ლარი;
   – კომუნალური (ელექტროენერგია, გაზი, წყალი, დასუფთავება) – 67 ათასი ლარი;
   – კავშირგაბმულობის –23 ათასი ლარი;
   – საფოსტო ხარჯები – 8,8 ათასი ლარი;
   – პრესაში გამოქვეყნების ხარჯები – 8 ათასი ლარი;
   – ქაღალდი – 5,6 ათასი ლარი;
   – სამეურნეო საქონელი – 2,4 ათასი ლარი;
   – პოლიგრაფიული მასალები – 9,6 ათასი ლარი;
   – აუდიტური მომსახურება – 1,8 ათასი ლარი;
   – სასამართლოს აღმასრულებელი – 6,2 ათასი ლარი;
   – წარმომადგენლობითი (სამეცნიერო -კონფერენციები და სხვა ღონისძიებები) – 27,2 ათასი ლარი;
   – ოფისის ხარჯი (მცირეფასიანი) – 18,5 ათასი ლარი;
   – ოფისის ხარჯი (საკანცელარიო) – 8,7 ათასი ლარი;
   – სატრანსპორტო ხარჯები – 33,2 ათასი ლარი;
   – სხვა ხარჯები – 26,1 ათასი ლარი.
3. **არაფინანსური აქტივების ზრდა – 61 ათასი ლარი,** მათ შორის:
   – ენციკლოპედია „საქართველოს“ III ტომის დაბეჭდვის – 16 ათასი ლარი;
   – კომპიუტერული ტექნიკის შეძენის –15 ათასი ლარი;
   – ავეჯი –12 ათასი ლარი;

– შენობის მომსახურება, კომპიუტერული ქსელის მოდერნიზაცია და ა. შ. – 12 ათასი ლარი.

II. აკადემიის საკუთარმა შემოსავლებმა 2014 წელს (წინა წლის ნაშთთან ერთად) შეადგინა **205 ათასი ლარი,** მათ შორის, 182 ათასი ლარი წარმოადგენს საიჯარო შემოსავალს. **ხარჯებმა** შეადგინა **198 ათასი ლარი,** მათ შორის:

– ხელფასი და დახმარება – 68 ათასი ლარი;
– მივლინება – 6,9 ათასი ლარი;
– სასტამბო – 8,7 ათასი ლარი;
– სხვადასხვა საწევრო შენატანი – 7 ათასი ლარი;
– კვების პროდუქტები – 5,7 ათასი ლარი;
– ავტოტრანსპორტის შეძენის – 36,3 ათასი ლარი;
– კონდიციონერები, ავეჯი, წიგნები და ა.შ. – 16,0 თასი ლარი;
– სატრანსპორტო – 2,9 ათასი ლარი;
– სტატიები – 2,4 ათასი ლარი;
– სასამართლოს ბაჟი – 1,4 ათასი ლარი;
– სამეცნ. ღონისძ. დაფინანსება – 1,6 ათასი ლარი;
– საჩუქრები (წარმომადგენლობითი) –1,8 ათასი ლარი;
– გადასახადები ბიუჯეტში – 26 ათასი ლარი;
– სხვა – 13,3 ათასი ლარი.

სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების 2013 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება

1. ა(ა)იპ – ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი** 1. ეკონომიკის მიმართულება 2. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფ. **მ. კაკულია**	+
2.	**იურიდიული ფაკულტეტი**	– “ –	აკად. **ჯ. ხეცურიანი**	**Δ**
3.	**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**	– “ –	თსუ-ის პროფ. **მ. მაცაბერიძე**	+
	1. პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+
	2. ფსიქოლოგიის მიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+
	3. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+

1	2	3	4	5
4.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **დ. მუსხელიშვილი**	+
	2. ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. მაისურაძე**	+
	3. საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ. **გ. ჭეიშვილი**	+
	4. აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი			
	ა) ფილოლოგიის ნაწილი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ვ. შენგელია**	**Δ**
	ბ) ისტორიის ნაწილი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. ვაჩნაძე**	+
	5. კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **გ. ლორთქიფანიძე**	+

1	2	3	4	5
	6. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	**Δ**
	7. ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. **გ. თევზაძე**	+
	8. ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ჯ. ხეცურიანი**	+
	9. პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+
	10. მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ. **გ. ჭეიშვილი**	+
	11. ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	**Δ**
	12. ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	**Δ**
	13. ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ე. ჯაველიძე**	+
	14. თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. **გ. კვარაცხელია**	**Δ**

1	2	3	4	5
	15. თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **ე. ჯაველიძე**	+
	16. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **აპ. სილაგაძე**	**Δ**
	17. თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. შენგელია**	+
	18. კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. შენგელია**	+
	19. დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	20. რუსისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. შენგელია**	+
	21. უკრაინისტიკის ცენტრი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. შენგელია**	+
	22. ისრაელის ცენტრი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. შენგელია**	+
	23. სკანდინავისტიკის ცენტრი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. შენგელია**	+

1	2	3	4	5
5.	**მედიცინის ფაკულ-ტეტი**			
	1. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	კლინიკური მედიცი-ნის ს/კ ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, მედიც. მეცნ. დოქტ. **დ. გაჩეჩილაძე**	**Δ**
	2. თერაპიისა და მე-ანობა-გინეკოლოგია-რეპროდუქტოლოგი-ის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ქ. ნემსაძე**	+
	3. ინფექციურ დაავა-დებათა და კლინი-კური იმუნოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	დაავადებათა კონ-ტროლისა და საზო-გადოებრივი ჯან-მრთელობის ეროვ-ნული ცენტრის დი-რექტორი, მედიც. მეცნ. დოქტ. **ა. გამყრელიძე**	**Δ**
	4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარ-ტამენტი	– “ –	დაავადებათა კონ-ტროლისა და საზო-გადოებრივი ჯანმრ-თელობის ეროვნუ-ლი ცენტრის სამეც-ნიერო საბჭოს მრჩე-ველი, მედიც. მეცნ. დოქტ., პროფ. **გ. კაციტაძე**	**Δ**
	5. უროლოგიის დეპარტამენტი	– “ –	თსსუ-ის უროლო-გიის დეპარტამენტის სრული პროფ. **დ. ქოჩიაშვილი**	**Δ**

1	2	3	4	5
	6. სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	უნივერსიტეტ გეო-მედი-ს სტომატოლოგიური ფაკულტეტის თავმჯ., მედიც. მეცნ. დოქ., პროფ. **თ. ოქროპირიძე**	**Δ**
	7. ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	თსსუ-ის შინაგანი მედიცინის დეპარ-ტამენტის ხელმძღ., პროფ. **გ. ქავთარაძე**	**Δ**
	8. ონკოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **ფ. თოდუა**	+
	9. რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **რ. შაქარი-შვილი**	**Δ**
	10. ადამიანის ნორმა-ლური ანატომიის, ტოპოგრაფიული ანა-ტომიისა და ოპერა-ციული ქირურგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **ფ. თოდუა**	**Δ**
	11. ქირურგიის დეპარტამენტი	– “ –	თსსუ-ის პროფ., საქართველოს ტრან-სპლანტოლოგთა ასოციაციის ხელმძღ. **გ. თომაძე**	**Δ**
	12. ოფთალმოლო-გიის დეპარტამენტი	– “ –	პეტრე შოთაძის სახ. სამედიცინო აკადე-მიის თვალის სნეუ-ლებათა დეპარტა-მენტის ხელმძღ., სრული პროფ. **ი. ბერაძე**	**Δ**

1	2	3	4	5
6.	**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი** *1. მათემატიკის დეპარტამენტი*			
	1) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრა	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **ნ. ვახანია** სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ვ. ტარიელაძე**	**Δ**
	2) ალგებრა-გეომეტრიის კათედრა	– “ –	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სსთ, განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **თ. ქადეიშვილი**	+
	3) დიფერენციალური განტოლებების კათედრა	– “ –	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთ. მეცნ. თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ს. ხარიბეგაშვილი**	+
	4) მათემატიკური ანალიზის კათედრა	– “ –	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **გ. ონიანი**	**Δ**

1	2	3	4	5
	5) მექანიკის კათედრა	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის მათემატიკის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **დ. ნატროშვილი**	**Δ**
	6) გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორია	– “ –	სტუ-ის სრული პროფ. **ა. კირთაძე**	+
	7) მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორია	– “ –	სოხუმის სახელმწ. უნივერსიტეტის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **თ. ჩილაჩავა**	+
	8) უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხების ლაბორატორია	– “ –	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის თეორიის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ნ. შავლაყაძე**	+
	2. ინტერდისციპლინური – მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები			
	1) სამეცნიერო ქვემიმართულება: რიცხვითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრა	– “ –	სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ჯ. სანიკიძე**	**Δ**

1	2	3	4	5
	2) მათემატიკური ლოგიკა, დისკრეტული სტრუქტურების ინტერდისციპლინური კათედრა	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის სრული პროფ. **ა. კირთაძე**	**Δ**
	3. ფიზიკის დეპარტამენტი			
	1) არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრა	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **Δ**
	2) ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების თეორიის კათედრა	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **+**
	3) ასტროფიზიკის კათედრა	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **+**
	4) ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრა	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **Δ**
	5) პლაზმის ფიზიკის კათედრა	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **Δ**
	6) კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრა: ზეგამტარობისა და მაგნეტიზმის მიმართულება	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **Δ**

1	2	3	4	5
	7) კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრა: მიკრო და ნანოელექტრონიკის მიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **+**
	8) კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრა: ნახევარგამტარებისა და ნანოსტრუქტურების მიმართულება	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**+** **+**
	9) რადიოფიზიკის, ფიზიკური პროცესების მოდელირების ქვემიმართულება	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი** აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ** **Δ**
	4. კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნ. მეცნ. კანდ., პროფ. **გ. აბდუშელიშვილი**	**Δ**
	5. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი	– “ –	საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნ. მეცნ. კანდ., პროფ. **გ. აბდუშელიშვილი**	**Δ**

1	2	3	4	5
	6. ქიმიის დეპარტამენტი			
	1) ორგანული ქიმიის ქვემიმართულება და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი, ქიმ. მეცნ. დოქტ. **ე. ელიზბარაშვილი** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. წერეთელი**	**Δ**
	2) ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულება და ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. ციციშვილი**	**Δ**
	3) ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულება	– “ –	თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **შ. ჯაფარიძე**	+
	4) ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორია	– “ –	სტუ-ის ქიმიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის არაორგანული და ანალიზური ქიმიის მიმართულების პროფ., ქიმ. მეცნ. დოქტ. **ი. შათირიშვილი**	+

1	2	3	4	5
	5) მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულება	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **გ. პაპავა**	+
	6) ბიოორგანული ქიმიის მიმართულება	– “ –	თსსუ-ის სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღ., პროფ. **ბ. არზიანი**	+
	7. ბიოლოგიის დეპარტამენტი მიმართულებები: გენეტიკა, ბიოქიმია, მორფოლოგია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია, ბიომრავალფეროვნება, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, ბიოფიზიკა	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **თ. ზაალიშვილი**	+
	8. გეოგრაფიის დეპარტამენტი 1) გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრა	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილების ხელმძ., გეოგრ. აკადემიური დოქტ. **გ. ლომინაძე**	**Δ**

1	2	3	4	5
	2) ნიადაგების გეოგრაფიის კათედრა	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილების ხელმძ., გეოგრ. აკადემიური დოქტ. **გ. ლომინაძე**	**Δ**
	3) ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის მიმართულება	– “ –	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, გეოგრ. აკადემიური დოქტ. **ე. სალუქვაძე**	**Δ**
	4) საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა	– “ –	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, გეოგრ. აკადემიური დოქტ. **ე. სალუქვაძე**	**Δ**
	5) მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორია	– “ –	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, გეოგრ. აკადემიური დოქტ. **ე. სალუქვაძე**	**Δ**
	6) ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიისა და მეტეოროლოგიის კათედრა	– “ –	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი **თ. ყარალაშვილი**	**Δ**

1	2	3	4	5
	7) გეოფიზიკისა და იონოსფეროს ს/ს ლაბორატორია	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნ. თანამშრ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **კ. თავართქილაძე**	+
	9. გეოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **მ. კაკაბაძე**	+
	10. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო სტრუქტურული ერთეულები			
	1) ილია ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის თეორიის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ნ. შავლაყაძე** უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ო. ჭკადუა**	Δ
	2) მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. კვინიხიძე**	Δ
	3) გამოთვლითი ფიზიკის ს/კ ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	Δ

1	2	3	4	5
	4) გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების ს/კ ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ**
	5) ნახევარგამტართა ფიზიკის ს/კ ინსტიტუტი	– “ –	სტუ-ის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ა. გერასიმოვი**	**+**
	6) ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ა. ბიბილაშვილი**	**Δ**
	7) მეტალორგანული ქიმიის ს/კ ინსტიტუტი	– “ –	სტუ-ის სამედიცინო ბიოტექნოლოგიისა და ბიოინჟინერიის ცენტრის ხელმძღ., სრული პროფ. **რ. ქაცარავა**	**Δ**
	8) არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების ს/კ ინსტიტუტი	– “ –	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფ. **ზ. ფაჩულია**	**Δ**
	9) გამოყენებითი ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. დიდებულიძე**	**Δ**

1	2	3	4	5
	მიერთებული ინსტიტუტები			
1.	ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **ნ. ვახანია** სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ვ. ტარიელაძე**	**Δ**
	1) თეორიული ფიზიკის განყოფილება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	**Δ**
2.	ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი	– “ –	თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **მ. ნიორაძე**	**Δ**
3.	მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფ. **ნ. ხუნდაძე**	**Δ**
4.	ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი	– “ –	თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღ., გეოლ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ბ. თუთბერიძე**	**Δ**

1	2	3	4	5
5.	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **რ. გაჩეჩილაძე**	**Δ**
6.	კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **დ. შენგელია**	+
7.	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **შ. სამსონია**	**Δ**
8.	რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. ციციშვილი**	**Δ**
9.	ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	აკად. **ფ. თოდუა**	**Δ**
10.	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **ა. სილაგაძე**	**Δ**
11.	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **გ. ლორთქიფანიძე**	+
12.	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ჯ. ხეცურიანი**	+

1	2	3	4	5
13.	არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი	ენის, ლიტერა-ტურისა და ხე-ლოვნების გან-ყოფილება	აკად. **მ. შანიძე**	**Δ**
14.	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერა-ტურის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ე. ჯაველიძე**	**Δ**

2. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	**სამშენებლო ფაკულტეტი**	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. გაბრიჩიძე**	+
2.	**ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი**	– “ –	სტუ-ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ტექნ. მეცნ. დოქტ. **თ. მაგრაქველიძე**	+
3.	**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი**	– “ –	რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტ. **თ. ნატრიაშვილი**	+
4.	**ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი**	– “ –	აკად. **ე. მეძმარიაშვილი** აკადემიური დოქტ. **ნ. წიგნაძე**	+
	1. მათემატიკის დეპარტამენტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **ვ. კოკილაშვილი**	**Δ**
	2. ფიზიკის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **გ. ჯაფარიძე**	**Δ**

1	2	3	4	5
5.	**არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი**	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. გაბრიჩიძე**	+
6.	**სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი** *1) გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი*	– “ – დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ლ. ჯაფარიძე** აკად. წევრ-კორ. **ფ. მაისაძე**	+ +
7.	**ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი** *1. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი* 1) პროექტი „ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ეკოლოგიურად სუფთა სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება“ 2) ზოგადი, არაორგანული და ანალიზური ქიმიის მიმართულება	 ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება – “ –	 მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ა. ბიბილაშვილი** თსუ-ის ემერიტუს-პროფესორი, ქიმ. მეცნ. დოქტ. **ნ. ლეკიშვილი**	 **Δ** **Δ**

1	2	3	4	5
	3) გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის მიმართულება	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ვ. ციციშვილი**	+
	4) ბიოსამედიცინო პოლიმერებისა და სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულება	– “ –	პროფ. **რ. გახოკიძე**	–
	5) სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულება	– “ –	მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ა. ბიბილაშვილი**	+
	6) ორგანული ქიმიის მიმართულება	– “ –	თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი, ქიმ. მეცნ. დოქტ. **მ. ტრაპაიძე**	+
	7) ელექტროქიმიური ინჟინერინგის მიმართულება	– “ –	მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ა. ბიბილაშვილი**	+
	8) კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგიის მიმართულება	– “ –	მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ა. ბიბილაშვილი**	+

1	2	3	4	5
	9) ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის მიმართულება	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **ბ. ჭანკვეტაძე** თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი, ქიმ. მეცნ. დოქტ. **გ. ბეზარაშვილი**	+
	2. მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი			
	1) მასალათმცოდნეობის მიმართულება	– “ –	ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის №1 ლაბორატორიის უფროსი, ტექნ. მეცნ. კანდ. **ო. ცაგარეიშვილი** ტექნ. მეცნ. კანდიდატები **ზ. მირიჯანაშვილი, ვ. ღარიბაშვილი**	Δ
	2) სამსხმელო წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების მიმართულება	– “ –	ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სსთ, ტექნ. მეცნ. დოქტ. **ჯ. ხანთაძე** ტექნ. მეცნ. კანდიდატები **ზ. მირიჯანაშვილი, ვ. ღარიბაშვილი**	Δ

1	2	3	4	5
	3) საშემდუღებლო წარმოების მიმართულებისა და შედუღების ტექნოლოგიათა ცენტრი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის №4 ლაბორატორიის თანამშრომელი, ტექნ. მეცნ. აკადემიური დოქტორი **გ. დადიანიძე** №1 ლაბორატორიის უფროსი, ტექნ. მეცნ. კანდ. **ო. ცაგარეიშვილი**	+ +
	4) შავი ლითონების მეტალურგიის მიმართულება	– “ –	ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი, ტექნ. მეცნ. დოქტ. **ჯ. მოსია**	+
	5) ლითონების წნევით დამუშავების მიმართულება	– “ –	ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ტექნ. მეცნ. დოქტ. **ა. თუთბერიძე**	Δ
	3. ფარმაციის დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის პროფ., ქიმ. მეცნ. დოქტ. **ნ. სიდამონიძე**	Δ

1	2	3	4	5
8.	**ბიზნეს-ინჟინერინ-გის ფაკულტეტი**			
	1) საფინანსო და ბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის კათედრის ხელმძღ., ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ი. მესხია**	+
	2) საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის კათედრის ხელმძღ., ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ი. მესხია**	+
	3) ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის კათედრის ხელმძღ., ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ი. მესხია**	+
	4) ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **გ. კვარაცხელია**	+
	5) ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **აპ. სილაგაძე**	**Δ**
9.	**ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი**	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. **მ. სალუქვაძე**	**Δ**

1	2	3	4	5
	მიერთებული ინსტიტუტები			
1.	ვ. ჭავჭანიძის კიბერ-ნეტიკის ინსტიტუტი			
	1) მათემატიკის მიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	პროფ. **თ. თადუმაძე**	+
	2) ფიზიკის მიმარ-თულება	– “ –	აკად. **გ. ჯაფარიძე**	**Δ**
	3) სახეთა ამოცნო-ბის გამოყენებითი სისტემების განყო-ფილება	გამოყენებითი მექანიკის, მან-ქანათმშენებ-ლობის, ენერ-გეტიკისა და მართვის პრო-ცესების გან-ყოფილება	აკად. წევრ-კორ. **რ. ხუროძე**	+
	4) ბიოკიბერნეტი-კული სისტემების განყოფილება	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **თ. ბერიძე**	+
2.	ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათე-მატიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ე. ნადარაია** თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტი-ტუტის უფრ. მეცნ. თანამშ., მეცნ. დოქტ. **გ. ბერიკელაშვილი**	**Δ**

1	2	3	4	5
3.	ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **რ. ხუროძე**	+
4.	„ანალიზხელსაწყო“	– “ –	აკად. **ე. მეძმარიაშვილი** ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიური დოქტ. **ნ. წიგნაძე**	+
5.	ინსტიტუტი „ტალღა”	– “ –	აკად. **ე. მეძმარიაშვილი** ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიური დოქტ. **ნ. წიგნაძე**	+
6.	მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **რ. ხუროძე**	+
7.	ინსტიტუტი „ტექინფორმი”	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ლ. ჯაფარიძე**	+

1	2	3	4	5
8.	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ა. ამირანაშვილი** სექტორის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტ. **ვ. ჩიხლაძე**	**Δ**
9.	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	– “ –	თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრის ხელმძღ., გეოლ.-მინერალ. მეცნ. დოქტ. **გ. მელიქაძე**	+
10.	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფ., ტექნ. მეცნ. დოქტ. **დ. კერესელიძე**	**Δ**
11.	საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	– “ –	აკად. **ა. კორახაშვილი**	**Δ**
12.	კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მებაღეობისა და მევენახეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრ., ტექნ. მეცნ. დოქტ. **ნ. ებალაშვილი**	**Δ**

1	2	3	4	5
13.	ბიოტექნოლოგიის ცენტრი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი **ვ. ბარამიძე**	+
14.	სამედიცინო ბიოტექნოლოგიისა და ბიოინჟინერიის ცენტრი	– “ –	თსუ-ის ასოც. პროფ. ქიმ. მეცნ. დოქტ. **ი. ჩიკვაიძე**	**Δ**
15.	სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ნახევარგამტარი მასალებისა და ფერადი ლითონების ლაბორატორიის უფროსი, პროფ. **ნ. კეკელიძე**	**Δ**

3. ა(ა)იპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	**მედიცინის ფაკულტეტი**			
	1. რადიოლოგიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	აკად. **ფ. თოდუა**	**Δ**
	2. სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **ნ. მითაგვარია**	**Δ**
	3. პედიატრიული დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ქ. ნემსაძე**	+
	4. რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ქ. ნემსაძე**	+
	5. ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ქ. ნემსაძე**	+
	ა) ბავშვთა სნეულების მიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ქ. ნემსაძე**	+
	6. ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტი	– “ –	თსსუ-ის ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღ., პროფ. **რ. ხეცურიანი**	**Δ**

1	2	3	4	5
	7. ქირურგიის 1 დეპარტამენტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	თსსუ-ის პროფ., საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის ხელმძღ. **გ. თომაძე**	**Δ**
	8. სამედიცინო ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტი	– “ –	თსსუ-ის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის იმუნორეაბილიტაციის ლაბორატორიის გამგე, მედიც. მეცნ. დოქტ., პროფ. **ბ. კორსანტია**	**Δ**
	9. ონკოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
	10. ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტი	– “ –	თსსუ-ის ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტის პროფ., მედიც. მეცნ. დოქტ. **ლ. კიკალიშვილი**	**Δ**
	11. კერძო ქირურგიის N1 მიმართულება	– “ –	თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღ., მედიც. მეცნ. დოქტ. **მ. კილაძე**	**Δ**

1	2	3	4	5
	12. კლინიკური ნევროლოგიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიური დეპარტამენტის ექიმი-ნევროლოგი, მედიც. მეცნ. დოქტ. **ნ. მიქავა**	+
	13. მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ასოც. პროფ., **ნ. ჩიხლაძე**	Δ
	14. პროპედევტიკის დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის ასოც. პროფ., მედიც. მეცნ. დოქტ. **გ. კაციტაძე**	+
	15. ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტი	– “ –	ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკის განყოფილების გამგე, მედიც. მეცნ, კანდ. **მ. ადამია**	Δ
	16. პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი, მედიც. მეცნ. დოქტ., პროფ. **გ. ბექაია**	Δ

1	2	3	4	5
2.	**ფარმაციის ფაკულ-ტეტი**			
	1. ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	თსსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ლაბორტორიის გამგე, ფარმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **გ. ცაგარეიშვილი**	+
	2. ფარმაკოგნოზიისა და ბოტანიკის დეპარტამენტი	– “ –	თსსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ლაბორტორიის გამგე, ფარმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **გ. ცაგარეიშვილი**	**Δ**
	3. ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი	– “ –	კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ხელმძღ., ბიოლ. მეცნ. დოქტ. **მ. ახვლედიანი**	**Δ**
	4. სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია	– “ –	აკად. **ე. ქემერტელიძე**	+
	5. სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **ე. ქემერტელიძე**	+

1	2	3	4	5
3.	**ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი**			
	1. ფიზიოლოგიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	აკად. **ნ. მითაგვარია**	**Δ**
	2. კლინიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის მიმართულება	– “ –	სარეაბილიტაციო მეცნიერებათა დეპარტამენტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულების ხელმძღ., ასოც. პროფ. **ლ. მასხულია**	**Δ**
	3. კლინიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი ლაბორატორიული საქმის მიმართულება	– “ –	კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმი, მედიც. მეცნ. დოქტ. **მ. ემუხვარი**	**Δ**
	4. რეაბილიტაციურ მეცნიერებათა დეპარტამენტი კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის მიმართულება	– “ –	პეტრე შოთაძის სახ. სამედიცინო აკადემიის რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის მიმართულების ასოც. პროფ., მედიც. მეცნ. დოქტ. **მ. ლორია**	**Δ**

1	2	3	4	5
4.	**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულ-ტეტი**			
	1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაპარტამენტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმარ-თულება	ფიზიოლოგიი-სა და მედიცი-ნის განყოფი-ლება	დაავადებათა კონ-ტროლისა და საზო-გადოებრივი ჯან-მრთელობის ეროვ-ნული ცენტრის, აივ ინფექცია(შიდსის) ტუბერკულიოზის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადე-ბებისა და ჰეპატიტე-ბის სამმართველოს უფროსი, მედიც. მეცნ. დოქტ. **მ. წერეთელი**	+
	2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის მიმართულება	– “ –	დაავადებათა კონ-ტროლისა და საზო-გადოებრივი ჯან-მრთელობის ეროვ-ნული ცენტრის, აივ ინფექცია(შიდსის) ტუბერკულიოზის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადე-ბებისა და ჰეპატიტე-ბის სამმართველოს უფროსი, მედიც. მეცნ. დოქტ. **მ. წერეთელი**	+

1	2	3	4	5
	3. *მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი*	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	ნ. მახვილაძის სახ. შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, აკადემიური დოქტ. **რ. ჯავახაძე**	**Δ**
	მიერთებული ინსტიტუტები			
1.	სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი	**– “ –**	აკად. **ფ. თოდუა**	**Δ**
2.	იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **შ. სამსონია**	**Δ**

4. ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. მათემატიკის დეპარტამენტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **ვ. კოკილაშვილი**	+
	2. ფიზიკის დეპარტამენტი	– “ –	სტუ-ის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **რ. ჩიქოვანი**	+
	3. გეოგრაფიის დეპარტამენტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიური დოქტ. **თ. ცინცაძე**	+
	4. ქიმიის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **შ. ჯაფარიძე**	+

1	2	3	4	5
	5. ბიოლოგიის დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **მ. გორდეზიანი** აკად. **ნ. მითაგვარია**	+ +
2.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ქუთაისისა და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ. **ა. დაუშვილი**	+
	2. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი			
	ა) ქართული ენის მიმართულება	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **გ. კვარაცხელია**	**Δ**
	ბ) ქართული ლიტერატურის მიმართულება	– “ –	აკად. **ე. ხინთიბიძე**	+
	3. ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულება	– “ –	აკად. **გ. კვარაცხელია**	**Δ**

1	2	3	4	5
	4. *ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი* ა) ინგლისური ენის მიმართულება	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **მ. შანიძე**	+
	5. *აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი* ა) არაბული ენის მიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **აპ. სილაგაძე**	+
	6. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **ე. ხინთიბიძე**	+
	7. კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **რ. გორდეზიანი**	+
	8. სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტი ა) რუსული ენის მიმართულება ბ) ლიტერატურის მიმართულება	– “ –	 აკად. **ე. ხინთიბიძე** აკად. **ე. ხინთიბიძე**	 + +
3.	**აგრარული ფაკულტეტი**			
	1. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის დეპარტამენტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	სოფლ. მეურნ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, ტექნ. მეცნ. დოქტ. **გ. პაპუნიძე** ეკონომ. აკად. დოქტ. **ა. დევაძე**	+

1	2	3	4	5
	2. სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	სოფლ. მეურნ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, ტექნ. მეცნ. დოქტ. **გ. პაპუნიძე** ეკონომ. აკად. დოქტ. **ა. დევაძე**	+
	3. ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი	– “ –	სოფლ. მეურნ. აკადემიური დოქტ. **ნ. არუშიძე**	+
	4. აგროინჟინერიის დეპარტამენტი	– “ –	ტექნ. მეცნ. აკადემიური დოქტ. **მ. მამულაძე**	+
	5. აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდ., ასოც. პროფ. **შ. ლამპარაძე**	**Δ**
4.	**ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. აგრობიზნესის მიმართულება	– “ –	სოფლ. მეურნ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, ტექნ. მეცნ. დოქტ. **გ. პაპუნიძე** ეკონომ. აკად. დოქტ. **ა. დევაძე**	+
	2. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის კათედრის ხელმძღ., ეკონომ. მეცნ. დოქტ. **ე. მექვაბიშვილი**	+
	3. ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი			

1	2	3	4	5
	4. სამართლის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **ლ. ალექსიძე**	+
	5. ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. ჩარკვიანი**	+
	6. სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. ჩარკვიანი**	+
5.	**პედაგოგიური ფაკულტეტი**			
	1. სწავლების მეთოდიკის დეპარტამენტი	– “ –	პროფ. **მ. გოგატიშვილი**	+
	2. პედაგოგიკის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. ჩარკვიანი**	+
6.	**ჯანდაცვის ფაკულტეტი**			
	1. სტომატოლოგიისა და ფარმაციის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
7.	**საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი**			
	1. ქიმიური ტექნოლოგიის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **ე. ქემერტელიძე**	+

1	2	3	4	5
	2. კვების პროდუქტების ტექნოლოგიების დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მთ. მეცნ. თანამშრომელი, მეცნ. დოქტ. **ნ. ომიაძე**	+
8.	**სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**			
	1. აგრარულ მეცნიერებათა ს/კ მიმართულება	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **ე. ქემერტელიძე**	+
	2. საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელი ს/კ მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **ლ. ალექსიძე**	+
	3. ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულება	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **გ. კვარაცხელია**	**Δ**

1	2	3	4	5
9.	**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის** *კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტი* **სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის** ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ს/კ მიმართულებები **საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის** *გამოყენებითი დიზაინის, ტექსტილის და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგიის დეპარტამენტი* **საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის** *მშენებლობისა და ტრანსპორტის და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტები* **საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი**	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. გოგიჩაიშვილი**	+

5. ა(ა)იპ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	**ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. მათემატიკის დეპარტამენტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სსთ, განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **თ. ქადეიშვილი**	+
	2. ფიზიკის დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის პროფ. **ა.შენგელაია**	+
	3. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **თ. თადუმაძე**	+
2.	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი**			
	1. ბიოლოგიის დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. ნახუცრიშვილი**	+

1	2	3	4	5
	2. გეოგრაფიის დეპარტამენტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, გეოგრ. მეცნ. კანდ. **ვ. ნეიძე**	+
	3. ქიმიის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **ე. ქემერტელიძე** თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **შ. ჯაფარიძე**	+ +
	4. ფარმაციის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	აკად. **ე. ქემერტელიძე** საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+ +
	5. კლინიკური თერაპიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+

1	2	3	4	5
	6. კლინიკური ქირურგიის დეპარტამენტი	ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
	7. საბაზისო მედიცინის დეპარტამენტი	– “ –	საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
3.	**ტექნოლოგიის ფაკულტეტი**			
	1. ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტი	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად.წევრ-კორ. **გ. გაბრიჩიძე**	+
	2. ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი			
	3. აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **თ. ურუშაძე**	+
	4. აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი	– “ –	აკად.წევრ-კორ. **ა. დიდებულიძე**	+
4.	**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი**			
	1. ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის კათედრის ხელმძღ., ეკონომ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ი. ანანიაშვილი**	+

1	2	3	4	5
	2. იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **ლ. ალექსიძე**	+
	3. სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	ფილოს. მეცნ. დოქტ., პროფ. **ვ. კეშელავა**	+
	4. ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის კათედრის ხელმძღ., ეკონომ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ი. ანანიაშვილი**	+
5.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **მ. შანიძე**	+
	2. ევროპეისტიკის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **რ. გორდეზიანი**	+
	3. სლავისტიკის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **ე. ხინთიბიძე**	+
	4. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ. **ა. დაუშვილი**	**Δ**
	5. ფილოსოფიის დეპარტამენტი	– “ –	ფილოს. მეცნ. დოქტ., პროფ. **ვ. კეშელავა**	+

1	2	3	4	5
6.	**განათლების ფაკულტეტი** *1. პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი*	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ფილოს. მეცნ. დოქტ., პროფ. **ვ. კეშელავა**	+
7.	**ტურიზმის ფაკულტეტი** *1. ტურიზმის დეპარტამენტი*	– “ –	თსუ-ის კათედრის ხელმძღ., ეკონომ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ი. ანანიაშვილი**	+
8.	ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **გ. კვარაცხელია**	+
	მიერთებული ინსტიტუტები			
1.	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. ლორთქიფანიძე**	**Δ**
2.	ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **თ. სადუნიშვილი**	+
3.	აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო ინსტიტუტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **თ. ურუშაძე**	**Δ**

6. ა(ა)იპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. ქართული ენის მიმართულების, ქართველური ენათმეცნიერებისა და აფხაზური ენისა და კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **გ. კვარაცხელია**	**Δ**
	2. ქართული ლიტერატურის მიმართულებისა და ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	– “ –	აკად. **გ. კვარაცხელია**	**Δ**
	3. ლათინური ენის მიმართულება	– “ –	აკად. **გ. კვარაცხელია**	**+**
	4. ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სლავური ფილოლოგიის მიმართულებები	– “ –	აკად. **რ. გორდეზიანი**	**+**
	5. ქვემიმართულება: თურქული ენა და ლიტერატურა	– “ –	აკად. **ე. ჯაველიძე**	**Δ**

1	2	3	4	5
	6. არქეოლოგიის მიმართულება და არქეოლოგიის ს/კ ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **დ. მუსხელიშვილი**	+
	7. ისტორიის მიმართულება და საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ს/კ ინსტიტუტი	– “ –	პროფ. **მ. სამსონაძე**	+
2.	**მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **შ. ტეტუნაშვილი** სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **გ. ფანცულაია**	**Δ**
3.	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი**			
	1. გეოგრაფიის მიმართულება	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **რ. გაჩეჩილაძე**	+
	2. ბიოლოგიისა და ეკოლოგიის მიმართულება	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ი. ელიავა**	+
	3. ქიმიის მიმართულება	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად.წევრ-კორ. **ვ. ციციშვილი**	**Δ**

1	2	3	4	5
	4. ფიზიკის მიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	+
4.	**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ასოც. პროფ., **თ. ბერიძე**	+
5.	**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. სოციოლოგიის მიმართულება	– “ –	აკად. **გ. თევზაძე**	+
	2. ფსიქოლოგიის მიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+
	3. პოლიტიკის მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულება და **იურიდიული ფაკულტეტი**	– “ –	აკად. **ჯ. ხეცურიანი**	+
6.	**განათლების ფაკულტეტი**	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+

7. ა(ა)იპ – იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. ისტორიის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ. **ა. დაუშვილი**	+
	2. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **ე. ხინთიბიძე**	**Δ**
	3. უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **აპ. სილაგაძე**	+
2.	**აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. სოფლის მეურნეობისა და ქიმია-ტექნოლოგიის დეპარტამენტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **ა. კორახაშვილი**	–

1	2	3	4	5
3.	**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი**			
	1. ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ასოც. პროფ. **თ. ბერიძე**	+
4.	**განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, საგნის მეთოდიკები	– “ –	პროფ. **ლ. ზაქარაძე**	+
5.	**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სსთ, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. დოქტ. **ნ. ბეგალიშვილი**	+
	2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	ბიოლ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ა. შალაშვილი**	**Δ**

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
1	2	3	4	5
1.	სსიპ – სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **გ. ჩაგელიშვილი**	+
2.	სსიპ – მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი	– “ –	სტუ-ის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **რ. ჩიქოვანი**	+
3.	სსიპ – ინსტიტუტი „ოპტიკა“	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	სტუ-ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ტექნ. მეცნ. დოქტ. **თ. მაგრაქველიძე**	+
4.	სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. თავხელიძე**	**Δ**
5.	სსიპ – რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. თავხელიძე**	**Δ**

1	2	3	4	5
6.	სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, ტექნ. მეცნ. დოქტ., სრული პროფ. **ნ. წერეთელი** სტუ-ის მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის სრული პროფ., ტექნ. მეცნ. დოქტ. **მ. ოქროსაშვილი**	**Δ**

9. სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
		ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	აკად. **რ.შაქარიშვილი**	**Δ**

10. სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
	ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **დ. მუსხელიშვილი**	+

11. სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
		ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **რ. გორდეზიანი**	**Δ**

12. სსიპ – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
		საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	**Δ**

13. ა(ა)იპ – საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

№	სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	შეფასება
		სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ზ. მანველიძე**	**Δ**

სამეცნიერო ანგარიშების შეფასების ჯამური შედეგები

დანართი 2

№	სამეცნიერო დაწესებულება	სულ	უმაღლესი	დამაკმაყოფილებელი	არაკმაყოფილებელი
1.	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	111	65	46	–
2.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	49	18	30	1
3.	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	33	21	12	–
4.	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	35	4	31	–
5.	შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30	3	27	–
6.	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	17	5	12	–
7.	იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	8	2	5	1
8.	სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“				
	ა) სოხუმის ი. ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტ. .	1	–	1	–
	ბ) მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი .	1	–	1	–
	გ) ინსტიტუტი „ოპტიკა“	1	–	1	–
	დ) გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი . .	1	1	–	–
	ე) რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	1	1	–	–
	ვ) ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	1	1	–	–
9.	ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	1	1	–	–
10.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	1	–	1	–
11.	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	1	–	1	–
12.	გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი	1	1	–	–
13.	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი	1	1	–	–
	ჯამი	294	124	168	2